

ISSN—0132—6066



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

# მაცნე

ენისა

და

ლიტერატურის

სერია

4. 1986

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“,  
ენისა და ლიტერატურის სერია, 1986, № 4

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

---

ენისა და ლიტერატურის  
სერია

СЕРИЯ  
ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ



თბილისი  
ТБИЛИСИ

4. 1986

ქურნალი დაარსებულია 1971 წელს, გამოდის 3 თვეში ერთხელ  
Журнал основан в 1971 году, выходит раз в 3 месяца

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ი მ კ ო ლ ე ზ ი ა : ალ. ბარამიძე (რედაქტორი),  
თ. გამყრელიძე, ალ. გვახარია (მდივანი), ქ. ლომთათიძე, ე. მეტრეველი,  
ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური (რედაქტორის მოადგილე)  
პასუხისმგებელი მდივანი გ. ლლონტი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Барамидзе А. Г. (редактор),  
Гамкрелидзе Т. В., Гвахария А. А. (секретарь), Дзидзигური Ш. В. (зам. редактора),  
Ломтатидзе К. В., Метрелия Е. П., Цайшвили С. С.

Ответственный секретарь Г. А. Глonti

© „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მიცენა“, ენისა და ლიტერატურის სერია  
1986, № 4

---

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19, ტელ. 37-24-07  
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19, телефон 37-24-07

---

გადაეცა წარმოებას 5.VIII.86; ხელმოწერილია დასაბეჭდად 14.X.86; უე 04793;  
ქილაღის ზომა 70×1081/16; მაღალი ბეჭდვა; პირ. ნაბეჭდი თაბახი 16.8; პირ. სალ.-ვატ. 17.1;  
სააღრიცხვო-სავაჭომცემლო თაბახი 15; ტირაჟი 1500; შუკე. 2452; ფასი 1 მან. 20 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შინაარსი

წერილები

ა. სილაგაძე, მახვილის საკითხისათვის ქართულ ლექსში . . . . .	5
ნ. ნაკულაშვილი, ღრის პოეტისათვის „ქართლის ცხოვრებაში“ . . . . .	19
ნ. წაქაძე, ვეფხისტყაოსნის ლექსიკონიდან ზადი-ჯადი . . . . .	32
მ. რაფაეა, თეოდულე ზუცეს მონაზონის ერთი თარგმანის შესახებ (ეპიფანე კვიპრელი თუ იოანე დამასკელი?) . . . . .	39
მ. მაისურაძე, მ. შამულაშვილი, ა. ლამბაშიძე, ათონის მრავალთავის ერთი საკითხავის წყარო . . . . .	52
მ. ჩხენკელი, „ათონის მრავალთავის“ ერთი პატივგრაფიული თხზულება . . . . .	59
ნ. კიხიძე, ქართული პოეტური ტექსტების ინტონაციური ვაფორმების შესახებ . . . . .	73
ქ. სორდია, ფრაზეოლოგიისა და სინტაქსური კვალიფიკაციის საკითხები . . . . .	80
კ. დანელია, გრამატიკული სქესის გამოხატვის ცდა ქართულში . . . . .	87
მ. მალრაძე, მსაზღვრელი კომპონენტები რთული შედგენილობის ტოპონიმებში (კასპის რაიონის მასალის მიხედვით) . . . . .	102
მ. ალექსიძე, საყოფარ სახელთა როლი ანტიფონის შექმნაში (მაფეზის ლირიკის მიხედვით) . . . . .	110
მ. ჯანაშიძე, თურქული ლექსიკა იოანე ბაგრატიონის საბუნებისმეტყველო განმარტებით ლექსიკონში . . . . .	114
მ. წერეთელი, ფერთა სიმბოლიკა „არდა ვირაფ ნამაკში“ . . . . .	126
ქ. კიკვიძე, სისხლით ნათესაობის აღმნიშვნელი ზოგიერთი ტერმინი სპარსულში („მამა“, „ვეფიშვილი“, „ძმა“) . . . . .	131
ო. გრიაზნოვა, ინფორმაცია და ტექსტის ინფორმაციულობა . . . . .	141
ო. ვლობა, შეფასების კატეგორია და მისი კლასიფიკაციის პრობლემა . . . . .	155
მ. ანდრაზაშვილი, უარყოფის მორფოლოგიურ საშუალებათა სემურ-კონტრასტული ანალიზი და ენობრივი ინტერფერენციის ზოგიერთი საკითხი (გერმანული და ქართული ენების მასალაზე) . . . . .	161

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

მ. ივანიშვილი, წიგნი თანამედროვე სპარსული ლიტერატურის საკითხებზე . . . . .	174
თ. ქავთავაძე, ახალი ნაშრომი ტაყეურ დიალექტოლოგიაში . . . . .	181

ქრონიკა და ინფორმაცია

ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში . . . . .	183
---	-----

წიგნი  
წიგნი  
წიგნი

## СОДЕРЖАНИЕ

### Статьи

А. А. Силагадзе, К вопросу об ударении в грузинском стихе . . . . .	5
И. Ф. Накудашвили, К вопросу поэтики времени в «Житии Картли» . . . . .	19
И. П. Цакадзе, Из лексики «Витязя в барсовой шкуре» $\text{v}^{\text{e}}\text{q}^{\text{e}}\text{-o}$ (var-i)//qar-i . . . . .	32
М. А. Рапава, Об одном переводе Теофила пресвитера (Епифаний Кипрский или Иоанн Дамаский?) . . . . .	39
М. Д. Майсурадзе, М. Р. Мамулашвили, А. Г. Гамбашидзе, Источник одной гомилии «Афонского многоглава» . . . . .	52
М. В. Чхеидзе, Одно агнографическое сочинение «Афонского многоглава» . . . . .	59
И. А. Кизириа, Об интонационном оформлении грузинских поэтических текстов . . . . .	73
Ж. А. Сордиа, Вопросы синтаксической квалификации фразеологизмов . . . . .	80
К. Д. Дanelia, Попытка выражения грамматического рода в грузинском литературном языке . . . . .	87
В. А. Маградзе, Определяющие компоненты в сложносоставных топонимах . . . . .	102
М. М. Алексидзе, Роль имен собственных в построении антитезы . . . . .	110
В. Т. Джангидзе, Тюркская лексика в Естественном толковом словаре Иоанна Багратиони . . . . .	114
М. Г. Церетели, Цветовая символика в среднеперсидском памятнике «Арда Вираф намак» . . . . .	126
К. Ц. Киквидзе, Термины, обозначающие кровное родство в персидском языке («отец», «сын», «брат») . . . . .	131
О. В. Грязнова, Информация и информативность текста . . . . .	141
О. Г. Глоба, Категория оценки и проблема ее классификации . . . . .	155
М. Г. Андразашвили, Семно-контрастивный анализ морфологических средств отрицания и некоторые вопросы языковой интерференции (на материале грузинского и немецкого языков) . . . . .	161

### Критика и библиография

М. Н. Иванишвили, Книга по вопросам современной персидской литературы . . . . .	174
Т. А. Чавчавадзе, Новая работа по таджикской диалектологии . . . . .	181

### Хроника и информация

В. Комиссии по установлению академического текста поэмы Ш. Руставели «Витязь в барсовой шкуре» . . . . .	183
--	-----

## წერილები

აკოლონ სილაბაძე

### მახვილის საკითხისათვის ქართულ ლექსში

წინამდებარე სტატია ქართული ლექსთწყობის, როგორც სისტემის, ჩვენ მიერ ჩატარებული ანალიზის შედეგია<sup>1</sup>. ამ ანალიზმა უშუალოდ მოგვცა რამდენიმე წინასწარი დასკვნა იმ ენობრივი პროსოდიული ელემენტების შესახებ, რომლებიც, რებრეზენტირებულნი ლექსში, გარდაიქმნებიან ლექსის ელემენტებად და გვევლინებიან სისტემის მარეგულირებელ ფაქტორებად. ეს, რა თქმა უნდა, დიდი გამოკვლევის თემაა. ამჯერად მას შევეხებით ზოგეორით წინასწარი, სამუშაო დებულების სახით, რომლის დაზუსტება და შემოწმება სპეციალურ კვლევას შეუძლია.

ქართული ლექსის რიტმული სტრუქტურის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი არის რიტმული გასაყარი<sup>2</sup>. ამ ტერმინს ჩვენ ვუწოდებთ სალექსო ერთეულის ორ წევრს შორის მოქმედ მუდმივ რიტმულ ფაქტორს საზღვრის სახით, რომელიც ამ ერთეულის, როგორც ბინარული ფორმის, დონეზე მოქმედებისას გამოყოფს და აფორმებს ერთეულის ორ შემადგენელს, ხოლო მთელი სისტემის, როგორც იერარქიულად დაკავშირებული ერთეულების მთლიანობის, დონეზე მოქმედებისას კრავს ამ ორ შემადგენელს და აფორმებს მოცემულ ბინარულ ფორმას, გამოყოფს რა მას ერთეულთა იერარქიაში. რაც შეეხება სალექსო ანუ რიტმულ ერთეულებს, ქართულ ლექსით სისტემაში ისინი ბინარულ აგებულებებს წარმოადგენენ და ქმნიან ერთეულთა ოთხ დონეს: I. ორწევრედი, რომლის შემადგენლებია ორი მუხლი ანუ სეგმენტი, მაგ., ხუთმარცვლიანი და სამმარცვლიანი შემადგენელი — 5+3 (დაბალი შაირი); II. სტრიქონი, მაგ., (5+3)+(5+3); III. ორსტრიქონედი, მაგ., (5+3)+(5+3)|(5+3)+(5+3); IV. სტროფი, მაგ., (5+3)+(5+3)|(5+3)+(5+3)|(5+3)|(5+3)+(5+3)+(5+3)|(5+3)+(5+3).

რიტმული გასაყარი: ა) განსაზღვრავს ყოველი დონის ერთეულის სტრუქტურულ სახეს, ბ) განსაზღვრავს ერთეულთა იერარქიას, გ) არეგულირებს უმცირესი, ძირითადი, ლექსის რიტმული სახის განმსაზღვრელი ერთეულის, ორწევრედის სინტაგმატურ მიმართებებს, დ) განაპირობებს ქართული ლექსის ზოგად რიტმულ პრინციპს — ყველა დონის ერთეულის ერთდროულ გაკვეთას ორ ნაწილად.

<sup>1</sup> ამ ანალიზის ზოგი შედეგი იხ. ჩვენს ნაშრომებში: Das prinzipielle Schema des Zeilenbaus und der Verknüpfung von Zeilen im georgischen Gedicht, Georgica, Heft 8, Tena—Tbilissi, 1985, გვ. 40—44. ქართული ლექსის მეტრიკა და რიტმის შესახებ, აღმნახო კრიტიკა<sup>ა</sup>, 1986, № 3, გვ. 109—137 და სხვ.

<sup>2</sup> აკად. გ. წერეთელს ეკუთვნის ქართული ლექსის სეგმენტების დადგენის პრინციპი, როდესაც მათ შორის არსებობს მუდმივი საზღვარი სიტყვათვსაყარის სახით, იხ. მისი, მეტრიკა და რითმა ვეფხისტყაოსანში, თბილისი, 1973, გვ. 11—14.

ორწევრედის, ვთქვათ, 5+2-ის (მაგ., ლექსში: „დღე შემოდგომის ცივის | ვერსად პოულობს ალაგს, | უკანასკნელი სხივი | ეშვებოდობება ქალაქს“) რიტმულ სტრუქტურას არ განსაზღვრავს ის, რომ იგი 7-მარცვლიანია, ვინაიდან ჩვენ გვაქვს სხვა მეტრული რივის ორწევრედიც, რომელიც აგრეთვე 7-მარცვლიანია (მაგ., ლექსში: „დღეს ნოტრ-დამთან (სნებთან | ფანტაზიის ნახატს!) | კალენკორის ფრთებიან | ანგელოზებს ნახავდი“). 5+2-ის სახეს განსაზღვრავს რიტმული გასაყარი ხუთი მარცვლის შემდეგ და მის მიერ დადგენილი ორი შემადგენელი, ვინაიდან სხვა ბუნების 7-მარცვლიანი ორწევრედი, რომელიც ჩვენ გვაქვს, განსხვავებული რიტმული გასაყარის მქონეა, ოთხი მარცვლის შემდეგ — 4+3. ასეთივე მსჯელობები მიუყვება სტრიქონსა და მის რიტმულ გასაყარს, ორსტრიქონედსა და მის რიტმულ გასაყარს, სტროფსა და მის რიტმულ გასაყარს.

გარკვეული და უცვლელად გამეორებადი მარცვალთაოდენობის შემცველი მონაკვეთები არ ქმნიან რიტმულ ლექსს. ლექსს ქმნის ისეთი მონაკვეთი, რომელიც რიტმული გასაყარის მოქმედებით ორი შემადგენლისგან შედგება. 10 მარცვლი არ არის რიტმული ერთეული — არც ორწევრედი, არც სტრიქონი, 10-მარცვლედიდან აგებული რაღაც დიდი მონაკვეთი არ არის რიტმული მონაკვეთი; რიტმულ ლექსს ქმნის, ვთქვათ, 5+5 და მისი გამეორება (ან მონაცვლეობა, ვთქვათ, 5+3-თან, 5+2-თან და ა. შ.).

ავიღოთ ოთხი წინადადება („მგზავრის წერილებიდან“), თითოეული ათათი მარცვლის შემცველი, და განვიხილოთ ისინი სტრიქონებად:

დილის ექვსი საათი შესრულდა.  
ამ ყოფით განეშორდი ელადიკავასს.  
არა ჰგავს თქვენს წიტიანს ქალაქსა.  
მე მაინც სტანციის ვარეთა ვარ.

ჩვენ გვაქვს: ა) ერთმანეთისგან გამოყოფილი მონაკვეთები სტრიქონების საბით, ბ) მონაკვეთების — სტრიქონების — იზოსილაბიზმი, ტოლობა. მიუხედავად ამისა, ქართული ენისა და ქართული სალექსო მეტყველების მატარებლის წინაშეა პროზა. გადავადგილოთ თითოეულ წინადადებაში სიტყვები ისე, რომ ყოველ სტრიქონში გექონდეს მუდმივი გასაყარი მეხუთე მარცვლის შემდეგ — 5+5:

ექვსი საათი | დილის შესრულდა.  
განეშორდი ყოფით | ელადიკავასს.  
არა წიტიანს | ჰგავს თქვენს ქალაქსა.  
მაინც სტანციის | მე ვარ ვარეთა.

ჩვენს წინაა რიტმული ლექსი (ურთიმო, თეთრი). ქართული რიტმული ლექსი შეიქმნება მაშინაც, თუ სტრიქონებს გადავაკეთებთ ისე, რომ ოთხ-სტრიქონედში სტრიქონების ტოლობა არ გვექნება, გვექნება მათი სიმეტრიული მონაცვლეობა, ვთქვათ, 5+5 | 5+4 | 5+5 | 5+4:

ექვსი საათი | დილის შესრულდა.  
განეშორდი ყოფით | ელადიკავასს.  
არა წიტიანს | ჰგავს თქვენს ქალაქსა.  
მაინც სტანციის | ვარეთა ვარ.

რიტმულ ლექსთან გვექნება საქმე მაშინაც, თუ სტრიქონთა სიგრძეების სიმეტრიულ მონაცვლეობასაც არ ექნება ადგილი, ვთქვათ, 5+5 | 5+4 | 5+3 | 5+2:



ექვსი საათი | დილის შესრულდა.  
 განვზრდი ყოფით | ვლადიკავკასს.  
 არა წიტიანს | ქალაქს ჰგავს  
 მე ვარ სტანციის | გარეთ.

როგორც ვხედავთ, არც სტრიქონთა ტოლობა გვაქვს, არც სიგრძეების სიმეტრიული მონაცვლეობა. გვაქვს მხოლოდ რიტმული გასაყარი, რომელიც ქმნის ბინარულ ერთეულს; გვაქვს საერთო რიტმული გასაყარით ერთმანეთთან დაკავშირებული სტრიქონები; გვაქვს, შედეგად, მონაკვეთი, რომელიც რიტმული ლექსია.

ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ლექსის მეტრულ სტრუქტურას განსაზღვრავს რიტმული გასაყარი: 1. მონაკვეთები, რომლებშიც არ არის მუდმივი გასაყარი, ვერ ქმნიან რიტმულ ლექსს. 2. ისინი მაშინაც ვერ ქმნიან მას, როდესაც, სტრიქონებად წარმოდგენილი, იზოსილაბურნი არიან. 3. ლექსის რიტმულ სახეს გვაძლევს მხოლოდ რიტმული გასაყარი, რომელიც განსაზღვრავს ბინარულ მონაკვეთებს და მათ შეერთებს.

გასაყარი ლექსს ქმნის ისე, რომ, სულ ერთია, სტრიქონები იზოსილაბურნი არიან (ან სიმეტრიულნი იზოსილაბურ მონაცვლეობაში), თუ არა.

სხვა საკითხია, რომ ქართულ ლექსში ყველაზე გავრცელებულია ის შემთხვევები, როდესაც, რიტმული გასაყარის მოქმედების პირობებში, სტრიქონები იზოსილაბურია (ან სიმეტრიულად პეტერომეტრული). მაგრამ სწორედ აქ დგება რიტმული სიჭარბის მოვლენის საკითხი: ერთი მხრივ, იმ სალექსო კორპუსში (გავრცელებულში), რომელშიც იზოსილაბიზმი ფაქტია, სტრიქონების სიგრძეები და მათი ტოლობა ლექსის ერთ-ერთი მატერიალური მახასიათებელია; მეორე მხრივ, საკუთრივ რიტმს განსაზღვრავს რიტმული გასაყარი და იზოსილაბიზმი ჭარბი ღირებულების ნიშნით დახასიათდება: ა) იზოსილაბიზმი თავისთავად ვერ ქმნის რიტმულ სტრუქტურებს; ბ) რიტმული გასაყარი ქმნის, ამასთან — ქმნის იზოსილაბიზმის გარეშეც. კორექტული იქნება ასეთი დასკვნა: ქართული ლექსის რიტმს განსაზღვრავს რიტმული გასაყარის ფაქტორი. ამ დროს ყველაზე გავრცელებულია ტოლი სტრიქონები, აგრეთვე მონაცვლეობა სხვადასხვა სიგრძის მონაკვეთებისა, ნაკლებ გავრცელებულია სტრიქონთა უტოლობა. სხვა სიტყვებით, ყველაზე გავრცელებულ შემთხვევებში რიტმული გასაყარი მოქმედებს ისე, რომ იქმნება სტრიქონთა ტოლობაც.

ამგვარად, ქართული რიტმული ლექსი ვერსიფიკაციის პოზიციებიდან აღიწერება სხვადასხვა მახასიათებლით, მაგრამ მხოლოდ ერთი — რიტმული გასაყარი არის პრინციპულად აუცილებელი სტრუქტურული ფაქტორი რიტმის შესაქმნელად: ნებისმიერი სხვა მახასიათებლის მოშლის შემთხვევაში რიტმი მაინც არსებობს, თუ ფუნქციონირებს რიტმული გასაყარი, პირობით — ნებისმიერი სხვა ფაქტორის არსებობის პირობებში რიტმი არ იქმნება, თუ არ მოქმედებს რიტმული გასაყარი.

მეორე მახასიათებელს წარმოადგენს მარცვალითა რაოდენობა. აქ ორი პრობლემა დგება: ა) იზოსილაბიზმის მნიშვნელობა, ბ) სილაბური სიგრძის მნიშვნელობა.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ იზოსილაბიზმი, როგორც სტრუქტურული ფაქტორი, არ გვაქვს; გვაქვს, ასე ვთქვათ, გარეგანი იზოსილაბიზმი — დამთხვევა მარცვალთა რაოდენობებში. რიტმულ მონაკვეთებში რიტმული ფაქტორის ძალით იზოსილაბიზმი კი არ მოქმედებს, არამედ სტრიქონები (ან მონაკვეთები)

იზომორფულნი არიან რიტმული გასაყარის მიხედვით: ერთმანეთს იმეორებენ არა, ვთქვათ, რვა მარცვლიანი სტრიქონები ისე, რომ გვექონდეს, მაგალითად,  $4+4 | 5+3 | 5+3 | 4+4$ , არამედ სტრიქონები  $4+4$  სტრუქტურით, ან სტრიქონები  $5+3$  სტრუქტურით. როდესაც გვაქვს ჰეტერომეტრია, თქმული კიდევ უფრო თვალსაჩინოა: მაგ.,  $4+4 | 4+4 | 4+4 | 4+2$ .

რაც შეეხება სილაბურ სიგრძეს, იგი ყველა ერთეულის მახასიათებელია. მაგრამ, რომ ავიღოთ რომელიმე რიტმული კონსტრუქცია, მაგ., დაბალი შიორი, ადვილად ვნახავთ შემდეგს: ჩვენ არ გვაქვს სილაბური სიგრძეების, როგორც ასეთების, სტრუქტურული ხასიათის გამოვლენა ან მონაცვლეობა; 5 არ ქმნის რიტმულად მარკირებულ ოდენობას, 3 არ ქმნის რიტმულად მარკირებულ ოდენობას, 5-ისა და 3-ის მონაცვლეობა არ ქმნის მეტრს (ვთქვათ, ჰეტერომეტრულ საზომს —  $5|3|5|3$ ); — მეტრს ქმნის ორწევრიანი (მხოლოდ ორწევრიანი) სტრუქტურული ერთეული  $5+3$ , რომლის ბუნება განსაზღვრულია რიტმული გასაყარით.

ჩვენ გვაქვს ძალზე იშვიათი ნიმუშები, როდესაც მთელი ლექსი აგებულია, მაგალითად, ხუთმარცვლიან ოდენობებზე („ვინცა გაგიცნობს, | მუშით ტანჯავს ჰსცნობს, | და ვინც ვერ გიცნობს, | მამ რა ვეთილს ჰსცნობს“). მაგრამ სტრუქტურულად აქაც ბინარული ერთეულები მოქმედებენ, რაც თუნდაც შემდეგი მსჯელობიდან გამოჩნდება.

ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ 10-მარცვლიანი სტრიქონები, გასაყარის თვალსაზრისით ამორფულნი, რიტმულ ლექსს არ ქმნიან. შეგვიძლია განვავარდოთ: 9-მარცვლიანი სტრიქონები რიტმულ ლექსს არ ქმნიან, —  $5+4$  ქმნის („წარმოიდგინეთ იგი ქაშნი, | ყოვლად ძვირფასნი მისნი წაშნი“); 8-მარცვლიანები არ ქმნიან, —  $5+3$  ქმნის<sup>3</sup> („ის აღარა ვარ, რაც ვიყავ, | ძნელი ყოფილა ჭადრა, | ველარ გაპყვის თამამად | ჩემი დაფი და ნაღარა“); 7-მარცვლიანები არ ქმნიან, —  $5+2$  ქმნის („ვამ შორს მყოფსა შენსა, | ვერ მკვრეტსა შენსა მშვენად, | მელევის ცნობა მთმენსა, | შექმნილსა მგოდებ ენად“); 6-მარცვლიანები არ ქმნიან, —  $5+1$  ქმნის („ალე მწვერვალსა ხრის, | ნაზი ტანივთ სწორს, | მთიდან ნიავი ჰჭრის, | შორს, უბოლოოდ შორს“). ჩვენ ასევე, ლოგიკურად, შეგვიძლია განვავარდოთ: 5-მარცვლიანებიც არ ქმნიან, — ქმნის  $5+0$  (იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც გვაქვს ლექსი, აგებული 5-მარცვლიანი სტრიქონებით)<sup>4</sup>. მაშასადამე, თუ ვიმსჯელებთ ორწევრედთა იმ სისტემის შესაძლებლობათა მიხედვით (ორწევრედი ჩვენს შემთხვევაში უდრის სტრიქონს), რომელშიც რიტმული გასაყარი ხუთი მარცვლის შემდეგაა, ვხედავთ:

<sup>3</sup> სიმარტივისათვის შესაძლებლობათა შორის ვიღებთ მხოლოდ ისეთ აგებულებებს, რომლებშიც რიტმული გასაყარი ხუთი მარცვლის შემდეგაა; ისე კი 8-მარცვლიანი შეიძლება იყოს  $4+4$ -ც, 7-მარცვლიანი —  $4+3$ -ც და ა. შ.

<sup>4</sup> მოცემული მსჯელობისათვის ამოსავალია ქართული ლექსის ახალი სიტუაცია, როდესაც ჩნდება ერთი ორწევრედისგან აგებული სტრიქონი (და შესაბამისი მეტრი). ზემოთ გამოთქმული იდეა ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ სხვა მსჯელობითაც: ქართული ლექსის სტრიქონი (და მით განსაზღვრული მეტრი) შედგებოდა ორი ორწევრედისგან, მაგ.,  $(5+5) + (5+5)$ , შემდეგ სტრიქონი, და შესაბამისად — ყველა დონის ერთეული, განახევრდა სიგრძეში: ამიტომ  $5+5$  სტრიქონი ინტერპრეტირდება როგორც  $(5+5) + (5+5)$ -ის ნახევარი; ასევე, 5-მარცვლიანი სტრიქონი, ეს არის  $5+5$  ბინარული ოდენობა, განახევრებული: არაფერი გვიშლის ხელს ზემოთ მოყვანილი ნიმუში გრ. ორბელიანის ლექსისა განვიხილოთ როგორც ორი  $5+5$ .

10 რიტმულ ლექსს არ ქმნის, ქმნის 5+5.  
 9 " " " " " 5+4.  
 8 " " " " " 5+3.  
 7 " " " " " 5+2.  
 6 " " " " " 5+1.  
 ე. ი. 5 " " " " " 5+0.  
 (მარჯვენა მხარეს, ბოლოში, ჩამოიწერა ორწევრედთა სისტემის პირველი ქვე-  
 სისტემა: 5+5, 5+4, 5+3, 5+2, 5+1, 5+0; სხვა ქვესისტემებია: II. 4+4, 4+3, 4+2, 4+1, 4+0; III. 3+3, 3+2, 3+1, 3+0).

მონაკვეთი მარკირებული სილაბური სიგრძით, არ აგებს რიტმული ლექ-  
 სის სტრუქტურას, — რიტმულ ლექსს აგებს რიტმული გასაყარით შექმნილი  
 ბინარული ერთეულები.

ამიტომ გვაქვს არა 8-მარცვლიანი მეტრი (სტრიქონი — 8-მარცვლიანი),  
 არამედ სხვადასხვა მეტრი: 5+3, 4+4, (3+0) + (3+2);

არა 10-მარცვლიანი მეტრი, არამედ სხვადასხვა: 5 + 5, (4+1) + (4+1),  
 (4+0)+(4+2), (3+3)+(3+1);

არა 7-მარცვლიანი, არამედ სხვადასხვა: 5+2, 4+3, (3+0) + (3+1);

არა 6-მარცვლიანი, არამედ სხვადასხვა: 5+1, 4+2, 3+3;

არა 9-მარცვლიანი, არამედ სხვადასხვა: 5+4, (3+3) + (3+0), (4+0) +  
 +(4+1);

არა 11-მარცვლიანი, არამედ სხვადასხვა: 6+5, (4+0) + (4+3), (3+3)  
 + (3+2), (5+0)+(5+1);

არა 12-მარცვლიანი, არამედ სხვადასხვა: (3+3) + (3+3), (4+2) +  
 (4+2), (5+1)+(5+1), (4+0)+(4+4), (5+0)+(5+2);

არა 13-მარცვლიანი, არამედ სხვადასხვა: (4+4) + (4+1), (4+3) +  
 (4+2), (5+2), + (5+1), (5+0)+(5+3);

არა 14-მარცვლიანი, არამედ სხვადასხვა: (5+2) + (5+2), (4+3) +  
 +(4+3), (4+4)+(4+2), (5+4)+(5+0);

არა 15-მარცვლიანი, არამედ სხვადასხვა: (5+3) + (5+2), (4+4) +  
 (4+3), (5+5) + (5+0);

არა 16-მარცვლიანი, არამედ სხვადასხვა: (5+3) + (5+3), (4+4) +  
 (4+4)<sup>5</sup>.

ამიტომვე ჩამოთვლილი სტრიქონებიდან (და შესაბამისი მეტრებიდან)  
 ერთი და იმავე ლექსის ან მონაკვეთის ფარგლებში ერთმანეთთან მეზობლო-  
 ბენ არა იდენტური სიგრძის, ვთქვათ, ორი სხვადასხვა ათიანი, არამედ სხვა-  
 დასხვა სიგრძის, მაგრამ ერთი და იმავე გასაყარის მქონე აგებულებები, მა-  
 გალითად, არა 5+5 და (4+0)+(4+2), არამედ 5+5 და 5+2.

ამგვარად, სილაბური სიგრძე ქართული ლექსის ფუნქციონალურ ერთე-  
 ულთა ერთ-ერთი მახასიათებელია, მაგრამ არა — სტრუქტურული ნიშანი.  
 პრინციპულ დონეზე მსჯელობისას შეიძლება ასეთი იდეის ჩამოყალიბებაც:  
 სილაბური სიგრძე სულ ქვედა (ორწევრედის ქვედა) დონის შემადგენლების,  
 მუხლების ანუ სეგმენტების, მახასიათებელია (განსაკუთრებით — ორწევრე-  
 დის მეორე შემადგენლის).

ქართულ ლექსში წარმოდგენილია კიდევ ერთი მახასიათებელი — სალექ-

<sup>5</sup> ჩამოთვლილია არა ყველა შესაძლებლობა.



სო მახვილი. უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ, ჩვენი აზრით, ქართულ ლექსში კონკრეტულ რიტმულ აგებულებებს შეესაბამება თავიანთი ორგანიზებული განაწილება რიტმული მახვილებისა და არ უნდა იყოს სწორი ბოლო ხანებში პოპულარული თეზისი იმის შესახებ, რომ ლექსის „კითხვა“ ხდება მხოლოდ სიტყვებისა და სიტყვათმახვილების მიხედვით.

ამავე დროს მახვილი არ არის სტრუქტურული ნიშანი, თუმცა ლექსში გარკვეული ფუნქცია ენიჭება. კითხვა უნდა დაისვას ასე: სალექსო მახვილების მოცემული კონფიგურაცია განსაზღვრავს მოცემულ რიტმულ აგებულებას, თუ რიტმული აგებულება განსაზღვრავს მას, ე. ი. რიტმულ სტრუქტურას განსაზღვრავს სხვა ფაქტორი, ხოლო მახვილი, მისი ადგილი და ორგანიზება თავად განისაზღვრება; საბოლოოდ: მახვილი განსაზღვრავს რიტმულ გასაყარს, თუ რიტმული გასაყარი განსაზღვრავს სალექსო მახვილს. ვიდრე ამ კითხვას ვუპასუხებდეთ, ორიოდ სიტყვა ქართული სიტყვათმახვილის შესახებ. ეს არის პრობლემა, რომელზეც ცალსახა დებულებები არ გვაქვს — ტრადიციულად დიდია აზრთა სხვადასხვაობა.

ერთი თვალსაზრისით (გავრცელებულით), მახვილის ფონეტიკური ბუნება განსაზღვრება როგორც დინამიკური<sup>7</sup>; გამოთქმულია აზრიც, რომ იგი ტონურია<sup>8</sup>, აგრეთვე — რომ გვაქვს ორივე სახის მახვილი<sup>9</sup>. ზუსტ პასუხს ამჯერად ჩვენთვის არ აქვს გადაწყვეტი მნიშვნელობა. მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ქართული ენის სიტყვათმახვილი არ არის დისტინქციური ძალის მქონე, რაც არასდროს იწვევდა დავას<sup>9</sup>, აგრეთვე — იმას, რომ იგი თავისი პოზიციით ფიქსირებული ბუნებისაა<sup>10</sup>. დაბოლოს, მნიშვნელობა აქვს მახვილის პოზიციის საკითხს სიტყვაში. აქ ვითარება ასეთია. ყველა მკვლევარი ორმარცვლიან სიტყვაში, ბუნებრივია, ხედავს მახვილს ბოლოდან მეორე მარცვალზე; სამმარცვლიან სიტყვაში ყველა ხედავს მახვილს ბოლოდან მესამე მარცვალზე (ზოგჯერ — მეორეზეც<sup>11</sup>); ოთხმარცვლიან სიტყვაში — ბოლოდან მესამეზე, აგრეთვე მეოთხეზეც<sup>12</sup>; ხუთმარცვლიანში — ბოლოდან მესამეზე და მეხუთეზე; მეტმახვილიანებში — ბოლოდან მესამეზე და დასაწყისიდან პირველზე.

მიუხედავად შეხედულებათა ერთგვარი სიჭრელისა, მთლიან სურათში პრაქტიკულად ყველგან გვაქვს საერთო ნიშანი: მახვილი სიტყვის დასაწყის

<sup>6</sup> გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1949, გვ. 135.

<sup>7</sup> N. Marr, M. Briere, La langue géorgienne, Paris, 1931, გვ. 14. დალექტებ. ბ. სთვის—შ. ძიძიგური, ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1970.

<sup>8</sup> E. W. Selmer, Georgische Experimentalstudien, mit einem Nachtrag von H. Vogt, Oslo, 1935, გვ. 15, 21; H. Vogt, Grammaire de la langue géorgienne, Oslo, 1971, გვ. 15-16; ს. ჯღენტო, ქართული ენის რიტმიკულ-მელოდიკური სტრუქტურა, თბილისი, 1963, გვ. 141-142; გ. როგავა, მახვილის საკითხისათვის ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, თბილისი, 1963, გვ. 78.

<sup>9</sup> მთ შორის, ლექსის პრობლემებისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში, იხ. გ. წერეთელი, დას. ნაშრ., გვ. 38; ა. გაწერელია, ქართული კლასიკური ლექსი, თბილისი, 1953, გვ. 111.

<sup>10</sup> ძველი ქართლისათვის ნავარაუდევია მოძრავი მახვილი: არნ. ჩიქობავა, მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, № 3, 1942, გვ. 301; ასევე — ფუძე-ენისათვის; თ. გამყრელიძე, გ. მაკუვარიანი, სონანტთა სისტემა და აბალუტი ქართველურ ენებში, თბილისი, 1965, გვ. 370.

<sup>11</sup> H. Я. Marr, Грамматика древнелитературного грузинского языка, Ленинград, 1925, გვ. 25.

<sup>12</sup> გ. წერეთელი, დას. ნაშრ., გვ. 46.

მარცვალზე (თუნდაც მეორეხარისხოვანი). ეს აზრი საბოლოოდ დასტურდება ექსპერიმენტული ანალიზით: ქართულში მოქმედებს დინამიკური სიტყვათ-მახვილი, რომელიც სიტყვას დასაწყისიდან პირველ მარცვალზე მოუდის (ოთხ- და მეტმარცველიანებში არის თანამახვილიც: ოთხმარცველიანში — ბოლოდან მეორეზე, ხუთმარცველიანში — ბოლოდან მესამეზე, ექვსიანში — ან მესამეზე ან მეოთხეზე)<sup>13</sup>.

ენობრივი სიტყვათმახვილი, რეპრეზენტირებული ლექსში, ასრულებს თავის ჩვეულებრივ, ენობრივ ფუნქციას, მაგრამ, გარდა ამისა, გარკვეულ სისტემაში მას სრულიად სხვა — რიტმული — ფუნქცია ენიჭება და იგი სრულიად სხვა ფუნქციონალური ფაქტორია — იკტუსი. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში ა) სალექსო მეტყველებაში მონაწილეობს ორი მახვილი თავთავისი ფუნქციით: ბ) ისინი ერთმანეთს არ ემთხვევიან ადგილებითაც, უფრო ზუსტად — დამთხვევა ნაწილობრივია: იკტუსი ბუნებრივად ემთხვევა ენობრივ მახვილს<sup>14</sup>, მაგრამ ნაწილობრივ — ყველა იკტუსი ყველაზე ხშირ შემთხვევაში იმავდროულად ადგილით არის ენობრივი მახვილიც, რაც შეეხება უკულმა მიმართებას, მას ადგილი არ აქვს — ყველა სიტყვათმახვილი არ არის იკტუსი.

კონკრეტულად ქართული ლექსი, როგორც ითქვა, არ „იკითხება“ ბუნებრივი ენობრივი მახვილებით — გვაქვს გარდა ამისა სალექსო მახვილებიც: ყოველ მოცემულ რიტმულ მონაკვეთს — ერთეულებს მათი შემადგენლებითურთ, კომბინაციებს — აქვს სალექსო მახვილთა მოცემული განაწილება, რომელიც მას განასხვავებს სხვა რიტმული აგებულებისაგან.

ამ დებულების ჩამოყალიბება შეიძლება ქართული ლექსის სეგმენტაციის იმ მოდელის მიხედვითაც, რომელიც მოგვცა აკად. გ. წერეთელმა, თუმცა სწორედ მან უარყო ყველაზე კატეგორიულად ქართულ ლექსში სალექსო მახვილების მონაწილეობის ფაქტი<sup>15</sup>. ენაში სეგმენტაციის გარკვეულ საფეხურზე გვაქვს სიტყვები, როგორც ენობრივი ფორმები; მეტყველების ხაზზე სიტყვებს შორის გვაქვს სიტყვათგასაყარები. სალექსო მეტყველებაში იგივე სიტყვები და იგივე სიტყვათგასაყარები მოქმედებენ, მაგრამ რიტმიკის თვალსაზრისით მნიშვნელობა აქვს გარკვეულ მონაკვეთებს, რომლებიც სიტყვათა ჯგუფს წარმოადგენენ, ან — უფრო ნაკლებად — სიტყვას (ე. ი. პრინციპულად სიტყვა არ ემთხვევა ამ მონაკვეთს), და იმ სიტყვათგასაყარებს, რომლებიც მოცემულ სალექსო ფორმაში მუდმივად ერთსა და იმავე ადგილზე არიან — არა ყველა სიტყვას შორის, არამედ რიტმულ ოდენობებს შორის, ე. ი. არა ყველა სიტყვათგასაყარს, არამედ იმათ, რომელთა ადგილიც მოცემულ ფორმაში მუდმივია.

მაგრამ, თქმულის მიხედვით, შემდეგი დებულებებიც ჩამოყალიბდება: 1. სალექსო მეტყველებაში სტრუქტურული მონაკვეთების როლში მოქმედებენ არა სიტყვები, არამედ მათგან აგებული მონაკვეთები; 2. სალექსო მეტყვე-

13 ი. თევდორაძე, ქართული ენის პროსოდიის საციოხები, თბილისი, 1978, გვ. 23. იხ. აგრეთვე А. А. Алхазышвили, Порядок слов и интонация в простом повествовательном предложении грузинского языка, Фонетический сборник, I, Тбилиси, 1959, გვ. 405.

14 მაგ., ინგლისურ ლექსში, იხ. G. Saintsbury, A History of English Prosody, New York, 1961, გვ. 13.

15 გ. წერეთელი, დას. ნაშრ., გვ. 49—50, 54, 76.

ლების თვალსაზრისით, ამ მონაკვეთებს (ისევე როგორც ენაში — სიტყვებს) — და არა სიტყვებს — აქვთ თავიანთი სალექსო მახასიათებლები: მარცვალთ-რაოდენობა, საზღვრები და ა. შ.; 3. ამ მახასიათებლებს შორის არის მახვილიც — სალექსო მახვილები აქვთ არა სიტყვებს, არამედ იმ მონაკვეთებს, რომლებიც სტრუქტურულია ლექსში; 4. სალექსო მახვილთა ორგანიზაცია არ უდრის მოცემულ მონაკვეთში წარმოდგენილი სიტყვების მახვილთა განაწი-ლებას.

მაშინ ბუნებრივი უნდა იყოს შემდეგი დებულება: ქართულ სალექსო მეტყველებაში სეგმენტაციის უმცირესი მონაკვეთის დონეზე — სეგმენტში ანუ მუხლში, როგორც უმცირეს შემადგენელში — სალექსო მახვილის ად-გილი შეესაბამება სიტყვაში მახვილის ადგილს: იგი მოცემული სიგრძის სეგ-მენტში იქნება იმ ადგილზე, რომელზეც გვაქვს სიტყვათმახვილი იმავე სიგრძის სიტყვაში (ამავე სეგმენტში იქნება სიტყვათმახვილები იმის მიხედვით. რამ-დენი სიტყვისაგან შედგება სეგმენტი). სხვა სიტყვებით: ხუთმარცვლიან მუხლ-ში სალექსო მახვილი იქნება ბოლოდან მეხუთე მარცვალზე, ოთხიანში — ბოლო-დან მეოთხეზე, სამიანში — ბოლოდან მესამეზე, ორიანში — ბოლოდან მეორეზე (აბსოლუტურ სიზუსტეს ამ შემთხვევაში გადაწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს: თუ არ არის სწორი დებულება სიტყვაში სიტყვათმახვილის პირველ ად-გილზე ყოფნის შესახებ, მაშინ სალექსო სეგმენტშიც მახვილი იქნება იმ ად-გილზე, რომელზეც სწორი თვალსაზრისი გულისხმობს სიტყვათმახვილს სა-თანადო სიგრძის სიტყვაში).

მისაღებია შემდეგი დებულება: ვინაიდან ქართულ ლექსში სტრუქტუ-რული რიტმული ერთეული ორი შემადგენლისგან შედგება (ორწევრედი, მაგ., ორი სეგმენტისგან), ლექსის მახასიათებელს წარმოადგენს არა მახვილი, არა-მედ მახვილთა განაწილება — ორწევრედში ორი მახვილი გვექნება, სტრიქონ-ში — ან ორი (თუ იგი ერთი ორწევრედისგანაა აგებული), ან მეტი და ა. შ. — ორსტრიქონედში, სტროფში.

საბოლოოდ, ყოველი ბინარული ერთეულის კონკრეტულ წარმომადგე-ნელს, შემდეგ — ერთეულების კომბინირებით აგებულ დასრულებულ მონა-კვეთს, რომლის რიტმულ ბუნებას განსაზღვრავს სალექსო გასაყარი, შეესაბა-მება სალექსო მახვილთა განაწილების საკუთარი სქემა.

თუ მაღალი შაირის ორწევრედის რიტმული სტრუქტურა გამოიხატება ჩა-ნაწერით 4+4, ამ სტრუქტურას აქვს აგრეთვე მახვილთა განაწილების საკუ-თარი ორგანიზაცია: 1 2 3 4+5 6 7 8 (გამოყოფილი ციფრი სალექსო მახვი-ლის მატარებელი მარცვლის ადგილს აღნიშნავს). დაბალი შაირის სტრუქტუ-რას, 5+3, შეესაბამება აგრეთვე საკუთარი განაწილება: 1 2 3 4 5+6 7 8 (ლა-პარაკია ორწევრედთა ძირითად ვარიანტებზე და არა ალტერნანტებზე). კვლავ გვინდა გავიმეოროთ, რომ დეტალური ანალიზი ჯერ კიდევ ჩასატარებელია და შეიძლება სურათი სხვანაირი იყოს (მაგ., დაბალი შაირის ორწევრედში მახვი-ლი — პირველ, მესამე და მეექვსე მარცვლებზე და ა. შ.), მაგრამ მთავარი ისაა, რომ, ისევე როგორც განსხვავებულია მაღალი შაირისა და დაბალი შაი-რის სტრუქტურები, განპირობებულნი გასაყარის ფაქტორით, ასევე განსხვა-ვებულია მათში მახვილთა განაწილების სურათიც: წარმოუდგენელია მაღალი შაირის ორწევრედში სალექსო მახვილი მეოთხე მარცვალზე, ხოლო დაბალი შაირის ორწევრედში — მეხუთეზე. ამ მხრივ — სალექსო მახვილთა განაწი-ლების მხრივ — ამ ორ მეტრულ აგებულებას შორის ცალსახა განსხვავება ყო-

ველთვის შეიქმნება. ასევე განსხვავებული იქნება, ვთქვათ, 4+4 ორწევრედი 3+3-ისგან და ა. შ.

ყველაფერი ეს იმას ნიშნავს, რომ: 1. რიტმულ ერთეულებში ჩვენ გვაქვს სალექსო მახვილების განაწილების მყარი წესები; ვითარება აქ არ არის ფუკულტატური იმის მიხედვით, თუ რამდენი და რა სილაბური სიგრძის სიტყვებისგან შედგება მონაკვეთი და რამდენი სიტყვათმახვილია მასში, — სიტყვათმახვილებიდან მხოლოდ ზოგი დაემთხვევა სალექსო მახვილს. 2. უფრო მეტიც, ყველა ლექსითი ნიმუშის „კითხვა“ ბუნებრივი მახვილებით ყოველთვის არ შეიძლება: შეიძლება გვექონდეს შემთხვევა, როდესაც რომელიმე გარკვეულ ადგილზე სალექსო მახვილი არ დაემთხვევა სიტყვათმახვილის პოზიციას. ავიღოთ ასეთი ოთხსტრიქონედი: „დაგყურებდი, ველარ გაველ, | ლოცოთ კონა მე მოგპარე, | შენ შეჭკრით და ლამაზ თითით | ღმილით დამემუქარე“. ბუნებრივი, ენობრივი მახვილებით მეოთხე სტრიქონი ასეთ სურათს გვიჩვენებს: ღმილით დამემუქარე, ან: ღმილით დამემუქარე — მახვილებით პირველ და მეოთხე, ან პირველ, მეოთხე და მეექვსე მარცვლებზე. ამ სტრიქონში სიტყვათმახვილების განაწილება არ ჰგავს პირველი სამი სტრიქონის სურათს (იგივე — თუ მხედველობაში მივიღებთ არა ცალკეულ სიტყვებს, არამედ ფრაზაში სინტაგმებს და რიტმულ ჯგუფებს<sup>16</sup>): პირველ სამ სტრიქონში არც ერთგან არ გვექნება მახვილი მეოთხე მარცვალზე. ეს განსხვავება ბუნებრივია, რადგან პირველ სამ სტრიქონში ყველგან გვაქვს სიტყვათგასაყარი (ერთ-ერთი) მეოთხე მარცვლის შემდეგ, მეოთხე სტრიქონში კი სიტყვათგასაყარი მესამე მარცვლის შემდეგაა. ლექსში მონაწილე ორწევრედის (და სტრიქონის) სტრუქტურაა 4+4, რომელიც „დარღვეულია“ მეოთხე სტრიქონში, აქ ენობრივი სიტყვათგასაყარი ადგილით არ ემთხვევა რიტმულ გასაყარს ისე, რომ იგი რიტმულთან შედარებით ერთი მარცვლით მარცხნივ (რაც დაბალი შაირისათვის მოგვეძემა ბუნებრივ დამთხვევას 3+5 ალტერნანტში). ამგვარად, მეოთხე სტრიქონში, 4+4 სტრუქტურის შესაბამისად, პირველი სეგმენტი მთავრდება მეოთხე მარცვალთან, მეხუთე მარცვილიდან იწყება ორწევრედის მეორე შემადგენელი — მეორე სეგმენტი, რაც იმასაც ნიშნავს, რომ სალექსო მახვილი ვერ იქნება მეოთხე მარცვალზე, იქნება მეხუთეზე; სხვა სიტყვებით, ამ სტრიქონში რიტმული გასაყარი არ ემთხვევა სიტყვათგასაყარს, რასაც თან ახლავს ის, რომ სალექსო მახვილიც არ ემთხვევა სიტყვის მახვილს<sup>17</sup>: „ღმილით დამემუქარე“.

ამგვარი ტიპის მავალითების ანალიზი შეიძლება განვაგრძოთ. ავიღოთ სტრიქონი: „გამასტყვრა მუცალის თრფი“. წარმოდგენილი ბუნებრივი წაკითხვით, იგი ქმნის ქართული სალექსო მეტყველების ფორმას, რომელიც უდრის დღეს უკვე პოპულარულ საზომს (3+0) + (3+2) ფორმულით (გლრაქტიონის — „ის იყო | შეიდი წლის + ბავშვი, || მისი, | მინდორი + ჩიტი, || სიმღერა | ოქროს-ფერ + ნაეში, || ზეცათა | ლაქვარდი + ჩიითი“). მაგრამ „ალუდა ქეთელაურში“ ეს სტრიქონი წარმოდგენილია არა (3+0) + (3+2) საზომის წევრად, არამედ

<sup>16</sup> შლრ. ს. ვლენტო, დას. ნაშრ., გვ. 144.

<sup>17</sup> ის, რაც კვალადიციურებულია როგორც „მახვილის გადაადგილება“. იხ. ა. გაწერელია, დას. ნაშრ., გვ. 129—130; აგრეთვე А. Федоров, О путях и средствах передачи грузинского стиха, в сб.: Грузинские романтики в переводе русских поэтов. Ленинград, 1940, გვ. 227. რუსულ ლექსში მეტრული მახვილის გადაადგილების შესახებ იხ. М. Л. Гапаров, Современный русский стих, Метрика и ритмика, М., 1974, გვ. 14.

5+3-ისა (ალტერნანტი 3+5): „ამხანიგმოკლულ | დილღველი | ჩახამახსა | ეზოდებისა. || გამასტყვრა | მუცალის თოფი, || კლდისპირი | დაიშღებოდა“, რომელსაც თავისი პროსოდიული სქემა შეესაბამება, კერძოდ — მახვილთა განაწილებაც: „გამასტყვრა მუცალის თოფი“, ან შესაძლოა: „გამასტყვრა მუცალის თოფი“. მთავარი ისაა, რომ ეს სტრიქონი სულ სხვა სტრუქტურაა — მათ შორის მახვილთა განაწილებითაც, — ვიდრე „ის იყო შვიდი წლის ბავშვი“; უფრო ზუსტად, „გამასტყვრა მუცალის თოფი“ სულ სხვა სტრუქტურაა, სალექსო მახვილთა განაწილებების მხრივაც, წარმოდგენილი „ალუდა ქეთელაურში“, და სულ სხვა სტრუქტურაა, თუ მას ჩავსვამთ გ. ტაბიძის ლექსში — „ალუჩა, შვიდი წლის ბავშვი“.

აქ მთავარი ისაა, რომ ზემოთ დასმულ კითხვას ასეთი პასუხი უნდა გვეცეს: სალექსო მახვილთა ორგანიზებული განაწილება არ არის დამოუკიდებელი მოვლენა — იგი თან ახლავს მოცემული მეტრის განმსაზღვრელი ფაქტორის, რიტმული გასაყარის, განაწილების სტრუქტურას: (3+0)+(3+2) მეტრს მახვილთა ერთი განაწილება აქვს, 5+3-ს — მეორე. სალექსო მახვილთა განაწილება მთლიანად განპირობებულია რიტმული გასაყარით; იგი მხოლოდ მაშინაა განსაზღვრული, როდესაც განსაზღვრულია რიტმული გასაყარის ადგილი.

რომ სწორედ რიტმული გასაყარი, კმნის რა რიტმულ კონსტრუქციას, განსაზღვრავს რიტმულ მახვილთა შესაბამის კონფიგურაციას და არა პირიქით, ამაზე აშკარად მიუთითებს შემდეგი გარემოება: ერთი და იგივე სტრიქონი (ბუნებრივია, ერთი და იმავე სილაბური შედგენილობით, ერთი და იმავე სიტყვიერი გაფორმებით, ერთი და იმავე მახვილებით). იმისდა მიხედვით, სად გადის სალექსო რიტმული გასაყარი, გვაძლევს სხვადასხვა მეტრს და მახვილთა განაწილებების სხვადასხვა ორგანიზაციას. ავიღოთ სულხან-საბა ორბელიანის მონოსტიქი, „ტაეპი“: „რა ექნა? მე ვქენ ეს ნაქმარი, არ უქნია არ თუ ხელსა“. ამ სტრიქონის წაკითხვა სამნაირად შეიძლება. ა) არ შემოგვაქვს მუდმივი რიტმული გასაყარი. მახვილებს ვსვამთ სიტყვების მიხედვით (ან სიტყვათშერთებების მიხედვით, თუ ერთმარცვლიან სიტყვას პროკლიტიკად ჩავთვლით) — საქმე გვაქვს პროზასთან. ბ) შემოგვაქვს რიტმული გასაყარი; ტექსტი, თავისი სიტყვიერი გაფორმებით, საშუალებას გვაძლევს, სტრიქონის მუდმივი გასაყარი ვიგულისხმოთ 8 მარცვლის შემდეგ, ორწევრედის მუდმივი გასაყარი ვიგულისხმოთ 4 მარცვლის შემდეგ — ჩვენ წინაა რიტმული ლექსი: „რა ექნა? მე ვქენ | ეს ნაქმარი, || არ უქნია | არ თუ ხელსა“. რიტმულ გასაყართა ეს სქემა გვაძლევს რიტმულ მახვილთა განაწილებას თავის სურათს: „რა ექნა? მე ვქენ | ეს ნაქმარი, || არ უქნია | არ თუ ხელსა“. გ) შემოგვაქვს რიტმული გასაყარი; ტექსტი, თავისი სიტყვიერი გაფორმებით, საშუალებას გვაძლევს ორწევრედში გასაყარი ვიგულისხმოთ 5 მარცვლის შემდეგაც: „რა ექნა? მე ვქენ ეს | ნაქმარი, || არ უქნია არ | თუ ხელსა“. რიტმულ გასაყართა ეს სისტემა გვაძლევს რიტმული მახვილების შემდეგ განაწილებას: რა ექნა? მე ვქენ ეს | ნაქმარი || არ უქნია არ | თუ ხელსა“.

როგორც ვხედავთ, საბოლოოდ რიტმული ლექსისათვის ორ შესაძლებლობას ვიღებთ — ან მაღალი შაირის მეტრს, ან დაბალი შაირისას; ამ ორ შესაძლებლობას შეესაბამება მახვილთა ორი სხვადასხვაგვარი განაწილება. პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ რამდენად ზუსტადაა დასმული ჩვენ მიერ სალექსო მახვილები, მაგალითად, მეორე შემთხვევაში შეიძლება მესამე მარცვალზეც ვიგულისხმოთ მახვილი და ა. შ.; მთავარი ისაა, რომ საბოლოოდ



მახვილთა განაწილება ამ ორ მეტრულ აგებულებაში ყოველთვის განსხვავებული იქნება: მაგალითად, მაღალ შაირად განხილულ სტრიქონში არ შეიძლება სიტყვა „ეს“ იყოს ერთ ჯგუფში „რა ვქნა მე ვქენ“—თან, ის დაიწყებს ორწევრედის მეორე შემადგენელს და ექნება რიტმული მახვილი; დაბალ შაირში „ეს“ აუცილებლად იქნება იმ ჯგუფში, სადაც არის „რა ვქნა მე ვქენ“ და არ ექნება მახვილი, და ა. შ. მეორე ორწევრედისთვისაც.

ამგვარად, მოცემული მონოსტიქი (იმ მიზეზით, რომ იგი ერთსტრიქონიანია, არ მოსდევს სხვა სტრიქონები, რომლებიც მოგვეცემდნენ საშუალებას გაგვერკვია, რომელ მეტრთან გვაქვს საქმე) ბიმეტრულია: რიტმული გასაყარების ერთ სისტემას შეესაბამება ერთი მეტრი, მეორე სისტემას — სხვა მეტრი, სალექსო მახვილებიც შესაბამისად განაწილდება.

თუ ჩვენ არ გვაქვს სალექსო გასაყარები (თუნდაც იზოსილაბურ სტრიქონებში), არ გვაქვს რიტმული მახვილებიც, ვინაიდან საერთოდ არ გვაქვს რიტმული ლექსი; თუ ჩვენ იზოსილაბურ სტრიქონებში შემოვიტანთ რიტმულ გასაყარს, იქმნება რიტმული ლექსი და მახვილთა განაწილების სურათიც ორგანიზდება; თუ ჩვენ ერთსა და იმავე სტრიქონში შემოვიტანთ გასაყარს სხვადასხვა ადგილზე, მივიღებთ სხვადასხვა მეტრს და შესაბამის სხვადასხვა განაწილებას მახვილებისა. ჩვენ არ გვაქვს მახვილთა განაწილების მოცემული სახე (სტრიქონი ერთი და იმავე სიტყვებისგან და ერთი და იმავე სიტყვათმახვილებისგან შედგება), — განაწილება იქმნება იმის შიზღვით, რომელ ადგილზეა რიტმული გასაყარი, როგორც მუდმივი ფაქტორი.

სხვა მაგალითი. ავიღოთ ილია ჭავჭავაძის ლექსის („დაკარგული ედემი“) პირველი ორი სტრიქონი:

„ვის უნახავს ის ედემი შლილი,  
სადაც ისე ტკბილ არ არის ძილი“.

რა საზომთან გვაქვს საქმე? ა)  $(4+0) + (4+2)$ -თან:

„ვის უნახავს || ის ედემი | შლილი,  
სადაც ისე || ტკბილ არ არის | ძილი“.

ბ)  $5+5$ -თან:

ვის უნახავს ის | ედემი შლილი,  
სადაც ისე | ტკბილ | არ არის ძილი“.

რამ დაადგინა საზომი, მოცემული სალექსო მონაკვეთის მეტრული სახე? რა თქმა უნდა, არა მარცვალთაოდელობამ და იზოსილაბიზმმა, ვინაიდან იგი უცვლელია, მაგრამ გვაქვს ორი სხვადასხვა მეტრული აგებულება. ორსავე შემთხვევაში საზომის სტრუქტურა განსაზღვრა რიტმულმა გასაყარმა: პირველ შემთხვევაში მუდმივი გასაყარი ორწევრედში გვაქვს ოთხი მარცვლის შემდეგ, მეორე შემთხვევაში — ხუთი მარცვლის შემდეგ, — მივიღეთ ორი სხვადასხვა მეტრული აგებულება, რომელთაც, კერძოდ, განსხვავებული აქვთ მახვილთა განაწილების სურათიც; მოცემული ორსტრიქონედის სიტყვიერი მასალა ისეთია, რომ მუდმივი გასაყარები შეიძლება ვიგულისხმოთ ერთ ადგილზეც და მეორეზეც. იმისათვის, რომ ცალსახად განისაზღვროს ლექსის საზომი, უნდა განვაგრძოთ კითხვა — გავითვალისწინოთ ლექსი მთლიანად:

„ვის უნახავს ის | ედემი შლილი,  
სადაც ისე | ტკბილ | არ არის ძილი,

როგორც ტბილია | გამოღვიძება;  
სადაც ბუნების თავისუფლება" და ა. შ.

ირკვევა, რომ საზომის სახეა 5+5. რამ დაადგინა ეს? მუდმივმა გასაყარმა ხუთი მარცვლის შემდეგ: ოთხის შემდეგ ორწევრედში იგი მხოლოდ პირველ ორ სტრუქტონში შეიძლება ვიგულისხმოთ, ყველა სტრუქტონში კი (პირველი ორის ჩათვლით) მისი მუდმივი ადგილია ხუთის შემდეგ.

მეორე მხრივ, ისიც ცხადია, რომ სალექსო მახვილთა განაწილება მოცემული სახით ბუნებრივად ახასიათებს მოცემულ მეტრს, იგი ქართულ ლექსში ერთ-ერთი მახასიათებელია, განპირობებული სტრუქტურული ფაქტორით — რიტმული გასაყარით. შესაძლოა, დეტალური ანალიზის შემდეგ უფრო მსაღებები აღმოჩნდეს შემდეგი დებულება: მოცემულ რიტმულ აგებულებაში, ვთქვათ ორწევრედში, განსაზღვრულში რიტმული გასაყარით, გარკვეულ ფარგლებში შესაძლებელია მახვილთა განაწილების გარკვეული თავისუფლება (სიტყვიერ მატერიალიზაციასთან კავშირში)<sup>18</sup>, მაგრამ ამ აგებულებას აქვს მახვილთა განაწილებაში მყარი წესიც, რომელიც გულისხმობს გარკვეულ აკრძალვას (მაღალი შაირის ორწევრედში არ შეიძლება მახვილი მეოთხე მარცვალზე, ორწევრედში 3+3 — მესამეზე და მეხუთეზე და ა. შ.).

სისტემა, რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ სალექსო გასაყარი (ან გასაყარები) ქმნიან შესაბამის განაწილებას სალექსო მახვილებისა, მთლიანად გამომდინარეობს ქართული ენის პროსოდიული კანონზომიერებებიდან. რატომ არ შეიძლება, მაგალითად, მაღალი შაირის ორწევრედში მახვილი მეოთხე მარცვალზე? იმიტომ, რომ მაღალი შაირის ორწევრედის მეოთხე მარცვალზე ყოველთვის არის სიტყვის უკანასკნელი მარცვალი (იმ სიტყვის უკანასკნელი მარცვალი, რომელიც ორწევრედის, 4+4, პირველი შემადგენლის დამამთავრებელია), ხოლო ქართულ სიტყვაში უკანასკნელ მარცვალზე მახვილი არ გეაქვს. შემდეგ: რატომ უნდა იყოს ამ ორწევრედში მახვილი მეხუთე მარცვალზე? იმიტომ, რომ მეხუთე მარცვალი სალექსო გასაყარის მოცემული პოზიციის გამო (აქვე ვაღივს სიტყვათგასაყარი) ყოველთვის იწყებს სიტყვას<sup>19</sup>, და ა. შ. — მსჯელობას აღარ ვაჩვენებთ. სალექსო გასაყარის შემდეგ პირველი მარცვალი (ისევე როგორც ლექსითი ნაწარმოების აბსოლუტურად პირველი მარცვალი) შექმნის მახვილის მუდმივ ადგილს; ორწევრედის ფარგლებში სხვა სიტყვების დასაწყისი მარცვალი ასეთ მუდმივ ადგილს ვერ მოგვეცემს, რადგანაც სიტყვათა რაოდენობა და მათი სიგრძე არ არის მოცემული და მუდმივი. ამგვარად, ის მყარი წესები, რომლებიც აქვს რიტმულ აგებულებას მახვილთა განაწილებაში, თუ, ერთი მხრივ, განსაზღვრულნი არიან სალექსო გასაყარით, მეორე მხრივ, ამ ფაქტორის მოქმედებისას ბუნებრივად გამომდინარეობენ ენობრივი კანონზომიერებებიდან.

მაშასადამე, სალექსო მახვილთა განაწილების სისტემა ქართული ლექსის ერთ-ერთი მახასიათებელია, მაგრამ არა სტრუქტურული — იგი თანმხლებ-

18 შტრ. ზ. ბერაძის მსჯელობა ქართულ ლექსში პოეტიკოლოგიური სისტემის შესახებ: მახვილი ქართულ ლექსში, თბილისის უნივერსიტეტის ფილ. ფაკ. სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა, თეზისები, 1957, გვ. 57.

19 შტრ. ვ. ხოლშევიკოვის მსჯელობა პოლონურ ლექსში მახვილების განაწილების შესახებ: В. Е. Холшевников, Основы стиховедения, М., 1972, გვ. 11.

ბი მოვლენაა<sup>20</sup>, განსაზღვრული რიტმული გასაყარით — ქართული ლექსის ძირითადი სტრუქტურული ფაქტორით<sup>21</sup>.

დაბოლოს, უნდა დაისვას ასეთი კითხვა: სალექსო მახვილთა განაწილებას, როგორც თანხმებებს, მაგრამ მყარ მოვლენას, აქვს თუ არა რაიმე კონკრეტული რიტმული ფუნქცია? პასუხი დადებითი უნდა იყოს.

სალექსო მახვილთა განაწილების ორგანიზაციას აქვს თავისი რეალური დამხმარე ფუნქცია, რომელიც შედის ძალაში იმ შემთხვევაში, როდესაც სალექსო გასაყარი არ ემთხვევა სიტყვათგასაყარს (ეს არის ის სიტუაცია, რომელიც ზემოთ ვნახეთ დაკავშირებით სტრიქონთან — „ლიმილით დამეშუქარე“; სხვა აგებულებებში შეიძლება შეგვხვდეს, მაგ., 4+3 სტრუქტურის ლექსში სიტყვიერი გაფორმება — 3+4 და ა. შ.). ამ დროს იქმნება სიტუაცია, როდესაც, ჯერ ერთი, სალექსო გასაყარის ადგილი იგივე რჩება, მეორე მხრივ, იგი ბუნებრივად არ ეფუძნება ენობრივ სუბრასეგმენტულ მოვლენას, მიჯნას სიტყვათა შორის, უფრო ზუსტად — პაუზას სიტყვათა შორის (რომელიც მიჯნის ერთ-ერთი ფაქტორია). ეს სიტუაცია პრინციპულად განსხვავებულია: სალექსო გასაყარი იქმნება ენობრივი სიტყვათგასაყარის ფაქტორით. მისი დამოუკიდებელი, რიტმული ფუნქცია იმითაა განპირობებული, რომ ამ ფუნქციას ატარებს არა ყველა სიტყვათგასაყარი, არამედ მხოლოდ მოცემული, მუდმივად ადგილზე მყოფი; დასახელებულ შემთხვევაში კი სალექსო გასაყარი განსაზღვრულია არა უშუალოდ ენობრივი ფაქტორით, არამედ იმ წესით, რომელიც ამ ფაქტორის საფუძველზე შეიქმნა, შესაბამისად, მოქმედებს არა ენობრივი ფაქტორი, არამედ ეს წესი, რომელიც, კერძოდ, ყველა რიტმულ მახასიათებელს მოიცავს, მათ შორის მახვილთა განაწილებასაც. სწორედ ამ ვითარებაში ხდება აქტუალიზაცია სალექსო მახვილთა განაწილების ფუნქციისა: ისევე როგორც ენაში ორი სიტყვა, გამიჯნული ერთმანეთისგან პაუზით, ატარებს ორ დამოუკიდებელ მახვილს, ასევე ლექსში ორი რიტმული მონაკვეთი, გამიჯნული, ე. ი. გაფორმებული, რიტმული გასაყარით, წარმოდგენილია მახვილთგანაწილების საკუთარი სქემით; როდესაც სალექსო გასაყარი არ არის გამაგრებული ენობრივი გასაყარით სიტყვებს შორის, მაშინ მისი ძალისა და ადგილის (შეიძლება ითქვას, არსებობის) ხაზგასმაში მონაწილეობს მახვილთა განაწილებაც, რომელიც მოცემული სალექსო გასაყარის მოქმედებით მიღებული რიტმულ სტრუქტურისთვისაა დამახასიათებელი. თუ 4+4-ში გვხვდება სიტყვიერი გაფორმება 5+3 ან 3+5, ლექსში გასაყარი მოქმედებს მეოთხე მარცელის შემდეგ და ამას გამოაჩენს მახვილთა განაწილების ის სურათიც, რომელიც 4+4 სტრუქტურას შეესაბამება და რომელიც განსხვავებულია 5+3/3+5 სტრუქტურისათვის დამახასიათებელი მახვილთგანაწილებისგან. ეს მეტანაზში არ უნდა იყოს არარეალური, ვინაიდან, თუ ენაში სიტყვათა თანამიმდევრობებში სიტყვათგასაყარების პოზიციებს შეესაბამება მახვილთა განაწილების მოცემული სურათი, ასევე ლექსში სალექსო გასაყარების პოზიციებს

20 შ. მსჯელობა აქცენტური კონსტანტებისა და მახვილის ფაქტორის არაძირითადი მნიშვნელობის შესახებ სილაბურ ლექსში: ვ. ხოლმე ე ნ ი კო ე ი, იქვე, გვ. 10.

21 ჩვენ არ შეგვიზღუდავს სავანებოდ იმ ფაქტზე, რომ ქართულ ლექსში მახვილთა სისტემური განაწილება სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ აღნიშნულა — კოტე დო-დაშვილის დროიდან. ეს თეორია დამუშავებულია ა. გაწერელის ცნობილ გამოკვლევაში ქართულ კლასიკური ლექსის შესახებ. იხ. აგრეთვე უკანასკნელი დროის შრომებიც, მაგ., ნ. ნათაძე, რუსთველური ლექსის ახალი კონცეფცია, „მნათობი“, 1985, № 12, გვ. 150—158.

2. შაბაძე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1986, № 4

შეესაბამება სალექსო მახვილთა მოცემული განაწილება, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც სალექსო გასაყარი არ ემთხვევა ენობრივს, მისი ფუნქციონირება გამოხატულია სალექსო მახვილთა შესაბამისი განაწილებითაც. ყველაფერი ეს დეტალურ ანალიზს საჭიროებს — მიჯნა ენაშიც რთული მოვლენაა, დაკავშირებული პაუზასთანაც, რიტმთანაც, მახვილთანაც<sup>22</sup>. საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად საჭიროა ამ და სხვა პროსოდიულ ელემენტთა ზუსტი ანალიზი (ისეთი, როგორც ჩატარებულია, მაგ., ინგლისური ენისათვის)<sup>23</sup>.

ყოველ შემთხვევაში, წინასწარ შეგვიძლია დავასკვნათ: 1. ქართულ რიტმულ ლექსში რიტმულ სტრუქტურებს აქვთ შესაბამისი ორგანიზება სალექსო მახვილთა განაწილებისა. 2. მახვილთა განაწილება არის თანმზღები მოვლენა. 3. მახვილთა ორგანიზებულ განაწილებას აქვს თავისი ლოკალური, დამხმარე რიტმული ფუნქცია, რომელიც გარკვეულ პირობებში აქტუალიზდება.

А. А. СИЛАГАДЗЕ

## К ВОПРОСУ ОБ УДАРЕНИИ В ГРУЗИНСКОМ СТИХЕ

В статье излагаются предварительные соображения о просодических элементах языка, репрезентированных в ритмическом стихе в качестве регуляторов системы.

Основным фактором, определяющим структуру грузинского стиха, является ритмический раздел, который оформляет бинарные ритмические единицы всех уровней. Силлабическая длина является только лишь внешней характеристикой ритмических единиц — отрезок без ритмического раздела не образует ритмического стиха. Не является структурным фактором и изосилабизм как явление ритмической избыточности (кроме того, не всегда присутствующее в стихотворных образцах). Что касается собственно ударения, отмечается следующее.

1. Ударение, точнее, система распределения ударений, представляется в качестве одной из характеристик грузинского стиха: на уровне стихотворной речи мы имеем стихотворное или ритмическое ударение. 2. Стихотворное ударение — признак не слова в стихотворении (не словесное ударение), а группы слов, которая представляет собой наименьший отрезок сегментации — «колесо» или «сегмент», являющийся составной частью бинарной ритмической единицы первого уровня, именуемой нами двучленом. 3. Позиция стихотворного ударения в сегменте соответствует позиции словесного ударения в слове той же силлабической длины. 4. Поскольку ритмические единицы грузинского стиха — бинарные формы, стихотворные ударения образуют организованное распределение. 5. Система распределения стихотворных ударений — не признак структурного характера, а сопутствующее явление, всецело зависящее от ритмического раздела. 6. Организованное распределение ударений имеет свою локальную, вспомогательную функцию, которая актуализуется в определенных условиях, в частности, когда ритмический раздел в стихе не совпадает со словоразделом.

<sup>22</sup> G. L. Trager, and B. Bloch, *The Syllabic Phonemes of English*, *Language*, 17, 1941, გვ. 224; გ. შერეტელი, *დას. ნაშრ.*, გვ. 45.

<sup>23</sup> იხ. G. L. Trager and B. Bloch, *დას. ნაშრ.*; N. Chomsky, M. Halle and F. I. ukoff, *An Accent and juncture in English*, In: *For Roman Jakobson*, *The Hague*, 1956, გვ. 65—80; Г. Глисон, *Введение [в дескриптивную лингвистику]*, М., 1959, გვ. 80—84. ქართულენათვის ამგვარი ანალიზისათვის იხ.: გ. შერეტელი, *დას. ნაშრ.*, გვ. 45—50.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სემიოლოგიის კათედრა  
 წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა შ. ძიძიურმა

მ ე ნ ს ა ლ ი ბ ი რ ა ბ რ ა ს ს ა რ ი ა

დ რ ო ნ ს კ ო მ ი ტ ი კ ი ს ა თ ვ ი ს „ქ ა რ თ ლ ი ს ც ხ ო ვ რ ა მ ბ ა შ ი“

როგორც ცნობილია, შუა საუკუნეების მხატვრულ და ისტორიულ ლიტერატურაში ერთმანეთს ერწყმოდა ისტორიულ-მხატვრული საწყისები, რაც მის სინკრეტულ ხასიათს განაპირობებდა. ამიტომ ცხადია, „ამ ეპოქის უამთავლმწერლობასა და მხატვრულ ლიტერატურას ბევრი რამ აქვთ საერთო, რა კუთხითაც არ უნდა განვიხილოთ ისინი — მხატვრულით თუ ისტორიულით“ ([1], 128). ბიზანტიური საისტორიო მწერლობის სახეობრივი სტრუქტურის გათვალისწინებით სწორად შენიშნა რ. დოსტალოვამ: „Авторы произведений византийской историографии наряду с собственно историческими задачами ставили перед собой и художественные цели“ ([2], 23).

აზროვნების ამგვარი სტილი უცხო არ ყოფილა ძველი რუსი მემბტიანეებისათვისაც. ამიტომაცაა, რომ დ. ს. ლიხაჩოვი ძველ რუსულ საისტორიო მწერლობასა და საკუთრივ მხატვრულ ლიტერატურას განიხილავს, როგორც ერთ მთლიანს [3].

ამ მხრივ გამონაკლისი არც უძველესი ქართული საისტორიო მწერლობა ყოფილა. ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსში განიხილებოდა და განიხილება ქართული ისტორიოგრაფიული ძეგლების ერთი ნაწილი ([4], 544—547; [5], 126—155).

ამასთანავე, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში საპირისპირო ტენდენციებიც შეინიშნება: ისტორიკოსთა გარკვეული ჯგუფი ვერ ურიგდება ძველი ქართული საისტორიო მწერლობის მოქცევას მხატვრული ლიტერატურის ისტორიის კურსში და თანმიმდევრულად იცავს მის ავტონომიას. უფრო მეტიც, ზოგი მათგანი უძველეს ქართულ ჰაგიოგრაფიასაც, მხატვრული ლიტერატურის ამ უმნიშვნელოვანეს დარგს, მიიჩნევს ისტორიოგრაფიის მოუცილებელ ნაწილად. ნათქვამის საილუსტრაციოდ თუნდაც ერთი მაგალითის დასახელებაც კმარა: დიდმა ქართველმა ისტორიკოსმა ივ. ჯავახიშვილმა შექმნა კაპიტალური მონოგრაფია — „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“ და მასში გააანალიზა ქართული ჰაგიოგრაფია ([6], 25—86). იგივე ვითარება დასტურდება მ. ლორთქიფანიძის გამოკვლევაში ([7], 7—92).

ლიტერატურათმცოდნეებს დიდი გარჯა დასჭირდათ ჰაგიოგრაფიის უანრობრივ უფლებებში აღსადგენად [8]. ამავე დროს, ამ დავამ კიდევ უფრო ინტენსიური გახადა, ერთ მხრივ, ჰაგიოგრაფიისა და ისტორიოგრაფიის ისტორიულ-შედარებითი ანალიზი ისტორიული და ესთეტიკურ-პოეტიკური თვალსაზრისით ([9]; [10]; [11]); ხოლო, მეორე მხრივ — კიდევ უფრო ჩადრმაგებული ძიება ძველი ქართული ისტორიოგრაფიის მხატვრული საწყისისა ([12], 259—269; [13], 408—433; [14], 49—83).

წინამდებარე ნაშრომიც ამ მიმართულებით ძველი ქართული საისტორიო ეპოსის კვლევას ითვალისწინებს. კვლევის ობიექტად ავირჩიეთ „ქართლის ცხოვრებაში“ შემავალი ისტორიული თხზულებანი.

ჩვენ განვიხილავთ დროის პოეტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ, ზედროულს, როგორც ასახვის ობიექტს „ქართლის ცხოვრებაში“.

როგორც ვიცით, შუასაუკუნეობრივი აზროვნების მიხედვით, ადამიანის ცხოვრება ვითარდება ორ დროულ პლანში — ემპირიულ, ყოველდღიური ყოფის წარმავალ მოვლენათა და ზედროულ, ღვთიური ჩანაფიქრის განხორციელების პლანში. ადამიანის ცხოვრება წარმავალია: ზედროული, მარადიული ხასიათი მსოფლიო-ისტორიულ დრამაში მხოლოდ ბიბლიური მოვლენების კუთვნილებაა. ზედროული შეიძლება გამოვლინდეს მთელ რიგ კონკრეტულ მოვლენათა ჯაჭვში, მიწიერი ისტორიის ფაქტებში. „ქართლის ცხოვრების“ თხზულებათა ავტორები, მოგვითხრობენ რა ემპირიულ ისტორიას, ახდენენ ზედროულის დროში ლოკალიზაციას და ცდილობენ, ისტორიული მასალა მოგაწოდონ ბიბლიურ წინასწარმეტყველებასთან კავშირში, გამოავლინონ კონკრეტული ისტორიული ფაქტების ზედროული ხასიათი ბიბლიურ მოვლენებთან მათი ალეგორიულ შესატყვისობაზე მითითებით. აქედან გამომდინარე, შეიძლება დაისვას საკითხი: დრო, როგორც ასახვის ობიექტი, მხატვრულია თუ ისტორიული ამ თხზულებებში?

როდესაც ვლაპარაკობთ დროის პოეტიკაზე „ქართლის ცხოვრებაში“, ორ ძირითად სირთულეს ვაწყდებით: პირველი და უმთავრესი სირთულე ის გახლავთ, რომ „ქართლის ცხოვრება“ შედგება სხვადასხვა ავტორთა მიერ სხვადასხვა დროს შექმნილი თხზულებებისაგან, რომელთაც თავიანთი ინდივიდუალური სახე აქვთ და ისინი ამა თუ იმ ნიუანსით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან დროის პოეტიკის თვალსაზრისით. მაგალითად, თუ ლეონტი მროველი, ყმათაღმწერელი, „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი ფეხდაფეხ, სულმოუთქმელად მისდევნენ მოვლენებს და დროს სწრაფ სრბოლას მხოლოდ აქა-იქ თუ შეანელებენ რომელიმე მნიშვნელოვანი ფაქტის თვალსაჩინოდ წარმოდგენისათვის, — ბასილი ეზოსმოძღვარი, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი და „ისტორიანისა და აზმანის“ ავტორი განზოგადების სიმალლიდან უყურებენ მოვლენებს, ვრცელი რიტორიკული წიაღსვლით აჩერებენ დროის მდინარეებს<sup>1</sup> თუ ლეონტი მროველის, ჟუანშერის, ყმათაღმწერლის თხზულებებში მცირედ მოგვეპოვება ან, ხშირ შემთხვევაში, საერთოდ იგნორირებულია თარიღები (რის გამოც შემდეგი პერიოდის გადამწერლები იძულებულნი გამხდარან არშიაზე მოეწერათ თარიღი ამა თუ იმ ისტორიული ფაქტისა), „მატიანე ქართლისაჲს“ და „ახალი ქართლის ცხოვრების“ ტექსტი მოგვაგონებს რუსული მატინეების „годовая запись“-ს, სადაც მოვლენები ქრონოლოგიურ დაყოფას ექვემდებარებიან.

გარდა ამისა, „ქართლის ცხოვრების“ თხზულებათა ტექსტში შეტანილია ორი ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები — „ნინოს ცხოვრება“ და „არჩილის წამება“, აგრეთვე უამრავი ჰაგიოგრაფიული ჩანართი, რომელთაც გარკვეული დისონანსი შეაქვს ისტორიულ თხზულებათა დროის „ქრონოტოპში“.

მიუხედავად ამისა, ამ თხზულებებს აერთიანებს საერთო ესთეტიკური პრინციპები და მათი ერთად განხილვა მნიშვნელოვანია არსებითის წარმოჩენისათვის.

მეორე სირთულეს წარმოადგენს ის, რომ შუა საუკუნეებში დროის სუბიექტური აღქმა, რომელმაც ასე ფართო პერსპექტივა გადაუშალა დროს, როგორც მხატვრულ ფენომენს, თითქმის ნიველირებული იყო და ამიტომაც ამ პერიოდის ლიტერატურაში მხატვრულ დროს, როგორც ნაწარმოებს პოეტუკის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს, შედარებით მოკრძალებული ადგილი ეკავა. სამაგიეროდ, აქტიურად ფუნქციონირებდა ზედროული. სწორად შენიშნა დ. ს. ლიხაჩოვმა: „В средневековой литературе вневременное является таким же элементом повествовательного творчества, как и время“ ([3], 217).

ზედროულის დროში გამოვლენა ქმნის რთულ სპეციფიკურ მხატვრულ ფენომენს. „ზედროულის ვერტიკალები განიცდება ლოკალურ დროში, მათი ფუნქცია ვლინდება კონკრეტულ „ქრონოტოპში“ ([15], 104).

რაც შეეხება ისტორიულ თხზულებებს, ამ მხრივ ისინი პრინციპულ სხვაობას საკუთრივ მხატვრულ ნაწარმოებებთან მიმართებაში არ გვაძლევენ. სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ის თხზულებანი, რომლებიც მოგვეთხოვნიან რეალურ, ისტორიულ დროზე, არ უპირისპირდებიან იმ ნაწარმოებთ, რომლებშიც მოსალოდნელი იყო სუბიექტური, მხატვრული დროის ასახვა. ამიტომ დროის პოეტუკის თვალსაზრისით შუა საუკუნეების ისტორიკოსთა ნაწარმოებები არანაკლებ საინტერესოა, ვიდრე მხატვრული თხზულებანი ([16], 37).

ჩვენი აზრით, ისტორიული ნაწარმოები ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან, მოგვეთხოვნიან რა ემპირიულ ისტორიას, ამავე დროს ახდენს ზედროულის კონკრეტულ, ისტორიულ მოვლენებში ლოკალიზაციას და წარმოგვიდგენს ადამიანთა ისტორიის მის ორივე პლანში, — დროულ და ზედროულ გამოვლინებაში.

დრო, როგორც ესთეტიკური ფენომენი და მისი მხატვრული დატვირთვა, შუა საუკუნეების ნაწარმოებში განსაზღვრულია ბიბლიური შეხედულებით. როგორც ვიცით, ბიბლია იწყება და მთავრდება დროზე მინიშნებით: „დასაბამად ქმნა ღმერთმან ცაჲ და ქუეყანაჲ“ (დაბ. I. 1), „...ჲე, მოვალ ადრე!“ (გა-მოცხ. 22, 20), ე. ი. ორი ღვთაებრივი აქტი შესაქმნე და განკითხვის დღე — ქმნის კაცობრიობის ისტორიის ჩარჩოს. თუ ანტიკური წარმოდგენით ისტორია ციკლური პროცესია და სამყარო მოიაზრება როგორც კოსმოსი, როგორც სიმეტრიული სივრცითი სტრუქტურა, — ბიბლია ავითარებს დროის ისტორიის პრინციპს, ციკლური მოვლენების მიღმა, რომლებიც სამყაროს გარეგან სახეს ქმნიან, მას (სამყაროს) აქვს თავისი ადამამდელი ისტორია, რომელიც შემდეგ ადამიანის ისტორიის პარალელურად ვითარდება, რათა დამთავრდეს უკანასკნელ წერტილში. დრო ღვთის მიერ არის შექმნილი, მას აქვს დასაწყისი და დასასრული — კაცობრიობის ისტორიის ჩარჩო. დრო არ არის მარტო ფორმა, მხოლოდ უბრალო თანმიმდევრობა მოვლენებისა, არამედ, ამასთან, საზომია მიწიერი ხანგრძლივობისა ([17], 193—194). დრო — ეს არის ისტორიული ხანგრძლივობა, რომლის ჩარჩოებშიც კაცობრიობა მიდის მიზნისკენ: სამყარო და ადამიანი უბრუნდება შემოქმედს, დრო — მარადისობას.)

ადამიანი ცხოვრობს დროში, ღმერთი — მარადისობაში: „პირველ მათა დაბადებამდე და შექმნად ქუეყანისა და სოფლისა და საუკუნითაჲ და უკუნისამდე შენ ხარ“ (ფს. 89, 2), — მიმართავს დავით — ფსალმუნის ავტორი შემოქმედს. „რამეთუ ათასი წელი წინაშე თუალთა შენთა, უფალო, ვითარცა გუშინდელი დღე, რომელ წარჯდა და ვითარცა საკუმილავი ერთი დამესა შინა“

(ფს. 89. 4). იქვე ადამიანური და ღვთაებრივი დროები შეპირისპირებულია ერთმანეთთან: „და ღღენი ჩემნი ვითარცა აჩრდილი წარვდეს, და მე ვითარცა თივაა განვექმ. ხოლო შენ, უფალო, უკუნისამდე პვიე“ (ფს. 101. 12. 13).

ეს ორი დროული პლანი, — ემპირიული დრო, მიწიერი ცხოვრების წარმავალი ისტორია და ზედროული, ღვთაებრივი ჩანაფიქრის განხორციელების ისტორია, — კვეთს ერთმანეთს შუა საუკუნეების ადამიანის აზროვნებაში. ამიტომაც შენიშნავენ, რომ: „Жизнь человека развёртывается сразу в двух временных планах: в плане эмпирических преходящих событий земного бытия и в плане осуществления божьего предначертания. Следовательно, человек — участник всемирно-исторической драмы, в ходе которой решается судьба мира и судьба его индивидуальной души“ ([16], 100).

ავგუსტინეს მიხედვით, ისტორია 6 აქტიანი დრამაა, (შესაქმის 6 დღის შესაბამისად): I აქტი — ადამიდან წარღვნამდე, II — აბრამამდე; III — დავითამდე; IV — ბაბილონის ტყვეობამდე; V — ქრისტეს დაბადებამდე; VI — პერიოდი ჯერ ისევ გრძელდება; VII — ისტორიის ტრანსცენდენტრეზბაა ესქატოლოგიურ დროში.

ქართლის ცხოვრებაში<sup>1</sup> მოთხრობილი ისტორიაც ამ მსოფლიო-ისტორიულ დრამაშია ჩართული.

ბიბლიური გადმოცემის თანახმად, ერების დასაწყისი ბაბილონის გოდლის დანგრევის შემდგომი მოვლენაა. ბაბილონში ენათა აღრევის შემდეგ მიმოიფან-ტნენ ადამიანები ღედამიწაზე და დასაბამი მისცეს სხვადასხვა ერს: „და განთესნა იგინი უფალმან მუნით პირსა ზედა ყოვლისა ქუეყანისასა და დასცხრეს მამუნებელნი ქალაქისა და გოდლისანი. ამისათჳს ეწოდა სახელი მისი შერევნა, რამეთუ მუნ შეურივნა უფალმან ბაგენი ყოვლისა ქვეყანისანი და მუნით განთესნა იგი უფალმან ღმერთმან პირსა ზედა ყოვლისა ქუეყანისასა“ (დაბ. II, 8—9).

შუასაუკუნოებრივი ტრადიციის შესაბამისად „ქართლის ცხოვრებაც“ ბაბილონის გოდლის ამბებიდან იწყება: „პირველად ვაჟენოთ ესე, რამეთუ სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვაკენლთა, პერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიანთა ამათ თჳსთა ერთი იყო მამა, სახელით თარგამოს, ესე თარგამოს იყო ძე თარშისი, ძისწული იაფეთისი, ძისა ნოესი. და იყო ესე თარგამოს კაცი გმირი. და შემდგომად განყოფისა ენათასა, ოდეს აღაშენეს ბაბილონს გოდლოი. და განეყვნეს მუნ ენანი და განიბნინეს მუნით ყოველსა ქუეყანასა. და წარმოვიდა ესე თარგამოს ნათესავითურთ მისით, და დემეკდრა ორთა მათ მათთა შუა კაცმეუველთა. — არარატსა და მასისსა“ ([18], 3), — ასე იწყებს თხრობას ლეონტი მროველი. ქართველთა და დანარჩენ კავკასიელ ერთა წინაპარი, თარგამოსი, ბიბლიური ნოეს შვილიშვილია და საქართველოს ისტორიაც ბიბლიური ისტორიიდან ამოიზრდება, დამოკიდებულია მასზე და ჯერ კიდევ მისი უშუალო ნაწილია; თარგამოსის ძენი, „რვანივე ერთობით ჰმონებდეს ნებროთს გმირსა, რომელი იყო პირველი მეფე ყოვლისა ქუეყნისა“ ([18], 6). ე. ი. თარგამოსის ძენი ბიბლიური ნებროთის მბრძანებლობის ქვეშ არიან, მათი სამფლობელო ნებროთის სამეფოში შედის და საქართველოს ისტორიაც ბიბლიური ისტორიის წიაღში არსებობს. ეს ნაწილი ლეონტი მროველის თხზულებისა, პირველი თავი „ამბავი რვათა მმათა“, რომელიც პრეისტორიულ ამბებს მოგვითხრობს და ქართლის ისტორიის პროლოგს წარმოადგენს, გამოირჩევა დროში მოვლენათა სწრაფი თანამიმდევრობით, რაც გამი-



ზნულია იმისათვის, რომ მოამზადოს ერთგვარი ტრამპლინი საკუთრივ ქართლის ისტორიის დასაწყებად. ამ ტრამპლინად კი, რომელთანაც მოვლენათა სწრაფი მსვლელობა ჩერდება და მწერლის ყურადღება მიპყრობილია დროში მისი რეკონსტრუქციისაყენ, გვევლინება თარგამოსის ძეგა და ნებროთის ლაშქართა შეტაკება, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს ნებროთის წინააღმდეგ აჯანყებულ თარგამოსიანთა ბედი. ორთაბრძოლის დროს ჰაოსი მოკლავს ნებროთს და განთავისუფლდებიან მისი მორჩილებისაგან. საქართველოს ისტორიაც დამოუკიდებლობას შეიძენს, იგი უკვე თავის ემპირიულ დროში არსებობს და შექმნილია ტრამპლინი საკუთრივ მის დასაწყებად. მეორე თავის სათაური უკვე პირდაპირ გვამცნობს ამას: „ამბავი ქართლისა“. იგი იწყება ასე: „ხოლო აქათგან ვიწყით და წარმოვთქვათ ამბავი ქართლისა და ნათესავისა მათისა, და ცხოვრება მათი ვიდრე დღეთა ჩუენთამდე“... ([18], 8).

ნებროთის მოკვლა ჰაოსის მიერ სიმბოლურად ბიბლიის ისტორიული დროისაგან განთავისუფლებას და დამოუკიდებელი ისტორიის დაწყებას ნიშნავს, რა თქმა უნდა, ემპირიული ისტორიისა, თორემ მემატიანეს არც ერთი წუთით არ ავიწყდება, რომ არსებობს წმინდა ისტორიაც, რომლის მსოფლიო-ისტორიული დრამის განუყოფელი ნაწილიცაა საქართველოს ისტორია. ამიტომ ეს უკანასკნელი მთლიანად „მიმაგრებულია“ ამ წმინდა ისტორიაზე. ქრისტემდე იგი ემპირიულ დროში ბიბლიაში მოთხრობილი ისტორიის პარალელურად ვითარდება: „და გამოკდეს ამას შინა ყამნი მრავალნი. მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსტყუენა იერუსალიმი, და მუნით ოტებულნი ერიანი მოვიდეს ქართლს“ ([18], 15).

ბიბლიურ მოვლენებთან პარალელიზმის მინიშნება მემატიანეს მარტო დროში ორიენტირებისათვის არ სჭირდება. დროში თანაარსებობა მისთვის ამ მოვლენათა შორის სიმბოლური პარალელების მაუწყებელია. „მოვიდა ამბავი, ვითარმედ მოსე განვლო ზღვა ისრაელთა, და იზრდებიან ივინი უდაბნოს მანანათა. განაკვრდეს ყოველნი, და მათ ყოველთა წარმართთა აქეს ღმერთი ისრაელთა“ ([18], 14). გავიხსენოთ, რა კონტექსტშია ჩართული ლეონტი მროველის თხზულებაში მოსეს ამბავი; მას უსწრებს ცნობა ქეკაპოს სპარსთა მეფის მიერ ქართლის დაპყრობის შესახებ. აქ ისახება პერსპექტივა, ვეძიოთ სიმბოლური პარალელი ბიბლიური ისტორიისა და „ქართლის ცხოვრების“ ამ მონაკვეთისა — ტყვეობის ქვეშ ყოფნა: ებრაელი ერი — ეგვიპტელები; ქართველი ერი — სპარსელები. შემდეგ მემატიანე მოგვითხრობს, რომ ქეკაპოსი მიადგა ლეკეთს, მაგრამ იქ აღმოჩნდა „კაცი ვინმე მგრძნებელი“, რომელმაც დააბრმავა ქეკაპოსი და მისი ლაშქარი, რის გამოც ველარ შევიდნენ ლეკეთს და მხოლოდ უკან დაბრუნებისას აეხილათ თვალები. აქაც სიმბოლური პარალელია ბიბლიურ ამბებთან: მგრძნებელი კაცი და მოსეს მისია. დაპირისპირება: მოსე — ფარაონი; მგრძნებელი კაცი — ქეკაპოსი. მოსეს ამბის მოთხრობის შემდეგ მემატიანე გვამცნობს, როგორ შეიკრიბებიან თარგამოსიანნი და როგორ განდევნიან სპარსელებს საკუთარი მიწა-წყლიდან. აქაც პარალელი აშკარაა — ტყვეობიდან განთავისუფლება: მოსეს გამოჰყავს ებრაელები ეგვიპტიდან, ქართველები განთავისუფლდებიან სპარსეთის მოხარკეობისაგან.

ქრისტეს შემდეგ კი ბიბლიურ ისტორიისთან კავშირი ხორციელდება წინასწარმეტყველების სახით. ის, რაც წინასწარმეტყველები იყო ბიბლიაში წინასწარმეტყველთა მიერ, სრულდება ქართლის ისტორიაში. ერთ-ერთი მაგალითი ამისა გვაქვს ჭუანშერის თხზულებაში: სტეფანოზ კურაპალატის მეფობის

დროს ერეკლე კეისარი მოადგა თბილისს და კალის ციხეს ალყა შემოარტყა. ციხისთავმა კეისარი უშვერი სიტყვებით მოიხსენია, ვაცის წვერი და ვაც-ბატის კისერი ვაქვსო. კეისარმა ბრძანა: „დაღაცათუ კაცმან ამან ბასრობით მრქუა მე ვაც-ბოტობა, არა არს ცუდსიტყუა მისი“ და მოიღო წიგნი დანიელ, და პოვა მას შინა წერილი ესრეთ: „გამოვიდეს ვაცი დასავლისა, და შემუსრნეს რქანი ვერძისა აღმოსავლისანი“. მაშინ განიხარა მეფემან და დაიდასტურა, რამეთუ ყოველივე განემარჯებოდა სპარსთა ზედა“ ([18], 272).

როგორც ვხედავთ, კაცობრიობის ისტორია ვითარდება ორ დროულ პლანში: ემპირიულსა და ლეთაებრივი ჩანაფიქრის ზედროულ პლანში. ერთი მხრივ, აღამიანი მონაწილეა მიწიერი ისტორიისა, ხოლო, მეორე მხრივ, იგი ჩართულია მიზნისკენ მისწრაფებულ მსოფლიო-ისტორიულ დრამაში, რომლის დასასრულიც ისტორიის ტრანსცენდენტობაა ესკატოლოგიურ დროში.

თუ აღამიანის მიწიერი ისტორია წარმავალია, დროებითია, შარადისობის ბეჭდით არის აღბეჭდილი ლეთაებრივი ჩანაფიქრის ისტორია, ძველი და ახალი აღთქმის თითოეული მოვლენა, დ. ს. ლიხაჩოვი აღნიშნავს, რომ ძველი და ახალი აღთქმის მოვლენებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ შუასაუკუნეობრივი აზროვნების დროის სისტემაში. მართალია, ისინი წარსულს მიეკუთვნებიან, მაგრამ, იმავდროულად, გარკვეული კუთხით, აწმყოდაც გვევლინებიან ([3], 272). მარადიული, ის, რაც იყო, არის და იქნება, გამოხატულებას პოულობს კონკრეტულ დროში, კონკრეტულ ისტორიაში: „Вечное в летописи дано в аспекте временного“ ([3], 260).

ზედროულის დროში გამოვლენა, ემპირიული ისტორიის ყოველ მოვლენაში ზედროულის ასპექტების ძიება, კონკრეტული ისტორიული ფაქტების ალეგორიული შესატყვისობების გამოვლენა ბიბლიურ ისტორიასთან ადრებიზანტიური ეგზეგეტიკიდან მოდის, რომელიც, თავის მხრივ, ამოიზარდა პავლე მოციქულის მიერ ძველი აღთქმის ჰაგადური მეთოდით განმარტებიდან. პავლემ ძველი აღთქმა გაიაზრა როგორც წინასწარმეტყველური წიგნი, რომელშიც დაშიფრულად ჩადებული იყო ცნობები ქრისტეს მოვლინების შესახებ და აღმოაჩინა მასში ალეგორიული შესატყვისობები ქრისტეს მიწიერი ცხოვრების ფაქტებთან ([19], 44; [20], 70; [21], 48).

მართალია, ბიბლიური მოვლენა ზედროული ხასიათისაა, მაგრამ ის შეიძლება გამოვლინდეს მთელ რიგ კონკრეტულ მოვლენათა ჯაჭვში. „Если смысл события имеет вневременной характер, он может выявиться в целой цепи разновременных событий“ ([22], 96).—აღნიშნავს ს. ს. ავერინცევი.

აქედან მოდის საღვთისმეტყველო ტიპოლოგია, ე. ი. დოქტრინა ძველ მოვლენათა გარდასახვისა შედარებით ახალ მოვლენებში. ძველი აღთქმის თითქმის ყველა ეპიზოდი განმარტებული იყო, როგორც ალეგორია ქრისტეს მიწიერი ცხოვრებისა.

ს. ს. ავერინცევის აზრით, ბიბლიური ტექსტების ალეგორიული განმარტება ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ბიბლიური ისტორიზმის პრინციპებიდან გადახვევისა. მკვლევარი წერს, რომ, ერთი შეხედვით, ქრისტიანობის გამარჯვება წარმართობაზე ნიშნავდა ისტორიისადმი ბიბლიური მიდგომის გამარჯვებას ისტორიისადმი ბერძნულ მიდგომაზე. მაგრამ ადრებიზანტიურ იდეოლოგიაში, ახალი აღთქმის რწმენასთან შედარებით, იგრძნობა ისტორიზმის დაქვეითება, სტატკურ სააზროვნო სქემებთან, მეტაფიზიკასთან და მითთან დაბრუნება. ამის მიზეზად მკვლევარს პირველ რიგში მიაჩნია ის, რომ დამამთავრებელი სტადია

ბიბლიური მისტიკური ისტორიზმისა თავისთავში შეიცავდა წინააღმდეგობას. ესქატოლოგიური მისტიკური ისტორიზმი ისეთი ისტორიზმია, რომელიც ადვილად გადადის თავისთავის უარყოფაში. ბიბლიური ისტორიზმის პრინციპებიდან გადახვევა, მკვლევრის აზრით, მკვეთრად შეიმჩნევა აპოკალიფსურ ლიტერატურაში, ორიგენისა და ალექსანდრიული სკოლის შეხედულებებში. აპოკალიფსურ ლიტერატურაში ავტორი, ეძებს რა ათვლის წერტილს ისტორიის უკეთ გასააზრებლად, ირჩევს პერსონაჟ-ავტორს ბიბლიური პერსონაჟებიდან და ათავსებს მას ისტორიის დასაწყის წერტილში. ამ ათვლის წერტილიდან წარსულს იაზრებს, როგორც მომავალს წინაწარაპყრეტის პრეტენზიით, და ამის გამო ისტორია წარმოგიდგება წინასწარგანზრახულ პროცესად, რომელიც მოცემულია მზა მთლიანობაში. მკვლევრის განმარტებით, „Мало определить апокалиптику как мистику истории: в отличие от мистики конкретного исторического процесса у библейских пророков, эта мистика абсолютизированной, и поэту абстрактной и поэтому снятой истории“ ([22], 93, 94).

რაც შეეხება ალექსანდრიულ სკოლას, იგი ცდილობდა, გვერდი აეგლო მოვლენის კონკრეტული სახისათვის მისი აბსტრაქტული მნიშვნელობის სასარგებლოდ, მხედველობაში იღებდა მხოლოდ ამ უკანასკნელს. ალექსანდრიული სკოლა ყურადღების მიღმა ტოვებდა დროს, მის წარმოდგენაში წარსული სიმეტრიულად ემთხვეოდა აწმყოს, აწმყო კი, თავის მხრივ, სიმეტრიულად შეესატყვისებოდა მომავალს ([22], 95).

ალექსანდრიული სკოლის ეგზეგეტიკას ჰქონდა ანალოგი საეკლესიო ლიტურჯიკაში; ქრისტიანულ დღესასწაულთა ციკლური განმეორებანი მიგვანიშნებდნენ ამ ფაქტთა მარადიულობაზე, მორწმუნე ყოველ წელს ქრისტეს აღდგომის იუბილეს კი არა, ქრისტეს აღდგომას ზეიმობდა.

ს. ს. ავერინცევი მიიჩნია, რომ იმდროინდელ რთულ, წინააღმდეგობებით სავსე შეხედულებებს დროზე ასახავდა V საუკუნეში შექმნილი ორი წიგნი. ერთის ავტორი იყო ავგუსტინე, მეორისა—დიონისე არეოპაგელი. ავგუსტინეს შრომებში სამყარო მოაზრებულია როგორც ისტორია, ე. წ. არეოპაგეტიკაში კი — როგორც კოსმოსი, სიმეტრიული სტრუქტურა ([22], 101).

„მთელი მისი ვექტორულობის მიუხედავად, დრო ქრისტიანულ ეპოქაში არ განთავისუფლებულა ციკლურობისაგან, მხოლოდ ძირფესვიანად შეიცვალა ამ უკანასკნელის ვაგება. მართლაცადა, თუ დრო გამოყოფილია მარადისობისაგან, მიწიერი ისტორიის ნაწყვეტების განხილვისას აღმაიწის ის წარმოუდგება, როგორც სწორხაზობრივი თანმიმდევრობა. მაგრამ იგივე მიწიერი ისტორია აღებული მთლიანად სამყაროს შექმნისა და დასასრულის ჩარჩოებში წარმოადგენს დამთავრებულ ციკლს; აღამიანი და სამყარო უბრუნდება შემოქმედს, დრო ბრუნდება მარადისობაში“ ([16], 100), — აღნიშნავს ა. გურგენი.

✓ „ქართლის ცხოვრების“ თხზულებებში შეიძლება გამოვყოთ ზედროულის დროში გამოვლენის სამი მომენტი: პირველი, როცა ზედროული შემოდის შედარების სახით მოვლენათა უკეთ გასააზრებლად. ეს ასეც იყო მოსალოდნელი, რადგანაც, დ. ლიხაჩოვის შენიშვნით, „Сравнения со священной историей Ветхого и Нового заветов помогают летописцу объяснить повторяемость событий и их смысл“ ([3], 260).

მეორე მომენტი, როცა ზედროული ბიბლიური წინასწარმეტყველების სახით ვლინდება კონკრეტულ მოვლენათა ჯაჭვი.

მესამე მომენტი, როცა ბიბლიური სიმბოლოები მიგვანიშნებენ ამ თუ იმ ისტორიული ფაქტის ზედროული მნიშვნელობას.

როცა ქართლის ისტორიაში მომხდარი ამბავი შედარებულია ბიბლიის რომელიმე ეპიზოდთან, ე. ი. ზედროული ხდება საზომი კონკრეტული ისტორიული ფაქტის უკეთ გააზრებისა, მემატინე ცდილობს სიმბოლური პარალელი გაავლოს ამ მოვლენათა შორის და ქართლის ისტორიის კონკრეტული ეპიზოდი წარმოგვიდგინოს, როგორც ალეგორიული შესატყვისობა ბიბლიური მოვლენისა. მაგალითად, თამარის დატირება თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“ ამგვარად არის გადმოცემული: „და ძნელად გამწარებულნი იტყებდეს და ისხმიდიან თავსა ნაცარსა და მტურსა ათაბაგი და ყოველნი და იქმნა ტყემა მსგავსი კალოთა ატადესთა და გოდებანი მსგავსნი მოთკრებისა იერუსალიმისანი იერემიას მიერ გოდებელისა, და ჯერცა ეგრე იყო“ ([23], 113). შდრ. შესაქმე (50, 10—11): „და მოვიდეს ივინი კალოებსა მას ზედა ატადისასა... და ეტყებდეს მას ტყეებითა დიდითა... და იხილეს მკვდრთა ქუეყანისა ქანანისათა გლოვად კალოთა მათ ატადისათა“.

როდესაც მემატინე თამარის დატირებას ადარებს იერემიას გოდებას იერუსალიმის მოხრების გამო და ატადეს კალოებზე გამართულ გლოვას ებრაელთა იაკობზე, მას ამ შემთხვევაში ბიბლიური გლოვისა და გოდების გარეგნული ეფექტი კი არ აინტერესებს, არამედ მათი არსი, რომელიც მარადიულია და ალეგორიულ შესატყვისობას პოულობს ქართლის ისტორიაში თამარის დატირების სახით, ე. ი. მისთვის მთავარია აზრი, რომ ამ მოვლენათა მარადიული არსი ერთია. ამიტომ კონკრეტული ფაქტი ქართლის ისტორიისა — თამარის დატირება — ალეგორიულ შესატყვისობას პოულობს იერემიას გოდებაში იერუსალიმის მოხრების გამო, იერუსალიმისა, რომელიც ალეგორიული მნიშვნელობით არის ტაძარი, ტროპოლოგიური მნიშვნელობით — მართალი, უცოდველი სული, ანაგოგიური მნიშვნელობით — ზეციური სამშობლო. ალეგორიული შესატყვისია იგი აგრეთვე ებრაელთა მიერ იაკობის დატირებისა. იაკობი კი, როგორც ვიცით, წოდებულია მამად ებრაელთა და მისი სახელი ბიბლიაში ხშირად გაიგივებულია მთელ ებრაელ ერთან; ეს იმას ნიშნავს, რომ, ქართველი მემატინის საბოლოო აზრით, მამის დატირების ალეგორიაა თამარის დატირება. რადგან თამარს, როგორც მეფეს, ე. ი. ღვთის მოადგილეს, თავის თავზე აღებული ჰქონდა მამობის ფუნქცია. გავიხსენოთ თამარის განცხადება: „მე ვარ მამა ობოლთა“ ([23], 81).

ბასილი ევოსმოდვარი თამარზე წერს: „ურჩნი თესნი დაამდაბლნა და მოყუარენი აღამაღლნა. არა იღუწოდა უმეზობლობასა, არცა „შერთვიდა სახლსა სახლსა ზედა, არცა აგარაკსა ზედა უტხოსა“ ([23], 148). შდრ. „ვაი რომელნი შეაყოფენ სახლსა სახლსა მიმართ, და აგარაკსა აგარაკისა მიმართ შეაახლებენ“ (ესაია, 5, 8).

როგორც აღვნიშნეთ, აქ ზედროული შემოდის შედარების სახით. „და თავწარსხმულ იყო მსგავსად წერილისა: „ნათელი აღმოუბრწყინდა მართალსა“» ([23], 149). შდრ. ფსალმ. (96, 11); „ნათელი გამოუბრწყინდა მართალსა“.

ქამთაღმწერელი ლაშა-გიორგის შესახებ გვამცნობს: „უკანასკნელ მიდრკა სიბოროტედ თანამიყოლითა უწესოთა კაცთა; ვითარცა სოლომონისთვის წერილს არს, რომელი შეაცთუნეს დედათა, ეგრეთვე ესე უწესოთა კაცთა; ვითარცა ქვემოთე სიტყუამან საცნაურ ყოს. ვითარ განისუენებდა ნადირობითა, და მსმურთა თანა მიდრკა სიბოროტედმი, ვითარცა წერილ არს ისრაილთათვის:

„დასხდა ერი იგი ჭამად და სმად, და აღდგეს სიმღერად“ ([23], 154). შდრ. ეკლესიასტე (2.24): „არა არს კეთილ კაცისა, რომელ ჭამოს და სუას“.

აქ, მემატიანის აზრით, ლაშა-გიორგის შეცოდება ღვთის მიმართ ალგორითული შესატყვისობაა სოლომონისა და ებრაელი ერის შეცოდებისა. იგი ხაზს უსვამს სიმბოლურ პარალელს ამ მოვლენათა შორის, როდესაც ლაშა-გიორგის დასაბასიათებლად მოჰყავს ციტატა ბიბლიიდან, სადაც საუბარია სწორედ ებრაელი ერის შეცოდებაზე: «წინასწარმეტყველიც იტყუს: „ჭამა იაკობ, განძა, განსხვა, განსუქნა, და დაუტევა ღმერთი შემოქმედი თვისი, და განუღვა ღმერთსა მაცხოვარსა თვისა“» ([23], 157). იხ. მეორე სჯულ. (32,15). „და ჭამა იაკობ და განძა, და განწიხნა იგი საყუარელმან მან; განსუქნა, განსხვა, განზრქნა, დაუტევა ღმერთი შემოქმედი თვისი, და განუღვა ღმერთსა მაცხოვარსა თვისა“.

მარადიული ბიბლიური წინასწარმეტყველების სახით ვლინდება კონკრეტულ, ისტორიულ მოვლენათა ჩაქვში.

• „ისტორიანისა და აზმანის“ ავტორს, თამარის ეპოქის დახასიათებისას, მოჰყავს ციტატა ესაიას წინასწარმეტყველებიდან, ე. ი. თამარის ეპოქა არის ესაიას მიერ ნაწინასწარმეტყველები ეპოქა. „და შეიქმნა მშუღობა, სიხარული და ერთობა. რომელი არაოდეს სადავის უხილავს. და ერთბამად ძოვდეს ლომი და კარი, და იხარებდეს ვეფხი თიკანთა, და მგელი ცხუართა თანა“ ([23], 55). შდრ. ესაია (II, 6): „მაშინ ძოვდეს მგელი კრავთა თანა, და ვეფხი თიკანთა თანა განისუენებდეს, და ზუარაკი და ლომი და კურო ერთად ძოვდენ“.

რუსულანის მეფობისდროინდელ საქართველოზე ასე მოგვითხრობს ჟამთაღმწერელი: „რამეთუ დაუტევეს სიმათლელ და ჭეშმარიტება, ვინათგან ყოველი ერი იქმოდეს სიბრძნისა, ვითარ ოდენსე ძენი ბენიამინისნი. ვითარ ივინი მიეცნენ მოსასრველად, ეგრეთვე ესენი აქა შინა მისცნა ღმერთმან ნათესავნი ქართველთანი მოსასრველად მსგავსად ძეთა ბენიამინისათა, ვითარცა იტყუს წინასწარმეტყველი ესაია: „უფალი, უფალი საბაოთ. უბრძანებს ნათესავსა ჭურვილსა მოსლვად ქვეყანით შორით, კიდით საფუძველითგან ცისათ, უფალი და ჭურვილნი და ბრძოლნი მისნი, განრყუნად ყოვლისა სოფლისა და ცოდვათა მოსპოვად მისგან. ღალადებდით, რამეთუ ახლოს არს დღე უფლისა, და შემუსრვა ღმრთისა მიერ მოიწიოს“ და კუალად ჯმობს: „დღე უფლისა მოვალს უკურნებელი, რისხვითა და გულისწყრომითა, დადებად ყოველი სოფელი ოჭრად და ცოდვილთა წარწყმედად მისგან“. ვითარ იქმნაცა ყოველი სოფელი ქართლისა ოჭრად“ ([23], 320), შდრ. ესაია (13,4—7; 13,9).

„ახალ ქართლის ცხოვრებაში“ თემურ ლენგის შემოსევებთან დაკავშირებით მემატიანე ამბობს, ახლათ იერემიას წინასწარმეტყველება ისე, როგორც აუხდათ თავის დროზე იერუსალიმს. მარადიული, იერემიას წინასწარმეტყველების სახით, ვლინდება კონკრეტულ მოვლენათა ჩაქვში: იერუსალიმში ნაბუქოდონოსორის თავდასხმის დროს და ქართლში თემურ ლენგის შემოსევასთან დაკავშირებით. „და ესრეთ სრულ ჰყვეს ბრძანებული იგი ლანგ-თემურისა სპათა მისთა, ვითარცა პირველ ნაბუხარდან მთავარქონდაქარმან მეფისა ნაბუქოდონოსორისამან ჰყო იერუსალიმს შინა იუდიანთა ზედა, მოქმედმან ესე-ვითარისა უკეთურებისამან, რომელმან განასახლნა იერუსალიმით ბაბილონად იუდიანნი, ძენი სიონისანი, სიტყვისაებრ წინასწარმეტყველისა იერემიისსა: „მოვიდაო ნაბუხარდან მთავარქონდაქარი და წინაშემდგომი მეფისა ბაბილონისა იერუსალიმად და დაწვა სახლი უფლისა, და სახლი მეფისა, და ყოველნი სახლნი ქალაქისანი, და ყოველი სახლი დიადი მოცეცხლა ცეცხლი“

თა“. ესე ყოველივე ჩუენდა მიმართ აღსარულა უწყალომან ღანგ-თემურ და სპათა მისთა, რამეთუ სრულ ჰყვეს ყოველივე ბრძანებული მისი“ ([23], 453). (შდრ. იერემია 52, 12—13).

მესამე მომენტი, როცა ბიბლიური სიმბოლოები მიგვანიშნებენ კონკრეტული, ისტორიული ფაქტის ზედროფელ მნიშვნელობას, მოცემულია ლეონტი მროველის თხზულებაში, სადაც აღწერილია წმინდა ნინოს ხილვა მცხეთაში ნათლისღების წინა ღამეს: „ვითარცა შუა ღამე ოდენ იქმნა. წარმოიქცნეს ორნივე ესე მთანი, არმაზ და ზადენ რცეა თუ ჩამოირღუეს და დააყენნეს წყალნი ორთავე; და მტუკარმან გარდამოხეთქა და წარჰქონდა ქალაქი, და შეიქმნეს კმანი საზარელნი ტყეებისა და გოდებისანი; და ეგრეთვე არავუ გარდამოვდა ციხესა ზედა, და იქმნებოდეს საზარელნი გრგვენანი. შეეშინა დედათა მათ და ივლტოდეს, ხოლო ნეტარი ნინო დაღადებდა: „ნუ გეშინინ, დანო ჩემნო, მთანი მუნვე ჰვიან, და წყალნი მუნვე დიან, და ერსა ყოველსა სძინავს. ხოლო ესე რომელ რცეამთანი დაირღუეს, სამართლად გეჩუენების, რამეთუ ურწმუნოებისა მთანი დაირღუეს ქართლსა შინა. და წყალნი რომელ დაეყენნეს, სისხლი იგი ყრმათა, კერპთა მიმართ შეწირული, დაეყენოს“. ([18], 112).

როგორც ვხედავთ, ეს მისტიკური ხილვა სიმბოლური შინაარსის შემცველია. მას თვითონვე განმარტავს წმინდა ნინო. აქ ნახსენებია ორი მნიშვნელოვანი ქრისტიანული სიმბოლო — წყალი და სისხლი. „და წყალნი, რომელ დაეყენნეს, სისხლი იგი ყრმათა, კერპთა მიმართ შეწირული, დაეყენოს“.

ბიბლიაში წყალი, უპირველეს ყოვლისა, არის მაცოცხლებელი ძალა, რომელიც ღვთის განმგებლობაშია ([17], 144); „რომელმან დაპრთნა წყლითა ზესკნელნი მისნი, რომელმან დასხნა ღრუბელნი აღსავალად თჳსა, რომელი იქცევის ფრთეთა ზედა ქართასა... უფსკრული ვითარცა სამოსელი გარე-მოდებულ არს მისა, მთათა ზედა დადგენ წყალნი... რომელმან გამოადინნა წყარონი კეენებსა შინა შორის მთათა დიოდინ წყალნი. სუან იგი ყოველთა მკეცთა ველისათა, განძღენ კანჯარნი წყურილსა მათსა“ (ფს. 103, 3, 6, 10, 11).

წყალი არის შედეგი და ნიშანი ღვთის კეთილგანწყობისა: „მოვეცინ შენ უფალმან ცუარისაგან ზეცისა და სიბოხისაგან ქუეყანისა სიმრავლე იფქლისა და ღვინისაჲ“ (დაბ. 27, 28); „ვითარცა ცუარი გარდამომავალი აერმონით მთასა ზედა სიონსა, რამეთუ მუნ ამცნო უფალმან კურთხევაჲ, და ცხოვრებაჲ უკუნისამდე“ (ფს. 132,3). წყალი არა მარტო მაცოცხლებელი, არამედ მრისხანე ძალაც არის, რომელიც მათნთქავს უწმინდურ სამყაროს წარღვნის დროს და ფარაონის ლაშქარს ეგვიპტლიდან ებრაელთა გამოსვლისას; ამასთან იგი განმწმენდელი ძალაცაა: სტუმართმოყვარეობის ერთ-ერთი გამოვლენა იყო სტუმრისათვის ფეხის დაბანა. ატცილებელი ფიზიკური სისუფთავისათვის, იგი სიმბოლოა სულიერი სიწმინდისა. ესაიას მიხედვით, ადამიანი, რომელმაც მოინანია ცოდვები, ჰგავს ადამიანს, რომელიც ქუჭყში იყო ამოსვრილი და განიბანა (ესაია, I, 16). ებრაული რელიგიური რიტუალი ითვალისწინებდა მრავალრიცხოვან განწმენდას წყლით. დიდი მნიშვნელობა აქვს ბიბლიაში ესქატოლოგიურ წყლებს, რომელთა წყალობითაც მოხდება საბოლოო განწმენდა. ებრაელთა ზეტიალის ბოლო იქნება დაუშრეტელი წყარო, რომელიც იერუსალიმში მდგარი ტაძრიდან გადმოხეთქავს. ეს იქნება დაბრუნება სამოთხეში. ბიბლიურ წინასწარმეტყველთა თქმით, ხალხი მოიპოვებს ამ წყლებში სიწმინდეს. ქრისტე არის ის ქვა, რომლისგანაც წყალი მოედინება: „და ყოველთა იგივე სასუმელი სულიერი სუეს, რამეთუ სუმიდეს იგინი სულიერისა მისგან კლდისა. რომელი-

ცა შეუდგა; ხოლო კლდე იგი იყო ქრისტე“ (პავლე, I, კორ. 10,4). ქრისტე არის ის ტაძარი, რომლისგანაც წყალი გადმოედინება. „დადგა იესო, ღალად-ყო და თქუა: „უკეთუ ვისმე სწყუროდის, მოვიდიან ჩემდა და სუემდინ“ (იოანე, 7, 37). წყლის სიმბოლიკა თავის მთლიან მნიშვნელობას იძენს ქრისტიანულ ნათლისღებაში. განბანა ნათლისღების დროს ჩამოგვაცილებს ცოდვებს ქრისტეს სისხლის გამომსყიდველი ძალის საშუალებით. ამ ძირითად სიმბოლიკას ვასანათლავი წყლისას პავლე ამატებს კიდევ მეორეს: ჩაძირვა და გამოსვლა წყლიდან მონათლულისა სიმბოლიურად აღნიშნავს მის დამარხვას ქრისტესთან და სულიერ აღდგომას (რომ. 6—3—11).

ასევე სისხლიც სიცოცხლის სიმბოლიოა ებრაულ რელიგიაში ([17], 510, 511). სისხლსაც აქვს განმწმენდი თვისება. მას ებრაელთა კულტში დიდი ადგილი ეჭირა. იოანე მოციქული მოგვითხრობს, როგორ იღვრებოდა შუბით გახვრებილი ქრისტეს ნეკნიდან სისხლი და წყალი: „ერთმან ერისაგანმან ლახურითა უგმირა გუერდსა მისსა და მეყსეულად გარდამოვდა სისხლი და წყალი“ (იოანე, 19, 34). როგორც ღვთის ორმაგი სიყვარულის დადასტურება, ეს წყალი და სისხლი აგრძელებენ დენას ღვთიური ტაძრიდან იერუსალიმში. წყალი — ეს არის სულიწმიდის ნიშანი, სისხლი კი ეძლევათ ადამიანებს ექპრისტის დროს (იოანე, 6,53—56).

როგორც ვხედავთ, სისხლი და წყალი, ბიბლიური სიმბოლიკის თვალსაზრისით, მჭიდრო კავშირში არიან ერთმანეთთან. ასევე მჭიდრო კავშირში გვევლინებიან ისინი ერთმანეთთან ნინოს მისტიკურ ხილვაშიც; დაგუბებული მტკვარი, რომელიც წალეკავს ქალაქს, განმწმენდი ძალაა, ნათლისღებაზე მიწმენება; და ის სისხლი, რომელიც იღვრებოდა კერპებისათვის, ნათლის მომანიჭებელ წყლებად გარდაიქმნება ქართლში. სისხლისა და წყლის კავშირი ნინოს მისტიკურ ხილვაში, ერთის მეორედ გარდაქმნა, გამოძახილს პოულობს „ბიბლიის“ იმ ნაწილში, სადაც აღწერილია ეგვიპტიდან ებრაელთა გამოსვლის ეპიზოდი: „ამას იტყვის უფალი: ამით ცნან, რამეთუ მე ვარ უფალი: აჰა, ესერა, მე ესეც კუერთხით ამით, რომელ არს ჯელსა ჩემსა, წყალსა ამას მდინარისას, და გარდაიქვებს სისხლად. და თევზნი იგი მდინარისანი მოსწყდნენ და დაყროლდეს მდინარე იგი და ვერ ეძლოს ეგვიპტელთა მათ სუმაღ წყალი მდინარისა მისგან. ჰრქუა უფალმან მოსეს: არქუ აპრონს, ამასა შენსა: მოილე კუერთხი ეგე შენი და განირთხ წყალთა ზედა ეგვიპტისათა და მდინარეთა ზედა მათთა და გამოსადინელსა წყალთა მათთასა. და იყუენენ სისხლ. და იყოს სისხლ ყოველსა ქუეყანასა ეგვიპტისასა ზეთა და ქვთა. და ყვეს ეგერ მოსე და აპრონ ვითარცა უბრძანა მათ უფალმან და განიპყრა აპრონ კუერთხი იგი მისი და სცა წყალსა მას მდინარისა წინაშე ფარაოესა და წინაშე მსახურთა მისთა. და გარდაიქვებს ყოველნი წყალნი მდინარისანი სისხლად“ (გამოსვლათა, 7, 17—18, 19, 20).

პავლეს განმარტების მიხედვით, ეგვიპტიდან ებრაელთა გამოსვლა სიმბოლიურად მაუწყებელი იყო ქრისტიანული ნათლისღებისა (I კორ. 10. 2).

ნინოს მისტიკური ხილვაც ქართლში ნათლისღების წინა დამეს ემთხვევა. მაშასადამე, ამ შემთხვევაში ნათლისღების, როგორც მარადიული აქტის, ზედროულ მნიშვნელობაზე მიგვანიშნებენ ქრისტიანული სიმბოლიოები: სისხლი და წყალი.

როგორც ვხედავთ, მემატიანეთა ძირითადი ყურადღება მიმართულია კონკრეტულ ისტორიულ მოვლენათა ზედროული არსის წარმოჩენისაკენ; ისინი

ცდილობენ გვერდი აუარონ და ზოგად შტრიხებში წარმოგვიჩინონ მოვლენის კონკრეტული სახე მისი აბსტრაქტული მნიშვნელობის სასარგებლოდ. „По сравнению с „первоначальным временем“—временем Библии, непреходящим, вечно длящимся,—земное, текущее время брэнно, это „время явлений“, а не „сущностное время“, и потому оно не самостоятелно“ ([16], 108).

„ქართლის ცხოვრების“ თხზულებათა ავტორები ფეხდაფეხ მისდევენ მოვლენებს, რომლებიც, თავის მხრივ, თავბრუდამხვევი სისწრაფით ცვლიან ერთმანეთს; თითქოს ამ მოვლენათა სწრაფი მონაცვლეობით ავტორებს სურთ გვიჩვენონ მიწიერი ისტორიის ამოება და მხოლოდ იქ ჩერდებიან, სადაც ხაზს უსვამენ მის კავშირს ზედროულთან. „ქართლის ცხოვრების“ თხზულებათა უმეტესობაში, როგორც აღვნიშნეთ, იგნორირებულია თარიღები, მემატაიანე არ ანაწევრებს დროს, იგი მიმართავს გაბმულ, ისტორიულ თხრობას.

დროს, როგორც ასახვის ობიექტს, შედარებით მოკრძალებული ადგილი უჭირავს „ქართლის ცხოვრების“ თხზულებებში, სამაგიეროდ აქტიურად ფუნქციონირებს ზედროული. მემატაიანეთა ყურადღება მიმართულია კონკრეტულ, ისტორიულ ფაქტთა ზედროული ასპექტების ძიებისაკენ. ეს ბუნებრივია, რადგან, ადრეობიზანტიური ეგზეგეტიკის მიხედვით, ძველ აღთქმაში დაშიფრულად ჩაღებული იყო მთელი ახალი აღთქმა და ძველი აღთქმის თითქმის ყველა ეპიზოდი მოიაზრებოდა, როგორც ალევგორია ქრისტეს მიწიერი ცხოვრებისა. აქედან გამომდინარე, ბიბლიაშიც დაშიფრულად ვაცხადებული იყო მთელი კაცობრიობის ისტორია და ამის გამო კონკრეტული, ეროვნული ისტორია მოიაზრებოდა, როგორც ზედროული ბიბლიური ისტორიის დროში გამოვლენა, მასში მოცემულ ფაქტთა და მოვლენათა ალევგორიული შესატყვისობა. ამიტომ ეძიებენ „ქართლის ცხოვრების“ თხზულებათა ავტორები ქართლის ისტორიის კონკრეტული ფაქტების ზედროულ არსს, მათ ალევგორიულ მიმართებას ბიბლიაში გადმოცემული მარადიული მოვლენებისადმი.

#### ლიტერატურა

1. რ. სირაძე, უამთალმწერლობა და მხატვრული ლიტერატურა, წერილები, თბ., 1980.
2. Р. Досталова, Византийская историография, Византийский вестник, II., М., 1982.
3. Д. С. Лихачев, Поэтика древнерусской литературы, М., 1979.
4. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1958.
5. კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია (V—XVIII სს.), თბ., 1969.
6. ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თხზულებანი თორმეტ ტომად, VIII, თბ., 1977.
7. მ. ლორთქიფანიძე, ადრეული ფეოდალიზმის ხანის ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1967.
8. რ. სირაძე, ქართული ლიტერატურა ისტორიკოსის თვლით, ვაზ. „ლიტერატურული საქართველო“, № 14, 31. III. 1967.
9. რ. ბარამიძე, ქართული საისტორიო და ორატორული პროზა, თბ., 1979.
10. გ. აღასანია, ქართული პავიოგრაფიისა და ისტორიოგრაფიის შედარებითი შესწავლისათვის, „მაცნე“, ისტორიის... სერია, 1983, № 4.
11. დ. შენაბდე, ქართული პავიოგრაფიისა და ისტორიული ლიტერატურის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი, საკანდ. დისერტაცია, თბ., 1982 (ინახება თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში).



12. პ. ინგოროყვა, ქართული უძველესი ეპიკური თხზულებანი და ხალხური ზეპირ-სიტყვიერების სხვა ნაწარმოებნი, თხზულებანი ოთხ ტომად, IV, თბ., 1978.
13. შისივე, საერო მხატვრული მწერლობა (საისტორიო „ჰამბავნი“), იქვე.
14. გრ. ფარულავა, მხატვრული სახის ბუნებისათვის ძველ ქართულ პროზაში, თბ., 1982.
15. ლ. გრიგოლაშვილი, დროისა და სივრცის პოეტიკისათვის ქართულ ჰიმნოგრაფიაში, ივირონი — 1000, თბ., 1983.
16. А. Я. Гуревич, Категории средневековой культуры, М., 1972.
17. Словарь Библейского Богословия, под редакцией Ксавье Леон-Дюфура, Брюссель, 1974.
18. ქართლის ცხოვრება, I, გამოსცა და შენიშვნები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1955.
19. В. Вреде, Павел., М., 1907.
20. Толковая Библия, под редакцией проф. А. П. Лопухина, СПб., 1914.
21. კ. დანელია, ქართული სამწერლობო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1983.
22. С. С. Аверинцев, Поэтика ранневизантийской литературы, М., 1977.
23. ქართლის ცხოვრება, II, გამოსცა და შენიშვნები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1959.

Н. Ф. НАКУДАШВИЛИ

### К ВОПРОСУ ПОЭТИКИ ВРЕМЕНИ В «ЖИТИИ КАРТЛИ»

#### Резюме

В работе рассматриваются вопросы поэтики времени, в частности, «Вечность», как объект изображения в сочинениях «Картлис цховреба». По средневековому мышлению, жизнь человека разворачивается сразу в двух временных планах: в плане земного бытия и в плане осуществления «Священной истории». Вечный, непреходящий смысл во всемирно-исторической драме имеют библейские события, поэтому они могут вывиться в целом ряде разновременных исторических фактов. Авторы «Картлис цховреба», рассказывая эмпирическую историю, локализируют вневременное во времени и стараются излагать исторический материал в соответствии с ветхозаветным пророчеством. Для них земная история значительна не сама по себе, а как символическое изображение «Священной истории». В связи с этим можно поставить вопрос: время, как объект изображения — исторично или художественно оно в этих сочинениях?

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ლექსმცოდნეობის ჯგუფი  
წარმოადგინა შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა

ნანი წაბაძე

### ვეფხისტყაოსნის ლექსიკიდან

ბაფი — ჰაფი

ბაფი — ჯაფი პირველად მე-12 საუკუნის ქართულ წერილობითს ძეგლებში დასტურდება („თამარიანი“, „აბდულუმესიანი“, „ვეფხისტყაოსანი“). ყველაზე ხშირად და სხვადასხვა ფორმით გვხვდება იგი „ვეფხისტყაოსანში“:

ბატონი ჩემი ვაგიწყრა, ჩვენ ხაფად წაგეკიდნით (287,2)<sup>1</sup>  
 ვუბრძანე ჩაცმა აბჯრისა ლაშან სიტყვითა ბაფითა (441,1).  
 ესე ჭვანნი უკაცურნი ვპოვენ, დევთა შეგკაფუნეს,  
 შემომებნეს, ამოფევიდნენ, ყოლა ვერას ვერ შეხაფუნეს (654,2).  
 მან გაახაფოს ხმა ბაფი, კელა უფრო გასახაფაი (1315,3).  
 კაცსა უკრავად დაბნედიხ ხმა ტარიელის ბაფისა (1416,1).  
 დავითის ქნანი ვითა ვთქვენ სიჩაღზე-სიხაფეთანი (1667,1).  
 ტირს სიტყვა — ბაფი უარე. (1591,1).

ბაფი//ჯაფის წარმომავლობის შესახებ გამოთქმულია თვალსაზრისი თეიმურაზ ბაგრატიონის მიერ, რომელსაც იგი ქართულ სიტყვად მიაჩნია. „ჯაფი არაბულად მდუმრიედ გამოითარგმანება, ამისათვის არა ჰგავს ჯაფი, რომელიც ვეფხისტყაოსანში არის შემოტანილი, რომ სხვისი ენის ლექსი იყოს“ [3,41].

„ჯაფი... ქართული არის“. „ჯაფი არაბულად მდუმრიადსა და დაფარულს რასამე ნიშნავს, ამისთვის გულისხმა ვყოთ რო ჯაფი, ბაფი და ბაფიფი სხვადასხვა სიტყვა არის“<sup>2</sup> [3,55].

ეს თვალსაზრისი, როგორც ჩანს, გაზიარებულ იქნა შემდეგდროინდელ მკვლევართა მიერ, რადგან ამ სიტყვის წარმომავლობის შესახებ სხვა აზრი აღარ გამოთქმულა. საბაძა და ვეფხისტყაოსნის ტექსტის პირველ კომენტატორთა მიერ სიტყვა კონტექსტის მიხედვითაა განმარტებული და, რადგან იგი უმეტეს შემთხვევაში „ხმასთან“ შესიტყვებაში გვხვდება (სიტყვითა ბაფითა, ხმა ბაფი, ხმა ტარიელის ბაფისა), განმარტებაც შესაბამისად ასეთია: ჯაფი — საშინელი ზარის ასაკდელი (ხმა) (საბა). აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაშიც, როცა იგი „ხმასთან“ შესიტყვებაში არ არის, გულისხმობენ ისეთ მოქმედებას, რომელიც შექანხლის, ყიყინის თანხლებით ხდება.

მაგალითად, თ. ბაგრატიონი 287,2, 654,4, 1667,1 სტრიქონებს ასე განმარ-

<sup>1</sup> სტროფთა ნუმერაციას ვეთითებთ 1957 წლის გამოცემის მიხედვით. სიტყვის ორთოგრაფია განსხვავებულადაა წარმოდგენილი ხელნაწერებში. გამოცემებსა და ლექსიკონებში. წინამდებარე წერილში მოტანილი ილუსტრაციებში დაცულია იმ გამოცემის ორთოგრაფია, საიდანაც ემორწმუნებ მას.

<sup>2</sup> აქ თ. ბაგრატიონს მხედველობაში აქვს არაბული جاف — დაფარული სიღუმლო, და جاف — მსუბუქი, ნაზი, სთელი.

ტავს: „ჩვენ ხაფად წაგეკიდენით“ (287,2) „ჯაფი ძლიერი, საშინელი, და ზარის საჯღელსა გამსა ნიშნავს... ჯაფი კვალად ჩვენებურად განიმარტების მკვეთრად, მსწრაფლიად სიმჭნითა და ზახილით კუჭთებასა (ნიშნავს).

„შემომებნეს, ამოვწყვიდენ, ყოლა ვერას ვერ მეხაფენს“ (654,4). „ყოვლად ანუ ყოველითურთ ვერ შემრწუნებულ მეჭმენს და ვერ შემაშინეს მათმან ყვირილმან გინა ბრძოლამან“ [3,76].

„დავითის ქნარი ვითა ვსთქვენე სიჩაღხე-სიხაფეთანი“ (1667,2). „სიხაფე საგმიროთა ძლიერთა საქმეთა კმის გამოცემა“ [3,288].

ნიკო და დავით ჩუბინაშვილების ლექსიკონების [20] მიხედვით ხაფი||ჯაფი-ს პირველი მნიშვნელობაა: კიენა საშიშარი ხმა (ნ. ჩუბინაშვილი); ძლიერი თავს დასხმა ომის დროს კიენის ხმითა (დ. ჩუბინაშვილი). აქედან: ხმა ხაფი — сильный голос; ვეხაფები — დავეკიდები, დავეცემი თავზედ. ყოლა ვერას ვერ მეხაფენს — они не могли на меня напасть (დ. ჩუბინაშვილი); შებმა, წინააღმდეგობა (ნ. ჩუბინაშვილი). ხაფად — ზმნართ. ერთბაშად, მსწრაფლ. быстро, живо напасть на кого-то (დ. ჩუბინაშვილი).

ვეფხისტყაოსნის შემდეგდროინდელ მკვლევართა ერთი ნაწილი საბას განმარტებას მისდევს და აქედან გამოჰყავს კონტექსტისათვის შესაფერისი მნიშვნელობანი:

ხაფი — ზარის დამცემი ხმა, რიხი, ქუხილი (იუსტ. აბულაძე [1]).

ხაფი — (ხმა, სიტყვა) ზარის დამცემი, საშინელი მბრძანებლის ტონით წარმოთქმული. ხაფად — საშინლად, მედგრად (ა. შანიძე [18]).

ხაფი-ი (ხაფისა) — ძლიერი, მკეჭარე, ზარდამცემი (ხმა). ხაფად—ზმნართ. მკეჭარე ხმით, მრისხანედ (ქვლ [17]).

ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის კომისიის მიერ 654-ე სტროფის მე-4 სტრიქონის შინაარსი ასეა გადმოცემული: „ყოლა ვერას ვერ მეხაფენს“ — ზარდამცემი ყვირილით სრულებით ვერ შემაშინეს. ე. ი. კომისიის თვალსაზრისით, „ხაფი“ „ხმასთან“ შესიტყვების გარეშეც ნიშნავს „ყვირილს“, „შეძახებას“ [6].

მკვლევართა მეორე ნაწილი „ხმისაგან“ დამოუკიდებელ მნიშვნელობებს იძლევა: ხაფება — გაძალუნება, ხაფი — რიხიანი, მრისხანე, ძლიერი (დ. კარიჭაშვილი [10]).

ხაფი — რიხიანი, მძლავრი; ხაფება — მძლავრება (ს. კაკაბაძე [9]). ხაფი — რიხიანი, ძლიერი (კ. ჭიჭინაძე [23]). ხაფად წაგეკიდენით „ჩვენ მკვახედ, რისხვით წაგეკიდეთ“. „ყოლა ვერას ვერ მეხაფენს“ — სრულიად ვერ შემაშინეს, ვერ წინააღმდეგენ. ხაფება — ხაფვა — შეშინება (გ. ბერიძე [5]).

ხაფად — უხეშად, მკვახედ, დაურიდებლად, რიხიანად, მძლავრად: „მან გაახაფოს ხმა ხაფი, კვლა უფრო გასახაფავი“ — ფრიდონი რიხიანად იყოს, ჩვენს საერთო საქმის წარმატებით გახარებული, ახლო მომავალში მას კიდევ უფრო მეტი რიხი დასჭირდება; „ვერ მეხაფენს“ — რიხით, მამაცურად ვერ მაჩვენეს თავი (ნ. ნათაძე [13]); მრისხანედ, სასტიკად (გ. ნოზაძე [15]). ნეიმანის მიხედვით, „ხაფი“ შეტყვის, თავდასხმის, მიხტომის, თავდაცემის, თარეშის და ყიენით თავდასხმის სინონიმაა; ხოლო „ხაფად“ — სწრაფად, ანაზღად, წინდაუხედავად, უმაღ სიტყვებისა [14].

„აბღულმესიანსა“ და „თამარიანში“ ხაფი||ჯაფი გვხვდება ზმნისართის ფორმით: „იკმარნის მკლავნი, ჯაფად მომკლავნი, აღმტაცებელნი, გრიგალ — 3. მ. ა. ე. ე. ენისა და ლიტერატურის სერია, 1986, № 4

ქარული“ (12a, 29,4). „კაფად დაგეხსენ, ქრმად რომე გეხსენ“ (12b, VII — 30).

ტექსტების გამომცემელთა მიერ განმარტებულია: კაფად — სწრაფად, მო-  
ულოდნელად (ლექსიკონები [12]).

აღორძინების ხანის წერილობითს ძეგლებში ხაფი//ვაფი იხმარება მხო-  
ლოდ „ხმასთან“, „ხმობასთან“, „ძახილთან“ დაკავშირებით: „კაფად იხახდა:  
გამოდი, ვინ ხარ ომისა მძებნელი“ (1976,1 [2]). „ჩამოყარა ვმითა ვაფით მან  
ცხენისა ზურგზედ მსხდომი“ (1063,2 [11]). „ეგრე ფიცხლად რისთვის მოხ-  
ვალ? — ამარ ჰკითხავს სიტყვა ხაფით“ (465,2 [24]). „ჰკადრეს: გახლავთ სიტ-  
ყვა-ხაფით“ (805,3 [24]). „იგი იღვა დაბნედილი, სიტყვას ამბობს ველარ ხა-  
ფად“ (1689,3 [24]). „იგი არს... მეომარი უებრო, კვლავ ხაფად შემომძახე-  
ლი“ (572,4 [4]). „ცა ძოწუელად, წარბის ჰეჭით, ხაფის ხმით ჯანის, ჰყრის  
ორბებს“ (94,4 [8]). „წერეთელს გული ვამონე, წეტად მთქვის ხმითა ხა-  
ფითა“ (120,22 [7]). „კრინკიანობს, კრინწიანობს, კელსა ვმარობს ჯრდალის  
კაფით“ (9,11[7]).

ზემოთ ჩამოთვლილ ძეგლებზე დართულ ლექსიკონებში სიტყვა ასეა გან-  
მარტებული: „კაფი — ბრძოლის დროს ომბახიანის რაინდის ხმის ჰეჭა, მოპირ-  
დაპირის დანახვაზე ფალავანთა მქუხარე ხმა, მოპირდაპირე გმირის თავზარ-  
დამცემი ხმა“ [2]. „ძლიერი, საშინელი, მაღალი და ბოხი ხმა“ [11]. „ძლიერ-  
ი და საშინელი ხმა“ [7].

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩანს, რომ ქართულ ლექსიკო-  
ლოგიაში ხაფი//ვაფის სემანტიკის შესახებ რამდენიმე თვალსაზრისი არსე-  
ბობს. ლექსიკოლოგთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ მისი პირველადი მნიშვნე-  
ლობა „ხმასთან“ არის დაკავშირებული: 1. ძლიერი, მჭექარი, რიხიანი, საშიში  
ხმა. 2. მოულოდნელად, ყუიჩით თავდასხმა, შეტევა, შებმა. და აქედან გაფარ-  
თოებულები მნიშვნელობები: 1. რიხიანი, ძლიერი, საშიში; 2. ა) ძლიერ, მედ-  
გრად, სასტიკად, ბ) უცბად, სწრაფად, მოულოდნელად.

მეკვლევართა მეორე ნაწილის თვალსაზრისით ხაფი//ვაფი ნიშნავს უპირვე-  
ლესად: ძლიერს, ძალისმიერს, მედგარს, მძლავრს. აქედან: „ხმასთან“ შესი-  
ტყვებაში: ყვირილი, მაღალი ხმა, ყუიჩა; „თავდასხმასთან, შეტევასთან (კა-  
ფად თავდასხმა): ა) ძლიერ, მედგრად, სასტიკად; ბ) უცბად, მოულოდნელად.

ფონეტიკურად და სემანტიკურად იდენტური ლექსიკური ერთეული დას-  
ტურდება სემიტურ ენებში. იუდ.-არამ. *hāfā*; სირიული *hāfā*; არამ.*hāif* || *hāfāt*.  
სირიულსა და არაბულში მას ასეთი მნიშვნელობები აქვს: 1.  
ძალა, ძლიერება, უკანონობა, ტირანია, სიმკაცრე, სისასტიკე, ენერგია, შე-  
მართება, თავშეუყავებლობა, მგზნებარება, დაუოკებლობა, მისწრაფება. 2.  
ძლიერი, მძლავრი, ენერგიული, მისწრაფებუი, მოძალადე, ტირანი, უშიშარი  
მებრძოლი, ამპარტავანი [25, 26, 27, 28, 29]. სიტყვის სემანტიკა, როგორც  
ზემოთქმულიდანაც ჩანს, ფართოა. იგი ვლინდება შესიტყვებებში და ზოგა-  
დად გამოხატავს ძალისმიერ, გამძაფრებულ, გაძლიერებულ მოქმედებას:  
*hāfā d-mya* — წყლის მძლავრი დინება (რღუნა წყლისა); *hāfā d-zuhā* სულის  
მისწრაფება, მგზნებარება; *hāfā d saḥnota* ძლიერი მღვლეარება, აღშფოთება;  
*hāfā d rugza* — თავშეუყავებელი მრისხანება; *hāfā d-talpitā* ახალგაზრდული  
ენებები; *bi* ნაწილაკით; *bi hāfā*—ძლიერ, ენერგიულად; ფიცხლად, სწრაფად, სას-  
ტიკად; [29]. არაბულში *‘āfā* ნაწილაკით; 1. განადგურება, გაუდაბურება (ქვეყ-

ნისა). 2. წინააღმდეგობა [26]. nasaba (წავიდა) ზმნასთან: ისწრაფვოდა; ზაკალა (აიღო, აამაღლა) ზმნასთან: ფიცხლად თავს დაესხა.

ეს სიტყვა შესულია არაბულიდან სპარსულში და გარკვეულ შესიტყვებებში მას ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც არაბულში. [30].

ქართულ წერილობითს ძეგლებში დადასტურებული ხაფი//ვაფი სწორედ ეს სემიოტიური სიტყვა უნდა იყოს. მისი სემანტიკური ნიუანსები, სემიოტიურის ანალოგიურად, ქართულშიც შესიტყვეებშია გამოვლენილი: „ხაფი ხმა“ — მაღალი ხმა, ყიყინის ხმა; „ხაფი სიტყვა“ — მკაცრად თქმა, ბრძანება; „ხაფად თავდასხმა“ — ფიცხლად, მოულოდნელად თავდასხმა; „ხაფად წაკიდება“ — სასტიკად, დაუნდობლად შებმა. აქედან გამომდინარე, ვეფხისტყაოსნის ის სტრიქონები, სადაც „ხაფი“ „ხმასთან“ შესიტყვეების გარეშე გვხვდება, ასე უნდა განიმარტოს: „ყოლა ვერას ვერ მეხაფენს“ — „ვერაფრით ვერ გამოძლიანდნენ, წინააღმდეგობა ვერ გამოიწიეს“; „ხმა ტარიელის ხაფისა“ — „ვაფიცხებული ტარიელის ხმა“; „დავითის ქნანი ვითა ვთქვენე, სიჩაღხე—სიხაფეთანი“ — „როგორ ვთქვა დავითის საქმეები, მისი სიმარღე და სიძლიერე“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ხაფი“ „ხმასთან“, „ხმობა-ძახილთან“ შესიტყვევაში („ხაფი ხმა“, „ხაფი სიტყვა“, „ხაფად იზახდა“ და ა. შ.) აღნიშნავს: ძლიერს, მაღალს (ხმას); მბრძანებლის ტონით ნათქვამს (სიტყვას), „საბრძოლო ყიყინას“. მაგრამ მთლიანად ეს შესიტყვევა: „ხაფი ხმა“ ზოგჯერ შეიძლება—გადატანით ნიშნავდეს „სიძლიერეს“, „მზნობას“, „რიხიანობას“: მაგ.: „მან გაახაფოს ხმა ხაფი, კვლა უფრო გასახაფავი“ — „ფრიდონი რიხიანად იყოს, ჩვენი საერთო საქმის წარმატებით გახარებული, ახლო მომავალში მას კიდევ უფრო მეტი რიხი დასჭირდება [13]. ან: „ნახა მეფემ, უთხრა „მოდით“, ჰკადრეს: გახლავთ სიტყვა ხაფით“ — ე. ი. „მეფემ დაინახა და უთხრა, მოდითო, მათ ჰკადრეს: მოგეახლეთ თამამად, მზნედ“ [24].

რა გზით უნდა იყოს ეს სემიოტიური ლექსიკური ერთეული შემოსული ქართულში?

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხაფი//ვაფი ქართულში XII საუკუნიდან დასტურდება და ისიც მხოლოდ საერო მწერლობის ძეგლებში. ამ დროს უშუალოდ სირიულიდან სიტყვის სესხება, წერილობითი თუ ზეპირი გზით, მოულოდნელია, რადგან სირიული უკვე შეზღუდულია არაბული ენის მიერ სასულიერო მწერლობის ენაშიც კი [22].

შეიძლება დაგვეშვა სომხურის მეშვეობა, მაგრამ სომხურ წერილობითს ძეგლებში ფონეტიკურად და სემანტიკით მსგავს სიტყვას ვერ მივაკვლიეთ. XI—XII საუკუნეების ქართული ენა ხასიათდება არაბული და სპარსული ენებიდან ნასესხები ლექსიკის სიჭარბით, რასაც განაპირობებდა წინარე საუკუნეებიდან მოყოლებული ინტენსიური ისტორიული და კულტურული ურთიერთობები აღმოსავლეთის ქვეყნებთან [21].

ამდენად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ხაფი//ვაფი შემოსულია არაბულიდან უშუალოდ, ან სპარსულის მეშვეობით<sup>3</sup>.

<sup>3</sup> ეს ლექსიკური ერთეული არაბულიდან თურქულშიც არის ნასესხები, მაგრამ თურქული მეშვეობა ამ ეპოქისთვის ნაკლებ შესაძლებლად გვეჩვენება, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ ხანებში გამოთქმულია თვალსაზრისი თურქულ ნასესხობათა შესახებ ვეფხისტყაოსანში [19].

ჩვეულებრივ, არაბულიდან სპარსული გზით შესულ სიტყვებში არაბული ფარინგალური ხ ქართულში იძლევა ჰ-ს, ან იკარგება, ე. ი. ქართულში „აქი-მის“ პარალელურად გვაქვს „ჰაქიმი“, შესაბამისად „არამი“ — „ჰარამი“, „არა-ქათი“ — „ჰარაქათი“ და ა. შ. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ჰ-ს დაკარგვა ქარ-თულ ნიადაგზეც შეიძლება ვივარაუდოთ.

მაგრამ ქართულში გვაქვს არაბულ ნასესხობათა ერთი ნაწილი, სადაც არაბული ფარინგალური ხ-ს შესატყვისად არის ველარი ხ: **حاشا** — *haša, hšai* — ხაში; **حکبة** [*hakibat*], მრ. **حکبات** *hakajb* — ხაბაჯი, **حرق** ხრაჯი; **احمك** — *ahmak* — ახმახი და ა. შ.

ჩვენი აზრით, ხაფი//ვაფი შეიძლება ზემოხსენებულ სიტყვათა რიცხვს მი-ვაკუთვნოთ. ადვილი შესაძლებელია, რომ აქ ჰ-ს ხ-ში გადასვლა ქართულ ნი-ადაგზე იყოს მომხდარი (შდრ. ჰაერი — დიალ. ხაერი; შაპნამე — შახნამე და ა. შ.).

იმის გადაჭრით თქმა, ეს სიტყვები არაბულიდან რა გზითაა ქართულში შემოსული, არ შეგვიძლია. ამისთვის, ალბათ, საჭიროა ყველა იმ ენათა ფონეტიკური სისტემის ერთმანეთთან მიმართებაში, გამოწველილით შესწავლა, რომელთაგანაც ივარაუდება სიტყვათა შესხება ქართულში.

აქვე შეიძლება შევეხოთ ხაფი//ვაფი სიტყვის ორთოგრაფიასაც. ხელნა-წერებსა და გამოცემებში იგი ჰრელადაა წარმოდგენილი. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იმ ძეგლთაგან, რომელშიც დასტურდება „ხაფი“, ყველაზე ადრე შექმნილთა (ვეფხისტყაოსანი, თამარიანი, აბდულმესიანი) ნუსხებიც კი მე-17 საუკუნეებზე ადრინდელი არ მოგვეპოვება. ფონემატური ოპოზიციის მოშლა კი, როგორც გამოჩვენდება, უკვე X—XIII საუკუნეში იწყება [16]. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, პირველადი უნდა იყოს სწორედ ხანიანი ფორმა, ე. ი. ხაფი და არა ვაფი.

ლიტერატურა

1. ა ბ უ ლ ა ძ ე იუსტ., რუსთველოლოგიური ნაშრომები, თბილისი, 1967.
2. ა ბ უ ლ ა ძ ე იუსტ., შაპნამე, I, ლექსიკონი, თბილისი, 1916.
3. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი თ. განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, თბილისი, 1960.
4. ბარამგულიანიანი, წიგნში: დ. ბ რ ე ვ ე ა ძ ე, ქართველი მწერლები რუსეთში, თბილისი, 1958, გვ. 65—208.
5. ბ ე რ ი ძ ე ვ., ვეფხისტყაოსნის კომენტარი, თბილისი, 1974.
6. „ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში“, მაცნე, ენისა და ლი-ტერატურის სერია, 1978, № 1, გვ. 188.
7. ბ ე ს ი კ ი, თხზულებანი. ტექსტი, შენიშვნები, ლექსიკონი ალ. ბარამიძის, ვ. თოფუ-რიასი, თბილისი, 1962.
8. თ უ შ ა ნ ი შ ვ ი ლ ი დ., ლექსები, „ლიტერატურული ძიებანი“. XIV, თბილისი, 1963, გვ. 180—186.
9. კ ა კ ა ბ ა ძ ე ს., ვეფხისტყაოსნის ლექსიკონი, წიგნში: შ. რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაო-სანი, თბილისი, 1926.
10. კ ა რ ი ჰ ა შ ვ ი ლ ი დ., ვეფხისტყაოსნის ლექსიკონი, — წიგნში: შ. რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი, თბილისი, 1920.
11. კ ე კ ე ლ ი ძ ე კ. — ნოდარ ციციშვილი, შეიდი მთები, ბარამგური, პროფ. კ. კე-კელიძის რედაქციით, გამოკლევითა და შენიშვნებით, ლექსიკონი, თბილისი, 1930.

12. ი. ლოლაშვილი, თამარიანის ლექსიკონი, წიგნში: ძველი ქართველი მეზობენი, წ. I. ჩახრუხაძე, ქება მეფისა თამარისა, თბილისი, 1951, მისივე, აბდულმესიანის ლექსიკონი: ძველი ქართველი მეზობენი, წ. II, იოანე შათელი — აბდულმესიანი, თბილისი, 1964.
13. ნათაძე ნ. — განმარტებები, წიგნში: შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (სასკოლო გამოცემა), თბილისი, 1974.
14. ა. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბილისი, 1974.
15. ვეფხისტყაოსნის საზოგადოებათმეტყველება, გვ. 29.
16. სარჯველაძე ზ., კდახგრაფმათა და კდახფონემათა ურთიერთმიმართებისათვის, „ორიონი“, თბილისი, 1967.
17. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VIII, თბილისი, 1964.
18. შანიძე ა., ვეფხისტყაოსნის ლექსიკონი, წიგნში: შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბილისი, 1957.
19. შერვაშიძე ი., შენიშვნა სიტყვა ტაივის შესახებ, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1979, № 2, გვ. 103—109.
20. ჩუბინაშვილი ნ., ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, თბილისი, 1961; ჩუბინაშვილი დ., ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი, 1964.
21. წერეთელი გ., სემიტური ენები და მათი მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიისათვის, ოსუ მოხსენებათა კრებული, I, თბილისი, 1947.
22. წერეთელი კ., არამეული ენა, თბილისი, 1982, გვ. 20.
23. ჭიჭინაძე კ., ვეფხისტყაოსნის ლექსიკონი, წიგნში: შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბილისი, 1934.
24. გ. ჯაკობია, ამირანდარეჯანიანის ლექსიკონი, წიგნში: ს. თანიაშვილი, ამირანდარეჯანიანი, თბილისი, 1964.
25. Brockelmann C., Lexicon Syriacus, Gottingae, 1928.
26. Dozy R., Supplément aux dictionnaires arabes, I, Leide, 1927.
27. Tb. Kazimirski, Dictionnaire Arabe-Francaie, Paris, 1860.
28. Lane F. B., Arabic-Englisch Lexicon. London, 1865.
29. Payne Smith R., Thesaurus Syriacus, T. I. Typographeo clarendojano, 1879.
30. V u e r s I. A., Lexicon Persico-Latinum, Bonnae ad Rhenum, 1855.

Н. П. ЦАКАДЗЕ

## ИЗ ЛЕКСИКИ «ВИТЯЗЯ В БАРСОВОЙ ШКУРЕ»

ბაფ-ი (ჰარ-ი)/ყარ-ი

Резюме

Слово **ბაფი** (ჰარ-ი) употребляется в грузинском литературном языке с XII в. Оно встречается лишь в памятниках светской литературы.

Комментаторы и издатели соответствующих грузинских памятников значение этого слова определяют согласно контекстам. Аналогичным способом дают ему толкование и лексикографы.

Теймураз Багратиони считает **ბაფ-ი** (ჰარ-ი) словом грузинского происхождения.

Относительно семантики **ბაფ-ი** (ჰარ-ი) среди грузинских лексикографов существует два мнения.

1. Одни считают, что первичное значение **ბაფ-ი** (ჰარ-ი) связано с «голосом»: а) сильный, громовой, могучий, устрашающий голос; б) внезапное нападение с криком, атака, нападение, а отсюда — расширен-

ნაშ-значения: бесстрашный, могучий, страшный; наречия а) сильно, жестоко, неустрашимо; б) внезапно, быстро, неожиданно.

2. Другая группа специалистов считает первичным значением для ხაფ-ი (ḥar-i) «сильный, силовой, неустрашимый, резкий» и лишь после этого — значения, связанные с «голосом» и «нападением» „ხაფი ხმა“ (ḥar-i ḥma) «громкий крик, громкий голос»; „ჭაფად თავდასხმა“ „qarad tavdashma“, а) бесстрашное нападение, б) неожиданное, стремительное нападение.

Идентичные в фонетическом и семантическом отношении лексические единицы засвидетельствованы в ряде семитских языков: иудейск.-арамейском ḥāfā, сирийском—ḥāfa, араб.—ḥāfa, ḥāfat.

В различных словосочетаниях указанное слово выражает силовое, усиленное и обостренное действие:

Сир.	ḥāfa d-mija	«сильное течение воды»,
	ḥāfa d-rūḥa	«пламенность души»,
	ḥāfa d-rugza	«сезудержный гнев»,
	bihāfa	«сильно, энергично, быстро».

С глаголами	Saḳala	«напал на к.-л.»,
	nasaba	«стремился к ч.-л.».

Араб. ḥāfa alā «уничтожить».

Засвидетельствованное в грузинских письменных памятниках ხაფ-ი//ჭაფ-ი (ḥar-i qar-i) должно быть заимствованием из арабского языка. Орфографическое различие ხ—ჭ (ḥ — q) должно быть вызвано опущением соответствующей фонологической оппозиции, что проявляется в памятниках X—XII вв.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სემიტოლოგიის განყოფილება  
 წარმოადგინა აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა



მ ა ი ა რ ა ზ ა ვ ა

თეოფილე ხუცესმონაზონის ერთი თარგმანის შესახებ  
(მკიფანე კვიციანი თუ იოანე დამასკელი?)

ძველ ქართულ მწერლობაში ცნობილია ერთი თხზულება შემდეგი სათაურით: „წმიდისა ეპიფანე კვირელ მთავარეპისკოპოსისაჲ პასუხი ეპისტოლისაჲ, რომელი მიუწერეს მღვდელთაჲე მისთა აკაკიოს და პავლე თეოთავოანებისათჳს ოთხმოცთა მათ წვალებათაჲსა“. მთარგმნელი ამ ნაწარმოებისა არის თეოფილე ხუცესმონაზონი, რაც აღნიშნულია იმ ხელნაწერებში, რომლებშიც დაცულია ტექსტი. ხელნაწერებში სათაურის შემდეგ წერია: „თჳ თარგმანი“, ანუ თეოფილეს თარგმანი. ტექსტი შემონახული გვაქვს მხოლოდ 3 ხელნაწერით. სამივე არის არსენ იყალთოელის მიერ შედგენილი კრებული „დოგმატიკონი“<sup>1</sup>.

„დოგმატიკონის“ ნუსხათა უმრავლესობაში, მათ შორის უძველეს ნუსხებში, პირველ ადგილზე, ჩვეულებრივ, არის ანასტასი სინელის „წინამძღვარი“. მეორე ადგილზე — იოანე დამასკელის „წყაროჲ ცოდნისაჲ“, შემდეგ მოდის ისევე იოანე დამასკელის და სხვათა დოგმატიკური და პოლემიკური თხზულებები. ამათგან განსხვავებით, სამ ნუსხაში, კერძოდ A 205(XIII ს.), A 64(1751 წ.) და H 601(1746 წ.), დასტურდება თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ თარგმნილი „პასუხი ეპისტოლისაჲ“ (A 205,145r—150v; A 64,95r—102v; H 601,149—164) და ორი თხზულება მესალიანურ წვალებათზე: ა) „ესეცა თავნი მისევე წიგნისაგან მასსალიანელთა უმჯულოებითთა უჯულთა ვითარებისა წარმომაჩინებელნი“ (A 205,151r—152v; A 64, 103r—104v; H 601,164—168), ბ) „მერმეცა მასევე მასსალიანელთა წვალებისათჳს, რომელი უფროსდა მონასტერთა შინა საპოვნელ არს, თხრობისაგან თეოდორიტისისა“ (A 205,152r-v; A 64,10v—105r; H 601,168—169).

როგორც ცნობილია, „დოგმატიკონი“ არსენ იყალთოელის თარგმანებს შეიცავს. მისი შედგენილობა, კ. კეკელიძის სიტყვებით, „არსენის შემდეგ თანდათან იესებოდა სხვა პირთა მიერ ნათარგმნი თხზულებების შეტანით“<sup>2</sup>.

მე-13 ს-ის ხელნაწერში, A 205-ში, თეოფილეს მიერ თარგმნილი ტექსტი, რასაკვირველია, გადამწერის მიერ არის შეტანილი<sup>3</sup>. იოანე დამასკელის „წყაროჲ ცოდნისაჲ“ ნაცვლად ეპიფანე კვირელის ნაწარმოების არსებობას

<sup>1</sup> საფიქრებელია, რომ A 205 ნუსხა და გვიანდელი ხელნაწერები A 64 და H 601 ერთი და იმავე დედნიდან მომდინარეობენ, ან A 64 და H 601-ის დედანი A 205 ხელნაწერია. ამ ნუსხათა ურთიერთმიმართების შესახებ თავისი აზრი აქვს გამოთქმული ი. ლოლაშვილს (იხ. ი. ლოლაშვილი, არსენ იყალთოელი, თბ., 1978, გვ. 148).

<sup>2</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1980, გვ. 277.

<sup>3</sup> A 205 ხელნაწერი ეტრატია. იგი დაწერილია ორი (შესაძლოა, სამი) სხვადასხვა ხელით. პირველად, შედარებით მსხვილი ნუსხურით დაწერილია ანასტასი სინელის „წინამძღვარი“, შემდეგ მოდის განსხვავებული ხელთ ნაწერი ეპიფანეს ტექსტი, რომელსაც ეტრატის ერთი რვეული უკავია; შემდეგ დანარჩენი თხზულებანია, რომლებიც დაწერილია სხვა მელნით, ასევე სხვა სინგური მელანით.

აღნიშნულ ხელნაწერებში, როგორც შემდგომ ვნახავთ, შემთხვევითი ხასიათი არ აქვს. ქართული გადამწერის მხრივ გაუცნობიერებელ ფაქტთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ ამ თხზულებებს შორის არსებული მიმართების კანონზომიერ გამოხატულებასთან.

კ. კეკელიძის მიერ გამოთქმულია აზრი, რომ თეოფილე ხუცესმონაზონის თარგმანის სახით „ჩვენ გვაქვს ეპიფანეს მიერ სამ წიგნად დაწერილი „წვალებათა წინააღმდეგ“ თხზულების შემოკლება ბერძნულად 'Ανακειφαλισσις-ის სახელით ცნობილი“<sup>4</sup>. იგივე აზრი კ. კეკელიძის მიერ გამოთქმულია ეფრემ მცირის მიერ დამასკელის „წყაროა ცოდნისაჲს“ თარგმნასთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, ეფრემ მცირემ, შემდეგ კი არსენ იყალთოელმა, თარგმნეს „წყაროა ცოდნისაჲს“ მხოლოდ პირველი ნაწილი („დიალექტიკა“) და მესამე ნაწილი („გარდამოცემა“). კ. კეკელიძის სიტყვებით, „მეორე ნაწილი ამ თხზულებისა, რომელსაც ბერძნულად ეწოდება „წვალებათა შესახებ“, ეფრემს არ გადმოუთარგმნია, ალბათ, იმისათვის, რომ მისმა თანამედროვემ, თეოფილე ხუცესმონაზონმა გადმოთარგმნა წყარო დამასკელისა ამ ნაწილში, ეპიფანე კვიპრელის ე. წ. პანარიონის შემოკლება — 'Ανακειφαλισσις“<sup>5</sup>.

კ. კეკელიძის თვალსაზრისი 3 პუნქტს შეიცავს: 1. თეოფილემ თარგმნა ეპიფანე კვიპრელის 'Ανακειφαλισσις, 2. ეს უკანასკნელი წყაროა დამასკელის თხზულებისა „წვალებათა შესახებ“, 3. ეფრემი იცნობდა თეოფილეს თარგმანებს და ამ მიზეზით არ თარგმნა დამასკელის „წვალებათა შესახებ“. საერთოდ, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია აზრი, იოანე დამასკელის ტრილოგიის („წყაროა ცოდნისაჲს“) მე-2 ნაწილი „წვალებათა შესახებ“ არ არის თარგმნილი ქართულად<sup>6</sup>.

თეოფილე ხუცესმონაზონის ქართული თარგმანის შესწავლამ კი ნათელიყო, რომ მათი სახით სწორედ იოანე დამასკელის „წვალებათა შესახებ“ თარგმანთან გვაქვს საქმე და არა ეპიფანე კვიპრელის 'Ανακειφαλισσις-სთან.

საკითხი რომ ნათელი გახდეს, მოკლედ შევეხებით ეპიფანე კვიპრელისა და იოანე დამასკელის აღნიშნულ ნაწარმოებთა ურთიერთმიმართების საკითხს.

ეპიფანე კვიპრელს, IV ს. ცნობილ საეკლესიო მწერალს, ეკუთვნის პოპულარული ნაწარმოები ერესების შესახებ სათაურით Πανάριον<sup>7</sup>.

Πανάριον-ში განხილულია 80 ერესი. იგი შედგება 3 წიგნისაგან, თითოეული წიგნი დაყოფილია 2—2 ტომად. თითოეულ ტომს წინ უძღვის ამ ტომში განხილულ ერესთა საძიებელი. ასე რომ, პანარიონში სულ არის 6 საძიებელი. ყოველი საძიებელი იწყება ერთი და იმავე წინადადებით, თუ რომელი წიგნის რომელ ტომზე იქნება საუბარი და რა და რა ერესებია აქ განხილული.

<sup>4</sup> კ. კეკელიძე, დასახ. შრ., გვ. 246. იმავეს იმეორებენ: რ. მიმინოშვილი, „გარდამოცემის“ ქართული თარგმანები, თბ., 1966, გვ. 23; და ს. შახარაშვილი, ეპიფანე კვიპრელი ძველ ქართულ მწერლობაში, ახალგაზრდა მეცნიერ-ფილოლოგთა და ასპირანტთა რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, თბ., 1984.

<sup>5</sup> კ. კეკელიძე, დასახ. შრ., გვ. 258.

<sup>6</sup> რ. მიმინოშვილი, „გარდამოცემის“ ქართული თარგმანები, თბ., 1966, გვ. 11. იოანე დამასკელი, დიალექტიკა, მ. რაფაეას გამოცემა, თბ., 1976, გვ. 15.

<sup>7</sup> გამოქვეყნებულია PG-ში, ტ. 41, col. 174 — ტ. 42, col. 832.

პანარიონის ბოლო ნაწილში, 80 ერესის შემდეგ, არის Expositio Fidei-რწმენის არსი.

რას წარმოადგენს 'Ανακეφαλαίωσις?

„ანაკეფალაოსისი“, როგორც ცნობილია, არის შემოკლებული გადმოცემა პანარიონისა; კერძოდ, პანარიონიდან ამოკრეფილია საძიებლები და ერთ-მანეთის გვერდით არის დალაგებული. აქაც განხილულია 80 ერესი, მაგრამ 1—20 ერესი თვით პანარიონიდან კი არ არის აღებული, არამედ იმავე ეპიფანეს სხვა თხზულებიდან, რომლის სათაურია 'Η ἀντιγραφήσια πρὸς τοὺς περὶ Ἀκάθαιον καὶ Παῖλον πρῶστέρους ἢ πρὸς αὐτοὺς Ἐπιφανίσιον πρὸς τὰς ἑπτὰ ἀντὶν γραφόντα περὶ τοῦ κατὰ αἰρέσεων γράψαι; αὐτῶν—საპასუხო ეპისტოლე აკაკი და პავლე მღვდელმონაზვნებს<sup>8</sup>.

ეპისტოლე ხელახლა მეორდება პანარიონში, მაგრამ პანარიონის შესაბამისი ტექსტი ბევრად ვრცელია და საკმაოდ განსხვავებულიც „ეპისტოლის“ ტექსტიდან. „ანაკეფალაოსისში“ გვაქვს ის ტექსტი, რაც „ეპისტოლეშია“.

„ანაკეფალაოსისის“ ბოლო ნაწილი არის შემოკლებული გადმოცემა პანარიონის Fide-სი.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ „ანაკეფალაოსისი“ არ ეკუთვნის ეპიფანე კვიპრელს. იგი სხვის მიერ პანარიონის საფუძველზე შედგენილი კომპილაციური შრომაა და V ს. დასაწყისიდან მიეწერება ეპიფანეს სახელს<sup>9</sup>.

ახლა ვნახოთ, რას წარმოადგენს იოანე დამასკელის „წვალებათა შესახებ“. „წვალებათა შესახებ“ არის იოანე დამასკელის ტრილოგიის „წყაროა ცოდნისაჲს“ მე-2 ნაწილი. როგორც ცნობილია, აღნიშნული ტრილოგიის პირველი ნაწილია „დიალექტიკა“, ხოლო მე-3 — „გარდამოცემა უცილობელი მართლმადიდებელთა სარწმუნოებისაჲს“.

იოანე დამასკელის „წვალებათა შესახებ“ ისევე, როგორც „ანაკეფალაოსისი“, კომპილაციური შრომაა. დამასკელის მიერ განხილულია 100 ერესი.

სამეცნიერო ლიტერატურაში ასეთი შეხედულებანი არსებობს „წვალებათა შესახებ“:

3. ბეკის აზრით, საპიროა დამასკელის ორიგინალობის რკვევა<sup>10</sup>. კ. კრუმბაჩერი და ბ. ალტანერი ასახელებენ დამასკელის ამ თხზულების წყაროებს. მათ მიაჩნიათ, რომ აქ განხილული ერესებიდან მხოლოდ ბოლო სამი ერესის (ისლამის, ხატმებრძოლობის, აპოშიტების) განხილვა ეკუთვნის თვით დამასკელს<sup>11</sup>.

ი. გუიარ-ის ცნობით, იოანე დამასკელმა ამ ნაწარმოებში შემოკლებით მოგვცა ეპიფანე (განიხილა მესალიანობა და რამდენიმე ქრისტოლოგიური შეცდომა) და შენიშვნების სახით მოგვცა ის, რაც შემდგომ გახდა ერესიოლოგიის ბიბლია<sup>12</sup>.

<sup>8</sup> ეპისტოლის ტექსტი გამოქვეყნებულია PG 41, col. 156—172.

<sup>9</sup> M. Richard, Les chapitres a Epiphane sur les heresies de Georges Hieromine (VII siecl), Opera Minora, III, Louven, 1977, გვ. 339.

<sup>10</sup> H. Beck, Geschichte der byzantinischen volksliteratur, 1, f. III—V, München, 1971.

<sup>11</sup> K. Krumbacher, Geschichte der byzantinischen Litteratur, გვ. 69. B. Altaner, Patrologie, Freiburg, Basel, Wien, 1978, გვ. 526.

<sup>12</sup> I. Guillard, L'Herésie dans l'empire Byzantin des origenes au XII<sup>e</sup> siecle, Travaux et Memoires, 1, 1965, გვ. 299—324.

მ. რიშარი იოანე დამასკელის „წვალებათა შესახებ“, კერძოდ §§ 1—80 ერესების წიგნს, უწოდებს ეპიფანეს „ანაკეფალაოსისის“ რედაქციას. მკვლევარი აღნიშნავს, რომ დამასკელის რედაქციის რამდენიმე პარაგრაფი მნიშვნელოვან სხვაობას შეიცავს წმ. ეპიფანეს სახელით ცნობილი წიგნის შესაბამისი თავებიდან<sup>13</sup>. ბ. კოტერის სიტყვებით, დიკამპმა გამოთქვა აზრი, რომ „წვალებათა შესახებ“ უცნობი კომპილატორის უნდა იყოს. ასე შევიდა იგი „დოქტრინაში“. აქედან გადაიღო იგი იოანე დამასკელმა თავის „წყაროვ ცოდნისადში“, ან ვილაცამ მოგვიანებით დამასკელს მიაწერა იგი.

ბ. კოტერმა 1983 წ. იოანე დამასკელის შრომათა სერიის მეოთხე ტომად გამოაქვეყნა „წვალებათა შესახებ“. კოტერის სიტყვებით, „იოანე დამასკელი ძირითად მასალად იღებს „ანაკეფალაოსისის“ (ამოკლებს მას მწვალებლობის აღწერამდე), უმატებს უკანასკნელ (მე-80) თავს მესალიანელთა შესახებ, რასაც იგი იმავე წყაროდან თხზავს, საიდანაც გიორგი პრესბიტერი, კერძოდ თეოდორიტე კვირელისაგან, და ურთავს დამატებით 20 თავს, როგორც ჩანს, საკუთარი ცოდნით“<sup>14</sup>.

ამრიგად, მკვლევრები თითქმის ერთნაირი აზრის არიან „ანაკეფალაოსისისა“ და „წვალებათა შესახების“ მიმართების შესახებ. დამასკელის წიგნი არის „ანაკეფალაოსისის“ რედაქცია, იგი ძირითადად იმეორებს „ანაკეფალაოსისის“, დამასკელი ამოკლებს „ანაკეფალაოსისის“. ტექსტების შედარების შედეგად ჩვენთვის უფრო ზუსტად წარმოჩნდა, რომ საერთო ნაწილში (§§ 1—80) „წვალებათა შესახებ“ მიჰყვება „ანაკეფალაოსისის“, მაგრამ ამავე დროს აშკარად სხვაობს მისგან. საილუსტრაციოდ რამდენიმე ნიმუშს დავასახელებთ:

A:

ყεγνηγται... Ἰωανν ἐνος τινος ἀνδρὸς

ὁ τε αἰ γλῶσσαις διηρημένησιν τῶν πάντων δι' ἣν αἰτίαν καὶ Μέροπος πάντες κελήγεται

არ დასტურდება

Καὶ τὸ καλῶσιν φασεσθαι τοῖς δι' αὐτὸν φεσις Πυθιὰ γόραξ ἐδογμάτισεν ἐμπύχων

„სიმონიანელთა“ ერესი სათაურითაა.

„მენანდრელთა“ ერესი

D:

ყეγ:იყუται... Ἰωανος ὁν:ὶν ἀνδρὸς ἐνός

ხაზვასმული სიტყვებო არაა.

საკმაოდ მოზრდილი ფრაზაა.

საკ. სახელი Πυθιὰ γόραξ არ არის.

სათაური არ არის. ტექსტიც განსხვავებულია.

განსხვავებულია.

აშკარად ჩანს, რომ იოანე დამასკელი „ანაკეფალაოსისის“ საფუძველზე თვითონ ახდენს ახალ კომპილაციას.

ახლა ვნახოთ, რას წარმოადგენს თეოფილე ხუცესმონაზონის ქართული თარგმანი. თეოფილეს ტექსტი სიტყვასიტყვით მისდევს დამასკელის თხზულებას „წვალებათა შესახებ“.

<sup>13</sup> M. Richard, Les chapitres a Epiphane sur les hérésies de Georges Hieromone (VII<sup>e</sup> siecle), Opera Minora, III, Looven, 1977, 61 (339).

<sup>14</sup> B. Kotter, Die Schriften des Iohannes von Damaskos, IV, Berlin, New Iork, 1981.

აგებულებით, ე. ი. ერესების საძიებლების განლაგებით, თარგმანი ზუსტად მისდევს „წვალენტათა შესახებ“ წიგნს და არა „ანაკეფალაოსისს“.

გარდა სტრუქტურული მსგავსებისა, არსებობს მთელი რიგი მონაცემები, რომლებიც ავლენენ ქართული თარგმანის იოანე დამასკელის ტექსტიდან მომდინარეობას:

1. უპირველეს ყოვლისა, ეს არის ტექსტობრივი სიახლოვე. თეოფილეს თარგმანი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში იმეორებს დამასკელის ტექსტს და არა „ანაკეფალაოსისს“. აი, რამდენიმე ნიმუში:

ა) დასაწყისში, ვიდრე პირველი ერესი, ბარბარისმოს, დაიწყებოდეს, „ეპისტოლეში“ (col. 158—166) და „ანაკეფალაოსისში“ (col. 833—880) არის ვრცელი შესავალი, რაც არ დასტურდება დამასკელის ტექსტში, არ არის იგი არც ქართულ თარგმანში.

ბ) ვრცელი ტექსტი დასტურდება „პანარიონსა“ (273—280) და „ანაკეფალაოსისში“ (848—853) 21-ე ერესის შემდეგ, ვიდრე 22-ე ერესი (სიმონიანელი) დაიწყებოდეს. ამ ადგილას ლაპარაკია ქრისტეს განხორციელებაზე. ეს ფრაგმენტი არაა დამასკელის ტექსტში, არ არის არც ქართულ თარგმანში.

გ) სიმონიანელთა ერესის შემცველი ტექსტი განსხვავებულია „პანარიონსა“ და „ანაკეფალაოსისში“ (col. 853). დამასკელი მიჰყვება „პანარიონს“, ქართული იმეორებს დამასკელის ტექსტს.

დ) ზუსტად ანალოგიური სურათია მე-2 ერესის, მენანდრელთა შესახებ, არსებულ ფრაგმენტში.

ტექსტობრივი წყაიხვევებითაც თეოფილეს თარგმანი ყოველთვის მიჰყვება დამასკელის ტექსტს და შორდება „ანაკეფალაოსისს“. მაგ.:

„რომელთაგან მიიცვალა პირველობა ელენთა ზედა კეკროპის ჰასაკითგან და შემდგომად“.

D — ἀφ' ὧν τὰ πρῶτα εἰς Ἑλληνας μετηγέχθη ἀπὸ τῆς κέκροπος ἡλικίας καὶ καθαρῆς.

A — ἀφ' ὧν τὰ πλεῖστα εἰς Ἑλληνας... ἡλικία τε καὶ χρόνον καὶ καθαρῆς.

„ხატება მიიღო წინადაცუთითთაჲ“.

D — τὸν χαρακτῆρα διὰ περιτομῆς εἰληφῶς,

A — τὸν χαρακτῆρα ... εἰληφῶς.

95v-ზე არის სიტყვა „არაბნი“, რაც არის დამასკელის ტექსტში და არ არის ეპიფანეს თხზულებაში.

„სრულება იგი იუდაელთა სახელისაჲ დაცულ იქმნა“.

D — τὸ τέλος τῶν Ἰουδαίων ὀνόματος κεκληρωμένους,

A — τὸ τέλος — κεκληρωμένους.

„დღითი დღე ნათელ იღებდეს“.

D — καθ' ἑκάστην ἡμέραν βλαπίζατο.

A — καθ' ἑκάστη ... βλαπίζατο.

არე

D — ῥέαν] Ῥρα (სქოლიოში).

A — ῥέαν.

„იქმნეს ... იონაჲ ვისგანმე კაცისა“.

D — γεγένηται... Ἰωάν ἕως τίνος ἀνδρῶς.

A — — Ἰωανὸς υἱὸς ἀνδρῶς ἑνὸς.

„სამართელთა ნათესავი არს ოთხ“ (სინგურით სათაურია).

D — ცალკე სათაურია.

A — ცალკე სათაურად არაა.

გარეშე იეზოსელთა წესისა.

D — *παρὰ τὴν Ἱεβραϊστίαν*.

A — . . . Ἑβραϊστίαν.

„რომელსა შინა ახსენებს ათცამეტთა მათ წვალებათა, რომელნი-იგი ჰპოენე ქრისტიანეთა შორის“.

D — *...περὶ αἰρέσεων δεκατριῶν ὅν παρὰ χριστιανοῖς αἰρέσεις.*

A — --- εἰς αἰρέσεις δεκατριῶν ὄντων.

„სახელი არს სამას სამოცდახუთი და ამას იტყვან, ვითარმედ ესე არს წმიდაჲ სახელი“.

D — *Ὁνομα εἶναι: τξξ καὶ τσντ φησιν ἄγιοι θνομα.*

A — *Ὁνομα θνατάμωσ δ φέρει: ψήφον τξξ' καὶ εἶναι φησι: τσντο ἄγιοι*

Πνευμα.

„რომელი-იგი იხინა მოციქულთა მიერ მსახურებად საკმარსა მას“.

D — --- ἐπὶ ταῖς χρείαις.

A — --- ἐπὶ ταῖς χήραις.

„სხუანი ბარბაროზებრნი სახელნი შემოიხუნა სოფლად“.

D — *ἄλλων βαρβαρικῶν ὀνομάτων εἰσπαγῶν τφ κόσμου,*

A — *ἄλλων βαρβαρικῶν ὀνομάτων ἃ τφ κόσμου μασαρχῶ εἰσηγησαιο.*

გარდა ტექსტობრივი მსგავსებისა, არსებობს კიდევ ორი გარემოება, რომელიც სრული უეშველობით ცხადყოფს იმას, რომ თეოფილეს უთარგმნია დამასკელის „წვალებათა შესახებ“. საქმე შემდეგშია:

ქართულ თარგმანში 80 ერესის განხილვას მოსდევს ორი სტატია მესალიანურ წვალებათზე. ქართული თარგმანი ზუსტად იმეორებს იმას, რაც დამასკელის „წვალებათა შესახებ“ წიგნში დასტურდება. სწორედ აქ გვაქვს 2 სტატია მესალიანელებზე. არც „ანაკეფალაფოსისში“, არც „პანარიონში“ არ გვაქვს ეს სტატიები. მართალია, „პანარიონში“ დასტურდება ცალკე თავი მესალიანელებზე, მაგრამ იგი სულ სხვა შინაარსისაა. ამრიგად, ფაქტია, რომ ქართულ თარგმანში მესალიანელებზე 2 სტატია სწორედ იქიდან გაჩნდა, რომ თეოფილეს ზელთ ჰქონდა დამასკელის „წვალებათა შესახებ“, რომელშიც ეპიფანეს 80 ერესს მოსდევდა სტატიები მესალიანელებზე.

ამას ადასტურებს ქართული სათაურიც პირველი სტატიისა.

„ესეცა თავნი მისვე წიგნისაგან მესალიანელთა უშჯულოებითთა შჯულთა ე-თარებისა წარმომაჩინებელნი“. შევადაროთ მას ბერძნული სათაური:

*Κεφάλαια τῶν τῶν Μασσαλιανῶν θησασειῶν θήγματος ἀναληφθῆντα ἐκ τῶν βίβλιου ἀντῶν.* ბერძნული სათაურის მიხედვით ცნაურდება, რომ ავტორს, იოანე დამასკელს, მესალიანელებზე თავები ამოუკრეფია ამ ერესის მიმდევართა წიგნებიდან — *ἐκ τῶν βίβλιου ἀντῶν* (გამომცემელი ბ. კოტერი კრიტიკულ აპარატში უთითებს ამ წიგნებს. სხვათა შორის, ინტერესს მოკლებული არ იქნება იმის აღნიშვნა, რომ ყველაზე ხშირად ციტირებულია მაკარი ღეგეპიტელის შრომები). რა სურათია ქართულ თარგმანში? ქართულში წერია: „ესეცა თავნი მისვე წიგნისაგან“ და არა „მათივე წიგნიდან“, როგორც არის ბერძნულ დედანში. „ესეცა თავნი მისვე წიგნისაგან“ კი მიგვანიშნებს

იმაზე, რომ თეოფილეს ეს სტატიებიც უთარგმნია იმავე წიგნიდან, საიდანაც წინა 80 ერესის შემცველი ტექსტი. 80 ერესი და მესალთანელები კი ერთად არის დამასკელის წიგნში „წვალებათა შესახებ“.

2. კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ავლენს ქართული თარგმანის დამასკელის წიგნიდან მომდინარეობას, არის შემდეგი: არც იოანე დამასკელის ნაწარმოებში, არც ქართულ თარგმანში არ გვაქვს ის ვრცელი ტექსტი *Expositio Fidei*, რაც დასტურდება „ანაექვალაოსისა“ და „პანარიონში“ 80 ერესის ჩამოთვლის შემდეგ. აქაც ქართული თარგმანი მიჰყვება იოანე დამასკელის ტექსტს.

მონობილი მასალა სრული უეჭველობით ამტკიცებს, რომ თეოფილე ხუცესმონაზონის თარგმანი წარმოადგენს დამასკელის „წვალებათა შესახებ“ თარგმანს.

ახლა პირველსავე სიტყვასა აღვიდეთ, ანუ მივუბრუნდეთ იმ საკითხს, რითაც დავიწყეთ: დამასკელის „წვალებათა შესახებ“ არის შემადგენელი ნაწილი „წყაროა ცოდნისაჲსა“ „დიალექტიკასა“ და „გარდამოცემასთან“ ერთად. ეფრემ მცირემ და არსენ იყალთოელმა ცალ-ცალკე თარგმნეს „დიალექტიკა“ და „გარდამოცემა“. იხადება კითხვა, რატომ არ თარგმნეს მათ მე-2 ნაწილი ტრილოგიისა „წვალებათა შესახებ“?

კ. კეკელიძის მოსაზრებით, ეფრემ მცირემ იმიტომ არ თარგმნა იგი, რომ მისმა თანამედროვემ, თეოფილემ, თარგმნა წყარო დამასკელისა ამ ნაწილში ებიფანეს „ანაექვალაოსისი“.

მაგრამ ეფრემის მთარგმნელობითი მოღვაწეობიდან ცნობილია, რომ ეფრემი ზოგჯერ გარკვეული მოსაზრებებით ხელახლა თარგმნის იმას, რაც მისი წინამორბედის ან თანამედროვის მიერ უკვე თარგმნილია. იგივე „წყაროა ცოდნისაჲსა“. მისი პირველი და მესამე ნაწილები ცალ-ცალკე თარგმნეს ეფრემმა და არსენ იყალთოელმა და, რაც მთავარია, მათ ერთმანეთის თარგმანის არსებობა იციან. უფრო ზუსტად: არსენ იყალთოელი რაღაც მონაწილეობას იღებს ეფრემის თარგმანში. რაღა მეორე ნაწილის მიმართ გაჩნდა შემადგერხებელი მიზეზი: რახან თეოფილემ თარგმნა, ამიტომ ეფრემმა ხელი არ მოჰკიდა მას.

შემდეგ, ცნობილი ფაქტია, რომ ეფრემს ხელმეორედ უთარგმნია გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვები, მიუხედავად იმისა, რომ მათგან საკმაოდ დიდი ნაწილის ადრეული თარგმანებიც არსებობდა, დავით ტბელისა და ეფთვიმე მთაწმიდლის მიერ შესრულებული. მართალია, თვით ეფრემ მცირე ამას გარკვეულ ახსნას უძებნის, უფრო სწორედ, იბოდიშებს, რომ გარკვეული მოსაზრებებით ხელმეორედ თარგმნის გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვებს, მაგრამ ფაქტია, რომ იგი ადრე ნათარგმნს ხელმეორედ თარგმნის.

უფრო ბუნებრივია ვიფიქროთ:

1. ეფრემ მცირემ და არსენ იყალთოელმა ან არ იციან, რომ „წვალებათა შესახებ“ „წყაროა ცოდნისაჲსა“ ნაწილია, ე. ი. ეკუთვნის იოანე დამასკელს.

2. ან მათ ხელთ ისეთი დედანი ჰქონდათ, სადაც მხოლოდ „დიალექტიკა“ და „გარდამოცემა“ იყო წარმოდგენილი და ამდენად „წვალებათა შესახებ“ თარგმნის საკითხი მათ წინაშე საერთოდ არც დამდგარა.

ეფრემ მცირე „წყაროა ცოდნისაჲსა“ თარგმანს ურთავს საკუთარ, ორიგინალურ წინასიტყვაობას, რომელშიც ორჯერ, სხვადასხვა ადგილას, აღნიშნავს, რომ დამასკელის წიგნი (რომელსაც თარგმნის) შედგება 50 საფილოსოფოსო

თავისაგან (ე. ი. „დიალექტიკისაგან“) და 100 საეკლესიო თავისაგან (ე. ი. „გარდამოცემისაგან“): „აჰა, ესერა გქონან ასნი თავნი საეკლესიონი ორმოცდაათთა თავთა მიერ საფილოსოფოსოთა გარეშეზღუდვილნი, და არცა ესენი სრულ არიან უმათოდ, არცა ივინი უამათოდ“<sup>15</sup>.

საფილოსოფოსო და საეკლესიო თავების ერთად არსებობა მნიშვნელოვანი ფაქტია ეფრემ მცირისათვის იმდენად, რომ საგანგებოდ აფრთხილებს მკითხველს: თუ ვინმეს „ახალი ესე სწადდეს გარდაწერად, მას ამას თანა ნუ გაჰრევს, ნუცა ამას მას თანა, არამედ უკუეთუ ამას დაიწერდეს, ესე იღუაწენ, რაჲთა არარაჲ დააკლოს, არა ხოლო ასორმოცდაათთა ამათ თავთაგანი პირველით ებისტოლითურთ, არამედ არცაღა ჩუენი ესე კადრებული და მოზრახული“<sup>16</sup>.

აქაც ეფრემი გარკვევით ლაპარაკობს მხოლოდ 150 თავზე (ე. ი. „დიალექტიკასა“ და „გარდამოცემაზე“). ისიც იცის, რომ მათ წინ უძღვის თვით დამასკელის ეპისტოლე კოზმა მიაუმის ეპისკოპოსისადმი. დამასკელის შრომას იგი საკუთარ „მოზრახულს“ ურთავს.

საყურადღებოა ეფრემის პოზიცია ასეთი ხასიათის ნაწარმოებების თარგმნის საკითხებში. ეს გარკვევით ჩანს ამავე წინასიტყვაობიდან. წმინდა და გამოჩენილი ადამიანების ნაწერთა შეცვლა დაუშვებელია: „ვერვინ იკადრებს შეხებას... არათუ ვინმე იყოს სულელ, უფროსლა მწვალებელ და განვრდომილ ეკლესიისაგან“. წმინდა მამათა ტექსტებისადმი, ამ შემთხვევაში იოანე დამასკელის ტექსტისადმი, თავის დამოკიდებულებას ეფრემ მცირე იმაშიც ამჟღავნებს, რომ მისი სიტყვებით, „დიალექტიკა“, მართალია, გარეშეთა წიგნთა და „საფილოსოფოსოთა სწავლულებისაგანია“, მაგრამ „მე დაჰრასა და განბძარვასა წიგნისასა მცირედი პირი ვირჩიე და თქუენცა ამასვე გვევდრები, მკითხველთა და გარდაწერელთა, რაჲთა არა დაუტეოთ ამათი დაწერაჲ რეცა სიღრმისათჳს უკმარ საგონებელობისათჳს“<sup>17</sup>.

როგორც ჩანს, ეფრემის მთარგმნელობითი მოღვაწეობის მთავარ პრინციპს წარმოადგენდა ის, რომ იგი სასტიკი წინააღმდეგაა წიგნის „დაჰრისა და განბძარვისა“, ე. ი. წიგნის ერთი ნაწილის თარგმნისა, ხოლო მეორე ნაწილის უთარგმნელად დატოვებისა. სრულიად გამორიცხულია, რომ ამ პრინციპის მატარებელ ეფრემ მცირეს სცოდნოდა, რომ დამასკელის „წყაროჲ ცოდნისაჲში“ შედის „წვალებათა შესახებ“ და არ ეთარგმნა იგი, გაეკეთებინა ის, რასაც სხვას უშლიდა: დაეჰრა და განებძარა წიგნი.

ეფრემ მცირის მსგავსად, არსენ იყალთოელის მთარგმნელობითი საქმიანობის ხასიათიც გამოირჩეოდა სათარგმნი ტექსტისადმი პედანტური ერთგულებით, რაც გამოიხატება მისსავე სიტყვებში: „არცა რაჲ დამიგდია და არცა რაჲ ზეპირითა დამირთავს“. არსენის ასეთი პოზიცია გამორიცხავს იმას, რომ მას შეეძლო „ელაღატა“ ბერძნული დედნისათვის. „წყაროჲ ცოდნისაჲს“ მისთვის ცნობილ ნუსხებში „წვალებათა შესახებ“ რომ ყოფილიყო, ან რომ სცოდნოდა, რომ იგი იოანე დამასკელის შრომაა, უეჭველად თარგმნიდა მას. ამას გვაფიქრებინებს შემდეგი: ა) არსენის დროსაც არსებობდა მყარი ბიზანტიური ტრადიცია: ერთ ნაწარმოებში ეჩვენებინათ საეკლესიო მოძღვრების ქუშმარტი არსი და მწვალებლობების ცდომილებანი.

15 იოანე დამასკელი, დიალექტიკა, გვ. 67.

16 იქვე, გვ. 68.

17 იქვე, გვ. 66.



ასეთი იყო ეპიფანე კვიპრელის „პანარიონი“; თეოდორიტე კვირელის „წვალბლური შინაარსის კომპენდიუმი“, ექვთიმე ზილაბენის Panoplia dogmatika, ნიკიტა ხონიატის Thesaurus<sup>18</sup>. ბ) მეორეც იმიტომ, რომ არსენ იყალთოელმა შეადგინა ერესების საწინააღმდეგო სპეციალური დანიშნულების კრებული „დოგმატიკონი“, თავი მოუყარა სხვადასხვა ავტორთა ანტი-ერესულ თხზულებებს. წარმოდგენელია, ასეთ კრებულში მას არ შეეტანა სპეციალურად ერესებზე დაწერილი ნაწარმოები.

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ არსენ იყალთოელმა „წვალბათა შესახებ“ არ თარგმნა იმ მიზეზის გამო, რომ ამ ნაწარმოებში განხილული ერესები — დასაბამიდან ბოლომდე — აქტუალური არ იყო მის დროს. მართლაც, წიგნში „წვალბათა შესახებ“ განხილული ერესები, რომლებიც 4 ძირითად ჯგუფში (ბარბაროზობა, სკვითობა, წარმართობა, იუდეველნი) ერთიანდებიან, მაინცდამაინც ახალს არაფერს სძენდა „დოგმატიკონის“ არსებით მიზანდასახულებას: სამება ერთარსებისა და ძე ღმერთის ბუნებისა და ჰიპოსტასის მიმართების შესახებ ქრისტოლოგიური დოქტრინის დაცვას.

და მიუხედავად ამისა, არსენ იყალთოელი, ვიმეორებთ, იოანე დამასკელის „წყაროჲ ცოდნისაჲს“ მე-2 ნაწილს არ დატოვებდა უთარგმნელად, რომ არ ყოფილიყო გარკვეული მომენტები, რომელთა გამო მან არ თარგმნა „წვალბათა შესახებ“.

„წვალბათა შესახებ“ ტექსტისადმი ქართველი მოღვაწეების დამოკიდებულების გასარკვევად საყურადღებოა ბერძნული ხელნაწერების ტრადიციის გათვალისწინება. ბერძნული ტექსტის გამომცემელ ბ. კოტერს ტექსტის დასადგენად გამოუყენებია 10 ხელნაწერი: № 220—C, № 594—T, № 323—B, № 754—W (X ს-ისა), № 724—P, № 506—S, № 484—U, № 367—R, № 166—(XI ს-ისა), № 495—D (XII ს-ისა).

ამათგან 6 ხელნაწერში „წვალბათა შესახებ“ დასტურდება „დიალექტიკისა“ და „გარდამოცემასთან“ ერთად, თანაც სამივე ნაწარმოები სხვადასხვა თანმიმდევრობით არის წარმოდგენილი: № 220, 323—EHD, № 495—DEH, № 166—EDH, № 594—HDE, № 724—DHE<sup>19</sup>.

ამათგან ერთადერთ (№ 724) ხელნაწერში შესრულებულია ის პროგრამა, რასაც ისახავს მიზნად იოანე დამასკელი „წყაროჲ ცოდნისაჲსადმი“ წამძღვრებულ შესავალში, კერძოდ: „პირველად უკუე განვაწესნე წიგნსა ამას შინა ჩუენსა წარმართთა მათ ბრძენთა სიტყუებისაგან უმჯობესნი და უკეთესნი [ეს არის „დიალექტიკა“], ამისსა შემდგომად შეუღდინნე ღმრთისმობაგებულთა მათ წვალბათა ზრახვანი [„წვალბათა შესახებ“], ამისსა შემდგომად... განვაწესო სიტყუჲჲ ჰუმარიტებისაჲ“ [„გარდამოცემა“]<sup>20</sup>, ე. ი. მისი მიზანია ფილოსოფიურ თავებსა და გარდამოცემას შორის ასახოს მწვალბელობის ისტორია.

4 ბერძნულ ნუსხაში (№№ 484, 506, 754 — კანონიკური კრებულებია; № 367 — თეოლოგიური ხასიათის კრებული) „წვალბათა შესახებ“ ცალკე, დამოუკიდებლად გვხვდება, „დიალექტიკისა“ და „გარდამოცემის“ გარეშე.

<sup>18</sup> I. Guillard, L'Herésie dans..., გვ. 293—324.

<sup>19</sup> E—Expositio fidei, H—Heresis-Liber de haeresibus, D—Dialectika.

<sup>20</sup> იოანე დამასკელი, დიალექტიკა, გვ. 72—73.

ავტორადაც ბერძნული ნუსხები სხვადასხვა პირს ასახელებენ. 3 ხელნაწერში (№№ 506, 594, 754) ავტორი ეპიფანე კვიპრელია, 2 ნუსხაში (№№ 323, 724) ავტორად იოანეა დასახელებული, ერთ ხელნაწერს (№ 220) დასაწყისი აკლია, ხოლო 4 ნუსხაში (№№ 166, 367, 484, 495) ავტორი უცნობია.

ის გარემოება, რომ ბერძნულ ნუსხებში ავტორად ხან ეპიფანეა დასახელებული, ხან იოანე, ხან ანონიმი პიროვნება, თანაც ტექსტი სხვადასხვა მოცულობით არის დაცული, ხან ტრილოგიაშია წარმოდგენილი, ხან დამოუკიდებელი სახით, ჩვენი აზრით, იყო ერთ-ერთი მიზეზი, რომელმაც განაპირობა ეფრემ მცირისა და არსენ იყალთოელის მხრივ „წვალებათა შესახებ“ ტექსტისადმი დამოკიდებულება.

შესაძლოა, ეფრემსა და არსენს ისეთი ბერძნული დედნები ჰქონდათ ხელთ, რომლებშიც „წყაროა ცოდნისაჲ“ წარმოდგენილი იყო მხოლოდ „ღიალექტიკითა“ და „გარდამოცემით“ და ამდენად, მათ წინაშე არც დამდგარა „წვალებათა შესახებ“ თარგმნის საკითხი.

თუმცა ძნელი დასაჯერებელია, რომ როგორც ეფრემ მცირეს, ისე არსენ იყალთოელს, ორივეს მაინცადამაინც ერთნაირი შედგენილობის ბერძნული დედანი ჰქონდათ. რამდენადაც ცნობილია, ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი მათ მიერ „წყაროა ცოდნისაჲ“, განსაკუთრებით „ღიალექტიკის“, ხელმეორედ თარგმნისა ის იყო, რომ მათ სხვადასხვა რედაქციის შემცველი ტექსტები, სხვადასხვა ნუსხა ჰქონდათ ხელთ<sup>21</sup>.

თანაც, როგორც ჩანს, ბერძნულ ნუსხათა უმრავლესობაში „წვალებათა შესახებ“ „ღიალექტიკისა“ და „გარდამოცემისთან“ ერთად არის. ნუთუ ამ უმრავლესობიდან არც ერთის არსებობა არ იცოდნენ ეფრემმა და არსენმა?!

ამდენად, უფრო საფიქრებელია, რომ შრომის კომპილაციურმა ხასიათმა (რომელზეც შემდგომ ვილაპარაკებთ), აგრეთვე იმან, რომ ზოგიერთ ბერძნულ ნუსხაში ეპიფანეა მოხსენებული, ბუნებრივად შექმნა აზრი, რომ იგი არ ეკუთვნოდა იოანე დამასკელს.

აშკარაა, რომ ეს ტექსტი თეოფილეს დამასკელის შრომად არ მიაჩნია. ეს ჩანს სათაურიდანაც:

ქართული დასათარება — „წმიდისა ეპიფანე კვიპრელ მთავარეპისკოპოსისაჲ პასუხი ეპისტოლისაჲ, რომელი მიუწერეს მღვდელთავე მისთა აკაკიოს და პავლე თავთავოანებისათჳს ოთხმეოცთა მათ წვალებათაჲსა“ — სრულიად არ შეესატყვისება იმ დასათარებებს, რომლებიც დამასკელის ტექსტში დადასტურებული აქვს ბ. კოტერს. შდრ.: Περὶ αἰρέσεων ἐν συντομίᾳ ἐκ τῶν βίβλων ἠρξάντων καὶ πῶθεν γέγοναν (სქოლიოში სხვა დასათარებებია: τῶν ἀγίων Ἐπιφανίου ἐπισκόπου Κύπρου πύλων Κοσταντίας ST; τῶν μακαρίου Ἐπιφανίου ἐπισκόπου Κύπρου βίβλων; σύντομος τῶν ἐκτεθεισῶν αἰρέσεων W; ποία(!) καὶ πῶθεν καὶ πόσαι αἰρέσεις Q pr.; κερφάλαιον δὲ τῆς πανθῆκτου πόνηγια Ἰωαννου μοναχοῦ BP, om DR.

ქართული დასათარება არ მიჰყვება არც დამასკელის ტექსტს, არც „ანაკეფალაოსისს“, არც „პანარიონს“. იგი რამდენადმე ჰგავს იმას, რაც აქვს ეპიფანეს „პასუხი ეპისტოლისაჲს“. შდრ. Ἡ ἀναίρησις πρὸς τοὺς περὶ Ἀκάκιον καὶ Παύλον πρῶτον ἐπιφανίου πρὸς τὰ ἑπτὰ ἀντὶ ἀντὶ ἠρξάντων περὶ τοῦ κατὰ αἰρέσεων κερφάλου ἀντὶν (col. 157).

<sup>21</sup> რ. შიშინიშვილი, „გარდამოცემის“..., გვ. 115. იოანე დამასკელი, ღიალექტიკა, გვ. 18, 47.

სათაურის მიხედვით სრულიად აშკარაა თეოფილე მთარგმნელის პოზიცია: მისი ღრმა რწმენით, იგი თარგმნის ეპიფანეს „პასუსს ეპისტოლისას“, სინამდვილეში კი, როგორც გაირკვა, მას ხელთ აქვს იოანე დამასკელისეული კომპილაცია ეპიფანესი და სხვათა შრომებისა.

ამრიგად, ქართული მასალის ანალიზით გაირკვა: XI ს-ის მიწურულის ქართულ მწერლობაში „წვალებათა შესახებ“ არ მიაჩნდათ იოანე დამასკელის ნაწარმოებად. შესაძლოა, მხოლოდ მოგვიანებით, XIII ს-ში, იქნა გაცნობიერებული, რომ „წვალებათა შესახებ“ გარკვეულ კავშირშია „წყაროა ცოდნისაჲსთან“, რასაც მიაჩნებენ ის ფაქტი, რომ A 205 ხელნაწერში იგი „დიალექტიკისა“ და „გარდამოცემის“ ადგილას არის მოთავსებული.

ქართული სამწერლობო ტრადიცია, თქმა არ უნდა, იმ ვითარებას ავლენს, რაც ერთგვარი სკეფსისის სახით არსებობდა იმდროინდელ ბიზანტიურ მწერლობაში და რაც დღესაც არსებობს სამეცნიერო ლიტერატურაში იოანე დამასკელის „წვალებათა შესახებ“.

ამ სკეფსისის უშუალოდ გამომწვევი მიზეზები უნდა ვეძიოთ იმდროინდელი ბიზანტიური მწერლობისთვის ტიპოლოგიურ სხვადასხვა ფაქტორში, მათ შორის გამოყოფთ შუასაუკუნეობრივ ნაწარმოებთათვის დამახასიათებელ კომპილაციურობასა და ანონიმურობას.

შუასაუკუნეობრივი გაგებით, კომპილაცია შემოქმედებით ფაქტორს უტოლდებოდა. წინა პერიოდის დიდ ავტორიტეტთა ნათქვამის რაც შეიძლება უცვლელად და ზუსტად გამეორება და ერთიან სისტემაში კონსტრუირება — წარმოადგენდა შუასაუკუნეობრივი კომპილატორული საქმიანობის არსს. ამის გამო შუასაუკუნეობრივი გაგებით, არ არსებობდა პლაგიატის ცნება<sup>22</sup>. ანავე დროს, ამ ტენდენციებით გამსჭვალული მწერლობა ხშირ შემთხვევაში ანონიმურიც იყო. შუასაუკუნეობრივი მოღვაწე თავის საკუთარ „მე“-ს ანონიმად ტოვებდა და დიდი ავტორიტეტების სახელს ეფარებოდა. ასეთი თხზულებები ხშირად ნამდვილი ავტორის გარეშე რჩებოდა, მით უმეტეს გარკვეული პერიოდის გავლის შემდეგ, და თუ რაიმე კონკრეტული შემთხვევა, ან გარკვეული ისტორიული ბედისწყალობა არ ამოატეხტივებდა, ავტორის სახელი სამუდამოდ უცნობი რჩებოდა მწერლობის ისტორიაში.

იოანე დამასკელის ნაწარმოებები საუკეთესო ნიმუშია შუასაუკუნეობრივი გაგებით შესრულებული კომპილაციისა. კომპილაცია მის მიერ თითქმის ვირტუოზობამდეა აყვანილი. სხვათა შორის, გამოთქმულია აზრი: ორიგინალობითა და შემოქმედებითი თავისთავადობით გამოირჩევა მისი პოეტური რემეკიდრობა-სავალბლები, ხოლო თეოლოგიურ-დოგმატიკური თხზულებები ერთიანი მიზანდასახულობით აგებული კომპილაციის ნიმუშია.

იოანე დამასკელის მიერ „წყაროა ცოდნისაჲს“ შესავალში გაცხადებულია შემდეგი: „ხოლო ვთქუა ჩემი არარაჲ... არამედ უწარჩინებულესთა მოძღუართა ნამუშავეისა ერთად შემკრებელმან შემოკლებულ ცყო სიტყუაჲ, რაოდენ მეძლოს“.

ეს აზრი შუა საუკუნეთა მოღვაწის ტიპური კრედაა. შემოქმედის ასეთი პოზიციიდან გამომდინარე ახდენდა იოანე დამასკელი ციტირებას სხვათა შრომებიდან, მთელი რიგი ადგილების გამოკრებას, ზოგჯერ მთელი ნაწარმოების გამოყენებასაც კი. ამ პრინციპებით არის შედგენილი მისი „დიალექტიკისა“.

<sup>22</sup> Г. Г. Майоров, Формирование средневековой философии, М., 1979, с. 10.

ტიკა“, რომლის წყაროდ გამოყენებულია არისტოტელეს, ამონიოსის და პორფირის შრომები. ასევეა შედგენილი „გარდამოცემა“ და მისი ცნობილი *‘Ierx̄ Παράλληλ.* ამ უკანასკნელში (არსენის თარგმანი დადასტურებულია „დოკმატიკონში“), როგორც შედარების შედეგად ნათელი გახდა ჩვენთვის, სრულიად უცვლელად, თითქმის სიტყვისიტყვით შესულია საკმაოდ დიდი პასაჟები გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვებიდან ქრისტეს შობაზე, ნათელთათვის, პირველი თეოლოგიური სიტყვიდან, ასევე ბასილი დიდის, გრიგოლ ნოსელის, კირილე ალექსანდრიელისა და სხვათა შრომებიდან<sup>23</sup>. თითოეულ მათგანთან დამასკელის მიერ მითითებულია ავტორი და წყარო. თუ ამა თუ იმ ავტორის რომელიმე შრომიდან რაღაც ნაწყვეტებია გამოკრებილი, მაშინ აღნიშნულია: ამისგან და ამისგანო. მაგ., „გრიგოლი ღვთისმეტყველისაჲ ქრისტეს შობისათჳს სათქუმელისაგან“, „მისივე სულისათჳს თქმულისაგან“, „ბასილისი ამფილოქესმიმართთა ოცდაათთა თეოთავანი“, „ნოსელისაჲ მამათ ჩუენოსა თარგმანისაგან“ და ა. შ.

მაგრამ თუ რომელიმე ავტორის ნაწარმოები მთლიანად აქვს მოყვანილი, მაშინ მითითება ასეთია: „ამბროსი მედიოლანელ ეპისკოპოსისაჲ...“, „ლმრთისმეტყველისაჲ... კლიდონის მიმართ, რომელი შემოღებულ იქნა...“<sup>24</sup>.

სარგებლობის ზუსტად ასეთი პრინციპებით არის შედგენილი „წვალებათა შესახებ“, როგორც ამას მისი შემადგენელი ნაწილების სათაურები მიგვანიშნებს.

დავიწყებთ ბოლო, მე-3 ნაწილიდან. ეს უკანასკნელი, როგორც ფიქრობენ, თავით დამასკელის მიერ არის შეთხზული. ალბათ ამით აიხსნება, რომ ამ ნაწილს არავითარი დასათაურება არა აქვს.

მე-2 ნაწილი, როგორც ითქვა, არის სტატიები მესალიანელებზე. პირველი სტატიის სახელწოდებაში მითითებულია წყარო *ἐκ τῶν βίβλων ἀντῶν* (მათვე წიგნისაგან). ასევე აღნიშნულია წყარო მე-2 სტატიის სახელწოდებაშიც: „თხრობისაგან თეოდორიტისისა“. „თხრობისაგან“ გვაქვს, რადგან თეოდორიტე კვირელის შრომა მთლიანად კი არა აქვს გამოყენებული დამასკელს, არამედ ერთი თავი მისი შრომიდან, რომელშიც მესალიანელებია დაგმობილი.

რაც შეეხება პირველ ნაწილს (§§ 1—80), მისი სათაური ბერძნულ ხელნაწერებში ასეთია: *τὸν ἀγίου Ἐπιφάνιου ἐπιστολῶν Κόνσταντῖναι;* ან: *τὸν μακαρίου Ἐπιφάνιου ἐπιστολῶν Κόνσταντῖναι δι' ἡγήτου σὺντομοῦ τῶν ἐκτεθεισῶν ἀρτίστων;* ან *κατάλοιον λβ' τῆς παρθένου πονηρίας Ἰωάννου μονάχου BP*, ან ავტორის მითითების გარეშეა. ვინაიდან ეპიფანეს შრომა მთლიანად გამოყენებულია დამასკელს, ამდენად არც იყო მოსალოდნელი ეთქვა: ამისგან და ამისგან თქმულიო, როგორც ეს გვაქვს თეოდორიტე კვირელის შრომასთან. სესხებისა და კომპილაციის ასეთი მეთოდებით არის შედგენილი „წვალებათა შესახებ“. მაგრამ იგი მაინც გამორჩეულად სპეციფიკურია. საქმე იმაშია, რომ „დიალექტიკასა“ და „გარდამოცემაში“ კომპილაცია ისეთი მეთოდებით არის შესრულებული, რომ გამოყენებული წყაროებიდან აღებულია ფრაგმენტები, რაღაც მონაკვეთები, რომელთაც ავტორი საკუთარ აზროვნებით ქურაში ატარებს, სისტემაში აქცევს. რაც შეეხება „წვალებათა შესახებ“ ნაწარმოებს,

<sup>23</sup> S 1463, 138v.

<sup>24</sup> წყაროთი სარგებლობის მსგავსი მეთოდი ბევრ შუასაუკუნეობრივ ძეგლში შეინიშნება.

აქ ფრაგმენტებთან და წყაროთი სარგებლობასთან კი არ ვვაქვს საქმე, არამედ ამ წყაროს მთლიანად გამოყენებასთან. ჯერ აღებულია ეპიტანეს შრომა სრული სახით, მერე სხვა ავტორის შრომა ასევე სრულად და ა. შ.

ჩვენი აზრით, სრულიად უეჭველია, რომ კომპილაციის ასეთმა ხასიათმა, ასევე იმან, რომ კომპილატორის ვინაობა ანონიმური იყო, შექმნა საფუძველი იმისათვის, რომ ძველმა ქართველმა მოღვაწეებმა „წვალებათა შესახებ“ არ მიიჩნიეს იოანე დამასკელის თხზულებად.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაშიც ეჭვია გამოთქმული: შეიძლება თუ არა ამ ნაწარმოების მიმართ ვამტკიცოთ იოანე დამასკელის ორიგინალობა? მკვლევრები ეყრდნობიან ბერძნულ ზელნაწერთა მონაცემებს. ასეთ ვითარებაში, სრულიად აშკარაა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია და აუცილებელი ქართული მასალის გათვალისწინება. XI—XII სს-ის ქართველი მწერლების მიერ „წვალებათა შესახებ“ არ არის იოანე დამასკელის ნაწარმოებად მიჩნეული.

М. А. РАПАВА

## ОБ ОДНОМ ПЕРЕВОДЕ ТЕОФИЛА ПРЕСВИТЕРА (ЕПИФАНИЙ КИПРСКИЙ ИЛИ ИОАНН ДАМАСКИН?)

Резюме

Известная трилогия Иоанна Дамаскина «Источник знания» была дважды переведена на грузинский язык. Один перевод принадлежит Ефрему Мцире (XII в.), другой — Арсению Икалтоели (XII в.). Ими были переведены I часть трилогии — «Диалектика» и III часть — «Изложение православной веры». Считалось, что II часть трилогии — «Об ересьях» ими не была переведена.

Изучение трех грузинских рукописей (А 205 — XIII в., А 64 — 1751 г., Н601 — 1746 г., содержащих текст сочинения Епифания Кипрского «Ответ на письмо» в переводе Теофила пресвитера) и сличение с греческими оригиналами сочинений Епифания Кипрского и Иоанна Дамаскина выявило, что в виде грузинского перевода мы имеем дело не с переводом текста Епифания Кипрского, а сочинения Иоанна Дамаскина «Об ересьях».

Выясняется, что грузинские писатели XII в., переводившие сочинения Иоанна Дамаскина, не считали последнего автором сочинения «Об ересьях».

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ზელნაწერთა ინსტიტუტის ძველი ქართული ფილოლოგიის განყოფილება

წარმოადგინა კ. კეკელიძის სახელობის ზელნაწერთა ინსტიტუტმა

მ. მაისურაძე, მ. მამულაშვილი, ა. ლამაზიძე

### ათონის მრავალთავის ერთი საკითხავის წყარო

ათონურ მრავალთავში 25-ე ნომრით წარმოდგენილია „დიდსა ორშაბათსა თქუმული იოვანე მთავარეპისკოპოსისაჲ საკითხავი“, გვ. 70r—73v. ეს ჰომილია გვაქვს აგრეთვე სინისა<sup>1</sup> და უდაბნოს მრავალთავებში, გვ. 78v—82v. ამათვან, სინურ მრავალთავში ტექსტი დასაწყისშივე წყდება, ლელვის ხის ივანის გადმოცემის შემდეგ, ხოლო უდაბნოს მრავალთავში მოთავსებული ნუსხა ბოლომდე მიჰყვება ათონურს, მცირე ვარიანტული სახესხვაობებით. ეს ჰომილია შედის XVI ს-ის მეტაფრასულ კრებულში — S 1246 (76r—80v), თითქმის უცვლელად<sup>2</sup>.

A 25-ს პარალელები გააჩნია ბერძნულ, სომხურ, არაბულ, სირიულ, სლავურ და კობტურ ენებზე. ამათვან ბერძნული, სირიული და არაბული წყაროები ავტორად იოვანე ოქროპირს ასახელებენ, ხოლო სომხური — სევერიანე ეპისკოპოსს (ვახალოვანს).

სომხური ტექსტი გამოცემული აქვს ი. ბ. ოშეს<sup>3</sup>, სლავური — ს. სევერიანოვს<sup>4</sup>.

სირიული ტექსტი დაცულია ვატიკანის ბიბლიოთეკის სირიულ ხელნაწერთა შორის 368-ე ნომრით. ეს ხელნაწერი VIII საუკუნისაა<sup>5</sup>.

კობტური ტექსტი შემონახულია ვატიკანის ბიბლიოთეკის კობტურ ხელნაწერთა ფონდში — Vat. Copt. 57, გვ. 90—97<sup>6</sup>.

არაბული ტექსტი დაცულია მილანის ამბროსიანის ბიბლიოთეკის X—XII სს. არაბულ ჰომილეტიკურ კრებულში<sup>7</sup>, ასევე — პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის XIV ს-ის არაბულ ხელნაწერში<sup>8</sup>.

ბერძნული ტექსტი გამოცემულია P.G.-ში სათაურით: „ჰომილია ლელვის ხის ივანის შესახებ“<sup>9</sup>. ყველა უცხოენოვანი წყარო ამ სათაურს იმეორებს.

<sup>1</sup> სინური მრავალთავი 864 წლისა, თბილისი, 1959, გვ. 151.

<sup>2</sup> კართულ ხელნაწერთა აღწერილობა S, ტ. II, თბილისი, 1961.

<sup>3</sup> I. B. Aucher, Severiani sive Seberiani Gabalorum episcopi Emesensis Romiliae tunc primum et antiqua versione armeha et latinum sermonem translatae, Venetus, 1827, გვ. 414—27.

<sup>4</sup> S. Severjanov, Codex suprasiensis, Petropoli, 1904, Graz, 1956<sup>2</sup>, გვ. 343—54.

<sup>5</sup> I. M. Sauge, Deux Homiliaires Syriaque de la Bibliotheque Vaticane, OCP, 27, 1961, გვ. 393; მისივე, La version syriaque de l'homélie sur l'ascension de Notre-Seigneur d'Eusebe d'Alexandrie, Augustinianum, Roma, 1980, გვ. 300.

<sup>6</sup> Clavis patrum graecorum, cura et studio, Mauriti Geerard, ტ. 2, Brepols—Turnhout, 1974, გვ. 568.

<sup>7</sup> I. M. Sauge, L'Homiliaire arabe de la Bibliotheque Ambrosienne (x 198 Sup) et ses memra disiecta, Bruxelles, 1970, გვ. 406, 451.

<sup>8</sup> G. Troupeau, Catalogue des manuscrits arabes, I<sup>ere</sup> partie, manuscrits chretiens, Bibliotheque Nationale, Paris, 1972, გვ. 104.

<sup>9</sup> P. G., ტ. 59, გვ. 585—590.

მ. ვან ესბროკი ქართული მრავალთავების შესახებ თავის ცნობილ გამოკვლევაში მიუთითებს 16 ბერძნულ ხელნაწერს, რომლებშიც ეს ტექსტია დაცული: ესენია: 1. Ier. Sab. 1, გვ. 71—74; 2. Mosq. 284, გვ. 251—255; 3. Vat. 1633, გვ. 200—203; 4. Paris 1173, გვ. 174—176.

გარდა ამისა, მ. თბინომ 10 ნიმუში მოიძია დიდ ბრიტანეთში და მ. კარტრმა ორი გერმანიაში<sup>10</sup> (ვერსიების ურთიერთმიმართებათა კვლევისას ბერძნული ტექსტის ჩვენებას ვიძლევიტ P. G-ის ტექსტის მიხედვით, არაბულისას კი — პარიზული ხელნაწერის მიხედვით).

თავის ნაშრომში მ. ვან ესბროკი ამ საკითხავს ნაკლებად იხილავს და აღნიშნავს, რომ იგი მიეკუთვნება ბერძნული მოდელისაგან ძალზე დაშორებულ თარგმანთა რიცხვს. მრავალრიცხოვან სხვაობებს ქართულ და ბერძნულ ტექსტებს შორის იგი ხსნის სხვა შუამავლის არსებობით<sup>11</sup>.

ქართული ტექსტის შედარებამ ბერძნულ, სომხურ, სირიულ და არაბულ ბარალელებთან შემდეგი სურათი მოგვცა<sup>12</sup>:

1. ჰომილიის ქართულ თარგმანს წინ უძღვის ლეღვის ხის შესახებ იგავის მოკლე შინაარსი, რაც არ დასტურდება არც ერთ უცხოენოვან წყაროში.

2. ჰომილიის ძირითადი ნაწილი მეტ-ნაკლებად შეესატყვისება უცხოენოვან ვერსიებს. ქართულში მეტობის სულ რამდენიმე მაგალითი გვაქვს და ისიც უმნიშვნელო ხასიათისა:

ა) A — ხოლო პავლე იტყუს, ვითარმედ (72v). ეს წინადადება არა გვაქვს არც ერთ უცხოენოვან ტექსტში.

ბ) A — და ფილიპე და პრისკილა და აკვლა (71v). „ფილიპე“ არ დასტურდება სხვა ვერსიებში.

3. თუ მატება ქართულში უმნიშვნელო ხასიათს ატარებს, სამაგიეროდ იშვიათად გვხვდება ისეთი მონაკვეთი, სადაც კვების მაგალითების დამებნა არ შეიძლებოდა. კლება სხვადასხვა სახისაა, დაწყებული ერთი სიტყვის გამოტოვებიდან მთელი ფრაზების კლებაამდე.

ა) ნათარგმნი არაა ფრაზა:

ბერძ. εἰς τὴν σαχὴν ἀναρῶν ἄς ἀναρῶν (59, 587) — ნახა ლეღვი უნაყოფო, ვითარცა კაკი;

სომხ. *სახა ჯერე ვაწარე ვანაყოფ ქესსინ* (416);

სირ. *hz' ltt' dl' p' r' 'yk br ns'* (190<sup>v</sup>).

ამ შემთხვევაში არაბული ვერსია ქართულის ჩვენებას იმეორებს.

ბ) ხშირად ქართულს არ გადმოაქვს საკმაოდ ვრცელი პასაჟები:

ბერძ. *ἀπὸ τοῦ αὐτοῦ σαχὴν τὸν Ναθαναὴλ ἔντα εἰς τὸν Κῦριον Περὶ τοῦ γὰρ οὗ Φίλιππον φωνήσας ἔντα ἀπὸ τῆς σαχὴς* (59, 588). — ამავე ლეღვის ქვეშ მყოფმა ნათანაელმა იხილა უფალი, ლეღვის ქვეშ მყოფმა ფილიპემ ხმა-ყო შენდა მობართ;

სირ. *kd tht d'yk hd' tt' 'ytvhy hv' ntny'yl hzyhy mšyh kdm lm gyr dnkryk pylypvs* 192<sup>v</sup>,

<sup>10</sup> M. Van Esbroeck, *Les plus anciens homéliaires géorgiens*, Louvain, 1975, გვ. 79—80.

<sup>11</sup> M. Van Esbroeck, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 238, 252.

<sup>12</sup> ათონურ ტექსტს აღვნიშნავთ A ლიტერით, უდაბნოსას V-თი, კლარჯულს K-თი.

არაბ. قبل ان يدعوك فيلبس (211) و لما كان فانسانايل تحت التينة ابصره الرب لانه زعمر  
 ბერძ.

ამჯერად სომხურია ქართულის იდენტური.

გ) ზოგ შემთხვევაში კლება-მატება ერთადაა წარმოდგენილი:

A — ანუ არს-მე რააა კაცთათჳს ესე საიდუმლოა რომელ-ესე იქმნების, იბოების ერთითა სახითა რეცა გულის-საკლებელ საქმე ესე და საქმებელ, რამეთუ სიტყუთა განაჯმო? გულის-საკლებელ ამითა, რამეთუ ცუდად დასწყევა (71r).

ბერძ. και ει μη τι εστι ματηριον υπερ ανθρωπων εν αυτη τελισμενον, ερρεθησεται: ο Κυριος κατα μεν ενα πρῶτον εβαιναετο, κατα δε δευτερον μαμα-τεος, εβαιναετο μεν γαρ. ου: λῆγη αυτην ελῆρανε, μαματεος δε, ου: 'αδινιασ αυτην καταρα. σατο (59<sub>1567</sub>).

არის თუ არა მასში აღსრულებული საიდუმლო კაცსა ზედა, იბოვების უფალი ერთითა სახითა საქმებელ, სხვა სახით კი გულის-საკლებელ. საქმებელი, რამეთუ ის სიტყვით განახმო, გულის-საკლებელი კი, რადგან უსამართლოდ დაწყევლა ის.

სომხ. (418) = სირ. (190v) = ბერძ.

არაბულში ეს მონაკვეთი საერთოდ არ გვაქვს.

დ) არცთუ ისე ხშირად, მაგრამ მაინც გვხვდება მაგალითები, როცა ქართული ზედმიწევნით მისდევს ბერძნულს. მაგრამ არა სიტყვისიტყვით:

ბერძ. Επεινασεν η τῶν ἁνῶν μορφη (59, 587) — A — გარნა შეეშია მონისა ხატითა? (71').

სომხ. *քաղցես. ժարսոն կերպարան* (416) =

სირ. 'l' kpyt dmtv' d'bd' (190)-ბერძ. არაბულში ეს წინადადება არ არის.

ე) ხშირია შემთხვევები, როცა ქართული თარგმანი არ შეესაბამება უცხოენოვან პარალელებს. ეს შეუსაბამობანი რამდენიმე ტიპისაა:

1. მცირე განსხვავებები:

I. A — მივიდა ხილვად ლეღვისა მის, ვითარცა კაცი (71r)

ბერძ. ἦλθεν ἐπι: τῆς σακῆς ἡ ζῆρῶμενος ἀνθρωπος (59<sub>1567</sub>).

მივიდა ლეღვთან ხილული კაცი.

სომხ. *სին ի թղենին տեսանելի դմարդն* (416) =

სირ. 't' lvt tt' br ns' mthzyn' (190v) = ბერძ.

არაბული ვერსია ამ წინადადებას ტოვებს.

II. A — ზომელმან თიჯითა ბრმასა თუალნი აღუხილნა (70v)

ბერძ. Ο εκ πηλῶν ζῶντας ὀφθαλμοὺς ἐργασάμενος (59<sub>1568-67</sub>).

რომელმან თიხისაგან თუალნი ცოცხალი გახადა.

სომხ. *որ ի կաւոյ կենդանի աչս գործածց* (416) =

სირ. hv dmn tyn' 8yn' hyt' 'bd (190) = ბერძ.

არაბ. من اصاغ من طين عينن انتين (207v) — ვინც უკეთეთი გახადა თიხით ორთავე თვალი.



2. შინაარსობრივი ხასიათის განსხვავებები:

I. A — და ზაქეცა აღვდა ლელუსა მას, რომელსაცა უფალმან ჰრქუა (72v).  
ბერძ. Ἐπὶ τοιαύτην σακὺν ἀνέβη ὁ Ζακχαίος ἰδεῖν τὸν Ἰησοῦν (59, 588) —  
იმევე ლელვზე აღხდა ზაქეცა ნახვად იესუსა.

სომხ. *Յայս թղնի եւ և գահքեսո եւ տեսանել գաէրն* (422) = ბერძ.

სირ. tt' d'yk hd' slk hv' zky hzyvhy (192<sup>v</sup>) — ამავე ლელვზე აღხდა  
ზაქეცა ნახვად უფლისა

არაბ. *الى التينة اذنى مثل اذنى مع زكى ليبر* (211) *پ زى* = სირ.

II. A — მიზეზი იგი განგუამორა და აღილო ჩუენგან და მოგუცა ჩუენ  
სიმდიდრე (71v).

ბერძ. ἦρξεν σοι τὴν πενίαν, καὶ δὲνῶαί σοι τὸν πλοῦτον (59, 588) — აილო  
შენი სიღარიბე და მოგუცა შენ სიმდიდრე. ეს ეპიზოდი არ დასტურდება არაბულ-  
სირიულ-სომხურ ვერსიებში.

III. A — დაღათუ ვინმე თქუას, ვითარმედ ზამთარი იყოო (71r) ბერძ.  
*Μάρκου τοῦ ἐναγγελιστοῦ λέγειντος: Χειμῶνα εἶναι κατ' ἐκεῖνον τὸν καιρὸν*  
(59, 587) — მარკოზ ევანგელისტმა თქვა, რომ ზამთარი იყო იმ დროს.

სომხ. *მარკოս თხთხარანჩენ ასე ჰამირნ ჳ ჩ ძამანასიქ რაქამჩა* (418) =  
ბერძ.

არაბულ და სირიულ ტექსტებში ეს ადგილი არ არის.

3. უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ზოგჯერ, როდესაც ათონური  
ტექსტი ბერძნულ მოდელთან შედარებისას სხვაობას გვიჩვენებს, უდაბნო  
შეესატყვისება ბერძნულს. სომხურ-სირიულ-არაბული წყაროები, ამ შემთხვე-  
ვაში, ბერძნულ ტექსტს თანხვედნიან.

1. A — ანუ წყალსა მდინარესა (70v).

V — ანუ წყაროსა მდინარესა.

ბერძ. ἢ πηγῆν ἢ ποταμῶν (59, 588).

სომხ. *կամ աղբիւր ջրաբուի* (414).

სირ. v m'yūn' m'v'ldh my' (189<sup>v</sup>).

არაბ. *او عنيا منحة ما* (206).

II. A — და უხრწნელებად ბრწყინვალე სამოსელი (72<sup>r</sup>).

v — უხრწნელებისად იგი სამოსელი ი.

ბერძ. τῆν τῆς ἀψιδαρίας στολήν (59, 588).

სომხ. *գծինափայլ գպատմունան* (420).

სირ. 'stl' dl' mthblnt' (191<sup>v</sup>).

არაბ. *وصلة عاصر ابللى كن* (209<sup>v</sup>).

II. საინტერესოა ის შემთხვევები, როცა თარგმანის მიხედვით უდაბნო  
ისევე არ შეესაბამება უცხოენოვან წყაროებს, როგორც ათონი, მაგრამ ერთ  
სიტყვას მაინც აზუსტებს:

A — თქუა მახარებელმან, ვითარმედ: აღხდა იგი ლელუსა მას ამი-  
სათეს (72v).

V — თქუა მახარებელმან, ვითარმედ: აღხდა იგი ლელუსულელსა  
მას ამისათეს.

ბერძ. *ἐναγγέλιος ἔστι συναγοράς ἐπὶ τοῖς Ζαχαρίαια* (59<sup>158</sup>) =

სომხ. *ասաց լիմար լիզնի գգակքէին* (424) =

სირ. 'mr dyn vnglst dtt' kpyht' syd zky (192<sup>v</sup>) = v.

არაბ. *قال الا نحيلى فى معنى زكى انها خميرة* (211<sup>v</sup>) = A.

რაც შეეხება სხვა შემთხვევებს, გარდა ზემოთ მოხმობილი და კიდევ რამდენიმე მაგალითისა, უდაბნოს მრავალთავის ტექსტი ისეთისავე მიმართუ-  
ბაშია უცხოენოვან წყაროებთან, როგორც ათონურისა, მაგრამ მაინც უნდა  
ითქვას, რომ უდაბნოს ტექსტი ბერძნულ წყაროსთან ხელახალი შეჯერების  
კვლას ატარებს.

როგორც განხილულმა მასალამ გვიჩვენა, ათონური ტექსტი არც ერთ  
უცხოენოვან წყაროსთან ზედმიწევნით სიახლოვეს არ ამჟღავნებს. მიუხედა-  
ვად ამისა მაინც დაიძებნა მაგალითი, რომელიც ქართულ თარგმანზე ბერძნუ-  
ლის უშუალო გავლენაზე მიუთითებს.

ქართულ ვერსიაში ვკითხულობთ: რამეთუ ქალაქებამ ჩუენი ზეცას არს  
(72r) A.

ბერძ. *Καὶ ὅρα το πολίτευμα ἦσαν ἐν οὐρανοῖς ὑπάρχει* (59<sup>158</sup>). სიტყვა  
*πολίτευμα* ბერძნულში ნიშნავს მართვას, განმგებლობას, სახელმწიფოებრივ წყობი-  
ლებას. ამავე ნიშნელობით დასტურდება ეს სიტყვა სომხურ, სირიულ, არაბულ  
თარგმანებში. სომხ. *քաղաքականություն* (422), სირ. *dvbrn* (192), არაბ. *نظام*  
(210<sup>v</sup>).

ამ შემთხვევაში საქმე უნდა გვექონდეს ბერძნული მოდელის ტექსტობრივ  
გავლენასთან. როგორც ჩანს, ქართველმა მთარგმნელმა *μῆτις* ძირისა და *μα*  
სუფიქსის ცალ-ცალკე თარგმნით შექმნა ხელოვნური ტერმინი „ქალაქებამ“,  
რაც ჩვენთვის ცნობილ ნათარგმნ თუ ორიგინალურ ძეგლებში არ გვხვდება.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გვაქვს ერთი შემთხვევა, როდესაც ქართულ-  
სომხური ვერსიები ბერძნულ-სირიულ-არაბულისაგან განსხვავებით ერთნაირ  
ჩვენებას იძლევიან. ქართულ თარგმანში გვაქვს: კეთილ, რამეთუ მოვიდა  
მუნ (72<sup>r</sup>) — A. სომხ. *գիգեցիկ՝ չոգաւ առ նա* (422). ბერძნულ-სირიულ-არაბულ  
ვერსიებში ეს ადგილი არ დასტურდება.

აღნიშნული მონაკვეთი, როგორც ვხედავთ, ძალიან პატარაა. სხვაობა  
ადვილად აიხსნება სხვა ბერძნული ხელნაწერის არსებობით, რომელიც,  
სავარაუდოა, ხელთ ჰქონდა როგორც ქართველ, ასევე სომეხ მთარგმნელს.

ამგვარად, ქართული ტექსტის უცხოენოვან წყაროებთან შეჯერებამ შემ-  
დეგი დასკვნების გამოტანის საშუალება მოგვცა:

1. ქართული ტექსტი არ მომდინარეობს ჩვენს ხელთ არსებული არც  
ერთი უცხოენოვანი წყაროდან. რაც შეეხება სომხურ-სირიულ-არაბულ თარგმა-  
ნებს, მიუხედავად დიდი სიახლოვისა P.G-ს ტექსტთან, ისინი ამ ტექსტისა-  
გან განსხვავებულ ჩვენებებსაც იძლევიან. ეს გარემოება გვაფიქრებინებს,  
რომ აღნიშნული ვერსიები თარგმნილი არიან P.G-ში გამოქვეყნებულ ტექს-  
ტთან ძალზე ახლო მდგომი სხვა ბერძნული დედნიდან.

2. ქართულ თარგმანებში დადასტურებული ბერძნულში გვაეზარადებინებს  
მათ ბერძნულიდან მომდინარეობას.

3. აშკარაა, რომ ქართველი მთარგმნელი არ სარგებლობდა P.G-ში მო-  
თავსებული ბერძნული ტექსტით. მას ხელთ ჰქონია ამ ფსევდოოქრობირისეუ-  
ლი ჰომილიის სხვა რედაქცია.

ცალკე გვიჩვენა შევეხოთ, „ლელვის ხის იგავის“ საკითხის ისტორიას<sup>13</sup>. ლელვის წყევლის ეპიზოდს გადმოგვცემენ მათე და მარკოზ მახარებლები (მათე XXI, 19—20; მარკ. XI, 13—14).

ეკლესიის მამებს შორის სახარების ამ იგავის თარგმანების შესახებ აზრთა სხვადასხვაობა ყოფილა. ამის დამადასტურებელია თუნდაც ქართულ მრავალთავებში არსებული მასალა. კერძოდ, ჩვენ მიერ ზემოვანხილული ათონისა და უდაბნოს მრავალთავების ტექსტები, რომლებიც პოლემიკურ ხასიათს ატარებენ, ჰომილიები: A 42, K 26 — ამალღების საკითხავები, სადაც ჩართულია „ლელვის ხის დაწყევლის“ ეპიზოდები. ამალღების საკითხავი ბერძნულ ენაზე IX—X სს-ის 14 ხელნაწერმა შემოგვიჩვენა<sup>14</sup>. მრავალადა იგი დადასტურებული XII—XIV სს-ის სომხურ ხელნაწერებში<sup>15</sup>. სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ასევე იოვანე ოქროპირის „ლელვის ხის იგავის“ კიდევ ერთი ჰომილია, რომელიც P.G.-ს 28-ე ტომშია გამოქვეყნებული<sup>16</sup>.

როგორც ცნობილია, ლელვის ხის დაწყევლა ისრაელის დაწყევლის, მისი უნაყოფობის სიმბოლოდ იყო მიჩნეული<sup>17</sup>.

ამ საკითხთან დაკავშირებული პოლემიკა ასახული ზემოთ დასახელებულ ტექსტებში. ყველა ეს ჰომილია ფსევდოოქროპირისეულია. საერთო აზრი ამ საკითხის შესახებ არ არსებობს. ლელვის ხე ერთგან ცოდვის სიმბოლოდა წარმოდგენილი (A 42, K 26), სხვა შემთხვევაში — სიკვდილისად (A 25, V 22).

სულ სხვა აზრისაა ამ ეპიზოდთან დაკავშირებით თვით იოვანე ოქროპირი. სახარების თარგმანებაში იგი ლელვის ხის გახმობას ქრისტეს მიერ ჩადენილ სასწაულთა რიგს აკუთვნებს, რომლითაც მაცხოვარმა ხალხს აჩვენა, რომ მას არა მარტო სიკეთის ქმნა შეუძლია, არამედ დასჯაც. განუზომელი სახიერების გამო მან სასჯელი განახორციელა არა ადამიანებზე, არამედ მცენარეებსა და პირუტყვებზე (მოჰყავს ღორების კოლტის ზღვაში ჩაგდების მაგალითი)<sup>18</sup>.

სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია შეხედულება, რომ ქრისტიანი მხატვრები VI ს-დან მოყოლებული თავს არიდებდნენ ლელვის ხის ეპიზოდის გადმოცემას. მე-6 ს-ით დათარიღებული სინოპის ბერძნული სახარების სახელით ცნობილ ხელნაწერში ამ ეპიზოდთან დაკავშირებული მინიატურის არსებობა გამოჩაღისად არის მიჩნეული<sup>19</sup>.

<sup>13</sup> ამ საკითხის შესახებ თავისი მოსაზრება აქვს გამოთქმული თ. მგალობლიშვილს. იხ. მისი სტატია: „ერთი ფსევდოოქროპირისეული ჰომილიის წყაროს საკითხი“ (ხელნაწერი).

<sup>14</sup> G. Lafontaine, La version arménienne du sermon sur l'ascension d'Eusebe d'Alexandrie, Handes Amsorya, ტ. 90, Wien, 1976, გვ. 524.

<sup>15</sup> G. Lafontaine, დს.ხ. ნ.შ., ტ. 526—28. E. M. Buytaert, L'heritage litteraire d'Eusebe d'Emèse, etude critique et historique, Textes Bibliolheque du Museon, 24, Louvain, 1949, გვ. 133—34.

<sup>16</sup> Clavis patrum..., ტ. 538.

<sup>17</sup> F. Cabrol et R. P. dom Henri Leclercq, Dictionnaire d'archeologie chretienne et de liturgie, Paris, 1923, ტ. V, II, გვ. 1593. Gerchard Friedrich, Theologisches Wörterbuch zum Neuen Testament, B. 7, გვ. 756—57. Wycliffe, Bible Encyclopedia, Chicago, v. 2, 1358. В. Гецце, Библиейский словарь, Варшава, 1938(1978), ტ. 442, თ. მგალობლიშვილი, დს.ხ. ნ.შ.

<sup>18</sup> ხელნ. A—136, გვ. 219<sup>v</sup>—220<sup>v</sup>.

<sup>19</sup> F. Cabrol et R. P. dom Henri Leclercq, დს.ხ. ნ.შ., ტ. V, III, გვ. 1593, თ. მგალობლიშვილი, დს.ხ. ნ.შ.



ქრისტიანულ მწერლობაში კი ამ საკითხს დიდი რეზონანსი ჰქონდა. ზეც მეტყველებს როგორც ქართულ, ისევე უცხოენოვან წყაროებში ჰომილიის შემცველ ძველ და შედარებით გვიანდელ ხელნაწერთა სიმრავლე და, რაც მთავარია, ის ცხოველი პოლემიკური სული, რომლითაც განმსჭვალულია ეს ნაწარმოები.

М. Д. МАПСУРАДЗЕ, М. Р. МАМУЛАШВИЛИ, А. Г. ГАМБАШИДЗЕ

## ИСТОЧНИК ОДНОЙ ГОМИЛИИ «АФОНСКОГО МНОГОГЛАВА»

### Резюме

Гомилия о притче смоковницы включена в состав трех древнейших грузинских многоглавов — Афонского (XI в.), Синайского (IX в.) и Удабнойского (IX — X вв.). Она входит и в состав Метафрасского сборника XVI в. — S 1246.

Указанное сочинение сохранилось также на греческом, армянском, сирийском и арабском языках.

По мнению бельгийского ученого М. Ван Эсброка, многочисленные разночтения, существующие между греческой и грузинскими версиями, могут быть объяснены существованием промежуточного текста.

Сличение грузинских текстов с вышеуказанными версиями показало, что все они переведены с греческого. В основе же грузинского перевода лежит текст, отличный от того греческого, к которому восходят все остальные версии.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის კოდიკოლოგიისა და ტექსტოლოგიის განყოფილება  
წარმოადგინა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა

### მან ჩანაქალი

#### „ათონის მრავალთავის“ ერთი ჰაგიოგრაფიული თხზულება

88-ე ნომრით ათონის მრავალთავში მოთავსებულია საკითხავი „წამებაჲ წმიდისა მოციქულისა\* ფილიპესი“, რომელსაც ხელნაწერში 253r—258v გვერდები უჭირავს. თხზულება ეკლესიაში იკითხებოდა 14 ნომებერს, წმინდა ფილიპეს ხსენების დღეს. ჟანრობრივად აღნიშნული საკითხავი ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებს წარმოადგენს. ეს არის აპოკრიფი, რომელშიაც გადმოცემულია ფილიპე მოციქულის XV საქმე (7, გვ. 117) და მისი წამება.

კომპოზიციურად თხზულება შემდეგნაირად არის აგებული: შესავალში ავტორი ათარიღებს მოთხრობილ ამბებს („მათ ჟამთა შინა მეფობასა ტრაიანოსსა მიეღო ჰრომთა მთავრობაჲ“ (Ath. 11,253r). შემდეგ აღწერილია მოციქულების — ფილიპეს და ბართლომეს და მათი დის, მარიამნეს მისვლა ქალაქ „ოფიორიმედ“, ქრისტიანობის ქადაგება და მათი წამება. თხრობაში ჩართულია სხვადასხვა პერსონაჟის მიმართვის სიტყვები: ფილიპესი — ერისადმი (253v, 257r), ბართლომესადმი (258r), მაცხოვრისადმი (255v, 256v), ნიკანორასი — მსაჯულისადმი (254r), მარიამნესი — ნიკანორასადმი (254r), იოვანე ნათლისმცემლის — ხალხისადმი (255v), მაცხოვრის — ფილიპესადმი (256r). ეს მიმართვის სიტყვები მოცულობით საქმალდ დიდია (ზოგჯერ მთელი გვერდი და უფრო მეტიც უჭირავს) და თავისი შინაარსით ქადაგებებს წარმოადგენენ. განსაკუთრებით გამოირჩევა ამ მხრივ ფილიპეს მიმართვები ერისადმი (253v—254r, 257r—258r) და ბართლომესადმი (258r—258v), რომელთაც დასრულებული ქადაგების სახე აქვთ. საინტერესოა, რომ ეს ადგილები თვით ნაწარმოების ტექსტშიც ქადაგებად, სწავლად არის მიჩნეული: „დაასრულა სწავლაჲ ესე“ (258r); „ასწავლიდა მათ ესრეთ“ (253v). პირველ შემთხვევაში ზერძნული რედაქციების პარალელურ კონტექსტებში გვაქვს არა ქართული „ქადაგების“, „სწავლის“ შესატყვისი „λεγει, διδασκαλία, παιδεία“, არამედ  $\xi\pi\alpha\upsilon\chi\epsilon\lambda\iota\alpha$  (I და  $\Delta$  რედაქციებში)  $\pi\alpha\rho\alpha\upsilon\chi\epsilon\lambda\iota\alpha$  (Θ), რაც განცხადებას, ბრძანებას, დაპირებას ნიშნავს, მეორე ადგილას კი ქართული „სწავლების“ ფარდი ბერძნული სიტყვა „ $\delta\iota\delta\alpha\chi\alpha\omega$ “.

ცხადია, ასეთი რაოდენობით და მოცულობით სიტყვა-მიმართვების არსებობას, რაც, ჩვეულებრივ, არაა დამახასიათებელი ჰაგიოგრაფიული ჟანრის ნაწარმოებისათვის, ჩვენს თხზულებაში შეაქვს ჰომილეტიკის ელემენტები. ეს გასაგებიცაა, „მრავალთავი“ ხომ იმ საკითხავთა კრებულია, რომლებიც „ამა თუ იმ დღის სამღვდელთ-მსახურო მოქმედების დროს იკითხებოდა ეკლესიაში შეკრებილთა საყურადღებოდ“ (1, გვ. 32) და „რომელიმე მოღვაწის წამების, ანდა ცხოვრების თხრობას ქრისტიანობის მიმდევართა სარწმუნოე-

\* ხელნაწერში: მოციქული.

ზაზე განმტკიცება ჰქონდა მიზნად“ (1, გვ. 32). ამდენად, ასეთი ტიპის კრებულში შესულ ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში, ცხადია, წინ უნდა ყოფილიყო წამოწეული ჰომილეტიკის ელემენტები, სიტყვა-ქადაგებები. ამა თუ იმ წმინდანის მარტივობა-ცხოვრების ამბავი გამოყენებულია სიუჟეტურ ქარგად და ძირითადი აქცენტი გაცენტრებულია სწორედ ცალკეულ პერსონაჟთა მიმართვის სიტყვებზე, რომლებიც თავისთავად დამოუკიდებელ ქადაგებებს წარმოადგენენ და მიზნად ისახევენ ეკლესიაში შეკრებილი მრევლის დამოძღვრას. როგორც ჩანს, ამ თვალსაზრისითაც არის გამართლებული ათონის „მრავალთავში“ „ფილიპეს წამების“ შეტანა და, ამ ნიშნის მიხედვით, შესაძლოა, იგი ერთ-ერთი პირველი ჰაგიოგრაფიული თხზულება იყოს, რომელიც ჰომილეტიკურ კრებულში შეიტანეს.

„ფილიპეს წამება“ ქართულ ენაზე სხვა ნუსხებითაც დასტურდება. ამ თხზულებას შეიცავენ ხელნაწერთა ინსტიტუტის H ფონდის № 341 და A ფონდის № 188 ხელნაწერები. H 341-ში დაცული „ფილიპეს წამების“ ტექსტი გამოქვეყნებული აქვს ც. ჭურციკიძეს წიგნში „ქართული ვერსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ“ (5). რაც შეეხება თვით ხელნაწერებს, H 341 (3, გვ. 247—248), მე-11 ს-ის ძეგლია და შინაარსით წარმოადგენს გარკვეულ ტიპის მრავალთავს, ე. წ. „მარტიროლოგის“, რომელიც კალენდარულ რიგზე გაწყობილ წამება-ცხოვრებათა წიგნებს შეიცავს (1, გვ. 34); A—188 (4, გვ. 321, 324) ხელნაწერი კი XIII საუკუნეში გადაწერილი ჰაგიოგრაფიულ-ჰომილეტიკური კრებულია.

ბერძნულ ენაზე „ფილიპეს წამება“ მრავალი ხელნაწერით არის ცნობილი და რამდენიმეჯერაა გამოცემული. პირველად ამ ძეგლის ორი რედაქცია გამოაქვეყნა კ. ტიშენდორფმა (13, გვ. 141—156), თითო ხელნაწერის მიხედვით. ესენია: პარიზის 1468 (40) და Barocianus 180. გარდა ამისა, კ. ტიშენდორფს 1851 წ. გამოუქვეყნებია „ფილიპეს წამების“ კიდევ ერთი რედაქცია სხვა პარიზული და ვენეციური ხელნაწერების მიხედვით.

„ფილიპეს წამების“ სამი რედაქცია რ. ლიფსიუსმა და მ. ბონემ განმეორებით გამოსცეს (9, გვ. 41—83) კ. ტიშენდორფის შემდეგ, როგორც წიგნის თავფურცელზეც არის აღნიშნული. გამოცემა კრიტიკულია, ვარიანტებში გათვალისწინებულია სხვადასხვა ხელნაწერის მონაცემები.

ჩვენ ხელთ გვქონდა როგორც ტიშენდორფის, ასევე ლიფსიუს-ბონეს მიერ გამოქვეყნებული „ფილიპეს წამების“ ბერძნული ტექსტები. შედარებისას მაგალითებს ლიპსიუს-ბონეს გამოცემის მიხედვით მოვიყვანთ, რამდენადაც ეს უქანასკნელი კრიტიკულად დადგენილ ტექსტებს გვაწვდის.

„ფილიპეს წამებას“ სირიულ ენაზე პარალელი არ ეძებნება, ხოლო, რაც შეეხება სომხურს\*, აქ 3 აპოკრიფი არის ცნობილი, რომლებიც მოთავსებულია კრებულში: *Թանգարան հայկական հին և նոր դպրոցի* სანგ, Գ. Անკანის *գիրք սուրբ փիլիპოსի, Վեսեսի*, 1904.

როგორც ც. ჭურციკიძე აღნიშნავს (5, გვ. 039), ამ სამი აპოკრიფიდან ორი (6, გვ. 300—320)—1. *Վկաբարանոժիւն սուրբ սուրբ փիլիպոսի, որ վկայիսց Յնպիქիւմէս քաղաքի*, 2. *Վկաբարանոժիւն սրբոյն փիլիպոսի սուրբ փიլიპოსი և աշակերտին Բարթիლომէոսի և փիլիպոսի զորն մարիამին* გარკვეულ სიახლოვეს იქნეს „ფილიპეს წამების“ ძველ ქართულ თარგმანთან

\* „ფილიპეს წამების“ ქართული ნუსხები სომხურ წყაროებს შეუდარა მ. მამულაშვილმა.

(H 341), ხოლო, რაც შეეხება მესამეს — *ქსავთქიან სერგი თაბაქციონ შიტყაყაისი ირ ზ მქ ცხიხთააანხენს და კხინ ხირიყ ძარქამნის ზ ზარქიდიქიისი ირ ზეციქანაანხიყ ანთი* (6, გვ. 321—323) — ათონურ ნუსხასთან მისი შედარებისას აღმოჩნდა, რომ, მიუხედავად მსგავსებისა დასაწყისში, ამ საკითხავებს შორის არსებული მნიშვნელოვანი განსხვავებების გამო მათ ერთი რედაქციის ტექსტებად ვერ მივიჩნევთ. ეს სომხური აპოკრიფა წარმოადგენს მოკლე ვერსიას, აკლია რიგი ეპიზოდები, მეორე მხრივ, შეიცავს ქართულისთვის უცნობ თარიღდ პასაჟს. ამრიგად, ეს ვარიანტი ქართულისაგან განსხვავებული და შედარებით მოკლე რედაქციისაა.

მ. ვან ესბროკი თავის გამოკვლევაში ქართული მრავალთავების შესახებ (7) ჩვენი საკითხავის გამო შენიშნავს, რომ ეს არის ფილიპე მოციქულის XV საქმე, ასახელებს ც. ქურციკიძის მიერ გამოქვეყნებულ „ფილიპეს წამების“ უძველეს ქართულ თარგმანსა და ბერძნული რედაქციების გამოცემებს და აღნიშნავს, რომ ათონური ნუსხა სავსებით ეყრდნობა მხოლოდ სამ ბერძნულ ხელნაწერს: პარიზის 1468 (40), რომის Vallicellanus B—35 და ვატიკანის 797 (ყველა XI ს-ისაა). მ. ვან ესბროკის აზრით, ეს ამტკიცებს თხზულების იშვიათობას. მისივე ვარაუდით, ათონური წამება გვიანდელ თარგმანს წარმოადგენს, რასაც ტექსტში არსებული ბერძნულმეტყველების სიმრავლე ადასტურებს (7, გვ. 117).

ამა თუ იმ ძეგლის რამდენიმე თარგმანისა და ნუსხის არსებობა სხვადასხვა ენაზე სევამ საკითხს მათი ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს თვით ბერძნულ ტექსტებს შორის არსებული მიმართება. „ფილიპეს წამების“ ბერძნული ხელნაწერები 3 რედაქციას იძლევიან: ლიფსიუს-ბონეს გამოცემაში პირველია Γ ლიტერით აღნიშნული ტექსტი, მეორე — Θ, მესამე — Δ. ამათგან მეორე Θ რედაქციის ტექსტი, რომელიც ლიფსიუსსა და ბონეს აქვთ გამოცემული სამი ბერძნული ხელნაწერის (TUY — პარიზის 1468, რომის Vallicellanus B 35 და ვატიკანის 797) მიხედვით და რომელსაც ათონური ვერსია ემყარება, მოკლე, ცალკე მდგომ რედაქციას წარმოადგენს; გამოირჩევა დანარჩენი ორისაგან თხრობის სისადავით, სიმარტივით. Γ და Δ რედაქციების ტექსტები, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი (Δ) თავნაკლულია (იგი იწყება § 123-დან), უფრო გავრცობილია. ამ რედაქციებში უფრო ვრცელადაა წარმოდგენილი ესა თუ ის ადგილი (მაგ.: ფილიპეს სიტყვა ერის მიმართ, მარიაშენისა — ნიკანორას მიმართ, ნიკანორას სიტყვა დატყვევებისას, ქურუმებისა და ერის თხოვნა მსაჯულისადმი). ყველა ამ შემთხვევაში ათონური ვერსია Θ რედაქციის ტექსტს უჭერს მხარს. Δ ერთგვარ შუალედურ ადგილს იკავებს Γ და Θ რედაქციებს შორის და რიგ შემთხვევებში Θ რედაქციის ტექსტს მისდევს, რასაც ადასტურებს ორივე ვერსიაში (Δ, Θ) ადამიანის ენით მოლაპარაკე ლეოპარდისა და ციკნის ეპიზოდების არსებობა, რაც Γ რედაქციაში უკვე ამოღებულია.

ქართულ ენაზე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ფილიპეს წამება“ სამი ნუსხით დასტურდება. ჩვენი ძეგლის უძველეს თარგმანს ც. ქურციკიძის მიერ H 341 ხელნაწერის მიხედვით გამოცემული ტექსტი წარმოადგენს. როგორც გამოცემული ასკენის ტექსტობრივი და ენობრივი ანალიზის საფუძველზე, ეს ტექსტი, მის მიერ გამოქვეყნებულ მოციქულთა სხვა აპოკრიფულ ვერსიებთან ერთად, ქართულად გადმოთარგმნილი უნდა იყოს თუ მე-6 საუკუნეში არა, მის ახლო პერიოდში მაინც, ყოველ შემთხვევაში არაუგვიანეს მე-8 საუ-

კუნისა (5, გვ. 039). „ფილიპეს წამების“ ტექსტს შეიცავენ ასევე ხელნაწერი A 188 და ათონის მრავალთავი. იმავე კითხვა: როგორია ქართული ტექსტების ურთიერთდაპოკიდებულება და მათი მიმართება ბერძნულ რედაქციებთან? თვალის ერთი გადავლებითაც ნათელია, რომ ათონური ტექსტი დანარჩენი ორისაგან (H 341, A 188) განსხვავებულ რედაქციას წარმოადგენს და ეყრდნობა, როგორც ამას მ. ვან ესბროკიც აღნიშნავს, სამი ბერძნული ხელნაწერის (პარიზის 1468, რომის Vallicellanus B 35 და ვატიკანის 797) მიხედვით ლიუს-ბონეს მიერ გამოცემულ მოკლე ბერძნულ რედაქციას.

რაც შეეხება H 341 და A 188 ხელნაწერებს, ისინი ძალზე ახლოს მდგომ ტექსტებს გვაწვდიან. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელნი დასაწყისში არ იცნობენ რიგ პასაჟებსა და მიმართვის სიტყვებს, რომლებიც ათონურ ნუსხაში გვაქვს, ისინი მაინც ათონურთან შედარებით ვრცელ რედაქციას წარმოადგენენ. რადგან სხვა შემთხვევაში, ჩვეულებრივ, უფრო ვრცელად გადმოსცემენ ამა თუ იმ ადგილს, თუ მიმართვის სიტყვას (მაგალითად: ნიკანორას სიტყვა 5,3; A 188, 266v, ერის თხოვნა მსაჯულისადმი მოციქულთა დატყვევებისას 5,4; A 188, 267v, ასევე იოვანეს სიტყვა ერისადმი 5,6; A 188, 268v) და ამ დროს შესატყვისს პოულობენ ვრცელ ბერძნულ რედაქციებში (Γ და Δ, განსაკუთრებით Γ-ში). თუმცა მსგავსებას ვრცელ ბერძნულ და ქართულ (H 341, A 188) ტექსტებს შორის სისტემატური ხასიათი არა აქვს, მნიშვნელოვანი რედაქციული სახის განსხვავებანიც ვლინდება, ბერძნულში გვაქვს რიგი ქართულისათვის უცნობი ეპიზოდი და, ამდენად, მათ (Γ, Δ და H 341, A 188) ერთი რედაქციის ტექსტებად ვერ მივიჩნევთ. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ბერძნულ ენაზე დასტურდება „ფილიპეს წამების“ მოკლე და ვრცელი რედაქციები და ათონური ნუსხა მოკლე ბერძნული რედაქციის თარგმანს წარმოადგენს, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, ამასთანავე H 341 და A 188 გარკვეულ სიახლოვეს იჩენენ ვრცელ ბერძნულ ტექსტებთან, მაშინ დასაშვებია ვიფიქროთ, რომ ეს უკანასკნელნი (H 341, A 188) რაღაც სხვა ჩვენთვის უცნობი ვრცელი რედაქციიდან მომდინარეობენ.

H 341 და A 188 ნუსხების ურთიერთმიმართების გარკვევისას, უწინარეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ „ფილიპეს წამების“ ძველი ვერსიის გამოცემული ც. ქურციკივე A 188 ნუსხაში დაცულ ტექსტს გვიანი დროის თარგმანად მიიჩნევენ და, ამდენად, არ ითვალისწინებენ თავის შრომაში (5, გვ. 017). ჩვენ მიერ ჩატარებულმა შედარებამ დაადასტურა ც. ქურციკიძის მოსაზრება.

H 341 და A 188 ნუსხების შედარებისას ფრაზეოლოგიურ და ლექსიკურ სხვაობებთან ერთად გამოვლინდა ისეთი რედაქციული სახის განსხვავებანიც, როგორცაა ტექსტის გაგრძობა (A 188 უფრო ვრცელად გადმოსცემს, მაგალითად, მაცხოვრის მიმართვის სიტყვას ფილიპესადმი A 188, 270r; ფილიპეს მიმართვის სიტყვას ბართლომესადმი A 188, 271r). გარდა ამისა, A 188 ხშირ შემთხვევაში მიმართავს ამა თუ იმ სიტყვის პერიფრაზს, პირდაპირი ნათქვამი ირიბში გადაჰყავს. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს გაგრძობა აზრობრივი შინაარსის შემცველი არ არის და შესატყვისს ვერ პოულობს ვერც ერთ ჩვენს ხელთ არსებულ ბერძნულ და სომხურ ტექსტში, პერიფრაზი კი შეიძლება მივაწეროთ მთარგმნელსაც და გადაწერსაც, მაშინ ორივე ქართული ნუსხის დედნად შეგვიძლია ერთი ტექსტი ვივარაუდოთ. ამავე ვარაუდს უჭერს მხარს შედარებისას გამოვლენილი ის მასალა, რომლის არსებობა ერთ-



ნანეთისაგან დამოუკიდებელ ორ რედაქციაში ყოველად შეუძლებელია. უწინარეს ყოვლისა, უნდა შევჩერდეთ ტექსტის დასაწყისზე. ორივე ნუსხაში (H 341, A 188) თხრობა იწყება მოციქულების შემოსვლით ქალაქში და მათთან ნიკანორას მისვლით. ნიკანორა მიმართავს მოციქულებს: „მეცა ებრაელ ვარ და ნაშობი ებრაელთაა ვარ. მეტყოდეთ მე ენითა მამათა ჩემთათა...“ (5,3; A 188, 266v). ნიკანორას სიტყვები გაუგებარია, თუ არ გავითვალისწინებთ იმ ეპიზოდებს, რაც ათონურ ნუსხაში წინ უძღვის მათ და H 341 და A 188-ში ამოღებულია. საქმე ისაა, რომ მოციქულებთან მისულ ნიკანორას მარიამნე მიმართავს „ასურებლთა“ ენითა“ (ათონურ ტექსტში მოყვანილია კიდევ გაურკვეველი წარმომავლობის უცხოენოვანი ფრაზა). ამით არის გამოწვეული ნიკანორას სიტყვები: „მეცა ებრაელ ვარ...“ ცხადია, აქ ერთი რედაქციის ტექსტებთან უნდა გვექონდეს საქმე. მთარგმნელი, თუ რედაქტორი რაღაც მიზნით ამოკლებს ტექსტს ისე, რომ ეს გაუგებრობას იწვევს. გაურკვეველს ხდის ნიკანორას სიტყვებს. აღსანიშნავია, რომ არც ერთ ჩვენს ხელთ არსებულ ბერძნულ რედაქციაში მსგავს შემოკლებას აღგვიჩინა არა აქვს; მეორე მხრივ, იგი შესატყვისს პოულობს ორ სომხურ ტექსტში (6, გვ. 300—320).

H 341 და A 188 ნუსხების ახლო ნათესაობაზე უნდა მიგვანიშნებდეს, ჩვენი აზრით, 1. ერთნაირი სათაურებიც: H 341: „წამებაა წმიდისა ფილიპე მოციქულისა იოფრიმე\* ქალაქსა“;

A 188: „წამებაა წმიდისა მოციქულისა ფილიპესი იოფრიმე ქალაქსა შინა“;

ათონური: „წამებაა წმიდისა მოციქულისა ფილიპესი“.

2. საკუთარი სახელების ფორმები:

H 341, A 188: მარიამ, ათონური: მარიამნე,

H 341, A 188: იოფრიმე, ათონური: იოფორიმე.

3. ზოგ შემთხვევაში საერთო ლექსიკა:

H 341, A 188: ურაკპარაკი, ათონური: —

H 341, A 188: ბაგინი, ათონური: ტაძარი.

4. ერთნაირი შეცდომები:

H 341: „რამეთუ ეგე ხოლო მცნებაა ჩემი დაუტევე, დაეყნო საუკუნეთა მათ კეთილთა ორმოც წელ“ (5, გვ. 8).

A 188: „არა დამარხსათჳს ამის ერთისა მცნებისა იყო შენ დაყენებულ არა შესლვად აღგილსა მას შენთჳს განმზადებულსა ვიდრე აღსრულებამდე ორმოცისა წლისა“ (A 188, 270r).

ათონური: „დაპრჩე კართა ზედა ორმოც დღე“ (Ath. 11, 256v).

ეს საერთო შეცდომა ორივე (H 341, A 188) ნუსხაში ბერძნული დედნიდან უნდა მომდინარეობდეს. ბერძნული Θ რედაქციის ვარიანტებად გატანილ TY ტექსტებში ასევე გვაქვს „ἡτοι, ἡ“ (წელი) (9, გვ. 69, § 137, 23). ყველა დანარჩენ ჩვენს ხელთ არსებულ ბერძნულ და სომხურ ნუსხებში „დღე“ დასტურდება.

რაც შეეხება საკითხს, თუ რამდენად იცნობენ გვიანდელი ნუსხები (A 188 და ათონური) აღრინდელს, აშკარაა, რომ A 188 იცნობს და იყენებს კიდევ ხშირ შემთხვევაში „ფილიპეს წამების“ ძველ თარგმანს (H 341), რასაც აღსატურებს ამ ტექსტებში იდენტური ადგილების არსებობა. ამასვე მოწმობს

\* გამოცემაში გასწორებულია: იოფრიმე.

ორივე ამ ნუსხაში ერთ ადგილას დაშვებული შეცდომა: ფილიპე მოციქული მიმართავს მაცხოვარს: „რომლისა იგი სახელი ძალ არს ერისა“ (5, გვ. 7; A 188, 269r). ბერძნული მოკლე და ათონური რედაქციების პარალელურ კონტექსტებში გვაქვს ებრაული ფრაზის ნაწყვეტები: „მამაო ჩემო უთაელ... რომლისა სახელი ძლიერებასა შინა არს. ელია. კურთხეულ ხარ უკუნისამდე“ (Ath. 11, 255v). ხოლო ვრცელ (Γ და Δ) ბერძნულ რედაქციებში მთელი წინადადებაა ებრაულად (9, გვ. 63). არც კონტექსტით და არც ბერძნული რედაქციების მიხედვით ამ ადგილას „ერისა“ არ არის მოსალოდნელი. თანაც ეს სიტყვა ზუსტად იმ ადგილასაა, სადაც ათონურ და ყველა ბერძნულ რედაქციაში გვაქვს ებრაული *עֵלִיָּא, ელია, ელოა*. ხომ არ არის H 341-სა და A 188 ნუსხებში „ერისას“ გაჩენა ებრაული სიტყვის „ელიას“, ან „ელოს“ (ქართული დაწერილობით) არასწორი წაკითხვით გამოწვეული? ეს შეცდომა, ცხადია, ქართული დედნიდან უნდა მომდინარეობდეს. თუ დასაშვებად მივიჩნევთ, რომ დედანი ამ ადგილას დაზიანებული იყო. ცუდად იკითხებოდა, გადაწერს შეეძლო „ელოს“ ნაცვლად ამოეკითხა „ერისა“, ყოველ შემთხვევაში, A 188-ის „ერისა“ ნამდვილად H 341-დან უნდა მომდინარეობდეს, მით უმეტეს, რომ აქ საქმე გვაქვს ისეთ იდენტურ ადგილთან, სადაც ეს ორი ტექსტი (H 341, A 188) განსაკუთრებულ სიახლოვეს იჩენს ერთმანეთთან და რომელიც, როგორც ჩანს, გვიანდელ მთარგმნელს, თუ რედაქტორს პირდაპირ გადმოუტანია ძველი (H 341) თარგმანიდან.

ათონური ტექსტის შედარებისას ძველ თარგმანთან (H 341) იდენტური ადგილები არ დაიძებნა, მთარგმნელი არ იყენებს ძველ ტექსტს. იგი უშუალოდ ბერძნულიდან თარგმნის. მიუხედავად ამისა, ათონურ ტექსტშიც და ძველ თარგმანშიც ერთ ადგილას დაშვებულია ერთნაირი შეცდომა. ფილიპე მიმართავს მაცხოვარს:

ათონური: „რომელი მარადის მღღელთ-მოძღუარ ხარ ყოველთა“ (256r).

H 341: „რომელი-ეგე მღღელთ-მოძღუარ ხარ ყოველთა მღღელთა“ (7, 23).

A 188: „რომელი-ეგე მღღელთ-მოძღუარი ხარ ყოველთა მღღელთა“ (269r).

ბერძნ. Θ: ὁ παντεπιστοπος πάντων (9, გვ. 63, 17).

Γ: ὁ ἐπιστοπος πάντων (9, გვ. 64, 3).

Δ: ὁ στοιπός και πάντων ἐπιστοπος (9, გვ. 64, 22).

ეს ადგილი ბერძნული დედნის გავლენაზე უნდა მიგვანიშნებდეს. შეცდომა ქართულ ნუსხაში გამოწვეულია ბერძნული სიტყვის „ἐπιστοπος“-ის ორი მნიშვნელობის — „მხილველის“ და „მღღელთ-მოძღურის“ — აღრევით და იმ ბერძნული დედნიდან უნდა მომდინარეობდეს, რომელშიც შესაბამის ადგილას იქნებოდა სწორედ „ἐπιστοπος“. თვით ბერძნულ ტექსტში რომ „მხილველი“ იგულისხმება აღნიშნულ კონტექსტში და არა „მღღელთმოძღური“, ამას მოწმობს ორი ბერძნული რედაქცია: მოკლე (Θ) რედაქციაში გვაქვს „παντεπιστοπος“, (ყოველმხილველი), რომელსაც ვერაფერითარ შემთხვევაში ვერ ვთარგმნით „მღღელთ-მოძღურად“. ერთ-ერთ ვრცელ ბერძნულ (Δ) რედაქციაში კი შესაბამის ადგილას ვკითხულობთ: „ὁ στοιπός και πάντων ἐπι-“

αχοιοζ“ (რომელიც მხილველი და ყოველთა ზედამხედველი ხარ). ამ შემთხვევაში ორი თითქმის ერთი და იმავე მნიშვნელობის სიტყვა აზრის გასაძლიერებლად არის ნახმარი ერთ წინადადებაში და იმას მიგვანიშნებს, რომ აქ სწორედ „მხილველზე“ ლაბარაკი და არა „მღვდელთ-მოძღუარზე“. ამასვე მოწმობს სამივე ბერძნული რედაქციის კონტექსტებიც. აზრის ნათელსაყოფად მოვიყვანთ კონტექსტს სრულად: „ὁ βλεπων ημας παρ τω ημας χαλκωσι. ὁ ψιδσχαω ηγυ βισληγ ημασ... ὁ παντελεσχοιοιοζ παντωσ. ὁ παρβελσωσ ჭφ' ოასთσ τσζσ οσχωρσσζσ τასζ ἀναρσμῆτσσζ“ (9, გვ. 63, 16), (რომელიც გვხვდავ ჩვენ უწინარეს წოდებისა ჩვენისა, რომელმაც უწყი ჩვენი განზრახვა, რომელიც ყოველთა მხილველი ხარ, რომელიც ვარდამოავლინებ ურიცხვ მოწყალებას).

აღსანიშნავია, რომ სომხურ ენაზე არსებული სამი აპოკრიფიდან, რომლებიც ფილიპე მოციქულს ეხება, არც ერთი შესაბამის კონტექსტში „მღვდელთ-მოძღუარს“ არ იძლევა. ერთში გვაქვს: *խնամել* (6, გვ. 310) თვალყურის დევნება, გაფრთხილება, მფარველობა, დანარჩენ ორში კი საერთოდ არაა ეს წინადადება.

ჩვენი აზრით, ეს შეცდომა საერთოა სამივე ქართული ტექსტისთვის და ბერძნული დედნიდან უნდა მომდინარეობდეს. „ფილიპეს წამების“ ძველი ვერსიის მთარგმნელს, როგორც ჩანს, აღრევია ერთმანეთში ბერძნული სიტყვის „ἐπισχοιοιοζ“-ის ორი მნიშვნელობა: „მღვდელთ-მოძღუარი“ და „მხილველი“ და შეცდომით უთარგმნია „მღვდელთ-მოძღუარად“. ეს შეცდომა ძველი ტექსტიდან ახალ თარგმანებშიც გადასულა. თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ სამივე ქართულ ნუსხაში ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ერთნაირ შეცდომასთან გვეკონდეს საქმე. სიტყვა „ἐπισχοιοιοζ“ იმდენად გავრცელებული და ცნობილია ქრისტიანულ სამყაროში სწორედ მღვდელ-მოძღვრის, ეპისკოპოსის ვაგებით, რომ, შესაძლოა, სამივე მთარგმნელს ერთნაირად უგულუბელეყო მისი მეორე მნიშვნელობა (თუმცა ამ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა სწორედ „მხილველია“) და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შეცდომა მოსვლოდა. მაგრამ ამ ვარაუდს ეწინააღმდეგება მოკლე (Q) ბერძნულ რედაქციაში დადასტურებული „παντελεσχοιοιοζ“ (ყოველისმხილველი), რომელსაც მთარგმნელი ვერავითარ შემთხვევაში ვერ გადმოიტანდა „მღვდელთ-მოძღუარად“. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ბერძნული რედაქცია სწორედ იმ ტექსტს წარმოადგენს, რომელსაც ეყრდნობა ათონური წამება, მაშინ, თუ არა ძველი ქართული თარგმანის ზეგავლენით, სხვაგვარად ვერ ავხსნით ათონურ ნუსხაში „მღვდელთ-მოძღურის“ გაჩენას.

ჩვენს ვარაუდს, რომ ათონური რედაქციის მთარგმნელი უნდა იცნობდეს „ფილიპეს წამების“ ძველ ვერსიას, მხარს უჭერს მ. ვან ესბროკის მოსაზრებაც იმის შესახებ, რომ ათონის მრავალთავში „ფილიპეს წამების“ ახალ თარგმანთან ერთად უნდა ყოფილიყო შესული 89-ე ნომრით უძველესი ვერსიაც. ეს ძველი თარგმანი ზუსტად შეაგებდა იმ 6 ფურცელს, რომელიც ათონის მრავალთავს აკლია 35-ე რვეულიდან. ამ მოსაზრებას მ. ვან ესბროკი ასაბუთებს ათონის მრავალთავის ტრადიციით, რომელიც სხვა შემთხვევაში არ კარგავს ამა თუ იმ თხზულების ძველ თარგმანს და ახალთან ერთად ათავსებს მას (მაგ.: კოზმასა და დამიანეს ძველი და ახალი თარგმანები, № 86 და № 87) (7, გვ. 117).

რაც შეეხება A 188-ის „მღვდელთ-მოძღუარს“, იგიც, ჩვენი აზრით, H 341-დან უნდა მომდინარეობდეს, მით უმეტეს, რომ ტექსტის ეს მონაკვეთი ორივე ამ ნუსხაში ერთმანეთის იდენტურია და, როგორც ჩანს, პირდაპირ გადმოტანილია ძველი თარგმანიდან ახალში.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ადგილთან დაკავშირებით შესაძლებელია ახლებურად გადაწყდეს „ფილიპეს წამების“ ძველი ქართული ვერსიის (H 341) წარმომავლობის საკითხი. პ. პეტერსი მას სომხურიდან მომდინარედ ვარაუდობდა (12, გვ. 70). თუ ჩვენი მსჯელობა სწორია, „ფილიპეს წამების“ ძველ ქართულ ვერსიაში დადასტურებული „მღვდელთ-მოძღუარი“ იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ მის მთარგმნელს ხელთ ჰქონდა ბერძნული და არა სომხური დედანი. ჩვენ ამ მხრივ საგანგებო კვლევა არ გვიწარმოებია, მაგრამ ეს ერთი მაგალითიც კი, რომელიც უდავო ბერძნულს წარმოადგენს, „ფილიპეს წამების“ ძველი ქართული ვერსიის სომხურიდან წარმომავლობის საკითხს ეჭვის ქვეშ აყენებს. ამ ტექსტის გამომცემელი ც. ქურციკიძე აღნიშნავს: „ფილიპეს წამების“ ტექსტის სომხურთან სიახლოვე მართლაც აშკარაა, მაგრამ შედარებისას ისეთი ხელშესახები მასალა ქართული ტექსტის სომხურიდან თარგმნილობას რომ ამტკიცებდეს, ვერ ვნახეთ“ (5, გვ. 339).

ამრიგად, „ფილიპეს წამების“ ქართული ნუსხების შედარების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ: ა) ქართულ ენაზე ბერძნულის მსგავსად დასტურდება „ფილიპეს წამების“ მოკლე და ვრცელი რედაქციები; ბ) ათონური ნუსხა მოკლე რედაქციის ტექსტს წარმოადგენს, H 341 და A 188 ნუსხები კი ვრცელისას; გ) H 341 და A 188 ხელნაწერებში დაცული ტექსტების ამოსავლად საერთო დედანი შეგვიძლია ვიგულისხმოთ.

რაც შეეხება ათონურ „წამებას“ და მის მიმართებას ბერძნულ რედაქციებთან, ვფიქრობთ, სწორია მ. ვან ესბროკის მოსაზრება იმის შესახებ, რომ იგი სავსებით ეყრდნობა მხოლოდ 3 ბერძნულ ხელნაწერს (პარიზის 1468, რომის Vallicellanus B 35, ვატიკანის 797, ლიფსიუს-ბონეს გამოცემაში Θ ლიტერით აღნიშნული რედაქცია, ხელნაწერები — TUY). ბერძნულ Θ რედაქციასთან ახლო ნათესაობა, ესბროკის აზრით (7, გვ. 249), კარგად ჩანს არამეულ (9, გვ. 45; Ath. 11,254r) და ებრაულ (9, გვ. 62; Ath. 11,255v) ფრაზებში, რომლებიც ერთნაირადაა წარმოდგენილი როგორც ამ ბერძნულ მოდელში, ასევე ათონური წამების ტექსტში. გარდა ამისა, შედარებისას გამოვლენილი მასალა საშუალებას გვაძლევს ამოვიცნოთ ამ სამი ბერძნული ნუსხიდან ქართველი მთარგმნელის მიერ გამოყენებული ხელნაწერის ტიპი. ათონური წამება ყველაზე ახლოს დგას ო ბერძნულ ნუსხასთან (რომის Vallicellanus B 35). მ. ვან ესბროკის მიერ (7, გვ. 248) ათონურ ტექსტში აღნიშნულ ბერძნულს „მსაჯული ღნოფოს“, რომელიც წარმოადგენს ბერძნული „*τραπεζοῦσιδος*“-ის (ბნელეთის მსაჯული) არასწორ თარგმანს, ო ნუსხის პარალელურ კონტექსტებში ყველა შემთხვევაში შეესაბამება სწორედ „*τραπεζοῦσιδος*“, რასაც ვერ ვიტყვი TY ხელნაწერებზე, სადაც „*τραπεζοῦσιδος*“-ის პარალელურად ხშირად ნახმარია მსგავსი სინონიმური მნიშვნელობის სხვა სიტყვები: *τράπεζος*, *ἀνύμματος*.

ათონური: „დაადგრა... მსაჯული ღნოფოს ოდენ“ (257r).



U: ἔμεινεν ... μόνον ὁ τυραννογόνος (9, გვ. 70; § 138, 18).

TY: ἔμεινεν ... μόνον ὁ τυραννος (9, გვ. 70; § 138, 18).

ათონური: „შეირყია ყოველი იგი ადგილი მსაჯულისათ ღნო-  
ფოასით განვიდრე მღღელთამღე (256r).

U: ἐξετινάχθη βλος ὁ τοπος ἔκεινος ἀπὸ τοῦ τυραννογόνου (9, გვ. 64,  
§ 133, 19).

TY: ἐξετινάχθη βλος ὁ τόπος ἔκεινος ἀπὸ τοῦ ἀνθυπάτου (9, გვ. 64,  
§ 133, 19).

ათონური და ბერძნული U ნუსხების სიახლოვეზე უნდა მიგვანიშნებდეს,  
ჩვენი აზრით, ისეთი ადგილებიც, სადაც თვით ბერძნული ხელნაწერები გან-  
სხვავებს გვიჩვენებენ. ამ შემთხვევაშიც ათონური წამება ბერძნულ U ნუსხას  
უპირის მხარს.

1. ათონური: „ნაყოფი მათი იყოს ცალიერ“ (Sic.) (258v).

U: ὁ καρπὸς αὐτῶν ἔστιν κενός (9, გვ. 82, § 142, 6).

T: ὁ καρπὸς αὐτῶν ἔσται κοινός (9, გვ. 82, § 142, 6).

κοινός — არაწმიდა კενός — ცარიელი-

Y-ში ეს ადგილი საერთოდ არაა, რამდენიმე წინადადება აკლია.

2. ათონური: „ამისთვის დაპირე კართა ზედა ორმეოც დღე“ (256v).

U: διὰ τοῦτο κατασχθήσῃ ἐν τοῖς αἰῶσιν ἐπὶ τεσσαρακόντα ἡμέρας  
(9, გვ. 69, § 137, 23).

TY: διὰ τοῦτο κατασχθήσῃ ἐν τοῖς αἰῶσιν ἐπὶ τεσσαράκοντα ἔτη  
(9, გვ. 69, § 137, 23).

3. ათონური: „ანუ რომელი იხარებნ სიხარულსა ზედა მოძელისა თუსი-  
სა? ანუ ვინ მკედარი წარვიდის ბრძოლად აღჭურვილი კეთილად და არა მი-  
ოლის სამოსელი იგი ძლევისაჲ?“ (256v).

U: ἢ τίς ἐχθρὸς χαίρει ἐν τῇ χαρᾷ τοῦ μισοῦντος αὐτὸν ἢ τίς στρατιώτης  
πορεύεται εἰς πόλεμον ὠπλισμένος καλῶς καὶ οὐ λαμβάνει τὸ ἔνδυμα τῆς νίκης  
(9, გვ. 66, § 135, 16).

TY: —

4. ათონური: „გონებაჲ უფრომსად ამაღლებული დიდებასა შინა თუსსა“  
(256r).

U: ὁ νόος ὁ υπερέψωτος ἐν τῇ αὐτοῦ δόξῃ (9, გვ. 63, § 132, 17)

TY: —

ქართული ათონური და ბერძნული ტექსტების შედარებამ ამგვარი სუ-  
რათი მოგვცა: უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ათონური „წამე-  
ბა“ ნაკლებია, აკლია ბოლო, §§ 143 (ნაწილობრივ) — 146. როგორც მ. ვან  
ესბროკიც შენიშნავს (7, გვ. 117), კლება მექანიკურია, ხელნაწერიდან ამოღე-  
ბულია რამდენიმე ფურცელი (35-ე რვეულის 6 ფურცელი).

ათონური ტექსტი თითქმის სიტყვასიტყვით მისდევს ბერძნულს. ძალზე  
იშვიათია კლება-მატების შემთხვევები და ისიც უმნიშვნელო. მთელი წინა-  
დადების თუ პასაჟის გამოტოვების სულ ორიოდ მაგალითი გვაქვს. კლება:

1. τὸ κατωικητήριον αὐτὸν ἔστιν ἢ ἄβυσσος, καὶ βαθεῖζαι ἐν τῷ σκότει.  
φασύτα οὖν ἀπ' αὐτοῦ, ἔνα μῆ ὁ ἰδὲ αὐτὸν ἐκαχμῆ φ' ἡμέρας. ἐὰν ἐκαχμῆ ἐπὶ  
τῆ σῶμα ἡμῶν ὁ ἰδὲ αὐτὸν, πορεύεσθε ἐν τῇ κακίᾳ αὐτοῦ. γίνεσθε δὲ μάλλον

ἐν τῇ ἀληθειᾷ θεοσεβείᾳ. ὄντες πιστοί, σεμνοὶ τε καὶ ἀγαθοί, μὴ ἔχοντες ὄνλον (9, გვ. 43, § 110, 20 — § 111, 25).

ათონური —

2. ἔτι δὲ καὶ σκάνδαλον εἶχεν διὰ τὴν ἰδίαν θυγατέρα, καὶ ἠῆξαιτι πρὸς κήρυον, καὶ ἐγένετο ἐν παραίσει τῆς πλευρᾶς αὐτῆς διὰ τὸ μὴ ἀπατηθῆναι αὐτῆν. (9, გვ. 81, § 142, 5).

ათონური —

ამ შემთხვევის კლებს მაგალითად ვერც ჩავთვლით, რადგან ათონურში რთხი ხაზია გადაშლილი და ამდენად, შესაძლებელია, ამ ადგილას გამოტოვებული ბერძნული ტექსტი ვიგულისხმოთ.

მთელი წინადადების თუ პასაჟის კლების სხვა შემთხვევები არცა გვაქვს, თუ არ ჩავთვლით მ. ვან ესბროკის მიერ (7, გვ. 249) აღნიშნულ ადგილებს ადამიანის ენით მოლაპარაკე ლეობარდისა და ციკნის შესახებ, რომლებიც გვაქვს ბერძნულ ტექსტში (Θ, Δ) და რომელთაც ქართული ჩვენებებიც გამოტოვებს. აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ ათონური „წამება“ ახლოს დგას Γ რედაქციის ტექსტთან ლიფსიუს-ბონეს გამოცემაში, სადაც ასევე, როგორც წესი, ამოღებულია ეს პასაჟები. ამ გამოტოვებას შესაძლოა რაღაც თეოლოგიური საფუძველიც ჰქონდეს; ყოველ შემთხვევაში მ. ვან ესბროკი მიიჩნევს, რომ მათი არსებობა ტექსტში მისი სიძველის მაჩვენებელია, გვიანდელ ნუსხებში კი ეს ადგილები უკვე ამოღებულია, ისევე როგორც ქართველი მთარგმნელის მიერ გამოყენებულ ბერძნულ დედანში (7, გვ. 249).

მატება:

1. „ხოლო ბართლომე შეერეს კელით და ფერკით და მოიხუნეს სამშუალ-ხო და შემშუალეს შიშუელი კედელსა ტაძრისასა“ (Ath. 11, 255r).

τὸν Βαρθολομαῖον θῆσαντας ἰπιδὸν καὶ χειρὸν ἐξέτεινον γυμνὸν εἰς τὸν τοίχον (9, გვ. 55, § 125, 15).

2. „უცხოთა ვისმე ქადაგებენ დ მ რ თ ა დ, სახელით ქრისტეს“ (Ath. 11, 255r).

ξένων κατὰ γυμῆλλοντες ὄνομα Χριστὸν (9, გვ. 57, § 128, 16).

3. „და ამისა შემდგომად მოვავლინო შენდა მთავარანგელოზი მიქაელი და შეგიყვანო დიდებასა ჩემსა“ (Ath. 11, 256v).

ბერძ. U: —

ამ შემთხვევაშიც ქართული დაახლოებით მისდევს ლიპსიუს-ბონეს გამოცემაში Γ ლიტერით აღნიშნული ვრცელი რედაქციის ტექსტს, თუმცა ამ უკანასკნელში სიტყვა ვრცლად და მთელი რიგი ცვლილებებით არის გადმოცემული, გარდა ამისა, ეს წინადადება ათონურ ნუსხაში ჩამატებულია განსხვავებულ, წვრილი ხელით და, შესაძლებელია, გვიანდელ ჩანართს წარმოადგენდეს.

ჩვენებებიც, შედარებისას უფრო ყურადსაღები და მნიშვნელოვანია აზრობრივად განსხვავებული ადგილები. ჩვენს ტექსტებში ასეთი შემთხვევებიც იშვიათია. მაგ.:

1. „ხოლო იყვენეს ფილიპეს თანა ბართლომე ერთი ა თ თ რ მ ე ტ თ ა გ ა ნ ი მოწაფეთა უფლისათაჲ“ (Ath. 11, 253v).

სυνην δὲ αὐτῶ καὶ Βαρθολομαῖος εἰς τὴν ἐπιβομήκοντα μαθητῶν τῶν κηρύου (9, გვ. 41, § 108, 13). ἐπιβομήκοντα — სამოცდაათი.

აღსანიშნავია, რომ ვრცელი ბერძნული Γ რედაქციის ვარიანტებად გატანილ ორ ნუსხაში ათონურის მსგავსად გვაქვს „*მონεα*“ (თორმეტი). შესაძლებელია, აქ მთარგმნელის კონიექტურასთანაც გვეკონდეს საქმე, იგი შეგნებულად ასწორებს ტექსტს, რადგან ბართლომე არის სწორედ „ერთი ათორმეტთავანი მოწაფეთა უფლისათაჲ“ და არა სამოცდაათთავანი.

2. „უფროსლა განგაზნინა თქუენ ვეშაპმან მან ბოროტმან“ (Ath. 11, 255v).

*πνέων* *ἐπευσεν* *εἰς* *ἄμαξ* *ἢ* *θράκων* *ἢ* *πανηρῶν* (9, გვ. 60, § 130, 12). (მოპბერა თქვენ ზედა ვეშაპმა ბოროტმა).

3. „განკურვებულ არს ყოველი ესე სოფელი“ (Ath. 11, 257v).

*ἐνηλλαγμένους* *γὰρ* *ἔστιν* *ἄλλος* *ἢ* *κόσμος* (9, გვ. 75, § 140, 11) (ცვალებული მთელი სამყარო).

„სიძვიამან თუალთა მათთამან დააბნელნეს ივინი“ (Ath. 11, 258v).

*καὶ* *ἡ* *παραεία* *τῶν* *θφθαλμῶν* *ἀντῶν* *πληθυσμῶσεται* *ὧς* *ἢ* *κατακλυσμῶς* (9, გვ. 80, § 142, 3). (სიძვა თვალთა მათთაჲ გამრავლდა, როგორც ნიაღვარი).

მ. ვან ესბროკი (7, გვ. 248—249) თავის ნაშრომში ქართული მრავალთავების შესახებ „ფილიპეს წამების“ ათონურ ნუსხას განიხილავს იმ თარგმანთა ჯგუფში, რომელთათვის დამახასიათებელია ბერძნობის ელემენტები და ქართულ ტექსტზე ბერძნული დედნის ზეგავლენის დასამტკიცებლად მოჰყავს მაგალითები:

1. მიიწია იგი ქალაქად ოფიორიმედ, რომელსა ეწოდების იერაკოლი ასიაჲსი, რომელი ითარგმანების სამღდელოდ ქალაქად (Ath. 11, 253v).

*Φιθάσας* *δὲ* *ἐν* *πίλε* *Ἰφιορῆμη*, *ἣτις* *καλεῖται* *Ἰεράκωλις* *τῆς* *Ἀσίας* (9, გვ. 41, § 108, 11).

მ. ვან ესბროკი ამ ადგილის გამო თავის გამოკვლევაში შენიშნავს: „რა ეტყვათ იმ შეცდომებზე, რომელთა მიზეზია ბერძნული მოდელის უკიდურესი პატივისცემა? აღსანიშნავია A 88-ის სიზუსტე: „*Ἰφιορῆμη*“ გადმოტანილია სიტყვასიტყვით „ოფიორიმედ“, „*Ἰεράκωλις*“ — „იერაკოლი“ (7, გვ. 248). როგორც მოყვანილი ნაწყვეტიდან ჩანს, მ. ვან ესბროკი „*Ἰεράκωλις*“-ის და „*Ἰφιορῆμη*“-ს უთარგმნელად გადმოტანას ათონურ ნუსხაში ბერძნობად მიიჩნევს. ამ შემთხვევაში ვერ დავეთანხმებით პატივცემულ მეცნიერს, რადგან, ჩვენი აზრით, აქ „*Ἰεράκωλις*“-იც და „*Ἰφιορῆμη*“-ც საკუთარი, გეოგრაფიული სახელებია და ასეც უნდა გადმოსულიყო თარგმანში.

უწინარეს ყოვლისა, გასარკვევია, რომელ ქალაქზეა ლაპარაკი „ფილიპეს წამებაში“ და დასტურდება თუ არა იგი ამ სახელწოდებებით იმ ტერიტორიაზე, სადაც მოღვაწეობდა ფილიპე მოციქული. ნაწარმოების მიხედვით, „ფილიპე მოციქული მოვპლიდა (Sic!) ლუკიასა (ბერძნული რედაქციების მიხედვით, ლიდია) და ასიაჲსა ქალაქთა და სოფლებთა...“ და „მიიწია იგი ქალაქად ოფიორიმედ, რომელსა ეწოდების იერაკოლი ასიაჲსაჲ“ (Ath. 11, 253v). ფილიპეს აღსრულების შემდეგ ბართლომე, უფლის განგებით, მიდის ლუკაონიაში, რათა „ჯუარს-ეცუას მუნ“ (Ath. 11, 256v). როგორც ვხედავთ, ფილიპე და ბართლომე მოციქულების მოღვაწეობის სფერო მცირე აზიაა. არც ანტიკურობის (12) და საეკლესიო ისტორიის (8) ატლასებში, არც პაპის

ბერძნულ საკუთარ სახელთა ლექსიკონში (10) ქ. ოფიორიმე მართლაც არ იქნებნება, თუმცა გვაქვს იმავე ძირიდან ნაწარმოები სხვა ტომონიმები (*Ὀφεισθα* — კუნძული სამხრ. ესპანეთში, *Ὀφεισθ* — ქალაქი პონტოში). რაც შეეხება იერაპოლისს, ამ სახელწოდებით რამდენიმე ქალაქია ცნობილი ქრისტიანულ სამყაროში და აღნიშნულია კიდევ საეკლესიო ისტორიის ატლასის რუკებზე, მათ შორის — ქ. იერაპოლისი ჩვენთვის საინტერესო ტერიტორიაზეც. საეკლესიო ისტორიის ატლასის № 2 AD/E3 რუკაზე, რომელიც I—II საუკუნეების მცირე აზიის ქრისტიანულ გაერთიანებებს ასახავს, მართლაც დასტურდება ქ. იერაპოლისი ფრიგიის ტერიტორიაზე. ეს ქალაქი ტერიტორიულად თანხვედება ჩვენს ტექსტში მოხსენიებულ იერაპოლისს. ფრიგია, ლიდია, ლიკია, ლუკანია ერთმანეთის მოსაზღვრე სახელმწიფოებია იმ პერიოდის მცირე აზიაში და სწორედ იმ რეგიონს წარმოადგენენ, სადაც მოღვაწეობენ ფილიპე და ბართლომე მოციქულები. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს რუკა ქრისტიანული პერიოდისაა და I—II საუკუნეების ვითარებას ასახავს, მაშინ, ცხადია, ეს ქალაქი მასზე სწორედ ქრისტიანული სახელწოდებით უნდა აღნიშნულიყო და არა წარმართულით. შესაძლოა, წარმართული სახელწოდება დაიკარგა კიდევც. არც ისაა გამორიცხული, რომ „*Ὀφεισθα*“ იყოს არა „*Ἰεραპολις*“-ის ძველი წარმართული სახელწოდება, არამედ თვით ნაწარმოების ავტორის მიერ ამ ქალაქისთვის დარქმეული სახელი. ავტორი უწოდებს მას ამ სახელს, რათა უკეთ გამოაჩინოს მისი მცხოვრებლების წარმართული ბუნება. ეს ის ქალაქია, რომლის ბინადარნი, ნაწარმოების მიხედვით, გველებს თაყვანს სცემენ (ზფი, ბ — ველი; *ρμμθ*. η — ქუჩა). მაგრამ, მიუხედავად იმისა, არის „*Ὀφεισθα*“ „*Ἰεραპολις*“-ის ძველი სახელწოდება, თუ თვით ავტორის მიერ ამ წარმართული ქალაქისათვის დარქმეული სახელი, ნაწარმოების მიხედვით, იგი ტომონიმს წარმოადგენს. ამას მოწმობენ თვით ნაწარმოების კონტექსტები. ყველგან, სადაც კი ნახსენებია „*Ὀφεισθα*“, მას ახლავს განმარტება „ქალაქი“. („მიიწია იგი ქალაქად ოფიორიმედ“ (Ath. 11, 253v). „ოფიორიმე“ ისევე, როგორც „იერაპოლი“, ტომონიმად არის მიჩნეული „ფილიპეს წამების“ ბერძნული რედაქციების გამოცემაში (9), სადაც ეს სახელები მთავრული ასოებითაა დაწერილი.

ჩვენი ვარაუდის სისწორეს ადასტურებს ის განმარტებაც, რომელსაც ქართველი მთარგმნელი იძლევა „*Ἰεραპολις*“-თან დაკავშირებით: „რომელი ითარგმანების სამღდელოდ ქალაქად“ (Ath. 11, 253v). მან იცის, რომ „*Ἰεραპολις*“ გეოგრაფიული სახელია და უთარგმნელად უნდა გადმოიტანოს, ამავე დროს განმარტავს მას, რათა ქართველი მკითხველისათვის ნათელი იყოს ამ სიტყვის მნიშვნელობა, მაგრამ განმარტებისას შეცდომას უშვებს. მას ერთმანეთში ერევა ორი ბერძნული სიტყვა — *ιερα* (წმინდა) და *ιερεις* (მღვდელი) — მათი ფონემური მსგავსების გამო. უნდა იყოს წმ ი და ქალაქი და არა სამღდელო ქალაქი. ამ შემთხვევაში კი უკვე აშკარაა ბერძნული დედნის გავლენა.

როგორც ცნობილია, დედნის გავლენა თავს იჩენს ხოლმე მთარგმნელის შეცდომებში. ხშირად ესა თუ ის სიტყვა უთარგმნელად გადმოიდის დედნიდან თარგმანში. „ხდება ისიც, რომ ერთი სიტყვა არეულია მეორეში, რომელსაც,



შესაძლოა, ფონემური რაიმე მსგავსება ჰქონდეს პირველთან“ (2, გვ. 232).  
ჩვენს ტექსტში მსგავს შემთხვევებთან უნდა გვექონდეს საქმე:

2. „იქმნა კიდობან მთოვარებითა ნათლითა სავსით“ (Ath. 11, 255r).

ἐγένετο κίψατος ἕλκινι φωτὸς γέμισσα (9, გვ. 56, § 126, 11).

ἕλκινι-ს (ἕλκινος — გამჭვირვალე) მაგივრად მთარგმნელს, როგორც ჩანს, ამოუკითხავს *σελήνη* (მთვარე) და უთარგმნია „მთოვარებითა ნათლითა სავსით“. შესაძლებელია, ამ ადგილის ბერძნული დედანი დაზიანებული იყო, კარგად არ იკითხებოდა.

3. დაუტევე ამის ჟამისა ცხორებაჲ (Ath. 11, 254r).

ἐγκατέλιπε τὸν βίον τὸν προσημαρον τοῦτον (9, გვ. 48, § 119, 19).

როგორც ჩანს, ათონური „წამების“ ბერძნულ დედანში ზედსართავი სახელის „*πρόσημαρον*“-ის შემადგენელი ნაწილები — *πρός* და *μαρον* განცალკევებულად ეწერა და ქართულ მთარგმნელს შესაბამისად უთარგმნია „ამის ჟამისა“ *μαρον* — დრო, ჟამი). უნდა იყოს წუთიერი, წამიერი ცხოვრება (*πρόσημαρον*, 2. — წუთიერი, წამიერი, დროებითი), რაც დასტურდება კიდევ „ფილიპეს წამების“ სხვა ორ ქართულ ნუსხაში (H 341, A 188):

H 341: „განიშორე საწუთროდ ესე სიხარული“ (5, გვ. 3).

A 188: „განიშორე საწუთროდ ეგე სიხარული“ (267r).

4. „ამიერითგან არლარა გელოდი თქუნ“ (Ath. 11,255v).

ἀπὸ δὲ τῶν ἄλλων ἀνέχομαι: ἄμην (9, გვ. 61, § 131, 18). — *ἀν*—*έχομαι*— გადამაქვს, ვითმენ.

თუ ვივარაუდებთ, რომ ჩვენი ტექსტის ბერძნულ დედანში ამ ადგილას „*ἀν*—*έχομαι*“-ს ნაცვლად იყო მისი სინონიმური მნიშვნელობის მქონე სიტყვა „*ἀναδέχομαι*“ (ვიტვირთავ, თავს-ვიღებ, ვითმენ, ვიცდი, ველოდები), მაშინ ვასაგებია ათონურ ნუსხაში „არლარა გელოდი“ გაჩენა. მთარგმნელს, როგორც ჩანს, ერთმანეთში აღრევია ამ სიტყვის ორი მნიშვნელობა (ვიტვირთავ და ველოდები), რასაც შეცდომამი შეუყვანია იგი.

საინტერესოა, რომ „ფილიპეს წამების“ სხვა ქართულ ნუსხებში (H 341, A 188) ეს ადგილი სწორედია გადმოცემული.

H 341: „არლარა თავს-ვიღევა მაგათი“ (5, გვ. 7).

A 188: „არლარა თავს-ვიღევა მაგათი“ (269r).

ამრიგად, „ფილიპეს წამების“ ქართულ-ბერძნული ტექსტების შედარება ადასტურებს მ. ვან ესბროკის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ათონური ვერსია უდავოდ ბერძნული დედნიდან უნდა მომდინარეობდეს. ათონური „ფილიპეს წამება“ განსაკუთრებით ახლოს დგას ბერძნულ რომის Vallicellanus B 35 (U) ხელნაწერთან.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ „ფილიპეს წამების“ ათონური რედაქციის ტექსტოლოგიური შესწავლა, მასში დადასტურებული ბერძნოზმების აიმრავლე, რაც ადრეული თარგმანებისათვის არაა დამახასიათებელი, საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ეს თხზულება „ათონის მრავალთავის“ სხვა საკითხავებთან შედარებით უფრო გვიანდელ თარგმანს წარმოადგენს: იგი შესრულებულია უშუალოდ ამ ჰომილეტიკურ კრებულში შესატანად. ამავე ეპოქის ადასტურებს უკანასკნელ ხანებში დაამკვიდრებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ მრავალთავები დასაწყისში შეიცავდნენ მხოლოდ ჰომილეტიკურ თხზულებებს, ჰაგიოგრაფიული მასალა კი გვიანდელ დანამატს წარმოადგენს.

## ლიტერატურა

1. ილ. აბულაძე, «მრავალთავი», შრომები, ტ. III, თბილისი, 1982.
2. ილ. აბულაძე, ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები, შრომები, ტ. I, თბილისი, 1975.
3. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), ტ. I, თბილისი, 1946.
4. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, I<sup>2</sup>, თბილისი, 1976.
5. ც. ქურციკიძე, ქართული ევრსიები აპოკრიფებისა ზოციქულთა შესახებ (IX—XI სს. ხელნაწერთა მიხედვით), თბილისი, 1959.
6. **Թանգարան ნախկանն ինն և նոր դպրութեանց, Գ. Անկանն գիրք առաքելականք, Վևնսոխկ, 1904.**
7. M. van Esbroeck, Les plus anciens homéliaires géorgiens (Etude descriptive et historique), Louvain, 1975.
8. H. Jedin, K. S.† Latourette, J. Martin, Atlas zur Kirchengeschichte; Die christlichen Kirchen in Geschichte und Gegenwart, Basel—Wien—Barcelona—New York—Rom, 1970.
9. K. A. Lipsius, M. Bonnet, Acta apostolorum apocrypha, II, 2, Lipsiae, 1903.
10. W. Pape's, Wörterbuch der grichischen Eigennamen, Braunschweig, 1884.
11. P. Peeters, La passion géorgienne des SS. Théodore, Julien, Eubulus, Malcamon, Mocimus et Salamares, Analecta Bollardiana, t. XLIV, f. sc. 1 et 2, Bruxelles, 1926.
12. I. Perthes', Atlas antiquus, Gotha, 1893.
13. C. Tischendorf, Apocalypses Apocryphae, Lipsiae, 1866.

М. В. ЧХЕНКЕЛИ

ОДНО АГИОГРАФИЧЕСКОЕ СОЧИНЕНИЕ «АФОНСКОГО  
МНОГОГЛАВА»

Резюме

В грузинской рукописи X века, именуемой «Афонским многоглавом», помещено агиографическое сочинение анонимного автора «Мученичеством святого апостола Филиппа», которое не имеет параллельных текстов в других грузинских многоглавах. Между тем, вторая редакция «Мученичества Филиппа» сохранилась также в двух других древнегрузинских рукописях — Н 341 (XI в.), А 188 (XIII в.).

Сличение афонской версии с греческими текстами показывает, что она является переводом краткой греческой редакции, которая издана в 1903 году Р. Липсиусом и М. Бонне по рукописям XI века (Pag. 1468, Vallic. B—35, Vat. 797). Наибольшую близость афонская версия обнаруживает с греческим списком Vallicellanus B—35.

Текстуальное изучение афонской редакции «Мученичества Филиппа», множество обнаруженных в ней гречизмов, которые не характерны в таком количестве для ранних переводов, дает основание предполагать, что сочинение это по сравнению с другими чтениями «Афонского многоглава» является более поздним переводом, сделанным непосредственно для включения его в этот гомилетический сборник. Это же предположение подтверждает утвердившееся в последнее время мнение, что многоглавы вначале включали лишь гомилетические произведения, агиографический же материал является более поздним добавлением.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ძველი ქართული ფილოლოგიის განყოფილება  
 წარმოადგინა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა

## ნ ა ნ ა კ ი ზ ი რ ი ა

ქართული კომეტური ტექსტების ინტონაციური გაფორმების შესახებ

ტექსტი წაკითხვის დროს ფორმდება ინტონაციით. წამკითხველი შეძლებისდაგვარად ითვლისწინებს ტექსტის გარეგნულ ფორმას, შინაარსს, გრძობას, რომელიც ტექსტშია გამოხატული. ყველაფერი ეს აისახება ინტონაციაში.

ინტონაციის როლის გასარკვევად ქართული პოეტური ტექსტების წაკითხვის დროს ჩატარდა ექსპერიმენტი, რისთვისაც შერჩეულ იქნა სამი სხვადასხვა ხასიათის პოეტური ტექსტი: პირველი — იუმორისტული, მეორე — აღფრთოვანების გამომხატველი, მესამე — სევდის გამომხატველი. ეს ტექსტებია:

## 1. იუმორისტული ტექსტი

«უკვე ჩათვდა სოფლად რთველი და ყურძნის კრეფა,  
 აზვავებული შემოდგომა ბელღებს ჩაბარდა.  
 სტუმრებისათვის ლავაშებით დახურეს სეფა  
 და ჰაეჰაეჰე გულბათი დასვეს თამბაქად.  
 და როცა სუფრას აღარ შერჩა ერთი კაციცა,  
 როცა ლავაშით დახურული სეფაც დაიქცა,  
 როცა დაიმსხვრა სასმურები და დაილია,  
 მაშინ გულბათ ჰაეჰაეჰე გადაირია.  
 გაღიარია, როგორც ერთ დროს შედან ჰილაქ  
 და იერიში მიიტანა წვრილ ჰინჯილანზე.  
 შეტორტმანებულს ნახევარიც არ დაეცალა,  
 წყენით წამოცდა: «ეს ოხერი რომ არ ვათვდა»  
 სანთელს გახელდა, მოეჩვენა ერთი ათადა,  
 თვალთ დაუბნელდა, დაეკარგა მუხლებში ძალა,  
 წაიბორძიკა, წაიფორჩილა-წაიბანცალა  
 და ნაცობნარით გაბერილი, როგორც კამეჩი,  
 აზრდაკარგული გაიმხვართა შუღლამეში.  
 ჰერი შეინძრა, იატაკმა გაიჭრიჭინა,  
 თაიგულივით ხელში შერჩა ჰრელი ჰინჯილა».

(ლ. ა ს ა თ ი ა ნ ი, ნაწყვეტები ლექსიდან «გულბათი ჰაეჰაეჰე»,  
 «რჩეული», გვ. 72—73, თბ., 1971).

## 2. აღფრთოვანების გამომხატველი ტექსტი

«და რა ქალი? ხელისგულით სატარები...  
 რა თვლები?! ეღვის ცეცხლის დამჭერი...  
 ბოშა ქალი, ვარსკვლავების სადარები...  
 შეხედეს და... შეუყუროთხეს გამჩენი...  
 მებლავურებს გამომწევედ გვერდს აუვლის,  
 ეტყვიან და... ისიც ეტყვის ურიგოს...  
 ხელგამილილი გადუღგება მებლავური:  
 — მხოლოდ ერთხელ მაკოცეო, სულივო!...  
 ეს პაწია, სიყვარულის დოსტაქარი,  
 განა დარღობს, თვალებს ცრემლით იოსებს?  
 მხიარული, ფეხშიშველი ბოშა ქალი  
 სტენით მიდის პორტის სანაბიროზე...».

(ა. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, «ბოშა ქალი», ლექსები, გვ. 20, თბ., 1973).

### 3. სევდის გამომხატველი ტექსტი

«რა უიმედო საღამო დგება,  
ისევ საოცარ იღბალს შივეყვარ.  
სად არის მამა, სად არის დედა,  
რომ ჩემი გული ასე ირღვევა.  
სულს ნისლიანი ქაოსი ფარავს,  
დგება სიჩუმე, როგორც კარავი.  
ვიღაც კითხულობს შორეულ ბარათს,  
ვიღაცა კვდება, ვიღაც არ არის».

(ტ. გრანელი, «თეთრი ფიქრებიდან», ლირიკა, გვ. 57, თბ., 1972).

ტექსტებს წინასწარ გაცნო ოთხი დიქტორი, რის შემდეგაც გაკეთდა მათი მაგნიტოფონური ჩანაწერი. მაგნიტოფონზე ჩაწერილი ტექსტები გადაღებულ იქნა ოსცილოგრაფზე. მიღებულ ოსცილოგრამებზე გაიზომა ხმოვანთა სიმაღლე, სიგრძე და ინტენსივობა, პაუზათა სიგრძე. შედეგები გადატანილ იქნა სანოტო სისტემაზე და შესწავლილ იქნა ინტონაციის კომპონენტები — მელოდიკა, გრძლივობა, ინტენსივობა, პაუზა. შევეხებით თითოეულ მათგანს.

1. მელოდიკა. ანალიზი გვიჩვენებს, რომ დიქტორების მიერ სალექსო სტრიქონის — ტაეპის — წაკითხვა იწყება მაღალ რეგისტრში, სტრიქონის ბოლოს ტონი უფრო დადაბლებულია. ამის შედეგად ზერხდება ტაეპების გამოყოფა ერთმანეთისგან. ეს ფაქტი ლექსის რიტმიკასთან არის დაკავშირებული. მაგალითად:

«მეზღვაურებს ვაპოვწვევად გვირდს აუღლის,

ეტყვიან და ისიც ეტყვის ურიგლს».

ლექსის რიტმიკული მხარიდან გამომდინარეობს აგრეთვე ტაეპში მუხლების გაფორმება ერთი ინტონაციური კონტურით — ერთ ინტონემად გაერთიანება. მაგალითად:

«სად არის მამა, სად არის დედა,

რომ ჩემი გული ასე ირღვევა».

მელოდიკით ტერფებიც გამოიყოფა ხოლმე. მაგალითად:

**აწიბობიძეა, წიფორხილ-წაიზანცაღა**

**და ნაუხნარით გაბერილი, როგორც კამერიკა**

ამგვარად, დასახელებულ მაგალითებში მელოდია დაკავშირებულია პოეტური ტექსტების ფორმასთან.

ტექსტების შინაარსთან არის დაკავშირებული სტრიქონებში ამა თუ იმ სიტყვის გამოყოფა ტონის აწევით. ეს აღინიშნება მაშინ, როცა დიქტორის სურს სალექსო სტრიქონში გახაზვა რომელიმე სიტყვისა, როგორც ლოგიკური აზრის მატარებლისა. მაგალითად:

**აუკვე ჩაიავდა სოფლად რიველი და ყურძნის კრეფათ.**

მელოდიკის საშუალებით ხდება გრძნობის გამოხატვაც ტექსტში. მაგალითად, სიტყვათა გასახაზვად ტონი სხვადასხვა გრძნობის გამოხატველ ტექსტში სხვადასხვა სიდიდის ინტერვალით აიწევს: დიდი ინტერვალით ტონის აწევა დადასტურდა იუმორისტულ ტექსტში, მცირე ინტერვალით — სევდის გამოხატველ ტექსტში, ხოლო საშუალო სიდიდის ინტერვალით — აღფრთოვანების გამოხატველ ტექსტში.

სხვადასხვა გრძნობის გამოხატველ ტექსტებში განსხვავებულია სიტყვათა შიგნით ხმოვანთა სიმაღლეებს შორის ინტერვალის სიდიდეც. მაგალითები:

**ასტუმრებებისათვის ღვაწეშით დახურეს სწება.**

(ამ მაგალითში სიტყვაში ს ე ფ ა ერთ-ერთი დიქტორის წარმოთქმაში ხმოვანთა სიმაღლეებს შორის ინტერვალი 6 ტონია, ტონი დამავალია).

**ასანთებს გახედა, მიეჩვენა ერთი ათადაა.**

(აქ კი სიტყვაში ერთი ხმოვანთა სიმალლებებს შორის ერთ-ერთი დიქტორის წარმოთქმაში ინტერვალი მტონია, ტონი აღმავალია).

## «ისევ საოყარ იღბად მივყევარო».

(ამ მაგალითში ერთ-ერთი დიქტორის წარმოთქმაში სიტყვაში ისევ ერთი ტონით აიწვეს მეორე ხმოვნის სიმალლე, დანარჩენ სიტყვებში კი ხმოვანთა მონოტონურად წარმოთქმასთან გვაქვს საქმე).

წარმოდგენილი ტექსტების ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ ინტერვალი სიტყვებს შიგნით ხმოვანთა სიმალლებებს შორის ყველაზე დიდია იუმორისტულ ტექსტში, ყველაზე მცირე — სევდის გამომხატველ ტექსტში, ხოლო აღფრთოვანების გამომხატველ ტექსტში საშუალოა. უნდა აღინიშნოს, რომ იუმორისტულ და აღფრთოვანების გამომხატველ ტექსტებში დიდია აგრეთვე იმ სიტყვათა პროცენტული რაოდენობაც, სადაც სიტყვათა შიგნით ხმოვანთა სიმალლებებს შორის დიდი ინტერვალი დადასტურდა.

სხვადასხვა გრძნობის გამომხატველი ტექსტები ერთმანეთს უპირისპირდებიან წაკითხვის დიაპაზონითა და რეგისტრით. ფართო დიაპაზონსა და მაღალ რეგისტრში წაკითხულია იუმორისტული და აღფრთოვანების გამომხატველი ტექსტები, ხოლო ვიწრო დიაპაზონსა და დაბალ რეგისტრში — სევდის გამომხატველი ტექსტი.

ამგვარად, მელოდიკის საშუალებით მიიღება ინფორმაცია ტექსტის ფორმაზე, შინაარსზე და იმ გრძნობაზე, რითაც ესა თუ ის ტექსტია წაკითხული.

2. გრძლივობა. გრძლივობაში, როგორც ინტონაციის კომპონენტში, იგულისხმება ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლე.

აღსანიშნავია, რომ დიქტორები რიგ შემთხვევებში ტაების ბოლო მარცვლის ან ზოგჯერ ტაებში მუხლის ბოლო მარცვლის ხმოვანს გაგრძელებულად წარმოთქვამენ. ეს დაკავშირებულია ლექსის რიტმიკასთან. მაგალითები:

ასად არის შამა, სად არის დედა,

რომ ჩემი გული ასე ირღვევია.

«და რა ქაღლი?! ხელის გულით სატარებნი...»

რა ივადლებნი?! ეფის ცეცხლის დამჭვარი...»

სხვათა შორის, ხმოვანთა დაგრძელება ტაების ან მუხლის ბოლო მარცვალში საერთოდ არის მიღებული ქართული ლექსის წაკითხვის დროს. გავიხსენოთ, თუნდაც, ი. გრიშაშვილის მიერ წაკითხული საკუთარი ლექსები. ცნობილია, რომ იგი ხმოვნებს განსაკუთრებით შესამჩნევად აგრძელებდა, მაგალი-

თად გამოდგება მის მიერ წაკითხული «ბედნიერებო, გამოდით გარეთ». ტაეპის ან ტაეპში მუხლის ბოლო ხმოვნის გაგრძელებულად წაკითხვა ლექსს აახლოებს სიმღერასთან (აქ იგულისხმება ქართული ლექსი და ქართული სიმღერა). მაგალითად, ქართულ სიმღერებში «ეუუუნა წვიმა», «სულიკო», «ციცინათელა» და სხვ. გრძელდება სწორედ ტაეპის ან მუხლის ბოლო ხმოვნები. შეიძლება დავასახელოთ ქართული კლასიკური ვოკალური მუსიკის ნიმუშებიც, მაგალითად, ეთერის არია ზ. ფალიაშვილის «აბესალომ და ეთერიდან» — «დედინაცვალე, თვალში ნაცარე...» შესანიშნავი მაგალითი მუხლის ბოლო ხმოვნის დაგრძელებისა გვაქვს დ. არაყიშვილის რომანსში «ვარსკვლავიანსა ღამეს» («ვარსკვლავიანსა ღამეს, მთვარე ანათებს წყნარად, ტბილია ბაგე ქალს, მოწებებული თავად...» და ა. შ.). რუსულში, მაგალითად, სხვა ვითარებაა, იქ სიმღერაშიც და ლექსშიც გრძელდება მახვილიანი ხმოვანი.

ტაეპის ან მუხლის ბოლო მარცვლის ხმოვნის დაგრძელება ლექსის ფორმასთან არის დაკავშირებული. ტექსტის შინაარსს კი უკავშირდება სიტყვების ხაზგასმით წარმოთქმა ხმოვნის დაგრძელებით. მაგალითად:

**«მაშინ გულებათ ჭავჭავაძე გაღარიბაა.»**

**«ტყვიან და ისიც ეტყვის ფრიგთაა.»**

ხმოვანთა გრძლივობით ხერხდება სხვადასხვა გრძნობის გამომხატველი ტექსტების დაპირისპირება ერთმანეთთან. მაგალითად, ზემოთ ნახსენები ხმოვნის დაგრძელება ტაეპის ან მუხლის ბოლო მარცვალში შეიმჩნევა მეტნაკლებად ყველგან, მაგრამ უფრო დიდი როდენობითაა სევდის გამომხატველ ტექსტებში. გრძლივობის ხარისხი ყველაზე მეტი ჩანს აღფრთოვანების გამომხატველ ტექსტში.

ხმოვანთა გრძლივობა ქმნის ტექსტების წაკითხვის ტემპსაც. აღმოჩნდა, რომ სევდის გამომხატველი ტექსტი დანარჩენ ორ ტექსტთან შედარებით ნელი ტემპით არის წაკითხული.

როგორც ვხედავთ, ხმოვანთა გრძლივობა უკავშირდება ლექსის ფორმას, შინაარსს და გრძნობას, რითაც ტექსტია წაკითხული.

3. ინტენსივობა. ტექსტების წაკითხვის დროს თითოეული ტაეპი იწყება დიდი ინტენსივობით, ტაეპის ბოლოს ინტენსივობა მცირდება. ეს ფაქტი დაკავშირებულია ლექსის რიტმიკასთან. მაგალითად:

«რა უიმედო საღაზო დგება,

ისევ საოჯარ იღბალს მივუვებარა.»

ტექსტების წინაარსს უკავშირდება ინტენსივობის საშუალებით გამოყოფა სიტყვებისა როგორც ძირითადი ლოგიკური აზრის მატარებლებისა. მაგალითად:

### «სტუმრებისათვის ლავაშებით დახურეს სეფა»

ინტენსივობის ხარისხით ერთმანეთს უპირისპირდებიან სხვადასხვა ხასიათის ტექსტები. ინტენსივობის ხარისხი ყველაზე მცირეა სევდის გამომხატველ ტექსტში, ყველაზე დიდი — იუმორისტულ ტექსტში.

როგორც ვხედავთ, წარმოდგენილ ტექსტებში ინტენსივობა დაკავშირებულია ლექსის ფორმასთან, წინაარსთან და იმ გრძნობის გამომხატვასთან, რითაც ტექსტებია წაკითხული.

4. პაუზა. პაუზის არსებობა მთელ რიგ შემთხვევებში ინტონაციის სხვა კომპონენტების მსგავსად ლექსის რიტმიკიდან გამომდინარეობს. როგორც წესი, პაუზა გამოყოფს ტაქტებს ერთმანეთისაგან. მაგალითად:

«სტუმრებისათვის ლავაშებით დახურეს სეფა (პაუზა)  
 და პაუზაზე გულბათი დასვეს თამადა».

პაუზა ხშირად ემთხვევა ტაქტში მუხლის დასასრულსაც. მაგალითად:

«რა უიმედო (პაუზა) საღამო დგება (პაუზა),  
 ისევ საოცარ (პაუზა) იღბალს მივყვარ».

პაუზის საშუალებით ტექსტებში გამოიყოფა სიტყვები როგორც ლოგიკური აზრის მატარებლები. მაგალითად:

«სანთელს გახედა, მოეჩვენა ერთი (პაუზა) ათადა».

ანდა:

«გადიარია, როგორც ერთ დროს შედან ჭილაქე (პაუზა)  
 და (პაუზა) იერიში მიიტანა წვრილ კინკილაზე».

დასახელებულ მაგალითებში პაუზა არის სასვენი ნიშნის არაშესაბამისი.

პაუზათა საშუალებით ხერხდება სხვადასხვა გრძნობის გამომხატველი ტექსტების დაპირისპირება ერთმანეთთან. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით იმყრობს ყურადღებას პაუზათა (როგორც სასვენი ნიშნის შესაბამისი, ასევე არა-შესაბამისი) სიგრძე. გაანალიზებულ ლექსებში პაუზები გრძელია სევდის გამომხატველ ტექსტში, მოკლეა ადფრთოვანების გამომხატველ ტექსტში, ხოლო საშუალო სიგრძისაა იუმორისტულ ტექსტში.

ლექსების წაკითხვის დროს საინტერესო ჩანს ერთი ფაქტი: დიქტორებს ხშირად ტექსტის ბოლო ტაქტში სიტყვები პაუზებით აქვთ დაყოფილი, რაც ქმნის ტექსტის შენელების ეფექტს, ემსგავსება *ritenuto*-ს, როგორც მუსიკაში არსებულ შენელებას უწოდებენ ხოლმე. ტექსტის შენელება პაუზების საშუალებით განსაკუთრებით აღსანიშნავია სევდის გამომხატველ ტექსტში, ცალკეული დიქტორები კი შენელებას მიმართავენ სხვა ტექსტებშიც. მაგალითად:

«სულს ნისლიანი ქაოსი ფარავს (პაუზა),  
 დგება სიჩუმე, როგორც კარავი (პაუზა).  
 ვიღაც (პაუზა) კითხულობს შორეულ ბარათს (პაუზა),  
 ვიღაცა (პაუზა) კვდება (პაუზა), ვიღაც (პაუზა) არ არის».



როგორც ვხედავთ, პაუზა უკავშირდება ლექსის ფორმას, შინაარსს და გრძნობას, რითაც ლექსია წაკითხული.

ამგვარად, წარმოდგენილი პოეტური ტექსტების წაკითხვის დროს დასტურდება სამი სახის ინტონაციური ცვლა:

1. ინტონაციური ცვლა, რომელიც ტექსტის ფორმითაა განპირობებული. აქ იგულისხმება ტაქტებისა და ტაქტებში მუხლის გამოყოფა ტონის დაწვეით, ინტენსივობის შემცირებით, ბოლო მარცვალში ხმოვნის დაგრძელებითა და სასვენი ნიშნის არაშესაბამისი პაუზით.

2. ინტონაციური ცვლა, რომელიც ტექსტის შინაარსითაა განპირობებული. ესაა ტექსტებში სიტყვათა გახაზვა ტონის აწვეით, ხმოვნის დაგრძელებით, ინტენსივობის მომატებით ან სასვენი ნიშნის არაშესაბამისი პაუზით.

3. ინტონაციური ცვლა, რომელიც განპირობებულია იმ გრძნობით, რითაც ტექსტია წაკითხული. აქ იგულისხმება დიაპაზონის სიფართოვე, რეგისტრის სიმაღლე, სიტყვებს შიგნით ხმოვანთა ტონურ სიმაღლეებს შორის ინტერვალის სიდიდე, ტექსტებში სიტყვების გასახაზავად ტონის აწვევის ხარისხი (მელოდიკა); ტექსტების წაკითხვის ტემპი, ტექსტებში სიტყვების გასახაზავად ხმოვნის დაგრძელების ხარისხი (გრძლივობა); ტექსტებში სიტყვების გასახაზავად ინტენსივობის ხარისხი (ინტენსივობა); პაუზის დაგრძელების სხვადასხვა ხარისხი (პაუზა). სხვადასხვა გრძნობით ტექსტების წაკითხვის დროს ყველაზე მნიშვნელოვან როლს უნდა ასრულებდეს მელოდიკა, რადგანაც მას ინტონაციის სხვა კომპონენტებთან შედარებით მეტი საშუალება მოეპოვება ამა თუ იმ ტექსტის ემოციურად გასაფორმებლად.

Н. А. КИЗИРИА

## ОБ ИНТОНАЦИОННОМ ОФОРМЛЕНИИ ГРУЗИНСКИХ ПОЭТИЧЕСКИХ ТЕКСТОВ

Резюме

В статье сделана попытка выявить роль интонации при чтении грузинских поэтических текстов. Рассмотрены тексты, выражающие восторг, печаль, и текст юмористического характера. Посредством осциллографического метода проанализированы магнитофонные записи текстов в произнесении четырех дикторов. Из компонентов интонации анализировались мелодика, длительность, интенсивность и пауза.

При чтении поэтических текстов наблюдается интонационное изменение трех видов:

1. изменение тона, обусловленное формальной стороной текста (понижение тона, уменьшение интенсивности, удлинение гласного и появление паузы в конце каждой строки);

2. изменение, обусловленное содержанием текста (подчеркивание слов в текстах повышением тона, увеличением интенсивности, удлинением гласного, появлением паузы);

3. изменение, обусловленное эмоциональной окраской прочитанного текста (в ширине диапазона, высоте регистра, величине интервала между высотами гласных внутри слов; в разной степени повышении тона, удлинении гласных и пауз, увеличения интенсивности в подчеркнуто произнесенных словах).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორია

წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა

ჟორა სორდია

### ფრაზეოლოგიზმთა სინტაქსური კვალიფიკაციის საკითხები

ქართულში (ასევე სხვა ენებშიც) ფრაზეოლოგიზმებით შეიძლება გამოხატულ იქნეს წინადადების წევრები (ფრაზეოლოგიზმებით გადმოცემულ წევრთა შესახებ იხ.: 21, 183—184; 4, 96; 6, 60; 16, 81—86; 17, 23—24; 18, 26—29), სინტაქსური ერთეულები (resp. სინტაგმები, ანუ წყვილები), მარტივი თუ შერწყმული წინადადებები, აგრეთვე რთული წინადადებების ნაწილები და რთული წინადადებები. ასე, მაგ. (წერილის მოცულობა ყველა სინტაქსური ერთეულის ყველა საილუსტრაციო ნიმუშის წარმოდგენის საშუალებას არ გვაძლევს):

I. ფრაზეოლოგიზმებით გადმოცემული წინადადების წევრები:

1. შე მ ა ს მ ე ნ ე ლ ი :

1) მაიმუნივით გატლინკებ, **ბაწარს შეგაბამ ყელზედა** (პ. უმიკ.).

**ბაწარს შეგაბამ ყელზედა** სემანტიკურად იგივეა, რაც „დაგიმორჩილებ, დაგიმონებ“ (ე. ი. „ბაწარს შეგაბამ ყელზედა“ მნიშვნელობით სინონიმურია ზმნის პირიანი ფორმისა), რის გამოც ჩვენთვის საინტერესო ფორმა მარტივი შემასმენელია.

2) — არ გაბედოთ მიცემა, თორემ **ბეჭებზე მტვერს აგადენთ** (ა. ერისთავ-ხოშტარია).

**ბეჭებზე მტვერს აგადენთ** = გცემთ, მიგბეგავთ, დაგსჯით (მარტივი შემასმენელი).

3) „მახარე! ეს შენი სადღეგრძელო იყოს!“ — „ღირსი არა ვარ!“ — „ეე, შენ კიდევ **კულს იქნევ!**“ — უკმაყოფილოდ წამოიძახა ეთერმა (შ. არაგვისპ.).

**კულს იქნევ** = ეშმაკობ, ცბიერობ, გაიძვერობ (მარტივი შემასმენელი).

4) როცა ავუსხენი, რომ ეს ყველაფერი ტყუილია... მაშინ კი მიხვდნენ და **შემოიკრეს თავში ხელი** (ა. წერ.).

**შემოიკრეს თავში ხელი** = იღარდეს, ინანეს, გაოცდნენ (მარტივი შემასმენელი).

5) — შენ, ერთი ეს მითხარ, მაღლიანი სახე აქვს? ფერზედ როგორ არის? — მაგას ნულარ მკითხავ, **კალმით ნახატია** (ი. ჭავჭავ.).

**კალმით ნახატია** = ლამაზია (ძალიან ლამაზია) — შედგენილი შემასმენელი.

6) მაშ თქვენ გეგონათ, მე თავში **ბზე მიყრია**? (ვაჟა-ფშაველა).

**თავში ბზე მიყრია** = უჭკუო ვარ (შედგენილი შემასმენელი).

2. ქ ე ე მ დ ე ბ ა რ ე :

— არა, ზედმეტჯერ **თვალში შეჩხირება** მაინც არ ვარგა (ნ. ლორთქ.).

**თვალში შეჩხირება** სემანტიკურად იგივეა, რაც „შეხვედრა“.

### 3. დამატება:

1) იქიდან საცაა ხიშტების ტყე უნდა შემოსულიყო და თან ყრუ ძალა-ლობა, მძიმე ქუსლი და ბრმა თავხედობა უნდა შემოეტანა (მ. ჯავახ.).

**მძიმე ქუსლი** = სისასტიკე (პირდაპირი დამატება).

2) (კიკოლიკი) პოლონელ სტუდენტებთან შედარებით ტყიდან გამოსულს ჰკავდა (გ. წერ.).

**ტყიდან გამოსულს** = ველურს (ირიბი დამატება).

3) „წინას უთხრა: მე წავალ და ძიძას ეუშოვინო“. ამ სიტყვით კარში გამოვიდა და ისევე ეშმაკის გზას შეუღდა (რ. ერისთ.).

**ეშმაკის გზას** = უკუღმართობას, აკვაცობას, ბოროტებას, ბიწიერებას (ირიბი დამატება).

4) თვალის მოტყუებაზე არავინ არ ფიქრობდა.

**თვალის მოტყუებაზე** სემანტიკურად იგუევა, რაც „წაძინებაზე“ (დაძინებაზე), და უბრალო დამატებაა.

### 4. გარემოება:

ცნობილი ფაქტია, რომ წინადადების მეორეხარისხოვან წევრთა შორის ლინგვისტიკურ ლიტერატურაში ჯერ კიდევ სადავოა განსაზღვრების ადგილი, რამდენადაც ზოგ გრამატიკაში (2; 8, 12; 12, 27—28; 14, 2—4; 18, 25, 26; 13; 8, 75, 84; 7, 72, 80; 3, 293; 10, 215; 5; 9, 12) განსაზღვრება გარემოების წინაა მოთავსებული, ზოგში კი (19; 19, 33; 6, 125, 156; 11, 198, 207; 20, 33) — გარემოების შემდეგ, მაგრამ „რამდენადაც გარემოება ახლავს შემასმენელს და მას (გარემოებას) კი (და თვით შედგენილი შემასმენლის სახელადს ნაწილსაც) — განსაზღვრება. ფიქრობთ, გარემოება განსაზღვრების წინ უნდა მოთავსდეს“ (17, 22; 15, 28).

თუკი ზემოაღნიშნულს ანგარიშს გავუწევთ, მაშინ ლინგვისტიკურ ლიტერატურაში მეორეხარისხოვან წინადადების წევრთა რიგის მიხედვით განხილვისას განსაზღვრება მოთავსდება გარემოების შემდეგ და, ამდენად, წინადადების წევრები ქართულში ასეთი თანამიმდევრობით იქნება წარმოდგენილი: შემასმენელი, ქვემდებარე, დამატებანი (პირდაპირი, ირიბი, უბრალო), გარემოებანი (ადგილისა, დროისა, ვითარებისა (ზომა-ოდენობისა და ჯერობისა), ნიშვნისა, მიზნისა, პირობისა, დათმობისა) და განსაზღვრება (17, 22—23; 15, 28).

ფიქრობთ, ამ ზოგადი ექსკლუსის შემდეგ სასურველია, წარმოვადგინოთ გარემოების შემცველი ასეთი წინადადებები:

1) ვის შერჩენია ბოროტკაცობა, რომ მე შემრჩენოდა: ერთხელ დავიძვრი-ნე თავი, ორჯერ, სამჯერ და მეოთხეჯერ ვირის აბანოში ამომაყოფინეს თავი (ს. მგალობლ.).

**ვირის აბანოში** = საპყრობილეში, სატუსალოში (ადგილის გარემოება).

2) — შე კაცო, არც ისე ქვეყნის კიდევია დადიანის ტყე! (ნ. ლორთქ.).

**ქვეყნის კიდევ** = შორს (ადგილის გარემოება).

3) მე მსურს... უმწიკვლოდ მოვიტანო ჩემი ქალობა კუბოს კარამდინ (ე. ბარნ.).

კუბოს კარამდინ = სიკვდილამდე, სიკვდილის პირამდე (ადგილის გარემოება).

4) „რატომ ბეგრისა ხუთმეტი (ურემი) არ არის?“ — „ხუთმეტი... თავის გაჩენაში არ შებმულა, შენი ჰირიმე!“ (ი. ჭავჭავ.).

თავის გაჩენაში = არასოდეს, თავის დღეში (დროის გარემოება).

5) პიროვნებამ თავის უკანასკნელი სულის ამოხდამდის მოვალეობას არ უნდა გადაუხვიოს და წინ მიდიოდეს შეუდრეკელად (შ. არაგვის.).

უკანასკნელი სულის ამოხდამდის = სიკვდილამდის (დროის გარემოება).

6) ქმარი ფულს შოულობდეს, ცოლი კი ჰფლანგავდეს... დილით დილამდე ჩაგვირქვებდეს: „ფული მოიტა, ფული!“ (მ. ჭავჭავ.).

დილით დილამდე = განუწყვეტლივ, მუდამ (ვითარების გარემოება).

7) ნადავლი საქონელი ბზის ფასად გადიოდა (ვ. ბარნ.).

ბზის ფასად = იაფად (ვითარების გარემოება).

8) ნაკბენივით წამოხტა აბღულა, უცებ მოისაზრა, რაშიც იყო საქმე, ხელი დაავლო ჩაქუნს და გარეთ გავარდა (ი. ევდ.).

ნაკბენივით = მძაფრად, მკვეთრად (ვითარების გარემოება).

5. განსაზღვრება:

1) შენისთანა მამლის ბოლო კაცს სახლის კარებამდე ვერ ენდობა ადამიანი (თ. სახოკია, ხატ. სიტყვა-თქმანი, II, 6).

მამლის ბოლო სემანტიკურად იგივეა, რაც „ორპირი, დაუდევარი, გაიძვერა, მოღალატე, ცუხი“ (ატრიბუტული განსაზღვრება).

2) ჩვენში ახალი რაზმი გამოდის სასაპარეზოდ და ნელა მატულობს, — ეს ყველა თვალხილულისათვის მწესავით ნათელი ფაქტია (ი. ჭავჭავ.).

მწესავით ნათელი = აშკარა (მეტად აშკარა), გასაგები (ატრიბუტული განსაზღვრება).

3) მუდამ მოტიტინესა და ენად გაკრეფილს ლიდიას დღეს ხმის ამოსაღებად სიტყვა ვერ ეპოვა (ა. ყაზბ.).

ენად გაკრეფილი = მოლაყებ (გაუთავებლად მოლაპარაკე) (ატრიბუტული განსაზღვრება).

4) ...ქალმა ჯერ გულიანად ჩაიციხა, შემდეგ ენადგაკრეფილი კავალერი „სტოლთან“ მიიწვია (ნ. ლომ.).

ენადგაკრეფილი = მოლაყებ (ატრიბუტული განსაზღვრება).

5) სიკვდილის წინ მან (ბეკინამ) მოიხმო „თავისი პლატონი“... და „შავ დღეზე გაჩენილი“ ძმის, უდანაშაულო ჩვილის შებრალებას ევედრებოდა (დ. კლდ.).

შავ დღეზე გაჩენილი = უბედური (ატრიბუტული განსაზღვრება).

6) მას შორიდან მოესმა პეტრეს სულის დაღვევის ამბავი.

სულის დაღვევის სემანტიკურად იგივეა, რაც „სიკვდილის“ და წინადადებაში მართული განსაზღვრება.

დაბოლოს, გვინდა დავასკვნათ, რომ ჩვენთვის საინტერესო ზემოგანხილულ ნიმუშებს, რომლებიც არსებითად განსხვავდებიან ჩვეულებრივი წინადადების წევრებისაგან, უნდა ეწოდოს ფ რ ა ზ ე ო ლ ო გ ი უ რ ი წ ი ნ ა დ ა

დებებს წევრები, რის გამოც თანამედროვე ლინგვისტიკურ ლიტერატურაში უნდა დამკვიდრდეს ისეთი სინტაქსური ერთეულები, როგორცაა: „ფრაზეოლოგიური შემასმენელი“, „ფრაზეოლოგიური ქვემდებარე“, „ფრაზეოლოგიური დამატება“, „ფრაზეოლოგიური გარემოება“, „ფრაზეოლოგიური განსაზღვრება“ (16, 81—86; 17, 23—24; 15, 29). აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ ახალი სინტაქსური ერთეულების შექმნას, რომლებიც ენობრივ მასალათა შინაარსს ადეკვატურად ასახავენ, გარდა თეორიულია, პრაქტიკული საფუძველიც აქვს, რამდენადაც „ფრაზეოლოგიური წინადადების წევრის სახით წარმოდგენილ ფრაზეოლოგიზმთა შემადგენლობაში შემავალი კომპონენტების ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობა რამდენადმე იჩრდილება, ისინი (კომპონენტები) ერთიმეორეში აზრობრივად ღრმად იჭრებიან, ხდება მათი განზოგადება და, რაც მთავარია, სემანტიკურად ერთ მთლიან ცნებად აღიქმებიან. ამდენად, ფრაზეოლოგიზმის დანაწევრებული გაგება თითქოსდა თვალწინ გვეკარგება (სუსტდება), რის გამოც ცნობიერებაში შემოიჭრება მისი (ფრაზეოლოგიზმის) სემანტიკური ტოლფარდი“ (15, 29).

II. ფრაზეოლოგიზმებით გადმოცემული ცალკეული სიტყვები (წინადადების წევრები):

1. მუზაფხულები დედაბუდიანად გარეთ გამოფენილყვენ სასიეროდ (ა. წერ.).

დედაბუდიანად სემანტიკურად იგივეა, რაც „მთლიანად“.

2. ქონება არ გააჩნიათ და მამული; დედაწულიანად აყრილი მოვლენ, დედაწულიანადვე აიყრიბიან და წავლენო (კ. გამსახ.).

დედაწულიანად შინაარსობრივად იგივეა, რაც „მთლიანად“.

როგორც ვხედავთ, ფრაზეოლოგიზმები და მათი სემანტიკურად ფარდი ფორმები გადმოცემულია ერთი სიტყვით.

III. ფრაზეოლოგიზმებით გადმოცემული სინტაქსური ერთეულები (resp. სინტაგმები, ანუ წყვილები):

1. — წავიწყმიდე სული, შენ რომ კლასს მოგაშორე (ე. ნინ.).

წავიწყმიდე სული მნიშვნელობით იგივეა, რაც „ბოროტება ჩავედინე“, ე. ი. ფრაზეოლოგიზმებით გადმოცემული სინტაქსური ერთეულის („წავიწყმიდე სული“) სემანტიკური ეკვივალენტია ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობით ნახშირი სიტყვებით გადმოცემული სინტაქსური ერთეული („ბოროტება ჩავედინე“).

2. — სიტყვამ მოიტანა და გითხარით, თორემ მეც ვიცი, ყელს გამოგჭირიან (მ. ჭავჭავ.).

სიტყვამ მოიტანა = საუბარმა (მსჯელობამ) მოიტანა (ფრაზეოლოგიური სინტაქსური ერთეულს შეეფარდა ჩვეულებრივი სინტაქსური ერთეული).

3. — ახლა კაი კაცი ხარ, ოტია ჩემო, სიტყვა გცოდნია! (დ. კლდ.).

სიტყვა გცოდნია = დანაპირებს ასრულებ.

4. სიტყვა ვიჭრის და გამოიყენე... პირობას მაძლევ თუ არა? (მ. ჭავჭავ.).

სიტყვა ვიჭრის = ლაპარაკი გეხერხება (გუადვილება).

ჩვენთვის საინტერესო ზემოგანხილულ (და მათს მსგავს) ნიმუშებს, რომლებიც გადმოცემული არიან ფრაზეოლოგიზმებით, უნდა ეწოდოს ფრაზეოლოგიური სინტაქსური ერთეულები (resp. ფრაზეოლოგიური სინტაგმები, ანუ ფრაზეოლოგიური წყვილები).

როგორც ზემოგანხილული ჩვენთვის საინტერესო ფორმებიდან ჩანს, ფრაზეოლოგიურ სინტაქსურ ერთეულებს (resp. ფრაზეოლოგიურ სინტაგმებს, ანუ ფრაზეოლოგიურ წყვილებს) ეფარდება ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობით ნახშიარი სიტყვებით გადმოცემული სინტაქსური ერთეულები, მაგრამ, გარდა ამისა, შეინიშნება ისეთი შემთხვევებიც, როცა მათ (ფრაზეოლოგიურ სინტაქსურ ერთეულებს) ესატყვისება ესა თუ ის ჩვეულებრივი წინადადების წევრი:

1. ამისათვის კი, როგორც ამბობ, ბრძოლაა საჭირო, და მეც მინდა გვერდში ამოგიდგე (ი. ევლ.).

გვერდში ამოგიდგე სემანტიკურად იგივეა, რაც „დაგეხმარო“ და მარტივი შემასმენელია.

2. ან ეგ დაგვლუბავს, ან... კიდევ ჩვენვე უნდა მოვიშოროთ გზიდან (მ. ჯავახ.).

უნდა მოვიშოროთ გზიდან = „მოვსპოთ“, „გავენადგუროთ“, „დავამარცხოთ“.

3. მიტო გონებაში ჩავარდა, მიხვდა, რომ სწავლის დასასრულებლად საჭირო იყო შრომა... და ხელი მიპყო მუშაობას (ეკ. ვახ.).

გონებაში ჩავარდა = „დაჰკვიანდა“.

4. (პეტრეს) კრებაზე ხმა არ ამოუღია და მეც გონებიდან გადამივარდა (ი. ეკალაძე).

გონებიდან გადამივარდა = „გადამივიწყდა“.

IV. ფრაზეოლოგიზმებით გადმოცემული მარტივი წინადადება:

1. აქ ჩვენ რწყილსაც ვატყავენ (ა. წერ.).

ეს წინადადება სემანტიკურად იგივეა, რაც „აქ ვცდილობთ ყველაფერში გამოჩენა ვნახოთ“.

2. ჩვენ (მას) დათვურ სამსახურს ვუწევთ (ჰ. ლომთ.).

დათვურ სამსახურს ვუწევთ = „სარგებლობის ნაცვლად ზიანს ვაყენებთ“.

3. შე კაცო, ღორის კულზე ნუკი გადატეხ დანას! (ა. ბელ.)

ღორის კულზე ნუკი გადატეხ დანას = „საქმეს დასრულებისას („ბოლოში“, „გათავებისას“) ნუ გააფუჭებ“.

ასეთ და მათს მსგავს ფრაზეოლოგიზმებით გადმოცემულ მარტივ წინადადებებს უნდა ეწოდოს ფრაზეოლოგიური მარტივი წინადადება.

როგორც ზემოგანხილული ნიმუშებიდან ჩანს, ფრაზეოლოგიურ მარტივ წინადადებებს ეფარდება ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობით ნახშიარი სიტყვებით გადმოცემული მარტივი წინადადებები, მაგრამ ზოგჯერ ფრაზეოლოგიურ მარტივ წინადადებებს ესატყვისება ჩვეულებრივი წინადადების წევრი. ასე, მაგ.:

1. ვაუტრჯელ კაცს წყალი წაიღებს, მამ რა მოუვა! ამას დიდი ლარი და ხაზი არ უნდა! (ი. ჭავჭავაძე).

დიდი ლარი და ხაზი არ უნდა სემანტიკურად იგივეა, რაც „ცხადია“, „ნათელია“, „აშკარაა“.

V. ფრაზეოლოგიზმებით გადმოცემული რთული წინადადების ნაწილები:

1. კაცი, რომელიც თავის დღეში ფარდა ჩამოფარებული დადის..., გულსდღილად მოქმედება აღარ შეუძლიან (გ. წერ.).

თავის დღეში ფარდა ჩამოფარებული დადის სემანტიკურად იგივეა, რაც „ყოველთვის მალავს თავის ნამდვილ სახეს“ და დამოკიდებული წინადადებაა.

2. — რაში გეკითხების, რაი მომსვლია, — უთხრა ქალმა და სიტყვა გადააბრუნა (ა. ყაზბ.).

სიტყვა გადააბრუნა = ლაპარაკი სხვა რამეზე გადაიტანა (რთული ქვეწყობილი წინადადების ნაწილია).

3. — სულ მაგას ემუდარებინა: ერთ სწორ გზაზე დაგვაყენეო (შ. დად.).  
ერთ სწორ გზაზე დაგვაყენეო = სწორი მიმართულება მოგვეცი ცხოვრებაში (დამოკიდებული წინადადება).

4. დამწვარზე მდულარე გადაესხაო, რომ იტყვიან, სწორედ ისე დაემართა ჯერანს (ე. ნინ.).

დამწვარზე მდულარე გადაესხაო სემანტიკურად იგივეა, რაც „ერთ უბედურებაზე მეორე დაემატაო“, რომელიც მარტივი წინადადებაა და რთული წინადადების შემადგენელი ნაწილია.

VI. ფრაზეოლოგიზმებით გადმოცემული რთული წინადადება:

თუ პილბილი არ გიჭამია, პირი რად გეწვისო (ანდაზა).

ეს წინადადება სემანტიკურად იგივეა, რაც „თუ არაფერი არ დაგიშაგებია, რატომ გეშინიაო“ და რთული ქვეწყობილი წინადადებაა.

ასეთ და მის მსგავს ფრაზეოლოგიზმებით გადმოცემულ რთულ წინადადებებს უნდა ეწოდოს ფრაზეოლოგიური რთული წინადადებები.

დაბოლოს, უნდა აღვნიშნოთ, რომ არც ლინგვისტიკურსა და არც მეთოდოლოგიურ საფუძვლებს მოკლებული არ არის, რომ ფრაზეოლოგიური წინადადების წევრები, ფრაზეოლოგიური სინტაქსური ერთეულები (resp. ფრაზეოლოგიური სინტაგმები, ანუ ფრაზეოლოგიური წყვილები), ფრაზეოლოგიური მარტივი წინადადება, ფრაზეოლოგიური რთული წინადადების ნაწილები და ფრაზეოლოგიური რთული წინადადებები ამ სახით გავაცნოთ სტრუქტურ-ფილოლოგებს.

#### დამოწმებული ლიტერატურა

1. ნ. ნ. გამრეკელი, ე. ა. მგალობლიშვილი, ქართულ-რუსული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1966.
2. ი. გოგებაშვილი, თხზ., 9, თბ., 1962, „მოკლე გრამატიკა ქართული ენისა“, I განყოფილება, „განხილვა მარტივის წინადადებისა“.
3. მ. თალაქვაძე, ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდოლოგია, თბ., 1959.
4. არლი თაყაიშვილი, ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები, თბ., 1961.
5. შ. კეკელია, ა. დავითიანი, ქართული ენა, თბ., 1973.
6. ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1966.
7. ლ. კვაჭაძე, ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1956.
8. ლ. კვაჭაძე, წინადადების წევრები ქართულში, თბ., 1954.
9. პ. კვიციანიძე, ქართული სწორმეტყველება, ტფ., 1883.
10. ანტონ კიზირია, მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბ., 1963.
11. ანტონ კიზირია, ქართული ენა, თბ., 1974.
12. მოკლე ქართული გრამატიკა, შედგენილი და გამოცემული ანდრია სიმ. ბენაშვილის მიერ, ტფ., 1894.
13. ი. ნიკოლაიშვილი, ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1929.
14. პირველ-დაწყებითი ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძისაგან, ტფ., 1907.
15. ე. სორდია, ლინგვომეთოდოლოგიური ნარკვევები, I ნაკვეთი, ცხინვალი, 1983.

16. ე. სორდია, სიტყვათა მყარი შენაერთის სტრუქტურის ძირითადი საკითხები, ჟურ. „კობიზი“, 1974, № 2.
17. ე. სორდია, წინადადების ზოგიერთი მეორეხარისხოვანი წევრის სწავლების საკითხები VII კლასში, თბ., 1981.
18. ქართული გრამატიკა, სრული კურსი, ს. ალ. ხუნდაძის მიერ შედგენილი, მეოთხე გამოცემა, ქუთაისი, 1915.
19. ქართული გრამატიკა, შედგენილი ანტონ I-ის მიერ, ტფ., 1885.
20. ალ. დლონტი, ქართული წინადადება, თბ., 1961.
21. А. В. Калинин, Лексика русского языка, М., 1966.

Ж. А. СОРДИА

## ВОПРОСЫ СИНТАКСИЧЕСКОЙ КВАЛИФИКАЦИИ ФРАЗЕОЛОГИЗМОВ

Резюме

1. В грузинском (как и в других языках) фразеологизмами могут выражаться члены предложения, синтаксические единицы (resp. синтагмы, т. е. словосочетания), простые предложения и однородные члены предложения, а также части сложных предложений и сложные предложения.

2. Члены предложения, синтаксические единицы (resp. синтагмы, т. е. словосочетания), простые предложения и однородные члены предложения, а также части сложных предложений и сложные предложения, выраженные фразеологизмами, следует называть фразеологическими членами предложения, фразеологическими синтаксическими единицами (resp. фразеологическими синтагмами, т. е. фразеологическими словосочетаниями), фразеологическими простыми предложениями, фразеологическими однородными членами предложения.

3. В современной лингвистической литературе должны утвердиться такие новые синтаксические единицы, как фразеологические члены предложения — фразеологическое сказуемое, фразеологическое подлежащее, фразеологическое дополнение, фразеологическое обстоятельство, фразеологическое определение; фразеологические синтаксические единицы (resp. фразеологические синтагмы, т. е. фразеологические словосочетания)...

სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის  
ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა  
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ს. ჩიქიაშვილმა



## კორნელი დანელია

## გრამატიკული სქემის გამომხატვის ცდა ქართულში

ქართული ენა, როგორც ცნობილია, არ განარჩევს გრამატიკული სქემის ფორმებს. მას შეუძლია მხოლოდ ლექსიკურად განასხვავოს ზოგი სულიერი საგნის ორი ბუნებრივი სქესი — მამრობითი და მდედრობითი, რაც მეტწილად ერთნაირი სემანტიკური ჯგუფის თავისებური ანტონიმური წყვილებით გადმოიკემა: დედა/მამა, და/ძმა, ფური/ზარი, ძუ/ხეადი, დედალი/მამალი, ასული/ძე, ქალი/ვაჟი, მკვეალი/მონა, სძალი/სიძე, სიდღერი/სიმაზრი და სხვ.

სულხან-საბა ორბელიანი ქათმის განმარტებისას მახვილგონივრულად შენიშნავს, რომ: მამალ-დედლობა ყო(ვ)ელთა სულიერთა ზედა ითქმის, არამედ [=მამარამ] ფრინველთათვის უფროსად საკუთარ [=უფრო შესაფერი] არს-ო. ამიტომ გასაგებია, რომ საბათი, ვარია არის „მოდიდო დედალი“, ყვინჩილი კ — „მოდიდო მამალი“, ასევე: ეში „მამალი ღორი“, ქუბი „დედალი ღორი“, ნერბი „დედალი ცხვარი“, ვერძი „მამალი ცხვარი“, ნეზვი „დედალი თხა“, ვაცი „მამალი თხა“ და სხვ. შესაძლოა ბუნებრივი სქემის გამოხატვისას ანტონიმური წყვილები არც გვექონდეს და ზოგადი (ნეიტრალური) შინაარსის სიტყვისაგან გამოიჩნდეს იქნეს მხოლოდ ერთი, მეორე კი გაუჩინარებელი, ან გამოუვლენელ-გამოუხატველი იყოს: ვირი, ცხენი, აქლემი სქემის თვალსაზრისით ზოგადი (ნეიტრალური) შინაარსის სიტყვებია, მამარამ კდალი და ჰაკა მხოლოდ მათი მდედრი სახეობის გამოხატველია.

რა ჯგუფის სულიერ საგანთა ბუნებრივი სქემის გასარჩევად ნებისმიერი ცხოველის, ფრინველის თუ მწერის აღმნიშვნელ სიტყვებს შეიძლება მსაზღვრელად დაემატოს დედალი ან მამალი, რაც ყველაზე გავრცელებული საშუალებაა. ეს კარგად ჰქონდა შეგნებული საბას, როცა თავის ლექსიკონში ამ სიტყვების განმარტებისას წერდა: „დედალი ყო(ვ)ელთა ცხოველთა ზედა ითქმის და უფროსად ფრინველთა ზედა“. „მამალი ყოველი მფრინველი და პირუტყვი მამალ-დედლად ითქმის“, ხოლო ვინ ჯგუფის სახელები ამ ტიპის მსაზღვრელებთან ხშირი ხმარების შედეგად მყარ კომპოზიტებად მოგვევლინენ: კაცი — დედაკაცი/მამაკაცი, ბერი — დედაბერი/ბერიკაცი, შვილი — ქალიშვილი/ვაჟიშვილი, უფალი („ბატონი“) — \*დედაუფალი — დედოფალი/მამაუფალი (— მამფალი). ნაცვალი — დედინაცვალი/მამინაცვალი, მძუძე — დედამძუძე/მამამძუძე.

ასე რომ, საჭირო შემთხვევაში ქართული ახერხებს ბუნებრივი სქემის გამოხატვას ლექსიკური საშუალებით მხოლოდ სულიერი საგნის სახელებისათვის. მამარამ ეს საშუალება უძლურია გადმოსცეს უცხოენოვანი გრამატიკული სქემის შინაარსი. ეს გარემოება გარკვეულ სიძნელებებს უქმნიდა ძველი ქართული თარგმანების გადმომდებთ, რომლებიც მეტწილად დამოკიდებული იყვნენ ბიბლიურ თუ სხვა სახის თხზულებათა ბერძნულ წყაროებზე. ბერძნულში კი გრამატიკული სქესი მკვეთრად გამოხატული როგორც სახელთა

ბოლოკიდური დაბოლოებით, ასევე, რაც მთავარია, არტიკლით. ეს უკანასკნელი ზუსტად განსაზღვრავს გრამატიკულ სქესს სახელის დაბოლოების მიუხედავად, არტიკლით გაიჩვენა არა მარტო ერთნაირი დაბოლოების სახელები, (ვთქვათ, ἡ ἔλθοις „ირევი“ მდღერ. სქესისაა, ἡ ἔλθοις „კანონი“ კი მამრ. სქესისა), არამედ ფუძე-დაბოლოებითურთ ერთნაირ ე. წ. საერთო სქესს (communis generis) სახელებიც: ἡ ἔλθοις „სარი“, ἡ ἔλθοις „ვაეი“, ἡ ἔλθοις „ამაკაცი“... ამ სახელებში ἡ არტიკლი მამრ. სქესს მიანიშნებს, ხოლო იმავე ფუძეებთან ἡ არტიკლი—მდღერ. სქესს: ἡ ἔλθοις „ფური“, ἡ ἔλθοις „გოგო“, ἡ ἔλθοις „დედაკაცი“.

უნდა ვიფიქროთ, რომ ბიბლიურ წიგნთა ქართულ ენაზე პირველმთარგმნელთ, ალბათ, გაცნობიერებული ჰქონდათ ის ჭეშმარიტება, რომ დედნისეული ენის სპეციფიკური გრამატიკული კატეგორიები თარგმნის პროცესში საერთოდ გადმოუღებელი რჩება, ან გადმოდის არარელევანტური კონკრეტური ლირებულებით. ამიტომ, რომ ბიბლიურ (და სხვა) წიგნთა ძველ ქართულ რედაქციებში არა გვაქვს არც ერთი შემთხვევა, რომ ჩანდეს მთარგმნელის ცდა, გადმოსცეს, ვთქვათ, ბერძნული ორობითი რიცხვი ან გრამატიკული სქესი ქართულისთვის უჩვეულო ფორმებით. რადგან ქართულს საერთოდ არ შეეძლო ასეთი კატეგორიების გამოხატვა, ძველ ქართულ თარგმანშიც თავიდანვე არ იგრძნობოდა ის, რაც მას აკლდა დედანთან მიმართებით თუნდაც გრამატიკული სქესის გამოუხატაობის თვალსაზრისით. ამიტომ V—X საუკუნეების ქართველ მთარგმნელთათვის ბერძნული გრამატიკული სქესის გადმოღება თავსატეხ, მწვავე პრობლემას სრულებით არ წარმოადგენდა. მაგრამ ასე არ იდგა და უფრო გართულებული იყო საკითხი იმ მთარგმნელთა წინაშე, რომლებსაც ბერძნული ტექსტი გადაჰქონდათ თვით ამ კატეგორიის მქონე ენებზე, ვთქვათ, სლავურზე. გრამატიკული სქესის სხვა ენაზე გადაღების სირთულე დაკავშირებული იყო თვით ამ კატეგორიის საგრძნობად ფორმალურ ხასიათთან: ბუნებრივი და გრამატიკული სქესი ხშირად არ არის თანაფარდობაში, რეალური შინაარსი და გრამატიკული ფორმა შეუსაბამობაშია. ამის გამო უსულო საგნის სახელები ნაწილდებიან ან ამ ორ, ან ე. წ. საშუალო სქესის ქვეკატეგორიებს შორის. სახელთა მიკუთვნება თვით საშუალო სქესისადმი ყოველთვის არაა მოტივირებული საგანთა პერსონიფიკაციით ან მეტაფორიზაციით. ამიტომ სრულებით ბუნებრივი და გასაგებია IX საუკუნის მოლვანის კონსტანტინე ფილოსოფოსის ჩივილი იმის თაობაზე, რომ ახალი აღთქმის სლავურ თარგმანში ბერძნული გრამატიკული სქესი ვერ გადმოდის ადეკვატურად, ვთქვათ, რომელიმე ერთი საგნის სახელი ბერძნულში სხვა სქესისაა და სლავურში კიდევ — სხვა სქესისა. კონსტანტინე ოთხთავის უძველესი სლავური თარგმანის წინასიტყვაობაში, რომელიც მიჩნეულია ერთ-ერთ ყველაზე ადრეულ ორიგინალურ სლავურ ძეგლად, წერდა: „ბერძნული სხვა ენაზე თარგმნისას ყოველთვის არ შეიძლება გადმოიცეს იდენტური საშუალებებით და სხვადასხვა ენაზე ის სხვადასხვანაირად გადადის. მაშრობითი სქესის ბერძნულ სახელებს, როგორცაა πειραμα („მდინარე“), ἄραξ („ვარსკვლავი“), რომელიმე სხვა ენაზე შეიძლება ჰქონდეთ მდღერობითი სქესი, მაგალითად, „река“, „звезда“ სლავურში“. ამის თაობაზე რომან იაკობსონს მოჰყავს კონსტანტინეს „წინასიტყვაობის“ აღმდგენლის და კომენტატორის ა. ვაიანის სიტყვები და აღნიშნავს:

Из-за этого расхождения в славянском переводе Евангелия от Матфея в двух стихах (7,25; 2,9) стирается символика отождествления рек с демонами, а звезд с ангелами... Но этому поэтическому препятствию Св. Константин решительно противопоставляет учение Дионисия Ареопагита, который призывал главное внимание уделять когнитивным ценностям (силе разума), а не словам самим по себе»<sup>1</sup>.

მართლაც, ბერძნული მამრ. სქესის სახელების ფარდად მდებარე სქესის სახელების ხმარებამ, ანუ გრამატიკული სქესის გამოცვლამ, სლავურ თარგმანში რეკა და звезда სიტყვებს მეტაფორული შინაარსი გაუბუნდოვნა, რადგან მდებარე სქესის სახელებში ძნელი მოსაპარებელი ვახდა მითოლოგიით საგულევებელი მამრ. სქესის დემონისა და ანგელოზის მნიშვნელობანი; თარგმანი, ინფორმაციულობის მხრივ, ასე ვთქვათ, დაზარალდა, მაგრამ ამას ვერ ვიტყვი ქართულ თარგმანზე, სადაც სახარების შემოდასახელებულ მუხლებში ნახმარე მდინარე და ვარსკულავ სიტყვებში მეტაფორული შინაარსის ამოცნობა ასე გაძნელებული არ არის, რადგან მათში, როგორც გრამატიკული სქესის თვალსაზრისით ნეიტრალურ სიტყვებში, შეიძლება ამოცნობილ იქნეს მხოლოდ იმ სქესის სახელები, რომლებიც უთუოდ მიღებული მითოლოგიური წარმოდგენებით ივარაუდება. ამიტომ ფიქრობენ ქრისტოლოგები, რომ ყრმა იესუს ამ ქვეყნად მოვლინება მოგვეს ეუწყა არა მართლა ვარსკულავის, როგორც ეს სახარების ტექსტშია, არამედ ანგელოზის მიერ: „და აჰა ვარსკულავი იგი, რომელი იხილეს აღმოსავალით, წინაუძლოდა მათ, ედრემდე მოვიდა და დაადგრა ადგილსა მას, რომელსა იყო ყრმა იგი“ (მ. 2,9). ასევე მ. 7,25-ში ლაპარაკია არა იმაზე, რომ მდინარე და ქარი ვერ დაანგრევენ კლდეზე მყარად ნაგებ სახლს, არამედ — ქრისტეს რწმენის შეუვალობა-გაუზზარაობაზე, რომლის მქონეს ვერას დააკლებენ ბოროტი ძალები — დემონები, ეშმაკები; ქრისტეს მოძღვრების მიმდევარი ჰვავს იმ კაცს, რომელმაც სახლი მყარად ააშენა კლდეზე: „და გარდამოვდა წუჟამ, მოვიდეს მდინარენი, ქროდეს ქარნი და ეკუთუნეს სახლსა მას, და არა დაეცა, რამეთუ დაფუძნებულ იყო კლდესაზედა“.

როგორც ჩანს, თვით გრამატიკული სქესის კატეგორიის მქონე სლავურ ენაზე მთარგმნელთ უქირდათ ბერძნულ სახელთა სქესის ეკვივალენტური ერთეულების შერჩევა.

ბერძნული ტექსტების სომხურ და ქართულ ენებზე მთარგმნელთა წინაშე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გრამატიკული სქესის ასეთი ეკვივალენტური ფარდაების შერჩევის საკითხი მწვავედ არ იდგა, ისინი შეგუებული იყვნენ ამ კატეგორიის გადმოუღებლობას. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ბიბლიურ თუ სხვა წიგნთა ძველ სომხურ და ქართულ თარგმანებში სახელთა სქესი შეზღუდულად მაინც გამოიხატებოდა, იგი გაირჩეოდა ლექსიკური საშუალებით მხოლოდ ბუნებრივი (მამრი და მდებარე) სქესის მქონე სულიერ საგანთა, განსაკუთრებით, აღამიანის ჯგუფის აღმნიშვნელ სახელებში. ასე იყო თავიდან, V საუკუნეში. შემდგომ კი, როცა ძველ თარგმანთა ბერძნულ წყაროსთან მაქსიმალური დაახლოების ე. წ. ელინოფილურმა მიმართულებამ იმძლავრა, სახელთა

<sup>1</sup> P. Яковсон, О лингвистических аспектах перевода: Вопросы теории перевода в зарубежной лингвистике, М., 1978, გვ. 23.

სქესის გამოხატვის ლექსიკურ საშუალებას გრამატიკულიც დაემატა, სამწერლო ენაში გამოგონილ-შექმნილ იქნა გარკვეული ფორმობრივი მაწარმოებლებიც.

ძველ თარგმანებში სახელთა სქესის, ასე ვთქვათ, გრამატიზაციის პროცესი სომხურში ადრე დაიწყო, ქართულში — უფრო გვიან (XI საუკუნის ბოლოდან). სომხურმა ელინოფილურმა მიმართულებამ ბერძნულის გავლენით შექმნა ორობითი რიცხვის, გრამატიკული სქესის და ზმნიზედურ-თანდებულური ზმნისწინების სისტემაც კი. ცნობილია, რომ დიონისე თრაკიელის „ტექნე გრამატიკეს“ სომხურ თარგმანში (VII—VIII სს.) უკვე იყო ცდა, ბერძნული არტიკლის სამივე სქესის სამივე (მხოლ., მრავ., ორობითი) რიცხვის ფორმისთვის მიესადაგებინათ სომხური ფარდები.

ცხადია, განსხვავებული სქესის აღმნიშვნელ არტიკლურ ბერძნულ ბ, ო, ას ერთეულებს სომხური იძულებითად უფარდებდა **ა, ე, ნ** ნაწევრებზე დაყრდნობილ **აჟ** (ესე), **აჟე** (ეგე), **აჟს** (იგი) ნაცვალსახელებს, რომლებიც რეალურად საგნებს განასხვავებდნენ არა გრამატიკული სქესის მიხედვით, არამედ გრამატიკულ პირებთან მიმართებით საგანთა განსაზღვრულობას მიანიშნებდნენ<sup>2</sup>, მსგავსად ქართული **ესე, ეგე, იგი-სა**. ამიტომ ელინოფილები უფრო შორს წავიდნენ და **ა** (ა) დაბოლოებიან სომხურ ნაწევრებს (**აჟ, ეჟ, ნჟ**) გვერდით ამოუყენეს მდებრობითი სქესის შინაარსის ხელოვნური **ან, ენ, ნენ** ნაწევრები, რომლებიც ნაწილობრივ შეეზარდნენ და ხშირი მოსახმარი გახდნენ ელინოფილურ ძეგლებში<sup>3</sup>, ნ. მარის სიტყვებით, მონურ თარგმანებში („в рабских переводах“)<sup>4</sup>. ამ „მდებრი“ ნაწევრული ფორმების **ან** დაბოლოება, უნდა ვიფიქროთ, ნაწარმოებია **ა** (ა) დაბოლოებიან ფუძეებზე **ან** (-ს) დართვით, იმ **ან**-სა, რომელიც უძველესი სომხური მდებრობითი სქესის მაწარმოებლად და V საუკუნისთვის უკვე რელიქტის სახით შემორჩენილად ივარაუდება. ამ ხშირე საყურადღებოა ის ფაქტი, რომ პრ. აჟარიანის ცნობით, V საუკუნის გრაბარში 330-მდე სახელს ფუძის ბოლოკიდურად **ან** (ი) აქვს, რომელთა უმეტესობა რეალურად მდებრობითი სქესის შინაარსს გამოხატავენ<sup>5</sup>.

სომხურს სქესის გარჩევის სხვა ორი შეზღუდული საშუალებაც აქვს: ა) ლექსიკური (მდებრი და მამრის განსახსვავებლად): **კინ** „დედაკაცი“ — **ამრ** „მამაკაცი“, **ადჯი** „გოგო“, **მანუე** „ბიჭი“, **არუ** „მამალი“, „მამრი“ — **მატაე** „დედალი“, „მდებრი“... ბ) უცხოური წარმოშობის დაბოლოებები, როგორცაა „ქალიშვილის“ მნიშვნელობის სპარსული **დუხტ/დუხტარ**, რომელიც მამაკაცთა სახელთაგან ქალის საკუთარ სახელებს აწარმოებს (ხოსროვდუხტ; შდრ. ამ ტიპის ქართული სახელები: საჰაკდუხტ, გურანდუხტ...), ან კიდევ ირანული წარმოშობის **უმი/ურმი**. ა. შანიძემ შესაძლებლად ჩათვალა ნ. მარის

<sup>2</sup> Э. Г. Туманян, Артикли в современном армянском языке, Москва—Ереван, 1963, გვ. 42.

<sup>3</sup> Н. Адонц, Дионисий Фракийский и армянские толкователи, Bibliotheca Armeno-Georgica, Петроград, 1915, გვ. CLXXVI.

<sup>4</sup> Н. Марр, Грамматика древнеармянского языка, Спб., 1903, გვ. 53.

<sup>5</sup> Э. Г. Туманян, Древнеармянский язык, М., 1971, გვ. 176.

გარდაუდის გაზიარება, რომ უპი/ურპი უნდა მოდიოდეს აჭრპი-სგან, რომელიც დაცული უნდა იყოს „ქალიშვილის“ მნიშვნელობის აჭრიორდ კომპოზიტში. მანვე აღნიშნა მისი იგივეობა ძველ ქართულში ნახმარი ქალის სახელების — ავრი დაბოლოებასთან: პეროჟავრი, შდრ. პეროჟ/პეროჟ, ლატავრი (←\*რატავრი, შდრ. რატი), გუარამავრი, შდრ. გუარამ<sup>6</sup>. ეს უპი (ურპი) არა მარტო ქალის საკუთარ სახელებს დაერთვის (სგმბატუპი, ხოსროვუპი...), არამედ ზოგჯერ საზოგადო სახელებსაც: პრ. აჭარიანის მიხედვით, მხოლოდ შვიდი ფუძისგან<sup>7</sup> აწარმოებს მდებრობითი სქესის სახელებს: ქურმ „ქურუმი“, ქერმუში, „ქურუმი ქალი“, თაგავორ „მეფე“, თაგუმი „დედოფალი“...<sup>8</sup>

სომხურს მდებრ. სქესის სირიული -ითაჲ სუფიქსიც აქვს თარგმანებში გამოყენებული: მანგატარაქ „წარმართნი იუდეველნი“ (მამრ. სქ.), მანგატარარიითაჲქ „წარმართნი იუდეველნი დედაკაცნი“<sup>9</sup>.

სომხურის მსგავსად ქართულ სამწერლო ენაში მდებრობითი სქესის ნორფოლოგიურად გამოხატვის სერიოზული ცდა უკავშირდება ელნოფილთა მოღვაწეობას. არსებითად, სასულიერო ძეგლების ქართულ თარგმანთა შესაბამის ბერძნულ წყაროებთან ზედმეტი სიზუსტით დაახლოების ტენდენციამ თავი იჩინა მე-11 საუკუნის მეორე ნახევრიდან და მე-13 საუკუნის დასაწყისამდე გაგრძელდა.

გრამატიკული სქესის გამოხატვის ცდა პეტრიწამდეც რომ ყოფილა, ამას ცხადყოფს ეფრემ მცირის მიერ ძლიდარა („მდიდარი ქალი“) სიტყვის ხმარება. „მდიდარაჲ მოიღებნ ჳიჳნაურსა, ხოლო ქურთვი მატყულსა შეღებულსა“, რაზეც ეფრემი ასეთ შენიშვნას აკეთებს: „შეისწავე, მდიდარაჲ ახალმოპოვებულად დედალად სიტყუად, რამეთუ დედაკაცია არს, მომღებელი ჳიჳნაურისაჲ, ხოლო ჳიჳნაური მამასა ეფთვმეს აბრეშუმისა სახელად მოუპოვებია“ (A—1115,153 V)<sup>10</sup>.

გრამატიკული ბერძნოზმები განსაკუთრებით მოხშირდა და მომძლავრდა პეტრიწული სტილის თარგმანებში, საიდანაც -ა სუფიქსიანი მდებრ. სქესის სახელები ჭარბად შევიდა სულხან-საბას ქართულ ლექსიკონში. რობერტ ბლეიცი პეტრიწული სტილით შესრულებული ე. წ. „გელათური ბიბლიის“ (A—1108) ტექსტში არსებული მდებრ. სქესის ხელოვნური ფორმების არსებობის ფაქტში ბერძნული წყაროს უშუალო გავლენას ხედავდა<sup>11</sup>. ასეთი ფორმების სახელები გამოვლენილია ჩვენ მიერ<sup>12</sup>, აგრეთვე ბ. გიგინეიშვილისა და

6 ა. შანიძე, ავრი სუფიქსიანი ქალის სახელები ძველ ქართულში: ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 11, თბ., 1968, გვ. 12—14.

7 Э. Г. Туманян, Древнеармянский язык..., გვ. 177.

8 იქვე, გვ. 176.

9 ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984, გვ. 231, 245.

10 Р. П. Блэйк, О древнегрузинских версиях Ветхого Завета: Известия Кавказского отделения Московского археологического общества, VI, Тифлис, 1921, გვ. 26.

11 კ. დანელია, იერემიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული ვერსიები: ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 9, თბ., 1964, გვ. 171—172.

ც. კიკვიძის შრომაში<sup>12</sup>. მდებრობითი სქესის გრამატიკულად გამოხატვის ისტორიას კ. დონდუამ სპეციალური წერილი უძღვნა<sup>13</sup>, რომელშიც სწორად არის აღნიშნული, რომ მდებრ. სქესის ხელოვნური ფორმები დასტურდება არა მარტო XVIII—XIX საუკუნეების ნაწერებში, როცა ქართულზე რუსული ენის გავლენა საგრძნობი ვახდა, არამედ ადრეც, პეტრიწული სტილით ნათარგმნ ძეგლებში. აქვე გამოვლენილია ა და ინა დაბოლოებანი ვინ ჭვუფის მდებრ. სქესის სახელები (მეფა, ღმერთა, თავადინა, მთავრინა, კნენინა, შდრ. княгиня) და ადრეულ ძეგლებში ნახმარი ა მაწარმოებელი მიჩნეულია არა ნასესხებ ინდოევროპულ (უკეთ: ბერძნულ), არამედ ქართულ სუფიქსად. კერძოდ, შრომაში ნათქვამია: არ არის საფუძველი, რომ ვიფიქროთ, სახელთა „მამდებრებელი“ (феминизирующий) ა ხმოვანი ქართულში შეთვისებული იყოს რომელიმე ინდოევროპული (მაგალითად, ბერძნული) ენიდან. „Данные грузино-греческих или грузино-византийских литературных связей вовсе не говорят в пользу заимствования феминизирующего гласного элемента из греческого языка“<sup>14</sup>. რატომ? იმიტომ რომ 1. ბერძნული სახელების ფუძის დაბოლოება არ განსაზღვრავს ქართულში მათ ბადლად ნახმარ ა დაბოლოებიანი სახელების არსებობას, ბერძნული მდებრ. სქესის სახელთა ნაირგვარი (ა, ო, ე) დაბოლოებანი ქართულში ვადმოდის მხოლოდ ერთადერთი ა სუფიქსით; 2. ეს ა ისეთივე ქართული სუფიქსი უნდა იყოს, როგორიცაა აშკარად „მდებარი“ საგნების აღმნიშვნელ დედა, და ტიპის სახელების ბოლოკიდური ა. ამ შემთხვევაში ჩვენ არ უნდა შეგვაცდუნოს იმ ფაქტმა, რომ ა დაბოლოებისაა მათი ანტონიმური ერთეულები: მამა, ძმა, რადგან „в грузинском слова феминизируются“, но не маскулизируются“. 3. ამასთანავე მხედველობაში მისაღები ის ფაქტი, რომ ხმოვანფუძიან სახელთაგან ყველაზე კარბია ა-ზე დაბოლოებულები და ამ გარემოებას მნიშვნელოვანდ უნდა შეეწყო ხელი, რათა მდებრ. სქესის ხელოვნური ფორმების წაწარმოებლად უპირატესობა მოეპოვებინა ამ ა სუფიქსს<sup>15</sup>.

რა შეიძლება ითქვას აქ მოყვანილ დებულებებზე? ჭერ ერთი, მართალია, ბერძნულში მდებრ. სქესის სახელები შეიძლება ბოლოვდებოდეს ა-ზე (მემერა „დღე“, სტრატია „ჯარი“, გლოსსა „ენა“, მესპერა „სალამო“...), ასევე ე-სა (ნიკე, „გამარჯვენა“, ფსიქე „სული“, ეირენე „მშუდობა“...) და ო-ზე (მოდო-ს „გზა“, ნესო-ს „კუნძული“, სორი-ს აკლდამა, „სორო“...). მაგრამ ა-ს უპირატესობა აშკარაა: მდებრ. სქესის სახელთა დიდი ნაწილი ამ ა-ზე ბოლოვდება და, რაც მთავარია, ა ბოლოკიდურიანი სახელი მეტწილად შეიძლება იყოს მხოლოდ მდებრ. სქესისა, მაშინ როცა, ვთქვათ, ო-ზე დაბოლოებული სახელი არტიკლის კვალობაზე სამივე სქესისა შეიძლება იყოს და ფუნქციუ-

<sup>12</sup> ბ. გიგინეიშვილი, ც. კიკვიძე, რუსთაველს ხანის ქართული ბიბლიის თარგმანი (გელათური ვერსია): შოთა რუსთაველი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, თბ., 1966, გვ. 154—155.

<sup>13</sup> К. Дондуа, Феминизирующий гласный в грузинском: რჩელი ნაშრომები, 1, თბ., 1967, გვ. 167—182.

<sup>14</sup> К. Дондуа, Феминизирующий гласный в грузинском, გვ. 178.

<sup>15</sup> აქვე, გვ. 179.

<sup>16</sup> აქვე, გვ. 181.

რად გამოხატავდეს: სუბსტანტიურობას (*საზა*); ადიექტიურობას (*წესი*); აბსტრაქტულობას (*საზი*) და ე. წ. *Nomina agentis-* (*აქრძა*, *აქრძა*)<sup>17</sup>. ასე რომ, მდებარე სქესის სახელებში ა ბოლოკიდურის აშკარა პრიმატობის ფაქტი უთუოდ გაცნობიერებული უნდა ჰქონოდათ ბერძნულ ენაში ღრმად განსწავლულ ქართველ ელინოფილებს, როცა ვინ ჯგუფის სახელთა ხელოვნურ ფორმებს მდებარობითობის ამ ა-ს ურთავდნენ. მათ ეს ა ვინ ჯგუფის სახელთა მდებარობითობის გამოხატველ ვანზოვადებულ სუფიქსად უნდა ჰქონოდათ გააზრებული, ამიტომაც რომ ბერძნული მდებარე სქესის სახელთა ნაირგვარ (ა, ო, ე) დაბოლოებას ქართულში მაინცდამაინც ა სუფიქსი ეფარდება. ცხადია, ეს ა უნდა გაიმიჯნოს რუსული ენის გავლენით ნახმარ ა-საგან, რომელიც ცალკე და ინ-ა სახითაც (მდებ. ღმერთა, მეფე, მთავრინა...) ხშირად იხმარება მე-18 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის წერილობით წყაროებში.

მეორეც, მდებარე სქესის ხელოვნურ ფორმებში ა სუფიქსის, ასე ვთქვათ, მონოპოლიისათვის არ შეიძლებოდა ხელი შეეწყო ა-ზე დაბოლოებული ფუძეების სიქარბეს ქართულში; პირიქით, ეს ხელის შემშლელი უნდა ყოფილიყო, რადგან სქესის თვალსაზრისით ნეიტრალურ ა-ზე დაბოლოებულ ფუძეთა სიმრავლის ფონზე მდებარობითობის შინაარსის ხელოვნური ა სუფიქსიანი ფორმები ძნელად გამოსაცალკევებელი და გამოსარჩევი იქნებოდა. რაც შეეხება იმას, რომ თითქოს ოდესღაც ქართულს მდებარე სქესის დაბოლოებად ა (—აღ) უნდა ჰქონოდა, როგორც ამას ნ. მარი ვარაუდობდა ქართულის სემიტურ ენებთან (ყერძოდ, არაბულთან) ნათესაობის მცდარ თეორიაზე დაყრდნობით<sup>18</sup>, დღეს ამის უსაფუძვლოებაზე ლაპარაკი ზედმეტია.

აღსანიშნავია, რომ პეტრიწული სკოლის წარმომადგენელთა თარგმანებში მოიპოვება არა მარტო მდებარობითი სქესის ხელოვნური ფორმები, არამედ სწოლო „შეისწავე“-ები, რომლებშიც თეორიულ ასპექტში არის მსჯელობა ბერძნული გრამატიკული სქესის რაობისა და მისი ქართულად გადმოღების შესაძლებლობაზე.

ა) იოანე ქსიფილინოსის მეტაფრასულ „წმიდათა ცხოვრების“ ქართულ თარგმანს არშიაზე აქვს კომენტარი — „შეისწავე“, რომელიც კ. კეკელიძის აზრით, „უთუოდ პეტრიწს უნდა ეკუთვნოდეს“<sup>19</sup>. მეტაფრასის ეს ტექსტი ნესულია კათალიკოს ევდემონ ჩხეტიძის XVI საუკუნის კრებულში და იხაზება ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში (3). აქ ნათქვამია: „შეისწავე, ვითარმედ ბერძულნი სიტყუანი ყოველნი ანუ დედალნი არიან, ანუ მამალნი, ანუ არარომელნი სახელთა მწოდებულნი. და აქაცა დედათა ენკრატისთა დედლითა სიტყუთა დედალ სახელ-სადებს მონაზონათაო, ხოლო მამათა — მონაზონთა“ (259 r).

ბ) ამავე ხელნაწერში „წმიდა ფებრონიას ცხოვრების“ ტექსტის აშოაზე ასეთი მინაწერი კომენტარია: „შეისწავე, ყოველი სახელი სიტყუაჲ ელლინთაჲ სამეფრ, ესე იგი სამსახე არს: დედალ, მამალ და არარომელ. და სახელი

<sup>17</sup> K. Brugmann, Griechische Grammatik, München, 1900, გვ. 181.

<sup>18</sup> H. Marr, Основные таблицы к грамматике древнегрузинского языка, Спб., 1908, გვ. 9.

<sup>19</sup> კ. კეკელიძე, კომენი, ტ. I, ტფ., 1918, გვ. XXVII.

მამათა საწოდებელად ესრეთ იქმნების: **ო ანთროპოს** [= ὀ ἀνθρώπου], ეგულე-ზოდის რად წოდებამ მამაკაცისაჲ, და **ი ანთროპოს** [= ἰ ἀνθρώπου] ესე იგი არს **კაცაჲ**, ეგულეზოდის რად წოდებამ დედაკაცისაჲ. ეგრეთვე მამათა რად მრავალთა უწოდდენ, **ტონ პანტონ** [= τὸν πάντων], ესე იგი არს **ყოველნივე**, **კე პასონ** [= καὶ πάντων], ესე იგი არს **ყოელანი** (278 v)<sup>20</sup>.

გ) თეოფილაქტე ბულარელის „იოანეს სახარების განმარტების“ ი. პეტრეწისეული თარგმანის ერთ-ერთი სქოლიო-შენიშვნა გვაუწყებს: „ცან, ვითარმედ ელადელთა ჳითა დედლად ითქუმის ესე სახელი[მარია] ვითარმედ ღმრთეებაჲ და მარია დედოფლად ითარგმანების, ებრაელისკვან რად ელლნურად გარდამოიღებოდის“ (A—52,91 b). ამავე თხზულებაში ნათქვამია: „არამედ სხუასა ვიდრემე იტყვს იგი [ქრისტე] და სხუასა გულისხმავოფს იგიაჲ [სამარიტელი ქალი] წყლისათუს (A—52,27 r)<sup>20</sup>“.

ბოლო კომენტარში ლაპარაკია იმაზე, რომ ებრაული, ასევე სირიული **მარია** (māriā|marēa), რომელიც მამრ. სქესისაა და „ღმრთეებას“ აღნიშნავს [ძველ ქართულში **უფალ**, ე. ი. **ბატონ**, **უფროს**, სიტყვით გადმოდიოდა, მ. 9, 38; ლ. 6, 5; ი. 21, 7], ბერძნულად ითარგმნება არა **κρίστα**, არამედ დედოფლის („ქალბატონის“) მნიშვნელობის **μαρία** სიტყვით (კვირია „ქალბატონსაც“ ნიშნავს და „ძალა-უფლებას“, „ჯელმწიფებასაც“).

კომენტარებში კიდევ ორი რამ იქცევს ყურადღებას: 1. გრამატიკული სქესის აღმნიშვნელი ზოგადი გვარობრივი ცნების **რესი-ის** (შდრ. რუს. род) ფარდი ტერმინი, ვთქვათ, „ნათესავი“, როგორც ამას ანტონ I ხმარობდა, აქ არა ჩანს, ხოლო სახეობრივი (კერძობითი) სამივე ქართული სიტყვა ტერმინად არ არის ჭერ კიდევ ქცეული, მაგრამ შინაარსობრივ მაინც შესაბამისი ბერძნული ერთეულების თარგმანია: **მამალი** ეს არის **მავანი** (masculinum), **დედალი**—**მუსანი** (femininum), **არარომელი**—**სმბაჟი**<sup>21</sup> (neutrum), გვიან (XVIII საუკუნეში) ანტონ პირველმა მხითარ სებასტიელის სომხური გრამატიკის კვალობაზე იხმარა სქესის მნიშვნელობის ზოგადი ტერმინი **ნათესავი** და მისი ოთხი სახეობის აღმნიშვნელი: **მდედრობითი**, **მამრობითი**, **უმეშუტობითი** (საშუალი) და **ზოგებითი** (ე. ი. მამრ. და მდედრ. სქესის შინაარსი კონტექსტურად გამოიხატება ე. წ. საერთო სქესის ნეიტრალური სახელით: შვილი, ლეკვი, ძალი...)<sup>22</sup>

2. სხვადასხვა დაბოლოებანი ბერძნული მდედრ. სქესის სახელთა ფარდად კომენტარებში რეალიზებულია მხოლოდ ხელოვნური ა სუფიქსიანი „დედალი“ ფორმები: **მონაზონა**, **კაცა** (ἰ ἀνθρώπου), **ყო(ვ)ელა** (πάντων), **იგია** (ἀντι).

<sup>20</sup> კ. კეკელიძე, კომენი, I, ტფ., 1918, გვ. XXVII—XXVIII.

<sup>21</sup> ა. შანიძემ 40-იანი წლებიდან დაამკვიდრა გრამატიკული ტერმინი უღებარი (სმბაჟი „არც ერთი ორიდან“, შდრ. „არარომელი“), როგორც აღმნიშვნელი ფორმულციული მეტყველების ნაწილებისა, რომლებიც არც ზმნასა და არც სახელეს არ ეკუთვნის (ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თბ., 1973, გვ. 567).

<sup>22</sup> ე. ბაბუნაშვილი, ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970, გვ. 109—110.



აღსანიშნავია, რომ მდებრობითობის ა სუფიქსის უძველეს აღ სახეობის რწეით მაგალითად (რელიქტად) არის მიჩნეული „მომღერნი“-ს საპირისპირო ფორმა „მომღერალენნი“ გიორგი მონაზონის „ხრონოგრაფის“ პეტრიწული სტილით შესრულებულ თარგმანში, სადაც მოყვანილია ციტატა „ეკლესიასტედან“ (2,78): „მოვიგენ მონანი და მკევალნი, და სახლისწულნი იქმნნეს ჩემდა მრავალ უფროას ყოველთა ყოფილთასა უწინარეს ჩემსა იერუსალმს. და შეგვრიბე ვეცხლიცა და ოქროს და სიმდიდრე მეფეთაჲ და ყანათაჲ და განვაწყვენ მომღერნი და მომღერალენნი და საშუებელნი ძისა კაცისანი, მწდენი და მწდენანი“<sup>23</sup>. კ. დონდუას მიაჩნია, რომ „მომღერალენნი“-ის აღ სუფიქსი რსეთივე ღირებულებებისაა, როგორც ა „მწდენ“ სიტყვაში<sup>24</sup>. (მათი ბერძნული ფარდები გზსაჲ და ოსოგზაჲ მდებრ. სქესის მრ. რიცხვის ბრალობითი ბრუნვის ფორმებია). თუ გავითვალისწინებთ, რომ „ხრონოგრაფის“ თარგმანს შემცველ უძველეს (XIII ს.) ხელნაწერში (A—174), რომელიც გამოცემას დაედო საფუძვლად, ბევრი შეცდომაა (ასომეტობა, ასონაკლობა...) <sup>25</sup>, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ თავდაპირველ ტექსტში იქნებოდა „მომღერაენნი“ და ე გადაწერს უნდა მიემატებინა კანონიერ „მომღერალ“ ფორმის ვავლენით, ე. ი. უნდა ყოფილიყო: მომღერ-ი (მამრ. სქესი) და მომღერა-ი (მდებრ. სქესი).

საინტერესოა, რომ ბიბლიის „მცხეთურ ხელნაწერში“ (A—51) „ეკლესიასტეს“ ამ მუხლებში ლექსიკურადაა გარჩეული გრამატიკული სქესი: „მომღერნი და მომღერაენნი“-ს ნაცვლად იკითხება „შემასხმელნი მამანი და დედანი“, ხოლო „მწდენი და მწდენანი“-ს ადგილზე — „მწდენი მამანი და დედანი“.

როგორც აღვნიშნეთ, ე. წ. „გელათური ბიბლიის“ პეტრიწული სტილით შესრულებულ ტექსტში მდებრობითი სქესის ხელოვნური ფორმები არცთუ იშვიათია, მეტწილად ა, ზოგჯერ -იდ დაბოლოებით. რადგან პეტრიწონული სკოლის მოღვაწეობა თავისი ხასიათითა და მოწოდებით უფრო მეცნიერული იყო, ვიდრე ლიტერატურული, ამიტომაც ასეთ სამეცნიერო ენასა და სტილს ჰპართებდა ტერმინოლოგიური სიცხადე და სიზუსტე. ამის შეგნება ასაზრდოვნება ამ სკოლის ძლიერ სწრაფვას, ბერძნული ფილოსოფიური თუ საღვთისმეტყველო ძეგლთა ქართული თარგმანი დედანთან მიმართებით ყოფილიყო მაქსიმალურად ეკვივალენტური არა მარტო შინაარსის, არამედ ფორმის, გამოხატველობითი ენობრივი საშუალებების მხრივაც. როგორც ბევრი სხვა გრამატიკული ბერძნისში, ქართულ თარგმანში სქესის მორფოლოგიურად გამოხატვაც ამ პრინციპს ემყარებოდა. თუ დედანში მდებრობითობა გამოიხატება სპეციფიკური ბოლოსართიანი ერთი სიტყვით (ეთჳკათ, ἢ ἄჳოჳჳჳ), თარგმანშიც ის ერთი სიტყვითვე („წინასწარმეტყუელა“) უნდა იყოს გადმოღებული და არა ორით („დედაკაცი წინასწარმეტყუელი“). და თუ თარგმანის ენას არ მოეპოვება დედნისეული სპეციფიკური გრამატიკული შინაარსის გამოხატვის შესაძლებლობა, ასეთ შემთხვევაში ის უნდა დაესესხოს დედნის ენას. და კიდევაც იქნა ნასესხები მდებრობითობის ა და -იდ ბოლოსართები. მაგრამ

23 ხრონოგრაფი გიორგი მონაზონისაჲ, გამოსცა ს. ყაუხჩიშვილი მა, ტფ., 1920, გვ. 93.  
24 К. Дондуа, Феминизирующий гласный в грузинском... გვ. 175, 179.  
25 ხრონოგრაფი გიორგი მონაზონისაჲ..., გვ. XIX—XXI.

„უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ეს სუფიქსები სამწერლო ქართულის ერთიან ფონზე ნასესხობად კი არ მოგვევლინენ, არამედ გრამატიკულ ბარბაროზმებად. ვასახელებთ ამ სუფიქსებით ნაწარმოებ რამდენიმე მაგალითს არსებითად „გელათური ბიბლიიდან“.

**მეფეა** („დედოფალი“): „შემდგომად გამოსლვისა იეჰონია მეფისა და მეფიასა“, იერ. 29,2 (...*זენ* *ვაძისთა* *აז* *აუ*; *ვაძისთაჲს*); „რამეთუ მყოფელთა ვყოთ ყოველი სიტყუაჲ, რომელი გამოვიდეს პირისაგან ჩუენისა კუმევედ **მეფიას** ცისასა“, იერ. 44,17; „რამეთუ უკუმევეთ ჩუენ **მეფიას** ცისასა და უზორავთ მას საზორველთა“, იერ. 44,19.

ცხადია, **მეფეა** ნათ. ბრუნვაში უნდა ყოფილიყო **მეფიასა**, მაგრამ თუ გვაქვს მცდარი **მეფიასა**, ალბათ, **მეფე** ფუძის ორდინალური კვეცილი (მეფის) ფორმის ასოციაციით. ამ მცდარი **მეფიასას** მსგავსად ეს ფუძე კიდევ უფრო დამახინჯებულია მიც. ბრუნვაში, როცა ზემოდასახელებული სწორი **მეფიას** გვერდით **მეფიას** ფორმაც იხმარება: „ვითარცა მოვაკლეთ მკუმეველთა **მეფიას** ცისასა... ნაკულღევან ვიქმენით ყოველნი ჩუენ“, იერ. 44,18.

**ყრმაა**: „რაათა განავლინოს კაცმან ყრმაჲ თუსი და კაცადმან ყრმაჲ თუსი“, იერ. 34,9 (...*აბ* *ააბა*... *აა* *აჲ* *ააბა*; *ააჲ* *ააჲ*). ძველ რედაქციებში ლექსიკურადაა გარჩეული სქესი, დაპირისპირებულია **მონა** და **მკვეალი**. **ყრმაა** სხვაგანაცაა: „მოიქცეს ყოველნი დიდებულნი... განვლინებად კაცი ყრმისა თუსისა და კაცი **ყრმაასა** თუსისა“, იერ. 34,10; „შეაბილწეთ სახელი ჩემი უკუნქცევით კაცადისაგან ყრმისა თუსისა და კაცადისაგან **ყრმაასა** და თუსისა, რომელნი... დაიმორჩილენით ყოფად თქუენდა ყრმებად და **ყრმაებად**“, იერ. 34,16; „უკუნქცენეს ყრმანი და **ყრმაანი**, რომელნი განვევლინენ თავისუფლად და დაუტევებდეს მათ ყრმებად და **ყრმაებად**“, იერ. 24,11.

**ებრაელა**: „რაათა განავლინოს კაცმან... **ებრაელნი** და **ებრაელაჲ**“, იერ. 34,9 (...*აბ* *ეჲრაელ* *აა* *აჲ* *ეჲრაელ*). სხვაგან ამ ხელოვნურ ფორმას ამავე ძეგლში ცვლის ბუნებრივი: „კაცი **ებრაელი** და დედაკაცი **ებრაელი**“, (იერ. 34,10).

**უფალა**: „იყოს ვერი ვითარცა მღვდელი, და ყრმა ვითარცა უფალ, და მკვეალი ვითარცა **უფალი**“, ეს. 24,2. აქ „უფალი“ გადმოსცემს ბერძნულ *αρχιε*-ს, ხოლო „უფალა“ — *αρχα*-ს. ა. შანიძის თქმით, სულხან-საბა, როცა ასეთი სიტყვები შეჰქონდა ლექსიკონში, იყენებდა ბიბლიის ელინოფილთა ნარედაქციევ ტექსტს. „და რა ექნა სულხანს? არ ამოეწერა? არა. მან ამოწერა და სათანადოდ ახსნა. იგი აღარ შევიდა იმის განკითხვაში, შეეფერება ეს ქართულ ენას თუ არა“<sup>26</sup>.

**წინასწარმეტყუელა**: „დებორა იყო დედაკაცი **წინასწარმეტყუელა**“, მსაჯ. 4,4 მ. „მისლვა-ვეყვ **წინასწარმეტყუელა**ს მიმართ“, ეს. 8,3. აქ „წინასწარმეტყუელა“ გადმოსცემს ბერძნულ მღვდრ. სქესის *προφη*-ს.

**მოხუცებულა**: „მერმე სხდეს მოხუცებულნი და მოხუცებულანი უბანთა შორის“, ზაქ. 8,4. აქაც „მოხუცებულა“ გადმოსცემს *προσβη*-ს.

**კაბუჯა**: „ვინ არს **კაბუჯა** ესე? მიუგო მონამან მან: ... დედაკაცი ეგე არს ნობელი“, რთ. 2,5—6. აქ „კაბუჯა“ გადმოსცემს ბერძნულ *καβου*-ს.

<sup>26</sup> ა. შანიძე, სულხან-საბა ორბელიანი, როგორც ლექსიკოგრაფი: „მნათობი“, 1959, № 10.

**მოაბელა:** „ღამე წარწყმდეს მოაბელა“, ეს. 15,1; „გული მოაბელაის კობს თავსა შორის თუსსა“, ეს. 15,5; „რამეთუ მოაბელას თანა ყოველნი ეალაბენ“. **მოაბელა** აქ რეალურად წარმომავლობის სახელი კი არაა, როგორც ეს შეიძლება ეგონოს კაცს წარმოების მიხედვით, არამედ მდებარეობის გეოგრაფიული სახელი **მოაბი**, რომელიც გადმოსცემს ბერძნულ ἢ Μααβίτης; (—იბი) ერთეულს და არა Μααβί-ს, შდრ. „დაშურა მოაბაი“, ეს. 16,12. მაგრამ იქვე: „ესე სიტყუა... მოაბსა ზედა“, ეს. 16,13; „უპატივო იქმნას დიდება მოაბისა“, ეს. 16,17.

**ივა, ივია:** „მამაკემან სხუამან მოიყვანოს ივა“, II შჯ. 28,30; **ივია** აღვიღოდა და მკველნი მისნი უძლოდეს“, ნაუმ. 2,7. ორივე შემთხვევაში ივა, ივია-ს ბერძნულში ეფარდება მდებარეობის სქესის აიქ ნაცვალსახელი.

**ელსანიშნავია** -იდ სუფიქსიანი მდებარეობითი სქესის სახელები:

**ჭაბუციდი:** „არა იბოოს ქალწულებაა **ჭაბუციდისა**“, II შჯ. 22,20; „და განიყვანონ **ჭაბუციდი**“, II შჯ. 22,21; I შემთხვევაში „ჭაბუციდის“ ნაცვალად მცხეთურ ხელნაწერში „ქალი“ არის ნახმარი, ბაქარისეული ბიბლიის თბილისურ გამოცემაში კი — „ქალწული“, II შემთხვევაში კი ორივე რედაქციაში „ქალია“. **ჭაბუციდი** და **ჭაბუჯა**, რომელიც ზევით მოვიყვანეთ, ერთი ბერძნული სიტყვის გავლენითაა გაფორმებული. კერძოდ, ἢ  $\nu\epsilon\lambda\upsilon\tau\epsilon\sigma\alpha$ -ისა, ოღონდ **ჭაბუჯა** გადმოსცემს სახელობითის ბ (დ) მოკვეცილ ფუძეს ( $\nu\epsilon\lambda\upsilon\tau\epsilon\sigma$ -), ხოლო **ჭაბუციდი**-ი სრულ დ/იდ (—იბ)დაბოლოებიანს (შდრ. ნათ. ბრ.  $\nu\epsilon\lambda\upsilon\tau\epsilon\sigma\text{-}i\delta$ ): „ქალწულებაა **ჭაბუციდისა**“ =  $\nu\epsilon\lambda\upsilon\tau\epsilon\sigma\text{-}i\delta$ ;  $\tau\eta$   $\nu\epsilon\lambda\upsilon\tau\epsilon\sigma$ ; [ბერძნულში მიცემითი ბრუნვის ფორმა].

**ყრმიდი:** „პრქუა: რომელი არს **ყრმიდი** ესე“, რუთ. 2,5. „ყრმიდის“ ნაცვალად მცხეთურ ხელნაწერში „ჭაბუჯა“ არის ნახმარი და გადმოსცემს ბერძნულ ἢ  $\nu\epsilon\lambda\upsilon\tau\epsilon\sigma$ -ს.

**თითოეულიდი:** „და პრქუა ნოომინმან ორთა სძალთა თუსთა: უკუნიქეცი თითოეულიდი [შდრ. თქუნ M, თუთული pხ] სახიდ მამისა“, რუთ. 1,8. **ელსანიშნავია**, რომ აქ „თითოეულიდი“ გადმოსცემს მდებარეობის სქესის ბერძნულ  $\epsilon\lambda\lambda\alpha\sigma\eta$  ნაცვალსახელს, რომელსაც ფუძის ბოლოკიდურად იდ (—იბ) საერთოდ არა აქვს. აქედან, ისე როგორც ზემოდასახელებულ სხვა მავალითიდან, ცნაურდება საგულისხმო ფაქტი: ქართულ თარგმანში არსებული მდებარეობის სქესის სელოვნურ ფორმათა დაბოლოებას კონკრეტულ შემთხვევებში ხშირად უშუალოდ არ განსაზღვრავს სათანადო ბერძნული ფარდი ერთეული. მაგრამ, რადგან —ა და ბ,—ბ-ზე დაბოლოებულ ფუძეთა საგრძნობი ნაწილი ბერძნულში მდებარეობს სქესის გამოხატავდა, ულტრაელინოფილურ წრეს უცდია ამ სუფიქსთა ფუნქციური მოდიფიკაციითა და დისტრიბუციის გაზრდით მცდარად, ოღონდ მწყობრად, სისტემებში აღეპურვა ისინი მდებარეობის სქესის მნიშვნელობით. მცდარად იმიტომ, რომ, ვთქვათ, ბ—, —ბ ისევე არ გამოხატავს მაინცდამაინც მდებარეობის სქესს, როგორც სამივე სქესის III კანკლელობების სახელთა ბოლოკიდური —ა,—ყ,—ჯ,—რ,—ზ,—ფ,—რ,—, —მ... პირიქით, —ბ სუფიქსი პატრონიმური სახელების აქტური მაწარმოებელია, რაზეც ვარკვევით წერს კ. ბრუგმანი: „Eine grosse Rolle spielte-ბ in der Bildung der Patronymika,—iás F,—iades

M., Z. B. in *ახალად, ახალბედა და ახალი*<sup>27</sup>. მაშასადამე, ელინოფილური წრის მიერ ქართულში ნასესხები ამ ფუნქციურად მოდიფიცირებულ ბერძნულ —ა,—ზ/—ზ სუფიქსთა განზოგადების გამოა, რომ შეიძლება ისინი მხოლოდ ქართულ ფორმას ჰქონდეს და ბერძნულს არა (იქ *αφῆται*, —ზის „წინასწარმეტყუელა“, *ἐξάσθη* „თითოეული“), ანდა ერთსა და იმავე ფუძესთან ორივე დაბოლოება იყოს გამოყენებული: **ჭ ბუჯა/ჭაბუჯიდი, ყრმაა/ყრმიდი**.

პეტრიწონულ წრეში შემოღებული ხელოვნური მდებრობითი სქესის ფორმები სამწერლო ქართულის კუთვნილება, როგორც მოსალოდნელი იყო, არ გამხდარა. მომდევნო საუკუნეებში ასეთი ფორმების ოდინდელი არსებობის ფაქტი საცნაური იყო მხოლოდ მეცნიერ მწიგნობართათვის. ამიტომაც, რომ XVI—XVII საუკუნეების ქართულ ორიგინალურ თუ ნათარგმნ ძეგლებში „მდებრი“ ფორმები არ გამოიყენება, ისინი არსებითად მხოლოდ სულხან-საბას ლექსიკონშია თავშეფარებული. მაგრამ მე-18 საუკუნის დასაწყისიდან რუსულ სამყაროსთან დაახლოების შედეგად სამწერლო ქართულში კვლავ იჩინა თავი მდებრობითი სქესის ფორმების ხმარების ტენდენციამ, რამაც კიდევ უფრო იმპლავრა მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში. მაგრამ ეს იყო როგორც კულტურის სფეროში რუსოფილური მიმართულების, ასევე რუსიფიკატორული პოლიტიკის უპერსპექტივო გამოძახილი.

ცხადია, საბას ლექსიკონში შესული მდებრობითი ფორმის სახელები უმეტეს შემთხვევაში ელინოფილური სტილის თხზულებებიდან იყო აღებული (ყრმაა, უფალა, ჭაბუჯა, იგია, მოხუცებულა...). მაგრამ საბას, როგორც განათლებულ ლექსიკოგრაფს, გაცნობიერებული უნდა ჰქონოდა ზოგადად გრამატიკული სქესის არსებობის ფაქტი და პეტრიწული სტილის თეოლოგიურ თუ ფილოსოფიურ თხზულებებში გამოვლენილი ხელოვნური მდებრობითი ფორმების საფუძველზე ფიქრობდა, რომ პრინციპულად სამწერლო ქართულსაც შეეძლო გარკვეულ (თეოლოგიურ, ფილოსოფიურ) უბანში გაერჩია ვინ ჯგუფის სახელებში მამრ. და მდებრ. სქესის ფორმები ა. ი და სხვა დაბოლოებით. ამიტომაც რომ საბას ლექსიკონში ჭარბადაა წარმოდგენილი მდებრობითი ფორმის სახელები. მაგალითად, კაც სიტყვის ბუდეში შემავალ, ასე ეთქვათ, „ასაკობრივ“ ქვეჯგუფში ერთმანეთს უპირისპირდება სქესით განსხვავებული ასეთი ფორმები: ჩჩვილი — ჩჩვილა (5 წლამდე), უსუარი — უსუარა (10 წლამდე), ნინველი — ნინველა (15 წლამდე), ყრმა — ყრმაა<sup>28</sup> (20 წლამდე), ჭაბუჯი — ჭაბუჯა (30 წლამდე), მოხუცებული — მოხუცებულა<sup>29</sup> (50 წლის შემდეგ).

თუ რას ეფუძნება საბას ლინგვისტური კონცეფცია გრამატიკული სქესის თაობაზე, ეს კარგად ჩანს მანა სიტყვის განმარტებაში ჩართული ცნობიდან. ლექსიკონის C რედაქციის ხე ზელწერებში საბა მან ნაცეალსახელზე

<sup>27</sup> K. Brugmann, Griechische Grammatik, München, 1900, გვ. 204.

<sup>28</sup> საბას თავის ლექსიკონში ცალკე ერთეულად შეუტანია ყრმაა (იერ. 34,9) და ყრმა (იერ. 34,16), მაგრამ უკანასკნელი ფორმა მცდარად უნდა იყოს ამოწერილი, რადგან წყაროშია ყრმაა („ყრმააისა“, „ყრმააებლ“, იერ. 34, 16).

<sup>29</sup> სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. IV, გამოსცა ილ. აბულაძემ, თბ., 1965, გვ. 363.



სა სიტყვისა თქმითა განუყოფდეთ ჳსენებასა მამაკაცისასა და დედაკაცისასა<sup>31</sup>) ვინ ჳჯუფის სახელეღბში მამრობითი და მდედრობითი ფორმების გარჩევა მხოლოდ სამეცნიერო (ფილოსოფიურ-თეოლოგიურ) მწიგნობრულ ჳართულში. ამიტომაა, რომ მდედრობითი ფორმები და მასზე საბას მსჯელობა წარმოდგენილია მხოლოდ „ქართულ ლექსიკონში“ და არა მის მხატვრულ თხზულებებში. ანტონ I-ის ქართულ გრამატიკაში, როგორც ჳემოთ აღვნიშნეთ, გრამატიკული სქესის („ნათესავის“) ოთხი სახეა გამოყოფილი (მდედრობითი, მამრობითი, უმეშეობითი და ჳოგებითი). აჳვე წარმოჳმნილ („სხმით გარდასვლით“) სახელთა 17 ჳჯუფიდან მე-11-ში დასახელებულია -ა, -ნა [=ინა, =ння) სუფიჳსებით ნაწარმოები მდედრობითი სახელები (უფალა, თავადინა)<sup>31</sup>.

XVIII—XIX საუკუნეებში რუსული ენის გავლენით მოხშირდა მდედრობითი სქესის ლექსიკური (მონარხინა, იმპერატრიცა, კნინა, შდრ. книжна) და გრამატიკული ბარბარზიმები: -ა სუფიჳსიანი: ჳართველა, ლმერთა, ხელმწიფა, ბრძენა, კეთილგონიერა, მეფა...; -ინა (=ння) სუფიჳსიანი: მთავრინა, თავადინა. ასეთ ფორმებს მეტწილად ხმარობდნენ რუსულ მეცნიერებასა და კულტურასთან ნაზიარები მოღვაწეები (დავით რეჳტორი, თეიმურაზ ბატონიშვილი, იოანე ბატონიშვილი, მარი ბროსე...), მაგრამ მოდურ ცთუნებას ჳოგჯერ ნიჳიერი მწერლებიც ვერ აღწევდნენ თავს: რადიელ ერისთავი არ თაკილობდა, ეზმარა „სულის მეფა“, „ქართველა“<sup>32</sup>. თვით გრ. ორბელიანსაც კი წასცდა თამარ მეფეზე დიდებულ „საღლეგრძელოში“ „ეითარცა მეფა მშენიერების“.

ხელოვნური მდედრობითი ფორმები კანტიკუნტად მე-20 საუკუნის 20-იან წლებამდეც იხმარებოდა. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ ქართული ორთოგრაფიის თაობაზე 1921 წელს მიღებულ პროეჳტში საჳიროდ იქნა მიჩნეული, აღნიშნულიყო: „სქესობრივი (!) დაბოლოებანი, როგორც შეუფერებელნი ჳართული ენის ბუნებისა, კომისიამ<sup>33</sup> ერთხმად უარყო, ამიტომ უნდა: ჳალღმერთი, თამარ მეფე, მოაბელი ჳალი, მთავრის ჳალი (ასული, მეუღლე) და არა: ლმერთა, მეფა, მოაბელა, მთავრინა“<sup>34</sup>.

აე აღიკვეთა საბოლოოდ გრამატიკული სქესის სამწერლო ჳართულში შეღწევის არა უწყვეტი, მაგრამ მაინც მრავალსაუკუნოვანი ცდა. მიუხედავად პეტრიწის, სულხან-საბას, ანტონ პირველის თუ სხვა მაღალ ავტორიტეტთა შეგნებული ცდისა სამწერლო ჳართულმა არ მიიღო ის, რაც ცოცხალი, სალაპარაკო ჳართულის ბუნებრივი სტრუჳტურისათვის უცხო და შეუთავსებელი იყო.

31 ნ. ბაბუნაშვილი, ანტონ I და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970, გვ. 115.

32 თხზულებანი თ. რ. ერისთავისა, ტ. I, ტფ., 1893, გვ. 156, 160.

33 კომისიაში შედიოდნენ: ა. შანიძე (თემჯლომარე), კ. კეკელიძე, გ. ახუდლიანი, ე. ბერიძე, ს. გორგაძე (მდივანი), ჳოგჯერ მონაწილეობდა დ. უზნაძეც.

34 სალიტერატურო ჳართულისათვის, პროეჳტი ქართული ორთოგრაფიის საღვო საკითხების მოსაწესრიგებლად, შემუშავებული საორგანიზაციო კომისიისა და მიღებული სასწავლო კომიტეტის მიერ, ტფ., 1921, გვ. 17.



К. Д. ДАНЕЛИА

## ПОПЫТКА ВЫРАЖЕНИЯ ГРАММАТИЧЕСКОГО РОДА В ГРУЗИНСКОМ ЛИТЕРАТУРНОМ ЯЗЫКЕ

### Резюме

Грузинскому языку не характерен грамматический род. Но с XII века грекофильская школа, называемая петрищовской, попыталась выразить женский род заимствованными суффиксами -а, -id. Такими естественными формами особенно отличается т. н. «Гелатская Библия», рукопись А-1108 Института рукописей АН СССР, XII века: იგა iḡa „она“ (მზი), უფალა upʼala „госпожа“ (ჯარა), თითოეულიდი tʼiʼoelidi „каждая“ (ჩაბი) и др. И позднее, в XVII—XVIII веках, С.-С. Орбелиани (1658—1725 гг.) и Антоний I (1720—1788) старались использовать искусственные формы женского рода в научном языке с определенным ограничением (только в именах одушевленных предметов). С начала XIX века до 20-х годов XX века под влиянием русского языка в грузинском употреблялись новые феминизированные формы: ქართველა kʼartʼvela „грузинка“, ხელმწიფა helmciʼra „государыня“ თავადინა tʼavadina „княгиня“, ღმერთა ḡmerʼa „богиня“ и т. д. Но, несмотря на все попытки, грузинский литературный язык в конце концов отверг искусственные формы женского рода.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრა

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. შანიძემ

### მახტან მალრაძე

## მსაზღვრელი კომპონენტები რთული შედგენილობის ტოპონიმებში

### (კასპის რაიონის მასალის მიხედვით)

სხვადასხვა სტრუქტურის ტოპონიმთა შორის გამოიყოფა რთული შედგენილობის ტოპონიმები. რთული აგებულების ტოპონიმები, ჩვეულებრივ, წარმოადგენს მსაზღვრელ-საზღვრულისაგან შედგენილ სინტაგმებს. სხვადასხვა ქვეყნის ტოპონიმიში რთულ გეოგრაფიულ სახელებს რაოდენობის მხრივ გაბატონებული ადგილი უკავია<sup>1</sup>. გამოჩაქისს არც საქართველოს და კერძოდ ქართული ტოპონიმი წარმოადგენს. შედგენილი ტოპონიმები აშკარად სქარბობს მარტივ და ნაწარმოებ ტოპონიმებს ერთად აღებულს.

სტატიაში განხილულია კასპის რაიონის მიკროტოპონიმებში გამოყენებული მსაზღვრელი კომპონენტები, — როგორც ატრიბუტული, ისე მართული მსაზღვრელები.

შედგენილი ტოპონიმების კომპონენტურ ანალიზს დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც თეორიული (სტრუქტურული და ეტიმოლოგიური კვლევისათვის), ისე პრაქტიკული თვალსაზრისით (კერძოდ მართლწერისათვის — კომპონენტთა ცალკე თუ ერთად წერის წესების გამოთქმებისათვის).

გეოგრაფიულ სახელწოდებათა ზოგადი ტიპები უნივერსალურია. მსაზღვრელებად გვაქვს ატრიბუტული და მართული მსაზღვრელები, ხოლო საზღვრულებად — საზოგადო და საკუთარი სახელები. აქედან საზოგადო სახელები გვხვდება როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური ობიექტების აღმნიშვნელად. ვინაიდან განხილვის საგანია მსაზღვრელთა სემანტიკა, ამგვარად ყურადღება არ ექცევა ტოპონიმთა ფორმას: კომპოზიტებიც და შესიტყვებებიც ერთად განიხილება.

**I. ატრიბუტული მსაზღვრელები.** შედგენილი ტოპონიმები ყველაზე ხშირად წარმოადგენენ სიტყვათშეხამებებს, რომლებშიც პირველი კომპონენტი ზედსართავი, მეორე კი — არსებითი — ადგილობრივი გეოგრაფიული ტერმინი ან მასთან მნიშვნელობით დაახლოებული სიტყვა<sup>2</sup> (მაგ.: რ ბ ი ლმინდორი, ც ი ვ ი წყარო, ს წ ო რ ი გზა, მ ლ ა შ ე წყალი...). ატრიბუტულ მსაზღვრელებად გამოიყენება როგორც ვითარებითი, ისე მიმართებითი ზედსართავი სახელები.

<sup>1</sup> იხ. მ. გლუხაძე: А. В. Суперанская. Как Вас зовут? Где Вы живете? М., 1968, გვ. 43; Г. Н. Конкошпаев, Словарь казахских географических названий, Алма-Ата, 1963; Б. П. Яценко, Особенности японской топонимики, сб. Топонимики Востока, М., 1964, გვ. 78.

<sup>2</sup> Г. П. Бондарук, Местные географические термины в топонимии Ярославской области, Вопросы географии, сб. 70, М., 1966, გვ. 42.



ვითარებითი ზედსართავეებით გამოხატული მსაზღვრელი უმეტესწილად ბუნებრივი ობიექტების აღმნიშვნელ საზღვრულებს შეეხამება. ვითარებითი ზედსართავი სემანტიკურად რამდენიმე ქვეჯგუფად იყოფა...

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ტოპონიმთა წარმოქმნაში ფერების აღმნიშვნელ ზედსართავეებს. სხვიდასხვა მხარის ტოპონიმიში ყველაზე გავრცელებულად, და შეიძლება ითქვას უნივერსალურადაც, ითვლება თ ე თ რ ი, შ ა ვ ი და წ ი თ ე ლ ი<sup>3</sup> და ამას ადასტურებს როგორც ტოპონიმიური, ისე ფოლკლორული მასალა.

საკვლევ რეგიონში მსაზღვრელის როლში შედარებით ხშირია შ ა ვ ი და თ ე თ რ ი<sup>4</sup>. ეს მსაზღვრელი ზედსართავეები საკმაოდ ფართოდ გამოიყენება ბუნებრივი ობიექტების აღმნიშვნელ აპელატივებთან: შ ა ვ წ ყ ა ლ ა, შ ა ვ ტ ყ ე, შ ა ვ ი წყარო, შ ა ვ ი ტყე, თ ე თ რ ა წყარო, თ ე თ რ ი წყარო, თ ე თ რ ი გორა, თ ე თ რ ი გზა, თ ე თ რ ი მიწები... შედარებით იშვიათად გვხვდება ეს მსაზღვრელები ზელოვნური ობიექტების აღმნიშვნელ საზღვრულებთან: თ ე თ რ ი კოშკები...

კიდევ უფრო იშვიათია სხვა ფერების გამოხატველი ზედსართავეები: წ ი თ ე ლ ი ქალები, წ ი თ ე ლ ტყემლები, ყ ვ ი თ ე ლ ი მიწები, ყ ვ ი თ ე ლ ი საყდარი; მ წ ვ ა ნ ე ქ ე დ ი...

როგორც აღნიშნულია ლიტერატურაში, ფერთა აღმნიშვნელი ზედსართავეები ყოველთვის არ არიან დაკავშირებული წმინდა ფიზიკურ ფერებთან. კერძოდ, შენიშნულია ტრადიცია ქვეყნის მხარეთა სათანადო სიმბოლური ფერებით გამოხატვა<sup>5</sup>: წ ი თ ე ლ ი სამხრეთის სიმბოლური გამოხატველია, თ ე თ რ ი — ჩრდილოეთისა.

საკვლევი რეგიონის მასალის ანალიზისას ამგვარ შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია. აღმნიშვნელი მეტ-ნაკლებად შეესაბამება აღსანიშნს. კერძოდ, ისეთი სახელწოდებები, როგორიცაა წ ი თ ე ლ ი თ ი ხ ნ ა რ ი, თ ე თ რ ი წყარო და სხვ., მინიშნებენ შესაბამისად ნიადაგის, წყლის კალაპოტის ან სხვა თავისებურებებზე.

ზომისა და ფორმის მიხედვით აღწერითი ხასიათი აქვს შემდეგ ტოპონიმებს: გ რ ძ ე ლ ვ ე ლ ა, მ თ კ ლ ე ვ ე ლ ი, დ ი დ ი ზ ვ ა ვ ი, რ გ ვ ა ლ ი მიწა, ს წ ო რ ი გზა..., ხოლო ვ ა რ ც ლ ა მიწა, ნ ა მ გ ა ლ ა ხევი, უ ნ ა გ ი რ ა მთა, მ ო კ ა კ უ ლ ი რუ, კ უ ზ ი ა ნ ი ნაკეთი... მსგავსების საფუძველზე მეტაფორული გააზრების შედეგია.

ვითარებით ზედსართავეებს შორის ქარბობს დ ი დ ი, გ რ ძ ე ლ ი, ა ხ ა ლ ი. მაგრამ მსაზღვრელთაგან ყველას არ მოეპოვება ანტონიმი. მაგ: დ ი დ ვ ე ლ ა, დ ი დ ქაობი, დ ი დ ფერდა, დ ი დ ი ყანები, დ ი დ ი ხევი, დ ი დ ი ორღობე; ა ხ ა ლ უ ბ ა ნ ი, ა ხ ა ლ ს ა ს ა ფ ლ ა ო, ა ხ ა ლ ი ნ ა ტ ე ხ ე ბ ი... ამ ტოპონიმებში საზღვრულებს დაპირისპირებული მსაზღვრელები არ შეესაბამება. უფრო ზუსტი იქნებოდა, თუ ვიტყვოდით, რომ დაპირისპირება ნულოვანმსაზღვრელიანი

<sup>3</sup> იქვე, გვ. 70.

<sup>4</sup> ა. სუპერანსკაიას მიხედვით, თუ გავანალიზებთ მდინარეებისა და მთის ქედების სახელწოდებებს, შეიძლება განსაკუთრებით ხშირად წავაწყდეთ ყველაზე გავრცელებულ შ ა ვ და თ ე თ რ ზედსართავეებს. დასახ. ნაშრ. გვ. 39—40.

<sup>5</sup> А. В. Суперанская, დასახ. ნაშრომი, გვ. 51; იხ. აგრეთვე: შ. აფრიდონიძე, რთული ტოპონიმების კომპონენტთა შეხამებათა უნარისათვის, მაკენ, ელს, 1977, № 3, გვ. 86.

დამოუკიდებელი ტოპონიმებით გამოიხატება. შდრ. მაგალითად: ყანები და დიდი ყანები, ხევი და დიდი ხევი, ფერდა და დიდფერდა, ნატეხები და ახალი ნატეხები... და მისთ.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ზედსართავი გრძელი, რომელსაც ხშირად აკლია ანტონიმური მიწყვილე (გვაქვს გრძელი მიწები, გრძელვაყე, გრძელეების ბოლო, გრძელველები, გრძელველების ტყე... ანტონიმური მსაზღვრელების მქონე ტოპონიმთან გვხვდება მხოლოდ მოკლე ველი და აქედან მიღებული მოკლეველის ტყე). ამას გარდა გვაქვს სხვაგვარი შეზღუდვაც გრძელ მსაზღვრელთან საზღვრულის შეხამბადობის თვალსაზრისით: გრძელი არ იხმარება ჰიდრონიმებში, ე. ი. არ შეეხამება ისეთ ობიექტთა აღმნიშვნელ სახელებს, რომელთათვის სიგრძე თავისთავად ნაგულისხმევი თვისებაა, რისი აღნიშვნაც ამიტომ ზედმეტი ხდება. მაგ.: არა გვაქვს არც ერთი ისეთი ტოპონიმი, როგორცაა \*გრძელდეღე, \*გრძელი წყალი, \*გრძელი რუ... მაგრამ არის გრძელი ველი... ასევე მსაზღვრელები ძველი და ახალი არ შეიძლება შეგვხედეს აველატივებთან გორა, მთა, ქედი, მაგრამ კასპის რაიონში ხელოვნური, უფრო ზუსტად, ადამიანთა ჩარევის შედეგად მიღებული ობიექტების აღმნიშვნელ სახელებთან ბუნებრივია: ახალი უბანი, ახალი დასახლება, ახალი ბაღები, ახალი სასაფლაო, ახალი ვაკე.

ხშირია სივრცობრივი მიმართების აღსანიშნავად ზედსართავის ფუნქციით ხმარებული მსაზღვრელებით ტოპონიმთა შედგენის შემთხვევები: ქვეითუბანი, აქეთუბანი, იქითუბანი, წინფერდა, უკანწალა, დაბლაურწყავები, მაღლაურწყავები, გამოღმაუბანი...

ობიექტის თვისებაზე მიუთითებენ მსაზღვრელები შემდეგ ტოპონიმებში: წმინდა წყარო, მდორე წყალი, რბილინდორი, ღრმა ხევი, ხმელი ფერდა, მლაშე წყალი, ქაჩალი გორა, ბედოვლათი მიწები... მათი ანტონიმები ამავე რეგიონის მასალაში არ ჩანს.

როგორც ცნობილია, რთული შედგენილობის ტოპონიმებში საზღვრული აველატივები აღნიშნავენ როგორც ბუნებრივ, ისე ხელოვნურ ობიექტებს. ბუნებრივი ობიექტები ჩანს შემდეგ ტოპონიმებში: დიდი თლა, მრგვალი გორა, გრძელველები, ნაწვიანფერდა, სამგლე ხევი, პატარა მთა, გაცინა ქედი... ხელოვნური ობიექტების აღმნიშვნელი აველატივები ამ ტოპონიმებში: თეთრი კოშკი, ქვემოარხი, ზეითენახები, ბეგაანთეული ახო, დაქცეულსაყდარი...

მიმართებითი ზედსართავები ვითარებითთან შედარებით ნაკლებად პროდუქტიულია. ესენი ძირითადად მქონებლობის აფიქსებითაა ნაწარმოები. აღნიშნავენ თვისებას, ქონებას (თხილიანი ვაკე, ბარდიანი ტყე, თაფლიანი ტყე, რიყიანი ღელე, ნამყენიანი ბაღები, ნაძვიანი ფერდა, გოგირდოვანი წყალი...), რიგ შემთხვევაში ასეთი სახელები მსგავსებაზე მიანიშნებენ (კუხიანი ნაკვეთი, თვალეიანი კლდე, ნამგალახევი...).

როგორც ვხედავთ, მიმართებითი ზედსართავები შესიტყვებაში უკავშირდებიან მხოლოდ და მხოლოდ აველატივებს, უმეტესად ბუნებრივი ობიექტების აღმნიშვნელ სახელებს.

ვითარებითი ზედსართავეები (თუმცა იშვიათად) შეიძლება შეგვხვდეს პოსტოზონიციური წყობით, მიმართებითი ზედსართავეები პოსტოზონიციური წყობით არ დასტურდება.

ზედსართავის შემდეგ პროდუქტიულობით გამოირჩევა მიმღეობა (მაგ.: დამწვარი ველი, დანვრეტილი კლდეები...).

დიდი სიხშირით ხასიათდება ატრიბუტულ მსაზღვრელად გაზედსართავებული ზმნისართი (მაღლაქედი, უკანქალა...).

შედარებით იშვიათია მსაზღვრელად რიცხვითი სახელები (მაგ.: ორთელები, პირველი საქადავიანო...) და კიდევ უფრო ნაკლები — საზოგადო არსებითი სახელები.

ატრიბუტულმსაზღვრელიან სინტაგმაში ზოგჯერ არსებითი სახელი ზედსართავის ფუნქციითაა აღჭურვილი. მაგ.: ვაკე გზა (შდრ.: სწორი გზა), ვაკე მიწა... მაგრამ არ შეინიშნება საპირისპირო შემთხვევა: სინტაგმაში ზედსართავის დატვირთვა არსებითის ფუნქციით. ეს მოვლენა შეინიშნება მხოლოდ სინტაგმის გამარტივების ხარჯზე: გრძელა; ჩრდილა, ოხერა... ესენია გასუბსტანტივებული ზედსართავეები, რომლებიც გეოგრაფიულ სახელწოდებათა მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. რთულ ტოპონიმებში მსაზღვრელთა სუბსტანტივაციას<sup>6</sup> წინ უსწრებს შეკუმშვის, ელიფსის პროცესი<sup>7</sup>. საზღვრულჩაჯარდნილ მსაზღვრელებს ემატება საკომპენსაციო სუფიქსები (ძირითადად — ა), რის შედეგადაც სუსტდება ზედსართაული სიტყვაწარმოება. როგორც ი. კარპენკო თვლის, მსგავსი სიტყვაწარმოებითი ცვლილება სავარაუდებელია შესიტყვების დაშლამდე, კერძოდ, სუბსტანტივაციამდე<sup>8</sup>.

ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში (ა. შანიძე, ვ. თოფურია) შენიშნულია, რომ ერთსიტყვიანი გეოგრაფიული სახელები წარმოშობით შეიძლება ორსიტყვიანი იყოს. საზღვრულის ჩაჯარდნის პროცესის რეალურობას ამტკიცებს საკვლევი რეგიონის კასპის რაიონის — მიკროტოპონიმური მასალის ჩვენება. ვეხვდება, ერთი მხრივ, დაკიდული ბიდი, თოფსაწმენდი ველი, დაჭრილი ნაკვეთი, გიგოსეული მიწა, გადმოსახედი გორა... და, მეორე მხრივ, საზღვრულჩაჯარდნილი გასუბსტანტივებული ერთეულები: დაკიდულა, დაკიდებულები, თოფსაწმენდები, დაჭრილები, გიგოსეული, გადასახედი...

რთული შედგენილობის ტოპონიმთა გამარტივებისას თითქოს მოსალოდნელი იყო დაკარგულიყო სინტაგმის დამოკიდებული წევრი — ნიშან-თვისების, კუთვნილების ან სხვა სახის ინფორმაციის მატარებელი მსაზღვრელი. სინამდვილეში კი იკარგება სწორედ საზღვრული — გეოგრაფიული ობიექტის აღმნიშვნელი სახელი (ინდიკატორი).

<sup>6</sup> ტოპონიმების სუბსტანტივაციის შესახებ იხ. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, 1953, თბ., გვ. 120—128; ს. ჭანაშია, შრომები, ტ. 3, თბ., 1959, გვ. 218; თ. ზურაბიშვილი, ტოპონიმის შესწავლისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, თბ., 1961, I, გვ. 42; ა. პაპიძე, ა სუფიქსის სიტყვაწარმოებითი ფუნქციები, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1974, № 1, გვ. 28; ფ. მაკალათია, არაგვის ხეობის ფშავის ტოპონიმთა, I, თბ., 1976, გვ. 34.

<sup>7</sup> Г. А. Силина, Микротопонимия бассейна Юлы, Вопросы географии, сб. 70, М., 1966, стр. 156.

<sup>8</sup> Ю. А. Карпенко, Становление востокославянской топонимии, Вопросы географии, сб. 70, М., 1966, стр. 7.



ძირითადი სემანტიკური დატვირთვა (გეოგრაფიული ობიექტის ტერიტორიული კუთვნილების, ვისობა-მფლობელობის, წარმომავლობის და სხვ. აღნიშვნა) მსაზღვრელს აქვს, რაც კიდევ განაპირობებს მის შენარჩუნებას<sup>9</sup>.

ამრიგად, კომპონენტთა გამარტივებისას (საზღვრულის დაკარგვის გზით) ანგარიში ეწევა მსაზღვრელთა სემანტიკურ მახვილს.

მაგრამ გარდა საზღვრულის ჩავარდნისა, სათანადო ყალიბის შექმნა შესაძლებელია საზღვრულის დაკარგვის გარეშეც — ანალოგიის ძალით. რიგ შემთხვევაში ტოპონიმები — გაპარულა, გადასხვეპილა, დაქცეულები, გეთაანთეული, გაბრაანთეული... ერთადერთ ვარიანტს გვიჩვენებს. მიღების გზა ორივენიური შეიძლება ყოფილიყო — საზღვრულის ჩავარდნითაც და მზა მოდელის სესხებითაც.

საზღვრული უნდა ხლებოდა გენეტიკის ფორმით წარმოდგენილ ტოპონიმებსაც (შინდისი, მოწამეთა...). ამის დასტურია მსგავს ფორმათა გვერდით საზღვრელიანი მოდელის არსებობა (გორისა, შდრ.: გორის უბანი...)<sup>10</sup>. ანალოგიურად, სახელების მომენტისათვის დასაშვებია საზღვრულის არსებობა ზოგ მარტივ სახელთან, რომლებიც სახელობითი ბრუნვის ფორმით არის წარმოდგენილი (გრძელი, შდრ.: გრძელი ველი...).

რთული შედგენილობის გეოგრაფიულ სახელწოდებათა წარმოქმნა გამოწვეულია რეალური აუცილებლობით — განასხვავოს, დააზუსტოს, ერთგვარი ობიექტების რიგიდან გამოყოს ერთი ან მეორე<sup>11</sup>. ეს დიფერენციაცია ხდება მსაზღვრელის დამატების საშუალებით. ამასთან, განსაზღვრება მოგვეპოვება არა მარტო ბინარული ოპოზიციების დროს, როგორცაა მაგ.: ზემორენე — ქვემორენე, ზემო ჩოჩეთი — ქვემო ჩოჩეთი, ზემო ხანდაკი — ქვემო ხანდაკი. ამ ტოპონიმებში მსაზღვრელები შეხამებულია ოკონიმიტთან; ზემო უბანი — ქვემო უბანი, ზედა ბილიკი — ქვედა ბილიკი, დიდი მთა — პატარა მთა — აპელატივებთან ანუ საზოგადო სახელებთან.

გეოგრაფიულ ტერმინებთან დიდი, ახალი, ქვემო, ზემო და სხვ. ზედსართავების შეხამება ყველაზე ფართოდ გავრცელებული კომბინაციაა ტოპონიმთა ჩამოყალიბებისათვის<sup>12</sup>.

ტოპონიმთა შექმნაში დიდი როლი უთამაშია მნიშვნელობის მიხედვით დაპირისპირებულ წყვილებს, როგორცაა, კერძოდ, დიდი და პატარა, ზემო და ქვემო, მაგრამ მათი განაწილება სინტაგმებში თანაბრად არ ხდება. საკვლევ რეგიონში ანტონიმური წყვილები შემდეგნაირად ნაწილდება: დიდი ყველაზე მეტად გავრცელებულ მსაზღვრელს წარმოადგენს. იგი გვხვდება 126-ჯერ, ხოლო მისი ანტონიმი პატარა — 41-ჯერ; ახალი — 54-ჯერ, ძველი — 18-ჯერ; გრძელი — 23-ჯერ, მოკლე — 2-ჯერ; ზედა — 26-ჯერ, ქვედა — 5-ჯერ.

II. მართული მსაზღვრელები. ქართულ და საერთოდ ქართველურ ტოპონიმიაში სიტყვათშეერთებით ნაწარმოებ ტოპონიმებში განსაკუთრებული აღ-

<sup>9</sup> ფ. მაკალათია, ტოპონიმთა აგებულებისა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1974, № 2, გვ. 13.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 14.

<sup>11</sup> А. Дж. Цагаева, Топонимика Северной Осетии. Ч. I, Орджоникидзе, 1971, გვ. 105.

<sup>12</sup> Э. М. Мурзаев, Топонимика популярная, М., 1973, გვ. 32.

გილი უჭირავს მართულმსაზღვრელიან სინტაგმებს. მიკროტოპონიმთა ძირითად ფონდსაც სწორედ ამ სახის სინტაგმები შეადგენს.

ნათესაობით ბრუნვაში დასმული მართული მსაზღვრელი შეიძლება შეგვხედეს როგორც მხოლოდით რიცხვში, ისე მრავლობითში და დაუქავშირდეს ორსავე რიცხვში მდგომ საზღვრულს.

ა) მსაზღვრელიცა და საზღვრულიც მხოლოდითშია: ავაზას ნაქურდალი, დეთიშობლის ნიში, სამეზბის ველი, ალიზის ამოსაღები, ნადარბაზევის დელი, ბაკლიას მორევი, ჭირის წყარო, ამოსაწევის ხევი...

ბ) მსაზღვრელი მხოლოდითშია, საზღვრული მრავლობითში: თელის მიწები, ამკიდეს მიწები, ბურღის მიწები, ფშატიას მიწები, ამილახვრის აბანოები, ალექსას სათიბები, ქათმის ყვერები...

გ) მსაზღვრელი მრავლობითშია, საზღვრული — მხოლოდითში: ეშმაკების ხევი, ერისთავეების შენობა, ებრალიძეების ქედი, გრძელველების ტყე, ბერბიქაშვილების უბანი, ქვაკაცების ხევი, ქვაყრილების კუნელა, გივლაანთელესია, ჭავახაანთუბანი, ჯიქურაანთხევი...

დ) მსაზღვრელიცა და საზღვრულიც მრავლობით რიცხვშია: ჭავახების მიწები, ბეგთათების მიდამოები, ჯანდიერაანთმიწები, ჯანგლარაანთხრამები, დანდურაანთვენახები, ჭავახიანთწილები, ხრიკულიანთველები, წვერაანთმიწები, კარეკაანთბალები...

მართულ მსაზღვრელებად მიკროტოპონიმიაში გამოიყენება როგორც აბელატივები, ისე საკუთარი სახელები, საზღვრულებად კი, ჩვეულებრივ, — აბელატივები, იშვიათად ნაზმნარი სახელები (მიმლეობები).

კასპის რაიონის მიკროტოპონიმიაში მართულ მსაზღვრელთა შორის სიხშირის მიხედვით წამყვანი ადგილი ანთროპონიმულ მსაზღვრელებს უკავია. მართულ მსაზღვრელებად გვხვდება:

ა) პირთა სახელებია: ბაქოს ჰალა, ანიკოს ნიში, ანტონის საყდარი, ალიოშას ჰა, ასანას წყარო, არსენას კლდე, ბათლომეს ხევი, ალექსას სათიბები, არსენას გამოქვაბული...

ბ) მართულ მსაზღვრელებად გამოყენებული გვარები გვხვდება ორსავე რიცხვში. შდრ. აბაზაძის ტყე, აფციაურის სალოცავი, სააკაძის კოშკები, სააკაძის მოედანი, ოქროპირიძის წისქვილი, ალაბიშვილის ნაქონი, გურამიშვილის წყარო, გოგიაშვილის მიწა, ამილახვრის აბანოები, გრუზინსკის წისქვილი... და ებრალიძეების ქედი, ბაზლიძეების ნაკვეთი, ბერბიქაშვილების უბანი, აბუაშვილების საყდარი.

სიტყვაწარმოების შედეგად მიღებული გვარები მხოლოდ თან-იან მრავლობითში დგას (ამილახვიან-თ მიწები).

შეინიშნება, რომ მხოლოდით რიცხვში, იშვიათი გამონაკლისის გარდა ფეოდალური გვარებია (სააკაძე, გურამიშვილი, აბაზაძე, ამილახვარი, გრუზინსკი), რაც ტოპონიმთა სოციალური დანიშნულების ირიბ მაჩვენებლად უნდა შევიჩინოთ.

მრავლობითში დასმულ გვარებს ეს შეზღუდვა არ ახლავს. მაგრამ ძირითადად ისინი დასახლებულ პუნქტებში უბნების გასამიჯნავადაა მოწოდებული. მაგ.: შეშაბერი ან თუბანი, ონოფრი ან თუბანი, ოდიშა ან თუბანი, ოთარ ან თუბანი, პარკაძი ან თუბანი, რაზმაძი ან თუბანი, სიღამონიძი ან თუბანი, კაციაშვილები ან თუბანი, ბერბიჭაშვილები ან თუბანი, ხოკერაშვილები ან თუბანი...

თოქონიმების ან უბნების აღსანიშნავად ამგვარად ნაწარმოებს მართულ გვარსახელებთან საზღვრულად კარგი ან უბანი გამოიყენება, მაგრამ ზოგჯერ საზღვრულის ჩაყარვის შედეგად ვიღებთ - ან სუფიქსით გაფორმებულ ნომინატიურ ფორმებს. მაგ.: ქება-ანი, ტურიკა-ანი, შაველა-ანი, თუთუა-ანი, ნაცვალა-ანი, თამაზა-ანი, თავგია-ანი, ბარდა-ანი, ზავრალა-ანი, ნავროზა-ანი...

ვ) სახელებთან და გვარებთან ერთად აქ პროდუქტიულია მეტსახელებიც. მეტსახელური წარმომავლობისაა მიკროტოპონიმთა მსაზღვრელური კომპონენტების მნიშვნელოვანი ნაწილი. მაგ.: ოქრუა ან თამალები, ნებიერ ან თბალები, პაწია ან თმიწა, პატარაკოლას წყარო, პაჭუა ან თმიწა, პრიწიას წყალი, ლიყიანის მორევი...

ამგვარი ტოპონიმები აღნიშნავენ არა მარტო კუთვნილებას, არამედ მიუთითებენ ამა თუ იმ ობიექტის აგება-მოწყობაში აქტიურ მონაწილეობას და სხვ. მაგ.: ცხის, კოშკის ამშენებელს, წყაროს აღმოჩენს, ყამირის გამტებს...

ადამიანთა სახელებს, გვარებსა და მეტსახელებს უკავშირდება სახნავ-სათვის და საბოსტნე ნაკვეთთა, წყაროების, ტყეების სახელწოდებები. ამიტომ თავიანთი აღწერითი დანიშნულების გამო მსგავსი სტრუქტურის ტოპონიმები სიძველეს ვერ დაიჩემებენ<sup>13</sup>, თუმცა კი მიკროტოპონიმების წარმოების ბუნებრივ ტრადიციას თვალნათლივ ასახავენ.

ცნობილია, რომ გეოგრაფიული ტერმინები, ე. ი. გეოგრაფიული მნიშვნელობის ანელატივები განსაკუთრებულ ადგილს იკავებენ სხვადასხვა ქვეყნის ტოპონიმიაში. ისინი, უწინარეს ყოვლისა, დასახლებულ ობიექტზე მიუთითებენ (და ამით სახელწოდება „მიეჯაჭვება“ სათანადო ადგილს), აძლევენ მას აუცილებელ „მისამართს“, მეორე მხრივ, კი ტოპონიმთა ჩამოყალიბებაში „სამშენებლო მასალის“ როლს ასრულებენ<sup>14</sup>.

ამგვარი საზოგადო სახელები არცთუ იშვიათია მართულ მსაზღვრელებად: აბანოს ხევი, ახოების ტყე, ბალის წყარო, ბზის ხევი, ბილიკის წყარო, ბოგირის მიწები, გალავნის მიწები, გამოქვაბულები ან ხევი, გვირგვინის ქედი...

მსაზღვრელთა ერთი ნაწილი ნაწარმოებია ცხოველთა სახელწოდებებიდან<sup>15</sup>: მგლის წყარო, დათვთხილიანი, მელეების საბტომლა, კურდღლის ოლე, ბუს ხევი, მტრედების ხევი, კუს თავი, გველთა მიწა.

<sup>13</sup> როგორც მიუთითებენ, ამგვარ სახელწოდებათა დიდი რაოდენობა წარმოიქმნა ფოლკლორ ეპოქაში. იხ. В. Д. Беленькая, Очерки англоязычной топонимики, М., 1977, გვ. 55.

<sup>14</sup> И. П. Литвин, О словаре топонимии Америки, Топонимика зарубежных стран, М., 1975, გვ. 51.

<sup>15</sup> Г. П. Бондарук, Ландшафтная микротопонимия областей РСФСР, М., 1975, გვ. 51.

მსახურელად ძალზე ხშირად გამოიყენება ტოპონიმი, საზღვრულად გეხვედება ტყე, მთა, წყარო, გზა... და ყველა შემთხვევაში ტოპონიმით მინიშნებულია განკუთვნილება ან მიმართულება. მაგ.: ერთაწმინდის ტყე, გრაკლის სასაფლაო, აღაიანის ზერები, ავეკეთის მინდორი, საკორინთლოს გზა, გარგარის ტყე, იკვის წყარო, ოკმის გზა, ახალშენას აღმართი, მეტეხის რუ...

გენიტიური მსახურელები საკვლევ რეგიონში მხოლოდ პრეპოზიციული წყობით არის წარმოდგენილი, პოსტპოზიციური წყობის ნიმუშები საკვლევ რეგიონში არ დასტურდება.

В. А. МАГРАДЗЕ

## ОПРЕДЕЛЯЮЩИЕ КОМПОНЕНТЫ В СЛОЖНОСОСТАВНЫХ ТОПОНИМАХ

(на микротопонимическом материале Каспского района)

Резюме

Сложносоставные топонимы обычно представляют собой синтагмы, состоящие из определяющего и определяемого. В статье рассмотрены определяющие компоненты с грамматической и семантической точек зрения.

Встречаются как управляемые (генитивные), так и согласуемые (атрибутивные) определяющие. В качестве управляемых определяющих в основном употребляются собственные имена: антропонимы (личные имена, прозвища, фамилии), а также топонимы (ойконимы), относительно реже — апеллятивы.

В роли атрибутивных определяющих главным образом выступают прилагательные, а также причастия и наречия в функции прилагательных. В обоих случаях в качестве определяемых в основном употребляются географические термины, реже — топонимы.

Выделяются несколько семантических групп определяющих по величине и форме, цвету и по другим признакам.

В синтагмах в качестве атрибутивных определяющих нередко встречаются существительные в функции прилагательных, напр.: *vaqe gza*, *vaqe miçebi* (*vaqe* — „равнина“). Обратное наблюдается лишь тогда, когда утеря определяемого компенсируется присоединением к определяющему словообразовательного аффикса (ср.: *dapral-a* и *daprali çqeli*, *daqidul-a* и *daqiduli xidi*). Однако образование этой модели не всегда объяснимо утерей определяемого. При создании готовой модели не следует умалять роль аналогии (напр.: *gelaanteuli*).

С одним и тем же определяемым встречаются антонимичные прилагательные (*didi mta* — *paçaga mta*), но такие пары сравнительно редки. Чаще всего из этих пар употребляются прилагательные с большей степенью данного признака, нежели меньшей (так, напр., *didi* «большой» преобладает над *paçaga* «малый», *guceli* «длинный» — над *poçkle* «короткий» и т. д.).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის  
ქართული მეტყველების კულტურის განყოფილება  
წარმომადგინა ენათმეცნიერების ინსტიტუტმა

მარინე ალექსიძე

## საკუთარ სახელთა როლი ანტითეზის შემანაშში

(ჰაფეზის ლირიკის მიხედვით)

თუ გადავხედავთ ყაზალის განვითარების ისტორიას, ადვილად შევნიშნავთ ტექსტის აგების ლოგიკურ მოდელს, რომელიც ხორციელდება ოპოზიციით: მე (ლირიკული გმირი) — ის (სატრფო), ამიტომ, როგორც აღნიშნავდა ი. ვ. სტებლევამ, „ყაზალის ტექსტში, როგორც წესი, ორი სემანტიკური ცენტრია (ოპოზიციის ორი წევრი). ჩვეულებრივ, ყაზალი ამ სემანტიკურ ცენტრებს შორის კონტაქტის შეუძლებლობას გადმოგვცემს, ე. ი. ყაზალის ქანრის ძირითადი ოპოზიცია გადაუჭრელია“ [1,260].

ამასთან დაკავშირებით, გასაგებია ანტითეზის, როგორც პოეტური ხერხის, ფართო გამოყენება ყაზალში, რომლის ბეითებში ურთიერთსაწინააღმდეგო სიტყვები და ცნებები ქმნიან ანტითეზურ გამონათქვამებს ზემოთმოსხენიებული ოპოზიციის შესაბამისად, რაც ნაკარნახევია ყაზალის ტექსტის აგების ტრადიციით. სემანტიკური ცენტრი „ლირიკული გმირი“ იწვევს განსაზღვრული ლექსიკის, სემანტიკური ველის შექმნას, რომელიც უპირისპირდება მეორე სემანტიკური ცენტრის — სატრფოს — მიერ შექმნილ სემანტიკურ ველს.

ჩვენი ნაშრომის მიზანია, გავარკვიოთ საკუთარ სახელთა როლი ამგვარი ანტითეზური გამონათქვამების აგებაში; ამისათვის უნდა გავიხსენოთ ჰაფეზის ყაზალის ზოგიერთი თავისებურება. თუ სხვა პერიოდის ან სხვა პოეტების ყაზალეებში შეიძლება ერთი სიუჟეტური ხაზის გადევნება, ჰაფეზის ყაზალის ერთ-ერთ თავისებურებას სწორედ პოლითემატურობის პრინციპი წარმოადგენს, როდესაც ბეითებს შორის ასოციაციური კავშირი წამყვანი და ზშირად ერთადერთიც კი არის. რადგან ჰაფეზის ყაზალში თემის გახსნის საზღვრები ერთი ბეითის ფარგლებშია მოქცეული [2,17], ამიტომ ანტითეზური გამონათქვამიც ერთ ბეითში ხორციელდება და გასაგებია, რომ ლაკონიურობას აქ გადაწყვეტი როლი ენიჭება. შესაბამისად „ლირიკული გმირის“ ან „მეს“ და „სატრფოს“ ან „მას“ ნაცვლად ისეთი სახელების ზმარება, როგორიცაა იოსები და ზელიხა, ხოსროვი და შირინი, შირინი და ფარხადი და ა. შ., უკვე ქმნის ანტითეზურ გამონათქვამებს. როდესაც სახელი ასოცირდება არა რომელიმე მორალური თუ ფიზიკური თვისების გაგებასთან (მაგ.: „შირინი“ — ტბილი ან „მაჯნუნი“ — გახელბულა), არამედ მის მატარებელთან, მაშინ საკუთარი სახელი ასრულებს ერთჯერადი ნომინატიური მნიშვნელობის [3,16] მჭონე სახელის ფუნქციას. ეს ანტითეზის ის სახეობაა, როცა ერთმანეთს უპირისპირდებიან კონტრასტული არსის მჭონე სახეები.

ი. ვ. სტებლევას აზრით, ანტითეზის შემცველ ყაზალეებს არაბულ-სპარსული პოეტის ორი ფიგურა უდევს საფუძვლად: მურაათ ან-ნაზირი (სიტყვისიტყვით „სიმეტრია“, ანუ წყვილული სიმეტრია, ბეითში ერთგვარი,



აზრობრივად მიახლოებული საგნებისა თუ ცნებების ხმარება) და „თაზადლი“ (სიტყვასიტყვით „დაპირისპირება“ ანუ ბეითში ანტონიმების ხმარება) [1,262].

განვიხილოთ ჰაფეზის შემდეგი ყაზალი:

„ჩე დანად დამე ბიზარე ჭარიბ მორყე ნვარე“

ჩე დანად ძუსუფე მესრი ყამ ო დარდე ზელიზარა?

რა ენადღებდა საბრალოთა დამატყვევებელ მახეს თავისუფალი ჩიტი?

რას გაიგებს მისრელი იოსები ზელისას დარდასა და ნადველს?“ [4,1].

ბეითში სემანტიკური ცენტრი „ლირიკული გმირი“ (ზელიზა) იწვევს შე-საბამის ლექსიკას, სემანტიკურ ველს: „დარდი“, „ნადველი“, „თავისუფალი ჩიტი“, ხოლო „სატრფო“ (იოსები) თავის სემანტიკურ ველს: „საბრალოთა და-მატყვევებელი მახე“.

მურაათ ან-ნაზირს ქმნიან წყვილები: „საბრალოთა დამატყვევებელი მახე“ და „მისრელი იოსები“.

სიმეტრიის არსის გასაგებად უნდა გაეიხსენოთ ბიბლიური იოსებ მშვე-ნიერის სილამაზე, რომელმაც არა მარტო ფარაონის მცველთა უფროსის ცოლი ზელიზა დაატყვევა, არამედ ნარინჯის თლით გართული ეგვიპტელი ქალებიც, რომლებმაც მის დანახვაზე დანით ხელები დაიჭრეს. მაგრამ ჩვენ ამ შემთხვე-ვაში ზელიზა გვინტერესებს და მისი სინონიმი — „თავისუფალი ჩიტი“, რად-გან ეს წყვილიც მურაათ ან-ნაზირს ქმნის.

რაც შეეხება თაზადლს, ამ ბეითში საწინააღმდეგო მნიშვნელობის მქონე წყვილია: „საბრალოთა დამატყვევებელი მახე“ და „თავისუფალი ჩიტი“.

აქ გაორკეცებულ დაპირისპირებულობასთან გვაქვს საქმე. მარტო „მახე“ და „ჩიტი“ რომ ყოფილიყო, ესეც საკმარისი იქნებოდა თაზადლის შესაქმნე-ლად, მაგრამ ჰაფეზი ამოაფრებს ამ პოეტურ ფიგურას ანტონიმური ეპითე-ტების შემოტანით. როგორი მახე? „საბრალოთა დამატყვევებელი“; როგორი ჩიტი? „თავისუფალი“. სიტყვები „ჭარიბ“ — დამატყვევებელი და „ნვარე“ — თავისუფალი კი თავისთავად ანტონიმებს წარმოადგენენ.

თაზადლის შემქმნელი მეორე წყვილი თვით საკუთარი სახელები იოსე-ბი და ზელიზაა. აღმოსავლურ, კერძოდ სპარსულ, ლირიკაში ზელიზა პოე-ტის სიმბოლოდ არის ქცეული და იოსები — სატრფოსი. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ ამ საკუთარმა სახელებმა დაკარგეს კონკრეტულობა და საზოგადო სახელების როლს ასრულებენ ხოლმე. ზელიზა — არა ბიბლიური პერსონაჟი, პენტეფერეს ცოლი, არამედ საზოგადოდ უიღბლო მიჯნური, ე. ი. „ლირიკული გმირი“, „მე“ პოეზიაში; იოსები კი — არა ბიბლიური ლამაზი ჭაბუკი, არამედ გულცივი სატრფო, „ის“ ლირიკაში. მაშასადამე, ისინი ორ ერთმანეთთან დაპირისპირებულ სემანტიკურ ცენტრს წარმოადგენენ და ამ-დენად ანტონიმებიც არიან.

ე. ი. ანტონიმურობას თვით საკუთარი სახელების თავისთავადი სემანტი-კა კი არ ქმნის, არამედ მათი მეორადი მნიშვნელობა, ანუ მათი საზოგადო სახელებად გადაქცევა.

ასეთივე მდგომარეობა გვაქვს ლეილისა და მაჯნუნის, ხოსროვისა და ში-რინის, შირინისა და ფარჰადის შემთხვევაშიც.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჰაფეზის ყაზალის ერთ-ერთი თავისებურება პოლითემატურობის პრინციპია: თუ ერთი ბეითი სამიჯნურო ხასიათისაა, მეო-რე შეიძლება დიდაქტიკური იყოს, მესამეში ბუნებაა აღწერილი და ა. შ. რა თქმა უნდა, ამ ხასიათის ბეითებში საკუთარ სახელთა წყვილები „სატრფოსა“

და „ლირიკული გმირის“ სემანტიკურ ცენტრებს კი არა, სხვა განყენებულ ცნებებს გამოხატავენ. ასეთი წყვილია დაჯალი (ანტიმუჰამედი, თვითმარქვია, რომელიც გამოჩნდება სამყაროს აღსასრულის წინ) და მაჰდი (მეთორმეტე იმამი, რომელიც შიიტების რწმენით გაქრა, მაგრამ უხილავად განაგებს ადამიანთა ბედს; სწორედ მაჰდის ხელით კვდება დაჯალი). მაგ.:

„ქოჯანთ, სუფი, დაჯალე ჭე'ლე მოლქედ შაქლ,  
 ბეჯუ, ბესუზ, ქე მაძდე დინ დანაჰ რასიდ.  
 სად არის, სუფი, უღერო ბუნების დაჯალი,  
 უთხარ, იწუხე, რჯულის მცველი მაჰდი მოვიდა“ [1,173].

ზემოთ ჩვენ დავასახელებთ საკუთარ სახელთა ის წყვილები, რომლებიც ანტითეზებს ქმნიან, მაგრამ ანტითეზურ გამონათქვამში შეიძლება ცალკეული საკუთარი სახელიც შედიოდეს, იმ განსხვავებით, რომ ეს სახელი კი არ ქმნის ანტითეზას, არამედ მხოლოდ მონაწილეობს ანტითეზურ გამონათქვამში. მაგ.:

„მუსუქე გომეაშთე ბან ნაიდ ბექანა'ან ყამ მახორ,  
 ქოლბეე აშან შავდ რუზი გოლესთან ყამ მახორ.  
 დაქარგული იოსები დაბრუნდება ქანანში, ნუ ნაღვლობ,  
 დარდის სენაი ერთ დღეს ვარდნარად გადაიქცევა, ნუ ნაღვლობ.“ [4,133].

ამ ბეითში საკუთარი სახელი იოსები თავისთავად თაზადდს არ ქმნის, ე. ი. არ ქმნის ანტითეზასაც. თაზადდს ქმნიან წყვილები:

„დაქარგული“ — „დაბრუნდება“,  
 „დარდის სენაი“ — „ვარდნარი“.

იშვიათ შემთხვევაში საკუთარი სახელი მაინც შედის თაზადდის შემქმნელ წყვილებში, ოღონდ ამ შემთხვევაში საკუთარ სახელს მთლიანად დაქარგული აქვს კონკრეტულობა და იგი საზოგადო სახელის მნიშვნელობით იხმარება:

„სალამ ო თოღებ ვო თაყვი ზე მს მაჯოუ ჰაქებ,  
 ზე რენდ ო'აშეე ო მაჯუნ ქსი ნაქოსთ სალამ.  
 გონიერებას, აღთქმას და ღვთისმოსაობას ჩვენგან ნუ ეძებ, ჰაფებ,  
 რინდისგან, მიჯნურისგან და მაჯუნისგან არაეის უპოვია გონიერება“ [4,45].

ამ ბეითში ანტითეზის შექმნაში ისეთივე დიდი როლი ენიჭება მურაათ ან-ნაზირს, როგორც თაზადდს.

მურაათ ან-ნაზირის მაგალითებია: „გონიერება“, „აღთქმა“ და „ღვთისმოსაობა“; „რინდი“, „მიჯნური“ და „მაჯუნნი“;

თაზადდს კი ქმნიან წყვილები: „ღვთისმოსაობა“ — „რინდი“; „გონიერება“ — „მაჯუნნი“; „აღთქმა“ — „მიჯნური“.

როგორც უხედავთ, საკუთარ სახელებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ ანტითეზის შექმნაში, განსაკუთრებით მაშინ, როცა საკუთარ სახელთა წყვილებთან გვაქვს საქმე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თვით საკუთარი სახელები ანტონიმებს არ წარმოადგენენ. ანტითეზებს ქმნიან მხოლოდ ის საკუთარი სახელები, რომლებიც იძენენ ცნებობრიობას და, მაშასადამე, გადადიან საზოგადო სახელებში. რაც შეეხება ცალკეულ საკუთარ სახელებს, ისინი მხოლოდ პასიურ მონაწილეობას იღებენ უკვე შექმნილ ანტითეზურ გამონათქვამებში.



## ლიტერატურა

1. Стеблева И. В., Мифологическая основа антитезы в газели Бабура, в кн.: «Средневековый восток. История. Культура. Источниковедение», Москва, 1980, с. 261—265.
2. Рейснер М. Л., Основные этапы развития газельной лирики на фарси в X—XIV вв., Москва, 1980.
3. Жданов О. К., Метонимическое словообразование на основе имен собственных, Казань, 1963.
4. ღვიანე ხოჯა ჰაქეზე შირაზი, ბა მოყდამე ვა თასპიქე საიდ აბულყასემ ანჯავეე შირაზი, თეპრან, 1345.
5. ღვიანე ხოჯა შამს ელ-დინ მოჰამმად ჰაქეზე შირაზი, ბე ეპთემამე მოჰამმად ყაზვინი ვა დოქტორ ყასემ ყანი, თეპრან, 1320.

M. M. АЛЕКСИДЗЕ

## РОЛЬ ИМЕН СОБСТВЕННЫХ В ПОСТРОЕНИИ АНТИТЕЗЫ

## Резюме

Если пересмотреть историю развития газели, то можно проследить логическую модель построения текста, которая реализуется оппозицией я (лирический герой) — она (возлюбленная). Поэтому в тексте газели, как правило, имеются два семантических центра — два члена оппозиции, не имеющей разрешения [1, 260].

В связи с этим понятно широкое употребление в газели антитезы как поэтической фигуры. В различных бейтах газели обнаруживаются пары противопоставленных слов и понятий, которые создают антитетичные высказывания «в русле» вышеуказанной оппозиции, диктуемой традицией построения текста в жанре газели. Каждый семантический центр вызывает появление определенной лексики, семантического поля, которые противопоставляются друг другу.

Так как в газели Хафиза почти что каждый бейт имеет свою обособленную сюжетную линию, что и составляет его особенность, то в основном антитетичные высказывания осуществляются в одном единственном бейте, поэтому лаконичности тут уделяется большое внимание. Следовательно, употребление вместо «лирического героя» и «возлюбленной» таких имен, как Иосиф и Зулейха, Хосров и Ширин, Ширин и Фархад, достаточно для создания антитезы.

Эти имена сами по себе не являются антонимами. В построении антитезы большую роль играет не первичная семантика имен собственных, но их вторичное значение или те имена нарицательные, в которые переходят эти собственные имена.

Что касается не пар собственных имен, а употребления одного имени в антитетичном высказывании, то они не создают его, а играют только пассивную роль в таких высказываниях.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ირანული ფილოლოგიის კათედრა  
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა მ. ანდრონიკაშვილმა

## 30 ნიშნის ჯანსიმი

 თურქული ლექსიკა იოანე ბაგრატიონის საბუნებისმეტყველო  
 განმარტებით ლექსიკონში

ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII შვილი იოანე ბაგრატიონი (1768—1830), როგორც ცნობილია, იყო მრავალმხრივ განსწავლული სახელმწიფო მოღვაწე, მწერალი, მეცნიერი და ლექსიკოგრაფი. „კალმასობის“ სახელგანთქმული ავტორის კალამს, სხვა მაღალი ლირებულების თხზულებების გარდა, ეკუთვნის რამდენიმე ლექსიკოგრაფიული ნაშრომი, მათ შორის საბუნებისმეტყველო ლექსიკონი, რომელიც სათაურით „საბუნებისმეტყველო განმარტებითი ლექსიკონი“ მიმდინარე წელს გამოსცა „მეცნიერებამ“. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თ. ენუქიძემ და ნ. კიკნაძემ. ამ შრომას თვით იოანემ უწოდა „ბუნებისმეტყველება ანუ შეკრებილება ლექსთა სხუათა და სხუათა ბუნებითთა ისტორიითაგან ანბანსა ზედა ასმითა, რომელნიცა შეადგენენ სამთა სამეფოთა ბუნებისათა, ესე იგი: ცხოველთა, მცენარეთა და ადმონაკუეთათა, ვინა ილექროთასა ქვებითურთ, ცხადითა განმარტებითა თვისებისა, ნიშნებისა და ვიარებისა მათისათა, და წოდებითა სახელთა რუსულს, ლათინურსა და ქართულსა ენასა ზედა. შრომითა და მოღვაწეობითა საქართუელოს მეფის გიორგის ძის იოანესითა, საეკტეტერბურლსა შინა, 1814-სა წელსა“. ლექსიკონის ვრცელი სათაური გვამცნობს, რომ იგი შეიცავს სხვადასხვა საბუნებისმეტყველო ნაშრომებიდან ამოკრებილ ბუნების სამი სამყაროს (ცხოველთა, მცენარეთა და ლითონთა ქვებითურთ) წარმომადგენელთა განმარტებასა და სახელწოდებას რუსულ, ლათინურ და ქართულ ენებზე. როგორც ვხედავთ, სათაურში არ იხსენიება თურქული ენა, რაც მოწმობს იმას, რომ თურქული განმარტებები ავტორს შემდგომში მიუწერია. ეს ნათელი ზღბა დედანზე დაკვირვებითაც: თურქული სიტყვები კალიგრაფიით აშკარად გამოირჩევა და გამოიყურება შემდგომში ჩამატებულად (ჩაწერი ცდილა მის ჩაწერას ქართული განმარტების შემდგომ. როცა ეს ვერ მოხერხებულა, ჩაუწერია იქ, სადაც მოუნახავს თავისუფალი ადგილი). მკვლევართა აზრით, თურქული სიტყვები თვით იოანე ბაგრატიონის ხელით არის ჩაწერილი სხვის მიერ გადაწერილ ლექსიკონში<sup>1</sup>. როგორც ჩანს, ისინი იოანემ რედაქტირების დროს ჩაამატა.

ნაშრომში თურქული შესატყვისები საკმაოდ უხვად არის წარმოდგენილი. თითქმის თანმიმდევრულად მიჰყვება რუსული ლექსემის ლათინურ და ქართულ განმარტებას *многа* სიტყვის ჩათვლით, შემდგომ კი თავს იჩენს სპორადულად, აქა-იქ, ოციოდე შემთხვევაში.

<sup>1</sup> ლ. ქუთათელაძე, იოანე ბაგრატიონის ავტოგრაფიული ნუსხების მიმოხილვა, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, 1959, გვ. 251; გ. მიქაძე, ლიტერატურულ-ისტორიული ფრაგმენტები, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. საზოგადოებრივ მეცნ. განყის „მაცნე“, 1968, 5, გვ. 51; იხ. თ. ენუქიძე, ნ. კიკნაძე, შესავალი, წიგნში: იოანე ბაგრატიონი, საბუნებისმეტყველო განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1986, გვ. 7.

საქიროა აღინიშნოს, რომ ჩვენ „თურქულ შესატყვისებში“ ვგულისხმობთ ყველა იმ სიტყვას, რომელიც დამკვიდრებულია თურქულ ძირითად ლექსიკურ ფონდში. ზოგი მათგანი წარმოშობით არაბული (მაგ., ზანჯაფილ, ზეითუნ, ლალ, მადარა, მარჯან...) ან სპარსულია (მაგ., ანარუბა, ბადამ, ბირა, დარჩინ, იენგინარ, ლულუფარ...), მაგრამ დღეს (და იოანეს დროსაც) ისინი თურქული ენის კუთვნილებას წარმოადგენენ და თურქულებად აღიქმებიან.

თავისთავად სიტყვა „თურქულის“ დღევანდელი მნიშვნელობა არ შეესაბამება იოანეს დროინდელი „თურქულის“ სემანტიკურ დატვირთვას. ამ ლექსიკონის შედგენის დროისთვის, ე. ი. მე-19 ს-ის დასაწყისისთვის, სიტყვა „თურქული“ გულისხმობდა როგორც ანატოლიურ თურქულს, ისე აზერბაიჯანულ ენას. ეს უკანასკნელი 1939 წლამდე — საბჭოთა კავშირის მოსახლეობის მეორე საყოველთაო აღწერამდე — იწოდებოდა თურქულ ენად (türkce, türk dili) და მის მატარებელ ხალხს (დღევანდელ აზერბაიჯანელებს) ეროვნება ეწერათ „თურქი“. საილუსტრაციოდ, გარდა საბჭოთა კავშირის მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერისა, გამოდგება თუნდაც პირველი აზერბაიჯანული დიალექტოლოგიური ლექსიკონი, რომელსაც სატიტულო ფურცელზე აწერია „Словарь тюркских народных говоров Азербайджана“ და რომლის I ტომი ქ. ბაქოში გამოიცა 1930 წ., II კი — 1931 წ., ანდა „Русско-тюркский словарь“ под редакцией Р. Ахундова, Баку, т. I, 1928, II, 1929. ამ უკანასკნელში ვკითხულობთ: „დღეს საბჭოთა აზერბაიჯანში თურქული ენა სახელმწიფო ენად არის გამოცხადებული“ (იხ. I ტომის წინასიტყვაობა როგორც აზერბაიჯანულ, ისე რუსულ ენაზე).

ასევე აზერბაიჯანელთა და თურქთა საერთო სახელწოდებად ჩანს იოანესეულ ლექსიკონში სიტყვა თურქი. ასე, მაგ., Арбуз-ის განმარტებისას წერია: ლექსი ესე მიღებული არს რუსთა მიერ თურქთა ენისაგან; Барсуკ-თან ვკითხულობთ: თურქთა ენისაგან აქუსთ სახელი ესე მიღებული რუსთა, ანდა: Бегемот თურქთა ენა არის.

მთარგმნელს татар — ფუძე, ბუნებრივია, ‘თათარ’-ად აქვს გადმოთარგმნილი, жимолость татарская — ‘თათრის ვაშლა’, ანდა Артыш თათრულია; ასევე, Балрижан თათრულია, Каумбак თათრული სახელია და ა. შ. მაგრამ საყურადღებოა, რომ იოანეს ხელით ჩაწერილ თურქულ თარგმანებში татар. „მუსურმან“-ად არის თარგმნილი, იგივე жимолость татарская, ‘თათრის ვაშლა’ თარგმნილია როგორც ‘მუსურმან აღმასი’ და ქართული ‘თათრის საპონენა’ — ‘მუსულმან საპონისი’ (იხ. Боярская спесь), ე. ი. „თათარი“ გაგებულია როგორც სარწმუნოების აღმნიშვნელი, როგორც სინონიმი მაჰმადიანისა (შდრ. საბა: თათარი-მოჰმადიანი).

ისმის კითხვა, რომელ თურქულ ენას განეკუთვნება ლექსიკონისეული თურქული მასალა, დღეს აზერბაიჯანულად წოდებულ თურქულს, თუ ანატოლიურ თურქულს? ეს ენები მეტად ახლომონათესავენი არიან, თურქმენულთან და გაგაუზურთან ერთად ეკუთვნიან მრავალრიცხოვანი თურქული ოჯახის ერთ ჯგუფს — ოღუზურს. მათი სიახლოვე საუკუნეთა მიღმა კიდევ უფრო ძლიერი იყო, მაგრამ შემდგომ სხვადასხვა ენობრივმა სუბსტრატმა (აზერბაიჯანულის შემთხვევაში ალბანური და იბერიულ-კავკასიური ენები, თურქულთან — ძირითადად ბერძნული), განსხვავებულმა ენობრივმა გარემომ, სხვადასხვა სისტემის ენებთან კონტაქტმა, განსხვავებულმა პოლიტიკურ-სოციალურმა სტატუსმა და სხვა ექსტრალინგვისტურმა ფაქტორებმა გამოიწვნა მათი განვითარების გზა და სხვადასხვა დამოუკიდებელ ენებად ჩამოაყალიბა

ისინი: აზერბაიჯანული — აზერბაიჯანის სსრ სახელმწიფო ენად, ხოლო თურქული — თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ენად. მათ შორის არსებული ენობრივი სხვაობანი ვლინდება ენის ყოველ დონეზე (როგორც ფონეტიკაში, ისე მორფოლოგია-სინტაქსა და ლექსიკაში). იოანესეულ ლექსიკონში თვალში საცემია ამ ორი ენის ფონეტიკური და ლექსიკური სხვაობანი, რომლებიც გვაფიქრებინებენ, რომ ლექსიკონში მოხმობილი თურქული ლექსიკა წარმოადგენს აზერბაიჯანული ენობრივი სამყაროს ცოცხალი მეტყველების კუთვნილებას. ამის დასტურია თურქულ ლექსემათა ფონეტიკური გარსი და სემანტიკა. ასე, მაგალითად, ფონეტიკურად უფრო აზერბაიჯანულია შემდეგი სიტყვა-ფორმები: ვაზი. თანავ < აზ. tənək ~ თ. tenek, მსხალბანტა. ქიჩიქ არმულ < აზ. kiçik armud ~ თ. kişik armut, ქათმის მამალი. ხორუზ < აზ. xoruz ~ თ. horoz, კურდღელი. ტოვშან < აზ. dovşan ~ თ. tavşan, მტირალა ბალახი. ჩოლანი < აზ. çolan ~ თ. çöven, ტრედი. გოვარჩინ < აზ. g'öj (g') ärçin ~ თ. güve.rçin, ნესვი. ყოუნ < აზ. govun ~ თ. kavun, ტარბი. ალასილიჩინ < აზ. alasıyırçin ~ თ. alasıyırçik, რწყილი. ბირა < აზ. birä ~ თ. pire, ბრონზი. ბირინჯ < აზ. birinç ~ თ. pirinç და სხვა მრავალი. საბუნებისმეტყველო განმარტებით ლექსიკონში აზერბაიჯანული თურქულის გამოყენების უპირატესობა უფრო თვალნათლივ ჩანს ლექსიკურ მასალაში, მისი სემანტიკის აზერბაიჯანულთან თანხვედრასა და თურქულისგან განსხვავებაში. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე ნიმუშს: Априкос ჭერამი. არუჯ < აზ. ärük (დიალ. arük) 'ჭერამი' ~ თ. erik 'ქლიავი', Зимородок ზამთარშიეკი. ყიშლოღან ყუში. რუსული და ქართული ლექსემა გულისხმობს ფრინველს, რომელიც ზამთარში ჩეკს, ზამთარში ბადებს. სწორედ ასეთი მნიშვნელობა აქვს თურქულ შესატყვისს ყიშლოღან ყუში, თუ მას ჩავთვლით აზერბაიჯანულ ლექსიკურ ერთეულად, ხოლო, თუ თურქულ სიტყვად მივიჩნევთ, მაშინ მისი სემანტემა იქნება — „ჩიტი, რომელიც ზამთარში იბადება“. Береза არყი. ყინ აღაჯი < gajınayađı, რაც აზერბაიჯანულში — არყია და თურქულში კი წიფელი. Бабки волчьи მელისხორბა. აღზიჯანავარ < ayzişanavar (სიტყვასიტყვით — „პირი მისი მგელი“). ჯანავარ — 'მგელი' აზერბაიჯანულში, თურქულში კი — 'მხეცი', Белка სინჯაფი, მციყვი. მემსინჯაფისი (= ტყის სინჯაფი). მემზა-აზერბ. 'ტყე', თურქ. 'მუხა'. Записка იხ. Золотуха. ოქროსფერა. ყიზილ ყულად ანდა Златница ოქრომწერი. ყიზილჩიბანი. ორივე თურქული კომპოზიტის პირველი კომპონენტი — „ყიზილ“ ოქროს მნიშვნელობით ფუნქციონირებს აზერბაიჯანულში, თურქულში კი 'წითელი'-ა.

ლექსიკონისეული თურქული სიტყვების მნიშვნელოვანი ნაწილი დასტურდება აზერბაიჯანულ ენაში, თურქულს კი ისინი საერთოდ არ გააჩნია. ასეთებია, მაგ., Аспаргам სატაცური. ყულანჩარ (< აზ. gulançar), барбарис კოწახური. დაღ ზირიშკი (< აზ. zirişk), Бархатец ხვევრა. მახმური (< აზ. məxmār), Боярышник კენელი. ემიშან (< აზ. jemšan), Блошки დანდური, ანუ მსუქანა. ფარფინა (< აზ. pərpərang'), Гиена ვიენა. აფთარი. ქავთარ (< აზ. kaftar), Каштан წაბლი. შაბალღუთ (< აზ. şabalid), Княженица მარწყვ-მაყვალა. მურუბ (< აზ. morug), Кот, котик მამალი კატა. ფიშიქ (< აზ. pişik), Ластница მერცხალი. ყარანყუშ (< აზ. qaranguş), Ляща ოსპი. მარჯიმაქ (< აზ. mərçimäk), Морж ლომეფვი. შირმაჰ (< აზ. şirmahi) და სხვ.

ამავე დროს სიტყვათა ერთი, გაცილებით მცირე, ნაწილი, როგორც ფონეტიკურად, ისე ლექსიკურად, წარმოადგენს თურქული ენობრივი წრის კუ-



თენილებას და უცხოა თანამედროვე აზერბაიჯანული სალიტერატურო ენისთვის. ასეთებია: ფონეტიკურად — ტორუა-თელიარყუში, ახალბროწოლი-იენგინარ, მწყერი მარხილი — იელვა, კუ-თოზბაღა. ლექსიკურად — მამლის სავარცხელა — ყადიფა ჩიჩაგი, ბარისპირა — ქესთარიუნ, მინდვრის ოქრო — ყანთარიონ საღირ, ყანჩაკი — ოყარ, ლილა — ჩივთი, ცაცხვი — უღლამურ აღაჯი, მარგიმუში — სიჩანთი და კიდევ რამდენიმე, რომლებიც უცხოა სალიტერატურო აზერბაიჯანული ენისთვის, მაგრამ სავესებით ბუნებრივია მათი მიჩნევა დიალექტიზმებად და გარკვეული აზერბაიჯანული მეტყველების კუთვნილებად.

აღსანიშნავია ისიც, რომ რამდენიმე შემთხვევაში აზერბაიჯანულ შესატყვისს ახლავს თურქული სინონიმი, ანდა პირიქით: Баранчик ცხერის ბალახა, გინა დიდი მეთუნა — ყონთოთი (აზ.), უშხურ (თ), Бредовка კომბოსტო — ლანა (თ), ქალამ (აზ.), Дятел კოსალა — აღაჯყაყან (თ.) აღაჯღალან (აზ.), Гнида წილი — სირქა (აზ), იოვმალ (თ.), Горлица გვრიტი — გოგეჟი (თ.), ყუმბი (აზ.), Заячья капуста კურდღლის კომბოსტო — ტოვშანლანასი (თ.), ტოვშანქალამი (აზ.), Змиевик წყლის მეთუნა — სუ იზუნეი (თ.), სუიყუზღულაღი (აზ.), Икнит ძვრქორი — აღბაბა (აზ.), ანგილი (თ.), Крагуј, кречет სონღული — სონღულ (აზ.), შანყარ (თ.).

როგორც წინააღმდეგობა, ვფიქრობთ, რომ ლექსიკონში ფიქსირებული თურქული ლექსემები განეკუთვნებიან აზერბაიჯანულ ენობრივ სამყაროს. ეს ბუნებრივიცაა, რადგან კავკასიაში გავრცელებული იყო არა ანატოლიური თურქული, არამედ აზერბაიჯანული თურქული მეტყველება, რომელიც თურქულადვე იწოდებოდა. აღნიშნული აზერბაიჯანული ლექსიკური ელემენტები ლექსიკონში შესულია იმდროინდელი აზერბაიჯანულის ცოცხალი მეტყველებიდან. ისინი გადმოცემულია ქართული ტრანსლიტერაციით და ისტორიული თვალსაზრისით დიდი ღირებულებისაა, განსაკუთრებით აზერბაიჯანული ისტორიული ფონეტიკისთვის. ცხადია, ტრანსკრიფციას მეტი ღირებულება ექნებოდა, მაგრამ ქართულ ტრანსლიტერაციაშიც ბევრად უკეთ არის შემონახული იმდროინდელ აზერბაიჯანულ სიტყვა-ფორმათა ფონეტიკური გარსი, ვიდრე მაშინ გაბატონებულ და თურქული ენების ბუნებისადმი სავესებით შეუსაბამო არაბული დამწერლობით შესრულებულ აზერბაიჯანულში.

აღნიშნული მასალა ყურადღებას იმსახურებს სპეციფიკური აზერბაიჯანული ბგერების ქართული ტრადიციული ტრანსლიტერაციის მხრივაც. წინარეგისმიერი ღია ა ხმოვანი სიტყვის ყველა პოზიციაში გადმოიცემა ქართული უქანარიგისმიერი ღია ა ხმოვნით: äzdaha > აჯდაა, äkik > აყიყ; käläm > ქალამ, tñäk > თანაკ, tikän > თიქან; särčä > სარჩა, g'eğä > გეგა, mešä > მეშა და სხვა მ'ავალი.

უქანარიგისმიერი ვიწრო i ხმოვანი > წინარიგისმიერ ვიწრო ö ხმოვნებში: dar-čün > დარჩინ, findix > ფინდიხ, siyürčün > სილირჩინ, kizgušī > ყიზყუში, si-yürğujruy > სილირყუროღა.

რბილი ბავისმიერი ö, ü ხმოვნები შესაბამის ველარული ო, უ ხმოვნებითაა გადმოცემული: ördäg' > ორდაგ, g'öl > გოლ, g'öbäläg' > გობალაგ, öküž > ოქუჟ, sädg'it > სოგუთ.

ველარული g თანხმოვნის ქართული რეფლექსი ყოველგვარ პოზიციაში არის უმთავრესად ყ ფარინგალური აბრუტყვი; gəplan > ყადლან, g'izil > ყიზილ,

goz > ყოზ, gulānčār > ყულანჩარ, garasaggiz > ყარასაყიზ, agig > აყიყ, ov-šag > ოვშაყ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თურქულ მკერ-ხშულთა ქართულ ნიადაგზე გამკვეთრების შემთხვევები, ხშირია d > ტ ვლარული ხმოვნის წინა პოზიციაში: danagiran > ტანაყირან, daš > ტაშ, damarčug > ტამარჩულ, dovšan > ტოვშან, duz > ტუზ (მღრ. ქართ. ტალა < თ. dalga, ტოლმა < თ. dolma, ტოლადი < dolag). გვხვდება ხ-სა და გ'-ს გამკვეთრების შემთხვევებიც. ხ > პ სიტყვის თავიკიდურ პოზიციაში: balig > პალუხ, bānč > პანჯ.

ფიშიკ, გარმაშიკ და ზირიშიკ სიტყვები გვაფიქრებინებს, რომ წყარო მეტყველებაში იყო pišig', gārmašig' და zirišg' ფორმები, ე. ი. აუსლაუტის პალატალურმა მკერ-ხშულმა გ' ქართულში მოგვცა კ აბრუბტივი, როგორც ეს იყო მოსალოდნელი.

ახლა რამდენიმე სიტყვა თურქული შესატყვისების და ავკარგიანობის შესახებ. მათი უმრავლესობა ზუსტია, შეესაბამება განსამარტ სიტყვას და დღესაც სალიტერატურო აზერბაიჯანულსა და თურქულში (ან ერთ-ერთ მათგანში, უმთავრესად აზერბაიჯანულში) გვევლინება ტერმინის სტატუსით. ასეთებია: ანრუბა, ალმას, ანდუზ, ანლუთ, არღიშ, არჯიშ, ასარ, ალაყყოღმი, აღლულუფარი, აღსოგუთ, ბაბრ, ბადამ ალაჯი, ბალიარფადი, ბალრიყარა, ბაყლა, ბით, ბითოთი, ბირა, ბირინჯ, ბურა, გილას, გოგარჩინ, დარჩინ, დაფნა, დაღდაღან ალაჯი, დევა, დემურყარა, დენგზილდუზი, დენგისალაღანი, დენგზი-ფიშიკი, დონდუზ, ზანჯაფილ, ზარდავა, ზეითუნ, ზივთ, თამბაქუ, თანაგ, თარლან, თახთაბითი, თერა, თიქან, თოზბაღა, თულა, თულიარყუში, თულქი, იარასა იგნაპალუხი, იელვა, იენგინარ, იემიშან, ით, ილანოთი, ილანპალუხი, იმჯინაგ, ლალ, ლობია, ლულუფარ, მადიან, მარგი მუშკი, მარმარ, მარჯან, მარჯიმაქ, მალარა, მემიშუნ, მურაქაფბალუხი, მურვარიდ, ნანა, ოქუზ, საბრ, სალვა ალაჯი, სარდალ პალუხი, სარისარდალ, სარმუშად, საყაყუში, სიმურდ, სინჯაფ, სიდირყუთი, სოგუთ, სოღან, უთალგუ. ფამბუხ, ფახლან, ფინდინ, ფორსულ, ქაბრა, ქაქლიქითი, ქეჩი, ქირშან, ქიშნი, ქულტუზისი, ქუსთაფაქ, ყაბან, ყადიფა ჩიჩაგი, ყადირდა პალუხი, ყაია, ყათრან, ყარამიზ, ყარანყუშ, ყარასაყიზ, ყარდაშყანი, ყარფუზ, ყარღა, ყარღაგოზი, ყაფლან, ყუღ, ყიზყუ-ში, ყინაღაჯი, ყირ, ყირდაულ, ყოინ, ყუზი, ყუზდუნ, ყუზყულადი, ყულანჩარ, ყუნდუზ, ყურბაღა, ყურდ, ყურუ ინჯი, ყუშბუღდასი, ყუშლილი, შავთალუ, შამშად, შივთ, ჩალაღან, ჩაქირგან, ჩიბინ, ჩივალამ, ჩირიშოთი, ჩობან ჩანთასი, ჩოღანი, ჩოხდომულუ, ხარდალ, ხაშხაშ, ხორუზ, ხუნგ, ჯრენ, ჯივირ, ჯომეშ და ზოგი სხვ.

ესაღია, ზემომოყვანილ სიტყვა-ფორმათა დიდი უმრავლესობა ფონეტიკურად ტრანსფორმირებულია. მათი ბგერითი გარსი არ ემთხვევა აზერბაიჯანულ და თურქულ სალიტერატურო ფორმებს (მცირე გამოწაკლის წარმოადგენენ სიტყვები: ბადამ, ბით, ბირა, ბურა, დაღდაღან, ზეითუნ, თახთაბითი, თულა, ით, ილან, მალარა, სოღან, ქეჩი, ჩალაღან, ჩიბინ, ჩობან ჩანთასი, ხარდალ, ხაშხაშ, ხორუზ და კიდევ რამდენიმე).

2 ადგილის ეკონომიის გამო აქაც და ზოგ სხვა შემთხვევაშიც თურქულ მაგალითებს რუსულ და ქართულ ეკვივალენტებს არ ვუწერთ. ვფიქრობთ, ამ ზარებს რამდენადმე შეაყებებს თურქულ სიტყვათა საძიებელი, რომელიც დაურთეს გამოცემლებმა ი. ბაგრატიონის საბუნებისმეტყველო განმარტებით ლექსიკონს. (თბილისი, 1986).





ამავე დროს ხშირია შემთხვევები, როცა თურქული შესატყვისები წარმოადგენენ არა თავისთავად თურქულ ტერმინებს, არამედ ქართული ლექსემების თარგმანს. ამის გამო რუსულთან მიმართებაში უზუსტობის შესაძლებლობა მეტია, რადგან, თურქულად თარგმნისას დაშვებული შეცდომების გარდა, გადმოყოლილია ქართული შესატყვისების შეუსაბამობაც. რუსულის არაეკვივალენტური ქართულის თურქული თარგმანებია, მაგ., *Адамово яблоко* ადამის ვაშლი. იხ. ვაშლატამა (შეცდომაა, უნდა „ხვანჩი“) — თ. აღმავათალუსი („ვაშლის ატამი“) *Аккула* ნათელთევზი (უნდა იყოს „ზვიგენი“) — თ. იზილევრან („სინათლის გამომცემი“), *Булыжник* ველური, გარეული ქვა (უნდა „რიყის ქვა“) — თ. ტაშაბანი („ქვა ველური“), *Белокопытник* ვირისტერფა (უნდა ბუერა) — თ. ეშქადაბანი, *Брюква* ფხალი (უნდა „თალგამურა“) — თ. ლანა („კომბოსტო“), *Вероника* ბერისკონკა (უნდა დედოფლისთითა) — თ. ყარუფალასი, *Воронец* მუნის ბალახი (უნდა იყოს დათვის ყურძენი) — თ. ყოთუროთი, *Волхуна* მგლის სოკო (უნდა ნაბადა სოკო) — თ. ყურდგობალავი, *Гусеница* ხუცის ჭია (უნდა „მუხლუხი“) — თ. ქეშიშყურთი, *Дягилица* ყვავურჩხილა (უნდა „თავანსკვა“) — თ. ყარლა დირნალი, *Жаба* შავი ბაყაყი (უნდა გომბეშო) — თ. ყარაყურბალა, *Жар-птица* ჩიტცეცხლა (უნდა „ფასკუნჯი“) — თ. ათეშყუში, *Живница* იხილე *смолка*. ცოცხალა (უნდა „ფისოვანა“) — თ. დირლუ, *Кандык* ძალის კბილა (უნდა „კაბაჰრელა“) — თ. ითიშისი, *Клоповник* იხილე *багульник* ზღვის ვარდი (უნდა „წყლის იელი“) — თ. დერიაგული, *Клюква* ტბის მოცხარა (უნდა „შტოში“) — თ. გოლყარაღათი, *Кобылка* ბალახკრწყლა (უნდა „ჯუქუმკალა“) — თ. ოთბირასი, *Костянка* დათვის მარწყვა (უნდა ჟოლის დედა) — თ. აჟიგალამი, *Куманыха* სომხის მაცვალა (უნდა „რუსული მაცვალი“) — თ. ერმანინ ბოჯურთავანი, *Кушур* ყუთავურჩხილა (უნდა „ჭილი“) — თ. ყარლა დირღანი, *Линь* კოკობა (უნდა „ლოჰორია“) — თ. ყონჩარ ბალუხი, *Лоскутной цвет* ოქროსცოცხა (უნდა „რუსული დიდილო“) — თ. ყიზილ სუფურგათი, *Золотоволосник* ოქროს ქოჩორა (უნდა „ოქროწყერა“) — თ. ყიზილქანქელი, *Корсак* ყურშა (უნდა „ყარსაყი“) — თ. ყარაყულალ. აქ მოყვანილ და ბევრ სხვა შემთხვევაში თურქული ლექსემა წარმოადგენს განსამარტი რუსულის შეუსაბამო ქართული შესატყვისების უმთავრესად ზუსტ თარგმანს.

როგორც აღვნიშნეთ, ზემომოყვანილი თურქული თარგმანები ტერმინებს არ წარმოადგენენ. ასევე არ ფუნქციონირებენ ტერმინებად რუსული განსამარტი სიტყვის თურქული თარგმანები: *орлиный камень* არწივის თული — ყარაყულტაში („არწივის ქვა“), *Гусь островский* ჭალაის ბატი — ჯაზირეთ ყაზისი („კუნძულის ბატი“), *Денежник* მანყულა — აღჩათი („ფულის ბალახი“), *Золотуха* ოქროსფერა — ყიზილყულახ („ოქროს ყური“), *Пескарь* კლდის თევზი — ყუმპალუხი („ქვიშის თევზი“) და სხვ.

ზემომოყვანილი თურქული შესატყვისები აშკარა თარგმანებია და ფიქრი იმისა, რომ შესაძლოა აზერბაიჯანულ დიალექტიზმებთან გვექონდეს საქმე, უნდა გამოირიცხოს.

გვხვდებით იმგვარ შესატყვისებსაც, რომლებიც არც თარგმანს წარმოადგენენ და არც თურქულ ენებში არსებულ ტერმინებს. ისინი უფრო მეტად ინფორმატორის მიერ შეთხზულ, მომარჯვებულ თანაფარდებად გამოიყურებიან, ე. ი. განეკუთვნებიან მის იდიოლექტს, ანდა ფრიად შეზღუდულ, ლოკალურ კილოკავს. ასე, მაგალითად, *Бурная птица* სასტიკა — გემყუში („გემის

ფრინველი“), Бых ღორჯო — ბაშბუქ პალუხი („დიდთავა თევზი“), Белая рыбка ლიფსიტა — ლიქსიდ (არ გააჩნია თურქულ ენებზე), Головь ფინხული — გრამპალუხი („ხრამის თევზი“. ივულისხმება მდინარე ხრამი), Голец მურწა — ქუჩუქ ჯანარ („პატარა ქანარი“), Горох ბარდა — რუს ნუხული („რუსული ბარდა“), Кошик იხ. Кузнечик კუტი მკალია — სარანჩაჰ-თოფალ (სპარსული იზაფეტის ყიდაზე გავრცობილი ქართული „კუტიმკალია“ს თურქულისთვის უცხო თარგმანი), Кристалл, хрусталь — ბროლი, ჭიქა — ბროლ (ქართული „ბროლი“ გენეზისით არაბულია. იგი bolur||billür ფორმებით გავრცელებულია სპარსულ და თურქულ ენებში, მაგრამ ფორმა „ბროლ“ ქართულია და მოცემულ შემთხვევაში მას ინფორმატორი ხმარობს თვითნებურად), ასევეა Крокодил — თამასა, ნიანგი — ნიანგი. Лихорадочная кора ჭინაჭინა — ჭინაჭინა, Луговой чай მანყულა ბალახი — მანყულოთი და სხვ.

თურქული შესატყვისები და თარგმანები საბუნებისმეტყველო განმარტებით ლექსიკონში შემდგომში არის ჩამატებული. როგორც ეს გამოიკვლია ტექსტოლოგმა თ. ენუქიძემ, თურქული, არაბული და სპარსული სიტყვები ლექსიკონში ჩაწერილია თვით იოანე ბაგრატიონის ხელით. ისმის კითხვა იცოდა თუ არა იოანემ თურქული?

ლექსიკონში ფიქსირებულ თურქულ მასალაში არსებული გრაფიკული, მორფოლოგიური და ლექსიკურ-სემანტიკური შეცდომების ხასიათი და სიუხვე გვაფიქრებინებს, რომ იოანე ბაგრატიონმა თურქული (არც სრულყოფილი და არც საყველბურო) არ იცოდა; მას ჰყავდა ინფორმატორი, რომელიც კარგად ფლობდა თურქულ, სპარსულ და არაბულ ენებს. იოანეს კონტაქტი მასთან Минога სიტყვის შემდეგ შეწყვეტილა, რადგან შემდგომ თურქული შესატყვისები გვხვდება აქა-იქ, ალბათ, სხვების დახმარებით.

ზემოაღნიშნული შეცდომებიდან საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მხოლოდ არსებითებს.

ხშირია შემთხვევებიც, როცა რუსულის ეკვივალენტურ ქართულს ახლავს არაზუსტი თურქული შესატყვისი: Выдра წავი — სუითი („სელაბი“), Голубичник ტრედის მოცვა — ყარა ყარალათ („შავი მოცხარი“), Найд нარდი — შაბუ („ლევეკონი“), Кочет მამალი ქათამი შ ნაური — თოულ („ქათამი“), Коршун ძერქორი — ბაიყუშ („ბუ“), рож дикая ველური ჭევეი — იაბან თახილი („ველური ხორბალი“) და სხვ.

იქნება შთაბეჭდილება, რომ თურქული შესატყვისების ჩამწერს ჰყავს ინფორმატორი, რომელმაც ქართული არ იცის და ამა თუ იმ ქართული ტერმინის ახსნის დროს ხშირად ადგილი აქვს გაუგებრობას, რის შედეგადაც, მაკალითად, შემდეგი თარგმანები: ყრუ როჭო... სიდიდით არს ფრინველი ესე ბატის ოღენა — ბეულ (=ბეულქ) ყარაყირდაულ („დიდი შავი ხოხობი“), Ивишенье გონჯი.. სოკოს გუარია კომბოსტოს მურკს გამოებმის — აღაჯსაგალი („ხის წვერები“), Крыса ვირთაგვა — ბეულქინან („დიდი თავი“), Курлук ველური რუსული ბრინჯი, რომელიც ვაიზრდების ციბირსა შინა — ციბირ დუგისი („ციბირის ბრინჯი“), Дреза ბარდი. ხეზარდის გუარია — ნუხულ აღაჯი („ბარდას ხე“), Держи дерево ძეძვი — ქუქნარ („ნაძვი“), Терн კვინჩხი — ყარამის („ჭიოტა“), Гуьба на дерево ხის აბედის სოკო — ყორა აღაჯი („აბედის ხე“, უნდა — აღაჯ ყოვასი), Древо жизни ხე ცხოვრებისა — აღაჯ ზინდავანი („ხის ცხოვრება“, უნდა — ზინდავან აღაჯი), Жабрица კლდის კამა — შივით ყარის („კამის



კლდე“, უნდა — ყაია შივიდი), ЖИДОВНИК ურის ბარდა — ნუხუდ ქიუტი („ბარდის ურია“, უნდა — ქიუტ ნუხუდი).

იგი ზუსტად ვერ აღიქვამს თურქულ ბგერებს: რამდენჯერმე აქვს — აუ ‘დათვი’ ნაცვლად აიუ-სა, ასევე იარ ‘დედამიწა’ ნაცვლად იერ-ისა.

კვეცავს სიტყვის უკანასკნელ ხმოვანს: ყირმიზ სოგუთი ნაცვლად ყირმიზი სოგუთ-სა, ყუზ ნაცვლად ყუზუ-სა, ფირუზ ნაცვლად ფირუზასი, თოზბად ნაცვლად თოზბადა-სი, დიშ ბეუქ პალუხ ნაცვლად დიში ბეუქ პალუხ-ისა, ყარუფალას ნაცვლად ყარუფალასი-სა.

გამოტოვებულია ხმოვანი სიტყვის ინლუტშიც: ყინაღი — უნდა ყაინაღი, ბურუნსინდურნი — უნდა ბურუნსინდურან, ჩიეთი — უნდა ჩიეთი, ბაბრ — უნდა ბაბირ.

გვხვდებით საპირისპირო მოვლენასაც — ხმოვანთა უადგილო ჩამატებას: ასარალ — უნდა ასრალ, შირამაი — უნდა შირამა, ყაზა აილი — უნდა ყაზ აილი, ზაგა — უნდა ზაგ, სამყე — უნდა სამყ, შამი ყარანყუში — უნდა შამ ყარანყუში.

თურქული სიტყვები ვადმოაქვს ქართულ ყაიდზე: კუხთევზა — კამბურა პალუხი, უნდა კამბურ პალუხ; გოგირდი — გოგირდ, უნდა ქუქურდ, არჯასპი — ზაღა (შდრ. ქართ. ძაღა), უნდა ზად, ქინაქინა — ქინაქინა, უნდა ქინა.

ზოგ სიტყვათა გრაფიკული შეცდომები თავისი ხასიათით მიგვანიშნებს იმაზე, რომ ისინი დაშვებულია გადაწერის დროს: ვაშლატამა — აღვაშავთა-ლუსი, კატისვაშლა — ფიშიქ აღვასი. ორივეგან აღვა სიტყვის ნაცვლად უნდა იყოს აღმა (ვაშლი), ოქრომწერი — ყიზილ ჩიბან, უნდა ყიზილჩიბინ, თორემ ჩიბან ძირმავარას ნიშნავს. ასევე ბუზიქამია — ჩიბანალან კი არა — ჩიბინ აღან; ციბირ დუშისი კი არა — ციბირ დუგისი; თაყვისყველი ზუნდუზ ყაირი კი არა, არამედ ზუნდუზ ფაინირი; შავი აბედი — ყაი ყონ, უნდა — ყარა ყონ; სავათი — დუგამაყუზი, უნდა — დუგუმყუზი; სადაფი ბალახი — სადი-ჯოთი, უნდა — სადაფოთი, კურდღლის მქაუნა ტოქშან ყულდი, უნდა — ტოქ-შან ყუზყულადი; მარწყვ-მაყვალა მურუხ, უნდა მურუხ, ირემ-ხარი მუშე სი-ლირი, უნდა მეშა სილინი (თარგმანი არასწორია); — ზღმარტი მუშამალი, უნდა — მუშმულა და სხვ.

შეცდომები — ხიაჩამბარი (უნდა ხიარჩამბარ), აუჩაგალამი (უნდა აუჩი-გალამი) — შეიძლება კალმის ლაფსუსებს მიეკუთვნოთ, მაგრამ ქეშიშ-ხირმანდასი (უნდა ქეშიშ ხირმანი) და ქოფიქ (უნდა ქირფიქ) სიტყვების შეცდომების რაგვარობა გაურკვეველია.

ცხადია, ყველა ზემომოყვანილი მცდარი ფორმა სცილდება დიალექტურ თავისებურებათა ჩარჩოებს და შეუძლებელია მივიჩნიოთ დიალექტიზმებად.

მორფოლოგიური ხასიათის შეცდომები თავს იჩენს თურქული მესამე პირის კუთვნილებითი აფიქსის არასწორ ხმარებასა და თურქულ ფუძეზე ქართული ნომინატივის მორფემის დართვაში.

გვხვდება შემთხვევები, როცა მესამე პირს კუთვნილებითი აფიქსი — ი შეცდომით, საჭიროების გარეშე არის დართული: ანდაკია — აღბალუ-ხი, თეთრი სოკო — აღგობალაგი, თეთრი ზამბახი — აღზამბახი, თეთრი ნი-ნოფი აღლულუფარი, პილპილა სოკო — აღქობალაქი, თეთრი ფისი — აღყი-რი, ყირიმის კალმახი — ყიზილ პალუხი, ოქრომწერი — ყიზილ ჩიბანი, ოქ-როსთავა — ყიზილბაში, მარიამ ქია — ყირმიზი ყურთი, ნიყვა — ყირმიზი

ქობალაქი, წითელი ტირიფი — ყირმიზი სოფუთი, ყარაულა — ყარაბათლადი, დიდი ვარდაკაქაჰა — ბეუქ ქასანირი, მპარსულა — ყირხანაულუხი, შაქარხახვა — შირინ სოლანი, ზამთარ მჩეკი — ყიშ დოღან ყუში და სხვა.

სწორი ფორმის თანახმად ყველა შემომოყვანილი მაგალითი წარმოდგენილი უნდა იყოს მესამე პირის კუთვნილებითი აფიქსის — ჩვენს შემთხვევაში ბოლოკიდურა *o* ხმოვნის — გარეშე.

რამდენიმე ფუძეზე დართულია ორმაგი III პირის კუთვნილებითი აფიქსი: ფუძეთანხმოვნითათვის განკუთვნილ *o* აფიქსს შეცდომით კიდევ დამატებული აქვს ბოლოხმოვნითათვის განკუთვნილი *so* აფიქსი: ციმბირის იხეი — ციბირ ორდაგისი, ნაცარტუტის მარილი — ქულტუზისი, თათრის საპონა — მუსულმან საპონისი, ხაშური — გოლტუზისი, მციყვი — მეშასინჯაფისი, ღვინის ხაშური — ჩახირშორისი, წყლის ჭიანყელა — თუქყურთუსი, ეშმაკის თხილი — შეითან ფინდისისი, ევროპის ველური ბატი — ფრანგ ყაზისი, ჩინეთის ბატი — ჩინ ყაზისი, მაჩვლარაბა — ფორსულქორფიქისი, მიწის მუშკა — იარმუშკისი, ძაღლისკბილა — ითდიშისი, მერცხლის ფახარი — ყარაყუშ ფახარისი, ციმბირის სელი — ციბირ ბეზირისი.

იშვიათად, მაგრამ მაინც ადგილი აქვს აღნიშნული აფიქსის დაურთველობას: სუითი — უნდა სუითი, სუიყოზ — უნდა სუიყოზი, საყაყუშ — უნდა საყაყუში, შირფანჯა — უნდა შირფანჯასი.

თურქული ლექსემები უმთავრესად წარმოდგენილია ისე, როგორც ჭერ არს — ფუძის სახით ან ფუძე+თურქ. აფიქსი. მაგრამ რამდენიმე შემთხვევაში თურქულ ფუძეებს ერთვის ქართული სახელობითი ბრუნვის ნიშანი — *o*. დუთემში, ზირიშკი, იაყუთი, სინჯაფი და კიდევ რამდენიმე.

ყოველივე შემოაღნიშნული გვაძლევს იმის საფუძველს, რომ დავასკვნათ — იოანე ბაგრატიონმა არ იცოდა თურქული ენა.

წინამდებარე ლექსიკონში ფიქსირებული თურქული მასალა, როგორც აღვნიშნეთ, წარმოდგენს იოანეს დროინდელ ცოცხალი აზერბაიჯანული თურქული მეტყველების ნიმუშებს. იგი, ცხადია, იმსახურებს დიდ ყურადღებას თავისი დიალექტური თავისებურებებით, რაც ვლინდება ფონეტიკასა და ლექსიკაში და დიდი მნიშვნელობა აქვს აზერბაიჯანული ისტორიული ფონეტიკის შესწავლისათვის.

ფონეტიკური თავისებურებებიდან აღსანიშნავია:

1. მქედრი აუსლაუტი, რომლითაც აზერბაიჯანული უპირისპირდება ანატოლიურ თურქულს, ასე მაგ., არმუდ, ყურდ, შამშად, ბირინჯ, თურინჯ, ნარინჯ, არუჯ, თანაგ, ინაგ, ორდაგ, გობალაგ, ყარალაგლაგ, ხუნგ (ამჟამად აუსლაუტისეული *g* როგორც თურქულში, ისე აზერბაიჯანულში >ქ (K)-ში).
2. ფონეტიკური არქაიზმები: ა) წინარიგის ხმოვნებს შორის და წინარიგის ხმოვნაინი მარცხენი ბოლო პოზიციაში ჭერ კიდევ შერჩენილია პალატალური *g* თანხმოვანი, რომელიც თანამედროვე თურქულსა და აზერბაიჯანულში *j*(*ç*)-შია გადასული: ბოჯურთვან (*bŋg'ür+g'än*) 'მაყვალი', გოჯარჩინ (*g'ŋg'ärçin*) 'მტრედი', სუთლიგან (*südläg'än*) 'რძიანა', სოგუთ (*sŋg'üt*) 'ქეწვა', ყადიფა ჩიჩაგი (*gadife çičeg'i*) 'ხავერდა', იგნა (*ig'nä*) 'ნემსი', ყარალაგლაგ (*garaläg'läg'*) 'ყარყატი'.

ბ) ქართული ტრანსლიტერაციით ფიქსირებული სათანადო სიტყვა-ფორმები ნათელყოფენ, რომ აზერბაიჯანული წყარო მეტყველების ორმარცვლიან სიტყვათა მეორე მარცვალში ისევ ფუნქციონირებენ *n*, *u* ბაგისმიერი ხმოვ-

ნები, მაშინ როცა პირველი მარცვლი შეიცავს არაბაგისმიერ ხმოვანს, ე. ი. ხმოვანთა ლაბიალური ჰარმონია ჯერ არ არის გატარებული: არუგ (ärüg) ქერამი, ქანქელ (käkül) ქოჩორი, ანლუთ (anput) წითელი იხვი, ყარფუზ (garpuz) საზამთრო, მაზუ (mazu) გუნდა.

ხმოვანთა ჰარმონია ხშირად ირღვევა აგრეთვე მესამე პირის კუთვნილებითი აფიქსის ერთვარიანტიანობის გამოც: ათ ყუიურული, ალაჯ ყოუმში, გოლთოული, დენგიზ დონლუში, ყოთუროთი, ყუყუყუში და სხვ.

ბგერათა განვითარებიდან თავს იჩენს რ, ნ და ჰ თანხმოვნების ჩამატების შემთხვევები, რაც (გარდა ჰ თანხმოვნისა) დიდად არის დამახასიათებელი აზერბაიჯანული დიალექტებისათვის. მაგალითად, ვიჩირდგან (< giřitkän) 'ჭინჭარი', ყალანდრაში (< karandař) 'ფანჯარი'. მაყრას ბურნუ (< magasburnu) 'მაკრატელა', გორჩაბალუხი (< g'öjčäk laliğ) 'კიტრანა', ყონჩარ პალუხი (< gonča balig) 'კოკობა'; ქანქელი (< käkül) 'ქოჩორი', ჩაგირგან (< çekirge) 'კალია'; აბივა (< ajva) 'კომში', შაბალუთ (< şabalut) 'წაბლი'.

შენიშნება r, l, k, ř თანხმოვნების რელექციის შემთხვევები ყანთავა (< gantäpar) 'ფოლიო', ხიჩამბარი (< xijarčänbäri) 'კასია', მიჩაგ (< milčäk) 'მუშლი', ქუნარ (< k'knar) 'ძეძვი', ქიშნი (< kiřniř) 'ქინძი'.

ვხვდებით მეტათეზისსაც — თანხმოვანთა კონტრაქტურს: იელმუქ < jemlik 'ფამფარა'; თანხმოვანთა დისტანციურ საურთიერთოს: ქარდაგან < käreğ-ädän 'მარტორქა', ზიგელ < gızil 'შინდი'; ხმოვანთა დისტანციურ საურთიერთოს: სარმუშად < სარმამუღ 'სურო'.

თანამედროვე სალიტერატურო აზერბაიჯანულთან მიმართებაში ლექსიკური დიალექტიზმებია: ტაშყონი 'მთის ცხვარი', ქეჩიბუინლუი 'რქაფიცა', ამეშაჯონ 'სურო', შაიბერ ალაჯი 'ქარაძენდა', ყირმიზიყურთ 'მარიამ ჭია', ქეჩქეჩი 'დიდგულა', აუქობალაქი 'დათვის სოკო', ფაფუნაჩი 'ფურისულა', ყამიშ სარჩასი 'თოხისტარა', ზაქიშირაოთი 'ბანის წიწმბა', ეშაქპალუხი 'ფარვა', ბოშმეჯა 'ხელიკი'. სარგარდან ყუში 'კისერტრიალა', ყრემენტაროლარ 'ღვინის ხაშური', მარქეშიდა 'მადნის ქვის ლახოსტაყი', გუჯან 'ყარყული', ბუინლუშალაჯი 'ხეხარდა', შეხიუმყაბაყ 'ორშიმო', ითლუმბული 'ძაღლის ღიჯა', ჯილბურ 'ქოჩორა ტორუა', ვალაქოთი 'თრიმლანა', უფარიყუნ 'კრახანა', გობაქსარჩა 'ჭინჭრქა', ქოლმადდანოზი 'ცისკარა', დენგიზ ხორუში 'იხვქათამა', ბაში ჩომან 'კარანჩხა', ყარაპალუხ 'ყუდკაპოეტი', ბუხ 'ბურბუშელა', მაყრას-ბურნუ 'მაკრატელა', იელყაყან 'კირკიტა', ზილფაროზი 'ხანზალაქი', თუევანგ-ტაში 'ტალი', დენგიზოყარი 'ზღვის ყანჩა', ოვსუზუმუ 'კუნკრულა', ყარღადირინადი 'ხბოშუბლა', ჯადვარიასკი 'ნეგო პატარა' თუღარი 'წალიყა'.

**სპარსული და არაბული სიტყვები.** ამ შემთხვევაში ჩვენ ვგულისხმობთ იმ სპარსულ და არაბულ სიტყვებს, რომლებიც უცხოა აზერბაიჯანული და თურქული ენობრივი სამყაროსათვის, არ არის ფენოციდებული მათ ლექსიკურ ფონდში. ინფორმატორი სპარსულსა და არაბულს მიმართავს მაშინ, როცა ვერ პოულობს განსამარტი სიტყვის თურქულ შესატყვისს, ზოგჯერ კი სპარსული და არაბული სიტყვები მოაქვს დამატებით, თურქულის სინონიმებად.

**მხოლოდ სპარსული შესიტყვებებია შემდგომ შემთხვევებში:** АЛКОГОЛЬ ალკოლოლი-დუათეში (< სპ. до аташе), Балдырьян კატისბალახა, ანუ ვალერიანა — სუმბული ჯაბალი (< სპ. сонболе джабали), Бельмок ეთიოპური ფისი — ყირაბაში (< სპ. řir-и hñbäře), Дягил ღიმა — სუმბული ხათაი (< სპ. сомболе

хатан), Жабник ხუთთითა—პანჯანგუს (<სპ. пендж аңгошт), Жеровина იხი-  
 луг Клюква მოცხარა—ყარაფინი რუსი (<სპ. гярәнфили руси), Зинзивей ბალბა—  
 ხაბას (<სპ. ხობნაзи), Зебра აფრიკის ვირი—გურაჯარ (<სპ. гурхър), Кераст  
 კერასტ რქიანი გველი—აჭვი ბუზუბ (<სპ. აჭ'ი-ბозорт), Калчадан ურის ქვა  
 —სანგვიუტი (<სპ. сәнг-и-джоһуд), Ляхтак ზღვის ხარი—გავბარი (<სპ. гав-  
 и-бәһр), Комар კოლა—სორისანგ—ასევე სპარსული ჩანს (შდრ. сәг ძალღი),

Яхонт ლურჯი იავუნდი—იყუთი ქაბუთი (<სპ. йагүт-ә кәбүд), სიტყვას Кокос  
 ინდაური კაკალი მიწერილი აქვს ორი სპარსული შესატყვისი: დერიახერგლა  
 (<სპ.—Дәрнаннарғил) (და ნარჯილიბარინ) <სპ. ნარგილ-и-ბარ.

**მხოლოდ არაბული შესატყვისი თავს იჩენს ორ შემთხვევაში:** Бобки დაფნის  
 ხილი—ამბულარ (<არაბ. Наббүл—гар), Марын корень იორდასალამი—უღუ-  
 სალიბ (<არაბ. уду саһлиб).

**სპარსული და არაბული სიტყვები თურქულის სინონიმებად:** Аккула ნათელ-  
 თევზი — იშიღვერან, ნურმაი (<სპ. Нурмаһи), Белоусь მთის სუმბული — და-  
 სუმბული, სუმბულიქუტი (<სპ. сомбул-и Куһ), Вол ვარი-ოქუზ, გავ (<სპ. гав),  
 Гранат ბროწყული—ნარ, ანარ (<სპ. анәр), Жабрей ღორისთავა — დონღუზბაში,  
 სარისუქ (<სპ. сарихук), Завалец იხ. сабачья голова ძალღისთავა—იბაშით-  
 თი, სარისავ (<სპ. сәр-и-сәг), Змейная головка იხ. ужомка გველისთავა—ღვე-  
 მუნგული, სარმარ (<სპ. сәр—и—мар), Ишак, меск ჯორი—ყათირ, ასტარ (<სპ.  
 әстәр), Конопель კანაფი — ასარლარ, შაადან (<სპ. шаһданә), Лев морской  
 ზღვის ლომი—ღენგობ ასლანი, შირიბაპრან (<სპ. шир-и—бәһр), Лиля თეთრი  
 ზამზახი—ალზამზახი, ზამზახი სიფიდ (<სპ. зәм-бәг сәғид), Марал ირემი—მარალ,  
 გავაზ (<სპ. Гәвәзһи), Пенка морская ზღვისპირული—დერია ტაში, სანგიდერია  
 (<სპ. сәнг-и-дерйа), Вологодка ჯარის ენა, ბუსუსიანა ოქუზილილი—ლისან სორ  
 (<არაბ. лисан сор), Десятерник იხ. змейной язык გველის ენა—ილანდილი,  
 ლისანილაფი (<არაბ. лисан-ил-აფ'и).

ზოგჯერ სპარსულია სიტყვათშეერთების პირველი ან მეორე კომპონენტი, ე. ი.  
 სიტყვათშეერთება ნახევრად სპარსულია, ასე, მაგალითად, სპარსულია პირველი  
 კომპონენტი: Болиголов შხამიანი მათოთი—სუმბული ზარღუ <სპ. сомбул+აზ.  
 зәһәрлу, რაც ნიშნავს „ბალახი შხამიანი“. Коноплянка დინარა—შაადან სარჩასი  
 (<სპ. шаһданә კანაფი +აზ. сәрчә ბელერა).

**სპარსულია მეორე კომპონენტი:** Выхухоль წყლის თხუნელა — სუი მუშყ <  
 აზ. су წყალი+სპ. Муш-е кур თხუნელა, Медведь белой თეთრი დათვი—აუსი-  
 ფიდი <აზ. аҟи დათვი+სპ. сәғид თეთრი, Медведь муравейник შავი დათვი—  
 აუსიაი <აზ. аҟы + სპ. сийаһ შავი; Дикой перец გარეული პილპილი — იაბან  
 ფილფილი <აზ. јабан გარეული+სპ. фәлфәл პილპილი.

ინფორმატორი ზოგჯერ თურქულ ლექსემებს აერთებს სპარსული იზაფეტის  
 ყიდაზე: Бобр камчацкой თაყვი კამჩატკური — ყუნღუზ ციბირი, Выпь თურხ  
 მწვანე—ლაგლავი ფრანგი, Булыжник გარეული ქვა — ტაშაბანი, Ивин ძენძერ-  
 უკი—ყაჯირ მისირი, Кирказон ანხლა ბალახი — ზერვანდიბაყლა, Кузнечик კუ-  
 ტიმიკალია — სარანჩაფოთფალ.

ამგვარ სურათს იძლევა საბუნებისმეტყველო განმარტებითი ლექსიკონის თურ-  
 ქული და საერთოდ აღმოსავლური ლექსიკის არასრული ენობრივი ანალიზი.

В. Т. ДЖАНГИДЗЕ

ТЮРКСКАЯ ЛЕКСИКА В ЕСТЕСТВЕННОМ ТОЛКОВОМ  
СЛОВАРЕ ИОАННА БАГРАТИОНИ

Резюме

Данный труд царевича Иоанна Багратиони является русско-латинско-грузинским естественным толковым словарем, в котором толкуются названия представителей фауны, флоры, металла и драгоценных камней.

Как выясняется, самим И. Багратиони во время редактирования словаря включены тюркские переводы толкуемых слов, которые не всегда являются точными эквивалентами и, видимо, подсказаны информатором, хорошо знающим турецкий, арабский и персидский языки.

Установлено также, что лексика, названная в словаре турецкой, принадлежит азербайджанскому языку, рассматривается ее грузинская транслитерация, выявлены точные тюркские переводы, проанализированы фонетические и лексические особенности тюркской лексики, имеющей большое значение для изучения истории азербайджанского языка.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის  
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თურქოლოგიის განყოფილება  
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა კ. წერეთელმა

## გ ა ი ა წ ი რ ი თ ე ლ ი

## ფერტა სიმბოლიკა „არდა ვირაფ ნამაჰში“

შუა საუკუნეების სპარსული პოეზია მეტად მდიდარია სხვადასხვა ფერისა და მათი ნიუანსების გამოყენებით. ფერი იქ ასრულებს ორნამენტულ ფუნქციას. ამ მხრივ სხვა ვითარებაა ევროპული ქვეყნების ლიტერატურაში. ყველაზე მეტად იქ გავრცელებულია თეთრი და შავი ფერები, რომლებიც ძირითადად ემსგავსებიან სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირებას. ანალოგიური სურათი წარმოგვიდგება VI საუკუნის ფალაური ძეგლის „არდა ვირაფ ნამაჰის“ შესწავლის შედეგად. ეს ძეგლი გარკვეული თვალსაზრისით ახლოს დგას დანტეს „ღვთაებრივ კომედიასთან“, ამიტომ შედარებისათვის მივმართავთ მას.

ვირაფი, ვითარცა ჭეშმარიტი მახდენური სჯულის ერთგული მიმდევარი, მოგზაურობს სამოთხესა და ჯოჯოხეთში, რათა დაარწმუნოს ამ რელიგიისადმი ექვეით შეპყრობილი ხალხი მის ჭეშმარიტებაში.

მოგზაურობის დასაწყისში ვირაფი ხვდება წმინდა კაცის სულს, რომელსაც გარდაცვალებიდან მესამე ღამეს წარმოუდგება თავისი რწმენა და თავისი საქმეები, ჩადენილი შიწიერ სამყაროში, მშვენიერი ასულის სახით: „keš karp etön rōšān ოიუონ dīl hudōsaktar nīkirīšī apaiyišniktar“ (A. V. IV, 20), „რომლის სხეული იყო ნათელი და შესახედავად უმშვენიერესი“<sup>1</sup>.

„ბრწყინვალე“ ასული განსახიერებაა ადამიანში კეთილი, ნათელი საწყისისა. ეს ადგილი მოგვაგონებს ეპიზოდს დანტეს „ღვთაებრივი კომედიიდან“: „ასული შოვიდა ჩემთან ისეთი დალოცვილი და ისეთი მშვენიერი (ქერა)... მისი თვალები ვარსკვლავებზე მეტად ბრწყინავდა“ (ქ. II, 52—55)<sup>2</sup>.

ზოროასტრული წყაროების მიხედვით, სამოთხის ოთხი საფეხური არსებობს. პირველი *humat* — ვარსკვლავის საფეხური, მეორე *huht* — მთვარის საფეხური, მესამე *huvaršt* — მზის საფეხური და მეოთხე — *garōdman*. სულები, რომელთაც ვირაფი სამოთხის პირველ სამ საფეხურზე შეხვდა, ასხივებდნენ ვარსკვლავების, მთვარისა და მზის შუქს.

პირველ ორ საფეხურს მიეკუთვნებიან ისინი, ვინც არ იყვნენ მართლმორწმუნე ზოროასტრელები, მაგრამ სხვა საქმიანობის გამო აქ ყოფნა შეჰფერით.

პირველი საფეხური: *pas naxōst gām irāē nihātām ō star payēk... u ditam han ahrāvān ruvānān kē šān ოიუონ star rōčānak rōšān i apī-š hamē vaxšid apī-šān gas u nišast azer rōšān u burzak u pur-xvarr but* (A. V. 7<sub>1, 2</sub>, 3).

„პირველი ხაბიჯით მივალწიე ვარსკვლავის საფეხურს... და დავინახე იმ წმინდასთა სულები, რომელნიც ვარსკვლავის მსგავსი სინათლით ბრწყინავდნენ და მათი ტახტი და სკამი იყო გაბრწყინებული მშვენიერებით და დიდებით სახსე“.



მეორე საფეხური: *ka dītkar gām frāč nihāt mäh payek ō Huht hān gyāk ku huht mahmānih u vēnam hān i vazurg hanjaman i ahraβ (VII; 1, 2) apī-šān rōšānih ō rōšānih i mäh hōmanak (A. V. VIII, 6).* „როდესაც გადავდგი მეორე ნაბიჯი, მივალწი მთვარის საფეხურს Huht-ს ადგილს, სადაც კეთილ სიტყევებს (huht) პატივით ეგებებიან და მათი ნათება მთვარის ბრწყინვალეობის მსგავსია“.

მესამე ხაზი ვირაფმა კეთილი საქმით გადადგა და მივალწია *huvaršt-ის, შის საფეხურს, rōšān i balistan balist xvanēnd u venam han i ahraβ pat gas u vistarg i zarren kartak u martōm butand kē-šān rōšān i ō rōšānih xvaršet hōmanāk but. (A. V. IX 2, 3, 4).*

„იქ არის ბრწყინვალეობა, რომელსაც ისინი უმალღესთაგან უმალღესს უწოდებენ, და მე ვიხილე წმინდანნი ოქროს ტახტებზე და ნივთებზე და იქ იყო ხალხი, რომელთა ნათება შის ბრწყინვალეობის მსგავსი იყო“.

მეოთხე ხაზი ვირაფმა მივალწია *hān i rōšān i gārōdman hamak-xvarrih* „ბრწყინვალე გაროდმანს ყოვლად ნათელს“. აქ იგი იხილავს ზარატუშტრა სპიტამას ძეს, ქაივისშტასპას, ჯამასპას და სხვ., რომლებზედაც უფრო ბრწყინვალე და მშვენიერი მას არასოდეს უნახავს. *kēm ākārāz hač han rōšāntar u nevaktar ne ditam (A. V. XI<sub>4</sub>).*

„შემდეგ იგი იხილავს სულეებს: *apī-m gyāk frāč matam u dīt hān davitan ruvān kē raftan u hačapar aparik ruvanan pat rōšānik. (A. V. XII<sub>1</sub>).*

„მე მივუახლოვდი ადგილს, სადაც ვნახე გულუხვთა სულეები, რომელნიც დადიოდნენ და სხვა სულეებზე მალა იდგნენ თავიანთი ბრწყინვალეობით“.

ჩვენ ძიერ მოყვანილი მაგალითებიდან ნათელი ხდება, რომ დადებითი მხიშვნელობით ფერისა და შუქის აღმნიშვნელად *A. V.-ში* ძირითადად გვხვდება სიტყვა *rōšān-ის* სხვადასხვა ფორმა: *rōšānak, rōšānih, rōšāntar.*

კიდევ ერთი სიტყვა, რომელიც გამოყენებულია სინათლისა და ნათებისათვის არის *xvarr (xvarrōmand, pur-xvarr):*

*u xvarr-ī apan u ataran u atašan u auvaran u zakīč-ī damik xvarr apīš hame vaxšid (A. V. XIV, 12).* „და ხვარი წყლის, წმინდა ცეცხლისა, ცეცხლისა და ხეთა და კეთილდღეობა მიწისა განუწყვეტლივ იზრდებოდა“.

*apīm dīt hān ī vāstriōšān ruvan hān ī bamik gas u xvarrōmand štaβr vaxšāk patmōčan. (A. V. XIV, 14).*

„მე დავინახე მიწის მოქმედთა სულეები, მშვენიერ ადგილას, სევენდნიერი (დიდებულეობითა) და მეფურად მორთული“.

*rōšān ī hamak-xvarrih fraxvūih u vās sīparam ī hu-bō-ī harvisp pesih-ī harvisp šikuftan u bamik u pur-xvarr u višp-šatih u višp-ramišn (A. V. XV, 21).*

„ყოვლად ბრწყინვალე შუქი სივრცის, ყვავილის სუნით დამშვენებული, ყოვლად ლამაზი, ყოვლად მშვენიერი და შესანიშნავი, სავსე ბრწყინვალეობითა და სიხარულით და ყოველგვარი სიამით“.

სიტყვა *xvarr* საერთოდ აღნიშნავს მეფურ დიდებას, ბრწყინვალეობას, შარავახედეს. აქვს აგრეთვე სპეციფიკური ზოროასტრულ-მისტიკური მნიშვნელობაც (ახალ სპ-ში *farr, xurrah*—შის სინათლე).

მისი შუქთან ასოცირების მაგალითი გვხვდება *datastan i denik*-ში: *han i avešān rōsāni u xvarrah*.

„შათი შუქი და ბრწყინვალეობა აძლევდა ძალას“ (*Dd 36, 44*).

საშოთხეში მყოფთა სამოსიც შესაბამისად ოქრო-ვერცხლითა და თვალმარგალიტით არის მოქარგული:

*kām frāč matam pat hān i patmōčān i zarren pesit i asimīn-pesit i barazisaktun hač harvist patmōčān*. (*A. V. XII, 9*).

„როდესაც მე შათ მივუახლოვდი, ისინი იყენენ ოქროთი და ვერცხლით მოქარგულ სამოსში, ყველაზე მშვენიერი სამოსთა შორის“.

*pat patmōčān i zarren-pesit u gōhar-pesit u asimīn pēsīt* (*A. V. XIII, 2*).

„ოქროთი, თვალმარგალიტით და ვერცხლით მოქარგულ ტანისამოსში“.

*u han i gurtān zanafrāz i xup-kart i zarrēnn-kart i gōhar afzūt i hu afrank i harvisp-pesit*. (*A. V. XIV, 8*).

„იმ გმირთა იარაღი, კარგად გაკეთებული, იყო ოქროსი, მოჭედილი მარგალიტით, კარგად მორთული და მოქარგული“.

ოქროს გამოყენება საკრალური მნიშვნელობით სხვა ძეგლებშიც იპყრობს ყურადღებას. ოქრო წარმოგვიდგენს სინათლეს და ამიტომ იგი მისი სიმბოლოა. ს. ავერინცევის გარკვეული აქვს სინათლის სახე ოქროს ნივთებში. ოქრო არ არის გამჭვირვალე სინათლე; ესაა სინათლე ბრწყინვალეობის ამსახველი და აქედან — დიდებისა. ოქრო მძიმეა, ამიტომ იგი იდეალური ემბლემაა — ძველი აღთქმისეული „დიდების“ ცხებისათვის (ძვ. ებრ. *kabōd* „სიმძიმე“, ლექსიკური გამოყენებით „დიდება“), რომელიც თვალთ აღიქმის, როგორც „ბრწყინვალეობა“<sup>3</sup>.

ოქროს ამგვარი გაგებისა და გამოყენების ნათელ და დამაჯერებელ მაგალითებს ეპოულობთ „არდა ვირაფ ნამაქში“. დანტესთანაც ვხვდებით ოქროსა და ვერცხლის ალგორიულ გამოყენებას: „ნურვინ აირჩევს მხრებით ტვირთის ზიდვას თეთრი და ყვითელი გასაღების გადატრიალების გარეშე“ (საშოთხე, *V, 57—58*).

თეთრი და ყვითელი იფულისხმება ვერცხლი და ოქრო. ვერცხლის გასაღები აღნიშნავს სამღვდლოების სიბრძნეს, ხოლო ოქროს გასაღები სამღვდლოების ავტორიტეტს<sup>4</sup>.

საშოთხის მეოთხე საფეხურიდან ვირაფი გადადის ჯოჯოხეთში. ამ ადგილის ასეთ აღწერას გვაძლევს იგი: „ეს ადგილი ისეთი ბნელია, რომ საჭიროა ერთმანეთის ხელის მოკიდება“. *pat tarikih etōn tarik-i ke pat dast šayēt griftan* (*A. V. XVIII, 7*).

*u an tan hač an pašimanīh andar dušahu be tarikih u gundakih an patiarak ke but*. (*A. V. LXVIII, 23*).

„იმ ქალს შონანიების გამო ჯოჯოხეთში სიბნელისა და ცუდი სუნის გარდა სხვა უბედურება არ ჰქონდა“.

ჯოჯოხეთი ფერების თვალსაზრისით უფრო ღარიბია; გვხვდება ფერის აღმნიშვნელი ერთადერთი ფორმა *tarik, tarikih* „ბნელი, სიბნელე“.

აქვე უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი საინტერესო მაგალითი. ეს არის უარყოფითი ემპოციის აღსანიშნავად ჭრელისა და კოპლებიანის გამოყენება. ამის მაგალითი დახტესთანაც გვაქვს და „არდა ვირაფ ნამაქშიც“.

„ზურგი, მკერდი და ფერდები მოხატული ჰქონდა კვანძებითა და წრეებით, თათრებსა და თურქებს არასოდეს შეუქმნიათ უფრო ფერადი ქსოვილები“ (ჯოჯობეთი, XVII, 13—18).

apīš andar han-i vad xastand han-i xweš den u kuīšn zan i jih lutak-i pudak-i vasadak-i fraz januk-i avaz-kunī akanarak darīm ku darīm ō darīm padvast istad, čīčōn har i bazak ayintum xrāfstār i zimantum u gōndantum (A. V. XVII, 12).

„და იმ ქარში მან იხილა თავისი რელიგია და საქმენი გარყვნილი ქალის სახით, შიშველი, გაბრწვნილი, პირდაბრეცილი, ფეხმრუდი, მკლე და უსაზღვროდ დაკოპლილი, ისე რომ კოპლები უერთდებოდა ერთმანეთს, როგორც ყველაზე საზოხლარი კუჭყიანი და მყრალი ქვეწარმავალი“.

ქრელის დაკავშირება უარყოფით მნიშვნელობასთან ჩანს ბიზანტიურ ტრადიციაშიც: ქრელი სამოსი, რომელიც ანდრონიკე I-ს ეცვა პატრიარქ თეოდოსესთან შეხვედრის დროს, შეეფერებოდა ამ პიროვნების უარყოფით დახასიათებას, მის ვერაგობასა და ორჭოფულობას<sup>5</sup>.

ამრიგად „არდა ვირაფ ნამაკისათვის“, როგორც აღრინდელი ხანის შუა საუკუნეების ხაწარმოებისათვის, უცხოა ფერთა სიუხვე, მისი ქრომატული პალიტრა საკმაოდ ღარიბია. აქ გამოყენებულ ფერთაგან ძირითადია თეთრი და მისი სინონიმები: კაშკაშა, ნათელი, ელვარე, ბრწყინვალე, განათებული. შავისთვის გამოყენებულია: ბხელი, სიბნელე. ორივე წარმოგვიდგენს ტრადიციულ სიმბოლოს, კეთილისა და ბოროტის შესატყვისს. გვხვდება ქრელი, კოპლებიანი — უარყოფითი მნიშვნელობით, ცოდვისა და ბოროტების აღმნიშვნელი.

#### ლიტერატურა

1. M. Haug, *The Book of Arda Viraf, the Pahlavi Text*, Bombay—London, 1872.
2. Dante Alighieri, *The Divine Comedy*, London, Oxford—New York, 1971.
3. С. С. Аверинцев, Золото в системе символов ранневизантийской культуры, сб. «Византия, Южные славяне и Древняя Русь, Зап. Европа», М., 1973.
4. Dante, *დასახ. ნ. შრომ.*
5. А. П. Каждан, Цвет в художественной системе Хониата, сб. «Византия, Южные славяне и Древняя Русь, Зап. Европа», М., 1973.

М. Г. ЦЕРЕТЕЛИ

### ЦВЕТОВАЯ СИМВОЛИКА В СРЕДНЕПЕРСИДСКОМ ПАМЯТНИКЕ «АРДА ВИРАФ НАМАК»

Резюме

Цвет в средневековой персидской литературе в отличие от более раннего периода носит орнаментальный характер. В среднеперсидском памятнике «Арда Вираф намак» цвето-световые отношения преимущественно черные и белые, относящиеся к положительным и отрицательным контекстам.

Этот памятник по своему сюжету близок к «Божественной Комедии» Данте, поэтому мы привлекли соответствующий материал из этой. შავ ნე, ვნისა და ლიტერატურის სერია, 1986, № 4

го произведения. Нам удалось обнаружить сходство в использовании цветовой гаммы. «Рай» представлен как сияющее пространство.

В положительном контексте встречаются слова *gōšan* — «светлый» (*gōšanak*, *gōšanih*, *gōšantar*) *xvarg* — (*xvargōmand*, *rug-xvarg*) — обозначает величие, сияние, имеет специфическое зороастрийско-мистическое значение.

Привлекает внимание использование драгоценных камней и металлов для изображения света. Золото отображает свет и является его символом.

В отличие от «Божественной Комедии» в цветовом отношении в «Арда Вираф намаке» «ад» представлен бледно. Употребляется слово *tarik* (*tarikih*) — «темный, черный».

Отрицательное значение передает также слово «крапчатый», *darim* (*akaparak darim*), подчеркивающий хаотичность и неопределенность природы вещей в отличие от белого цвета, выражающего гармонию и стройность, покой, присущие положительным явлениям.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის  
 აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ინდო-ირანული ენების განყოფილება  
 წარმოადგინა აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის  
 ინსტიტუტმა

## ძველი ქართული

 სისხლით ნათესაობის აღმნიშვნელი ზოგიერთი ტერმინი სპარსულში  
 („მამა“, „ვეფიშვილი“, „ძმა“)

ნათესაურ ურთიერთობათა აღმნიშვნელი ტერმინების შესწავლა ეთნოგრაფთა და ლინგვისტთა დიდ ინტერესს იწვევს. ეს ტერმინები და სისტემები ასახავენ რეალურ ურთიერთობებს ადამიანთა შორის საზოგადოებასა და ოჯახში, განსაზღვრავენ ინდივიდუუმის სტატუსს სხვა ადამიანებთან კავშირში, იქნება ეს სისხლით ნათესაობა, დამოყვრება თუ სხვა.

ამ ნაშრომში ჩვენ შევხებით სისხლით ნათესაობის აღმნიშვნელ სამ ტერმინს სპარსულში: „მამა“, „ვეფიშვილი“ და „ძმა“.

„მამა“ სისხლით ნათესაობის გამომხატველ ტერმინებს მიეკუთვნება. სპარსულ ენაში ამ ცნებას რამდენიმე სიტყვა გადმოგვცემს, მაგრამ რაღაც ნიუანსებში ისინი მაინც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

„მამის“ აღმნიშვნელ ტერმინთა შორის გამოირჩევა ძველი ინდოევროპული სიტყვა \*patér, რომელიც მრავალ ენაში დასტურდება.

სანსკრიტში pitar, ბერძნულში πατήρ, ლათინურში pater (9,391), ავესტაში pitar, ძვ. სპარსულში pitar, სკიუთურში pita, ფალაურში pišar, pid, სოლდურში fiidä, ავღანურში plar, ბელუჯურში pis (11, 30—31) და სხვ..

ბოპის მიხედვით, patár < pa ნიშნავს დაცვას.

ი. ტრირი უფრო აკონკრეტებს pa-ს მნიშვნელობას — „ზღუდე“. იგი ეყრდნობა ლარინგალური თეორიის ზოგიერთ დებულებას და ხსნის ინდოევროპულ \*patér, \*potis და \*pa-ს, როგორც ფუძისეული ზმონის შერწყმას ლარინგალურთან. მას დასაშვებად მიაჩნია, რომ ზემოჩამოთვლილი სიტყვები აღნიშნავენ დიდ ოჯახს, როგორც ცალკეყოფ. შემოსაზღვრულ ერთეულს. აქედან — \*potis, \*patér „ბელადი“, „ბატონი“.

ი. ნ. ტრუბაჩოვი მართებულად წერს, რომ „ტრირს თავისი პოზიციის დასაცავად მრავალი მაგალითი მოჰყავს, მაგრამ იგი უკავშირებს „ზღუდეს, შემოზღუდვას“ ინდოევროპულ kei-ს, ლათინურ curia-ს და ინდოევროპულ \*bhrāter-საც კი, ყველაფერი ეს კი, ტრირის ეტიმოლოგიებს საეჭვოს ხდის“ (15, 19).

გარკვეულ ენათა მონაცემები გვაძლევს სხვა სახელს: ხეთურში გვაქვს attas, რომელსაც შეესატყვისება ალბანური at — „მამა“, ბერძნული ἀτήρ, ლათინური atta, გოთური atta, ძვ. ზემო გერმანული atto „მამა“, „წინაპარი“, ოსური æda „მამა“, „ბაბუა“, ძვ. ინდური atta „დედა“, „დედის უფროსი და“ (16, 170).

გვხვდება სხვა სისტემის ენებშიც: ხურიტული attai, ელამური atta, თურქული ata; კავკასიურ ენებში: ჩერქეზული atte, ყაზარდოული hade (4, 1, 103) და სხვ. ეს სიტყვა ბავშვის ენისეულია და არ ეკუთვნის ერთ რომელიმე გარკვეულ ენობრივ ჯგუფს.

ინდოევროპული \*atta შეიცავს მოკლე ხმოვანს ა-ს და გრძელ თანხმოვანს t-ს. მეიეს აზრით, მოკლე ა გვეხედება მხოლოდ განსაკუთრებულ, ექსპრესიულ წარმონაქმნებში, ხოლო \*tt, \*ddh არის ძველი მორფოლოგიური მონაცვლეობა თანხმოვნებისა. ამიტომ საკმარისად არ მიაჩნია ამ სიტყვის (atta) მიკუთვნება ბავშვის მეტყველებისადმი, რადგან ბავშვის მეტყველება ვრცელდება მოზრდილების მეშვეობით, რომლებიც კარგად ფლობენ ენას (27, 58).

ე. გერმანი ეთანხმება მეიეს, რომ ინდოევროპული \*atta არის ექსპრესიული (ფამილარული) მიმართვა, თუმცა არ მიაჩნია საჭიროდ მისი გამორიცხვა ბავშვების მეტყველებიდან (23, 97).

ფიქრობენ, რომ \*patēr აღნიშნავს „უფროსა თაობის წარმომადგენელს“ (შდრ. patria potestas ან πατριος, patrias „ის, ვინც წინაბრებს ეკუთვნის“), \*atta კი აღნიშნავს „ღვიძლ მამას“.

ე. ბენვენისტი გამოიწვევს ერთმანეთისაგან \*atta-სა და \*patēr-ს. „ღვიძლი მამის“ აღმნიშვნელი სიტყვაა \*atta, დამოწმებული ხეთურსა, გოთურსა და სლავურში. თუ ამ ენებში ძველი ტერმინი \*patēr შენაცვლებული იქნა \*atta-თი, ეს იმიტომ, რომ \*patēr იყო საკლასიფიკაციო ტერმინი (17, 256—257).

მეცნიერთა ერთი ჯგუფის აზრით, ინდოევროპულში \*patēr აღნიშნავდა არა მხოლოდ ღვიძლ (ფიზიკურ) „მამას“, არამედ „მამის მამას“ და ზოგადად „ოჯახის თავს“; აქედან გამომდინარე, ჰქონდა „ძალაუფლების“ მნიშვნელობა (30, 653).

ერნუ-მეიეს „ლათინური ენის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ ვკითხულობთ: ლათინური pater არ აღნიშნავს ფიზიკურ მამას, რომელიც აღინიშნება სიტყვებით parens და genitor. pater-ს აქვს სოციალური მნიშვნელობა. ეს არის ოჯახის უფროსი, dominus, pater familias (18, 8).

მაგრამ მეიე უფრო შორს მიდის და ასკვნის, რომ ინდოევროპული \*patēr და თანამედროვე ფრანგული père იმდენად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ შეიძლება ახალი სიტყვის წარმოშობაზე ვილაპარაკოთ („უმადლესი ღმერთი“, „ოჯახის უფროსი“ > „ღვიძლი მამა“) (10, 34).

სანსკრიტში pitr „მამა“ არ ნიშნავდა „მშობელს“, რამაც დიდი გაუტკვევლობა გამოიწვია ენათმეცნიერთა შორის. ო. ნ. ტრუბაჩოვი წერს: „უნდა გავიხსენოთ, რომ ძველად, დიდი ხნის განმავლობაში ფიზიკური მამობა გაუტკვეველი იყო. ამით შეიძლება აიხსნას, რომ \*patēr „მამასა“ და სპეციალურ სიტყვას „მშობელს“ შორის არ იყო მტკიცე კავშირი. აქედან გამომდინარეობს დაზუსტების აუცილებლობა ისეთი ტიპის სიტყვებისა, როგორცაა სანსკრიტული janita, ლათინური genitor“ (15, 20).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უკვე ჰომეროსთან სიტყვა \*patēr („მამა“) ოთხი მნიშვნელობით იხმარება, როგორც: 1. ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინი („მამა“). 2. ზევსის ეპითეტი, 3. მიმართვა მოხუცი კაცისადმი და 4. წინაპრის აღმნიშვნელი (21, 6).

ირანულ სამყაროში, ავესტიდან მოყოლებული \*patēr-ის მნიშვნელობა ვიწროვდება და იგი გვევლინება უკვე როგორც „მამის“ („ღვიძლი მამის“) აღმნიშვნელი ტერმინი.

Zarathustra natam mešram mā frādaēsayoīš atnyat pišre va pušrai brašre va hamo zatai... (Yašta XIV, 46) — „ზარათუშტრა, ამ ლოცვას (მანთრა) ნუ ასწავლი წურავის, გარდა მამისა, გარდა ძისა, გარდა ძმისა თანაშობილისა“.

hātiy Dārayavauš xšāyahiya manā pitā Vīstaspa (26, 116) — ამბობს დარიოს მეფე: მამაჩემი იყო ვიშტასპა.

Šahpuhr Chrmazd rāb hač pitar pat nihau dāst (2, 77) — შაპური ოპრმაზდს მამას უმალივდა.

شاهان داد مادر مرا از پدر (2, 318) — დედამ მამის ნიშანი მომცა.

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს \*patér გვხვდება ძველ, საშუალო და კლასიკურ სპარსულში. დამოწმებულია აგრეთვე თანამედროვე სპარსულსა და მის დიალექტებშიც.

In ši čtye peder-eš geli māder-eš geli, xod-eš gerd o gombeli (14, 48) — რა არის? მამა თიხისაა, დედა თიხისაა, თვითონ კი მრგვალია?

ne be dōduī resāe pūl, ne mōdēr, ne peder (7, II, 45) — მის ძახილზე არ მოვა არც ფული, არც დედა, არც მამა.

ზოგიერთ დიალექტში \*patér განსხვავებული ფორმით დასტურდება. მაგ., ქაშანის დიალექტში: pei mulzōzimānes hēvot (7, 1, 11) — მამამ თავის მონებს უთხრა (pei < pat > paš, š > i შდრ. პრეფიქსი pati > paš > pai).

ყურადღებას იქცევს ტერმინი per. per mōlenimejūnē'i idīde kiss kā (7, II, 9) — მამამ მამული გაუყო. per (ან რედუქციით < pedar) შეიძლება დავეუკავშიროთ ირანულ pir-ს („მოხუცი“, „უფროსი“). იშვიათად \*patér გამოიყენება მიმართვის დროსაც: گفتم ای پدر که خدایمند به که نادان مند (2, 311) — უთხრა: მამა, დაბალი ბრძენი სობია მაღალ უეცეს.

მეორე გავრცელებული სიტყვაა bābā „მამა“. ეს რედუქციკატი ბავშვის ენას ეკუთვნის. ძველ სპარსულში გვხვდება pāpā. დამოწმებულია საკუთარ სახელებში: Pāpa, Pāpaina „მამისა“ (სუფ. aina). კინობითი სუფიქსით: Pāpaka „მამიკო“ (24, 178), შდრ. ქართული „მამუკა“. საშუალო სპარსულში Pāp, Pāpak, სომხურში Pāp (25, 65). ახალ სპარსულში Bāb, Babak.

